

დავით ჭითანავა

**კოლხური გვარსახელის
გენეზისი
მრუდე სარკეში**

**თბილისი
2020**

DAVIT CHITANAVA

**GENESIS OF
COLCHIAN SURNAMES
IN A DISTORTING MIRROR**

Tbilisi
2020

„კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში“. ნიგნში შესწავლილია კოლხური გვარსახელის გენეზისის საკითხები წერილობითი წყაროების, გენეტიკური, დემოგრაფიული, ანთროპოლოგიური, საარქივო მონაცემების და ავტორის მიერ სამეგრელოში მოპოვებული საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

ნიგნში წარმოდგენილია შემდეგი მიმართულების საკვლევი საკითხები: კოლხურ გვარსახელთა სუფიქსური წარმოებები. ძველი კოლხური ხელოვნური ბორცვ-სამოსახლოების ე. წ. „დიხა-გუძუბების“ დასახლების სტრუქტურა და მისი ურთიერთმიმართება გვართან. დასახლების ერთეულის „სამოხიო“-ს და სვანური საგვარეულო დასახლების-სამხუბ//ლამხუბის სტრუქტურა. პატრონიმია და გვარი სამეგრელოში-დინო და თური. ეკზოგამიის და თემის შიგნით მცხოვრებ გვართა შორის ქორწინების აკრძალვის წესები. საკუთრივ სამეგრელოს და დღევანდელი აფხაზეთის (მაშინდელი ოდიშის სამთავროს) გვარსახელების ეთნოისტორია XVI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით. „ნამლევი“, ანუ მცირერიცხოვანი გვარსახელების დემოგრაფიული და გენეტიკური კვლევები.

“Genesis of Colchian surnames in a distorting mirror”. The book explores the issues related to the genesis of Colchian surnames based on written sources, genetic, demographic, anthropologic and archival data, as well as field-ethnographic materials obtained by us in Samegrelo. The book presents the research questions in the following areas: Suffix derivatives in Colchian Surnames; Structure of the ancient Colchian artificial hill settlements, so called “dikha-gudzuba”, and its interrelation with a clan, structure of the settlement block “samokhio”, structure of the Svan clan settlement samkhub/lamkhub. Patronymy and clan – dino and turi – in Samegrelo. Rules of exogamy and prohibiting marriage among clans living in community. Ethnohistory of surnames of Samegrelo proper and modern Abkhazia (the former principality of Odishi) according to Georgian historical sources of the XVI-XVII cc. Demographic and genetic researches of “namlevi”, that is small-size surnames.



ნიგნ გამოიცა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გრანტის ნომერი: SP-19-146;

The work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG): SP-19-146.

რედაქტორი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ლიანა ბითაძე**

რეცენზენტები:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს **რამაზ შინგალია**

ისტორიის დოქტორი **პაპან სორავა**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ლავრინტი ჯანიაშვილი**

© **დავით ჭითანავა**

ISBN 978-9941-8-2210-0

სარჩევნი

შესავალი8

თავი I

კოლხურ გვარსახელთა სუფიქსური და

სუფიქსოიდური წარმოებები27

1. ია//ვა სუფიქსები.....27

2. -(ი)ში სუფიქსი.....37

3. -(ი)ან სუფიქსი.....41

4. -სქირი (სკირი), სქუა (სკუა) სუფიქსოიდები.....51

5. ჭკორი სუფიქსი53

6. -ტი სუფიქსი53

7. -უა სუფიქსი54

8. -ყვა სუფიქსი55

9. -ბერე// -ბერი სუფიქსოიდები.....57

10. -ელ, -ულ, -ურ სუფიქსები.....58

თავი II

ძველი კოლხური დასახლების

სტრუქტურა და გვარი60

§ I. ძველი კოლხური დასახლების სტრუქტურა და

გვარის აღმნიშვნელი უძველესი ქართველური ტერმინები

(ხი//ხა//ხე სუფიქსები. ხორიონი//ოხოორუ//სახლი)60

§ 2. მეგრული „სამოხიო“ და სვანური „სამხუბი“102

(გენეზისი და სტრუქტურა)102

თავი III

პატრონიმია და გვარი სამეგრელოში120

§ 1. -თი//თა სუფიქსები და „თური“

(გენეზისი და სტრუქტურა)120

§ 2. მეგრული დინო-პატრონიმია (გენეზისი და სტრუქტურა)	148
§ 3. პატრონიმიული სალოცავები (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	165

თავი IV

გვარის ისტორიული მახსოვრობა

და ეკზოგამიის წესი	179
---------------------------------	-----

თავი V

კოლხური გვარსახლები გვიანი შუა საუკუნეების

წერილობითი წყაროების მიხედვით	203
--	-----

§ 1. ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრში“ (XVI ს. მეორე ნახევარი – 1621 წ.)	203
ა) ნაჟანულის სასახლის საეკლესიო გლეხები (XVI საუკუნის მეორე ნახევარი-1621 წელი)	205
ბ) ხოირის სასახლის გლეხები (1621 წელი)	220
გ) სუბვის სასახლის საკათალიკოსო გლეხები (1621 წელი)	224
დ) თილითის სასახლის საკათალიკოსო გლეხები (1621 წელი)	228
ე) ხაუჭელის სასახლის საკათალიკოსო გლეხები (1621 წელი)	232
ვ) სოფელ ტყაურის საკათალიკოსო გლეხები (1621 წელი)	235
ზ) სოფელი ჭალას მცხოვრები ჯაიანების სასახლის გლეხები (1621 წელი)	235
§ 2. პირსახელები და გვარსახელები „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის“ ნუსხის მიხედვით (1616-1621 წწ.)	237

თავი VI

ნამლევნი გვარსახელები სამეგრელოში.....247

 § 1. „ნამლევნი“ გვარსახელები სამეგრელოში
 და მისი კვლევის ძირითადი ასპექტები.247

 § 2. ნამლევნი გვარსახელების ინტერდისციპლინარული
 კვლევა სამეგრელოში
 (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო)272

 რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....272

შესავალი

გვარსახელი, ეთნოსის შესწავლის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის კვლევა როგორც ანთროპოლოგიური, ისე ისტორიულ-ეთნოლოგიური მიმართულებით მნიშვნელოვან მასალას იძლევა ქართველი ტომების ეთნოგენეზის მეცნიერულად გაშუქების თვალსაზრისით.

ადამიანის სახელები, ისტორიის მანძილზე, დროის ვითარებიდან და წეს-ჩვეულების ტრანსფორმაციიდან გამომდინარე, ხშირად ქრება და იცვლება ახლით. გვარი, რომელსაც მეცნიერებაში გვარსახელი ეწოდება, მემკვიდრეობითი სახელია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. მემკვიდრეობით სახელს ანუ გვარსახელს გარკვეული ფუნქციები ჰქონდა. მის ძირითად ფუნქციას მემკვიდრეობის გადაცემა წარმოადგენდა¹; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო საქორწინო ურთიერთობების მოწესრიგება; მნიშვნელოვანია მისი ფუნქცია პიროვნების იდენტიფიცირების აუცილებლობის, ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და საადათნესო ურთიერთობების მოწესრიგების თვალსაზრისით, რაც პირველ რიგში მის მკაცრ ეგზოგამიურობაში გამოიხატება. გვარსახელი არის ერთი წინაპრიდან მომდინარე ადამიანთა ჯგუფის გაერთიანება სხვისგან განსხვავებული მთელი რიგი (ჩვენ-ისინი) ნიშან-თვისებების გამორჩევით. თითოეულ გვარს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მარტო წინაპრის სახელიდან მომდინარეობა (ეპონიმები), არამედ საქმიანობა, სადაურობა, რწმენა, თანამდებობა, მითიური პერსონაჟები, ტომთა და გვარის ბელადები, თვით ტომის სახელწოდებები, გამორჩენილი ადამიანების სახელები და სხვა. ყოველივე ეს კრავს გვარს და სძენს მას მყარ სოციალურ ფუნქციას, რაც მეტად გამძლეა და ათასწლეულების განმავლობაში უნარჩუნ-

¹ რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია (მსოფლიო ხალხთა ანთროპონიმიული სისტემები), თბ., 2010, გვ. 37.

ნებს საკუთარ, სხვისგან გამორჩეულ სახეს. როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავდა, ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაინეროს და მაინც არ იქნეს ამონურული მთელი სიღრმე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული¹. ამდენად, წინამდებარე ნაშრომის სათაურიც („მრუდე სარკე“) ამ რეალობის გამო შეირჩა, რამდენადაც საკვლევი საკითხი ამოუწურავია და მას წლების მანძილზე სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ინტერდისციპლინარული კვლევები თუ მოჰფენენ ნათელს.

ქართული გვარსახელები VIII-IX საუკუნეებიდან დასტურდება, ისინი უფრო ადრე წარმოიქმნა, თუმცა წერილობითმა ძეგლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. აღნიშნულია, რომ ქართულ ფეოდალურ სისტემაში გვარსახელების წარმოშობა სოციალური ურთიერთობის გასაადვილებლად უმთავრესად მემკვიდრეობითი სახელის არსებობის აუცილებლობამ გამოიწვია². დროთა განმავლობაში ზოგიერთი გვარი ამოწყდა, წარმოიშვა ახალი გვარები, ზოგიერთ გვარსახალს ახალი შტო-გვარები გამოეყო ან ფონეტიკურად სახე იცვალა, მანარმოებელი სუფიქსი შეიცვალა და ახალ გვარსახელად ჩამოყალიბდა. თუმცა ამით ორი ან ორზე მეტი გვარი მამის ხაზით ერთი გენეტიკის მატარებელი რჩება, გვართა რაოდენობა იზრდება, ხოლო გენეტიკური მრავალფეროვნება იგივე რჩება.

უდაოა, რომ გვარსახელები ეპოქალურად უნდა განვიხილოთ და არ შეიძლება ერთ კონტექსტში იყოს მოხსენიებული ძველი კლასობრივი საზოგადოებების, ფეოდალური ეპოქის და შემდგომი დროის გვარსახელები, თუმცა აქ უმთავრესად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ქართული გვარსახელების წარმოქმნა მარ-

¹ აკ. შანიძე, თეოფორული სახელები ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1967, გვ. 102.

² რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 217-218.

ტო ფეოდალური ეპოქის ნაყოფი არ უნდა იყოს. ქართველურ ტომებს, სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის მინიმუმ 3000 წლოვანი ისტორია აქვს. ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია გვარსახელის არარსებობის გარეშე ასეთი ეთნოსოციალური ერთობის ჩამოყალიბება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ გვარსახელი არსებობდა ყველა ეპოქის და სახელმწიფოს ფარგლებში, ხოლო დროდადრო ერთიანი სახელმწიფოებრიობის დაშლის პირობებში ისევ საგვარეულო წყობისკენ ხდებოდა მიბრუნება, რაც სულაც არ ნიშნავს ამ ერთეულის გაქრობას, არამედ იგულისხმება ზოგადად გარკვეული ტრანსფორმაცია, სადაც გვარი და თემი უფრო მნიშვნელოვანი სოციალური ერთეული იყო ვიდრე სახელმწიფო. ასეთ პირობებში მიმდინარეობდა გვაროვნული თემის ხელახალი დაშლა და ისევ ახალი სახელმწიფოს ფარგლებში ახალი გვარსახელების წარმოქმნა. ასე ხდებოდა ეს მოგვიანებითაც, როგორც ადრეფეოდალური ურთიერთობების ჩასახვისას, ისე მოგვიანებით სათავადოების ჩამოყალიბებისას. ამ პროცესის მართებულებას, ჩვენი აზრით, ეხმაურება ივ. ჯავახიშვილის მნიშვნელოვანი დაკვირვება საქართველოს მოსახლეობის გვაროვნულ წყობილებაზე, რომ „შესაძლებელია სტრაბონის დროინდელი საგვარეულო წყობილება პირველადი არ იყოს, არამედ მეორადი ან მესამეგზისიც“¹. აქ პირველ რიგში ხაზგასასმელია ავტორის მიერ გამოყენებული ტერმინი „საგვარეულო წყობილება“, რომელიც გვაროვნული საზოგადოების საპირისპიროა და გულისხმობს არა პირველყოფილი საზოგადოების, არამედ კლასობრივი ეპოქის დროინდელ საგვარეულო დასახლებებს. ასევე, მართებულადაა შენიშნული, რომ საქართველოში მოხდა უწყვეტი გადასვლა პირველყოფილი გვარისა გვიანდელ გვარში და გვიანდელი გვარისა-გვარსახელში². ამავე დროს, ძველ

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. I, ტფ., 1928, გვ. 23.

² რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 229.

ეთნოსებს, რომელთაც განსახლების არეალი არ შეუცვლიათ, პირველყოფილი გვარი სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში გადმოჰყავთ, ოღონდ ტრანსფორმირებული სახით, პირველყოფილი გვარი გვიანდელ გვარში და „გვიანდელი გვარი“ მემკვიდრეობით სახელში (გვარსახელში) გადაიზარდა¹. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია უძველესი ანთროპონიმების შესწავლა, რომლის გენეზისსაც უძველესი დროიდან მოყოლებული წერილობით წყაროთა მიხედვითაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ. როგორც აღნიშნულია, ანთროპონიმები ხშირად ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის შესწავლის წყაროცაა².

ყველა ხალხმა საკუთარ სახელთა სისტემა და ანთროპონიმიული მოდელი შექმნა, რაც გულისხმობს სხვადასხვა ხალხთა ანთროპონიმების (საკუთარ სახელთა) გარკვეულ დროში გარკვეული წესით ორგანიზებულ ერთობლიობას. საკუთარ სახელთა სისტემა უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო ენობრივი თავისებურებებით, ეთნოსის მიერ განვლილი ისტორიული გზით, სოციალური განვითარების თავისებურებებით, რელიგიით, სხვა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობებით³. სწორედ ამ მიმართულებით, ჩვენი აზრით, ძველადმოსავლურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, დასაშვებია ქართველთა ეთნიკური ისტორიის ჭრილში უფრო შორეულ ეპოქებსაც გადავხედოთ და იქ მოხსენიებულ ანთროპონიმთა და ზოგიერთ ტოპონიმიკურ მასალაზე დაკვირვებით პარალელები გავავლოთ დღევანდელ ქართველურ ანთროპონიმიულ სისტემასთან, ქართველურ გვარსახელთა სუფიქსურ და პრეფიქსურ წარმოებებთან, რასაც წინამდებარე ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება. ამ სახელწოდებებში, ბევრი რამ ჯერ კიდევ ფუძისეულადაა საკვლევი, რაც უფრო მეტი ლინგვისტური მასა-

¹ რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 36.

² რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 24.

³ რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 28-29.

ლის მოშველიებას საჭიროებს, ის ენათმეცნიერთა შემდგომი დაკვირვების საგანი უნდა გახდეს და მას ჩვენი მხრიდან ღრმა ანალიზის პრეტენზია არ გააჩნია. თუმცა, ისტორიკოსის თვალთ დასახულ უძველესი ისტორიის ამსახველ არქეოლოგიურ მასალებს თუ გავადევნებთ თვალს, იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ოდითგან ქართველურ და იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომთა წინაპრებს უნდა ეცხოვრათ (რაც თანამედროვე გენეტიკური-დნმ კვლევებითაც დასტურდება) გვარის და ანთროპონიმული ერთობის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-III ათასწლეულიდანაც უნდა ვიგულისხმოთ, კერძოდ, მტკვარ-არაქსის კულტურიდან მოყოლებული, რასაც, ვფიქრობთ, მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიებაც უფრო მკაფიოდ დაადასტურებს. ამ ეტაპზე კი, არქეოლოგიური კულტურის ანალიზით, იმის აღნიშვნა შეგვიძლია, რომ მტკვარ-არაქსის არქეოლოგიურ მონაპოვრებს უნდა ვუნოდოთ არა უბრალოდ არქეოლოგიური „კულტურა“, არამედ ცივილიზაცია, რომელზეც აქ დამწერლობის ნიშნების აღმოჩენა მიუთითებს და ეს პროცესი ახალი მიდგომებით სავსებით სწორად არის შენიშნული¹. ასეთ პირობებში კი გვარსახელის (აქ არ იგულისხმება არც ფეოდალური ხანის და არც სამართლებრივი სტატუსის მქონე ე. წ. „ფამილია“) არსებობა თეორიულად დასაშვებია. სოციალური წოდებების არსებობა გვარსახელის წარმოქმნასაც განაპირობებს და ეს პროცესი რიგ ხალხებში სწორედ ამ სოციალური იერარქიის კვალდაკვალ დიფერენცირებულად უნდა მომხდარიყო. სამართლიანადაა შენიშნული, რომ ქართულ ენაში პირველყოფილი საზოგადოების გვარიც (აქ არ იგულისხმება თვით ტერმინ გვარის ენობრივი წარმოშობა-დ. ქ.) და მემკვიდრეობითი სახლიც (გვარსახელი) ერთი და იმავე ტერ-

¹ С. Н. Корневский, О понятиях «цивилизация, протоцивилизация» и знаках на керамике в культурах Подунавья, Кавказа и Переднего Востока в V-III вв. до н. э., Краткие сообщения Института археологии, 2013, № 230, გვ. 63-84.

მინით აღინიშნება, რომლის მიზეზია კლასობრივი საზოგადოების გვარში მისი გადაზრდა. ამ თვალსაზრისით საქართველოში ტრადიციის წყვეტა არ მომხდარა, თუმცა პირველყოფილი საზოგადოების გვარი და სახელმწიფოს დროინდელი გვარები თავისი შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდება¹.

რ. თოფჩიშვილი არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართული გვარების მრავალრიცხოვნობა ქართველთა ეთნოტომობრივი სიჭრელითაა გამოწვეული. ავტორის აზრით, ქართულ გვარსახელთა სუფიქსების მრავალფეროვნება ძირითადად ქართული ენის მრავალფეროვანი შესაძლებლობებით აიხსნება. ისინი ძირითადად კრებითობის, კუთვნილებისა და სადაურობის გამომხატველნი არიან. მათ ერთი დატვირთვა და შინაარსი (ფუნქცია) აქვთ. ამასთანავე, ქართული გვარების მრავალრიცხოვანი სუფიქსები იმის დამადასტურებელიცაა, რომ ისინი საკმაოდ დიდი ხნისანი, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზეა წარმოქმნილი. ყველა სუფიქსი, რომელიც გვარსახელთა დაბოლოებადაა გამოყენებული, საერთოა ქართული ენობრივი ერთობისათვის. ავტორის თქმით, ხშირად მიაჩნიათ, რომ -ძე სუფიქსი დასავლურქართული გვარებისათვისაა დამახასიათებელი, -შვილი კი აღმოსავლურქართულისათვის. საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემებით ეს არ დასტურდება. დღეს შეიძლება -ძე სუფიქსს პრიორიტეტი დასავლეთ საქართველოში აქვს მოპოვებული, -შვილს კი აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ისტორიულად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოშიც პრიმატი -ძე ფორმანტს ჰქონდა. დღეს თუ -შვილი და -ძე სუფიქსები სახელებს სახელობით ბრუნვაში დაერთვის, თავდაპირველად, ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, თითქმის XVIII საუკუნის ბოლომდე, გვარსახელში სახელი ძირითადად ნათესაობით ბრუნვაში იდგა. მრავალი გვარსახელი, დღეს რომ

¹ რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 34.

-შვილ სუფიქსს ირთავს, თავდაპირველად -ძე სუფიქსით ინარ-
მოებოდა.¹

საერთოდ, სუფიქსები, რომლითაც ქართველური გვარსახე-
ლები ინარმოება, საერთოქართველური მოვლენაა და ამაზე ალ-
ბათ სადაო არაფერია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ დაბოლოებებს
ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გარკვეული ის-
ტორიული პირობებით გამოწვეული იზოლირებულად ცხოვრე-
ბის და ფართო ტერიტორიაზე განფენის შედეგად წარმოქმნილი
ენობრივი და დიალექტური ფორმების გამო მიეცა უპირატესო-
ბა. როგორც აღნიშნულია, ანთროპონიმული ერთეულები არე-
ალურია. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ ანთროპონიმულ
არეალებს, მაგალითად, -ურ (-ულ) სუფიქსიანი გვარსახელების
ანთროპონიმული არეალია ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, ხევი,
მთიულეთი, გუდამაყარი (ისტორიულად ასეთივე ანთროპონი-
მული არეალი იყო დვალეთიც)². ვფიქრობთ, სწორედ რომ ქარ-
თველთა წინაპრების განსახლების ტომობრივი ხასიათი უდევს
საფუძვლად ამ სუფიქსების მრავალფეროვნებას, რომლებიც
ჩამოყალიბდა გარკვეულ ეპოქებში ერთმანეთისაგან „იზოლი-
რებული“ ცხოვრების შედეგად, თუცა, ბევრი მათგანი საერთოა
ყველა ქართველური ტომისათვის. განსხვავება ისაა, თუ რა ში-
ნაარსით და რამდენად გამოკვეთილად შემორჩა ეს სუფიქსები
ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებში.

აქვე შევნიშნავთ, რომ კოლხური გვარსახელების შესახებ ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევის ავტორია პაატა ცხადაია³.
მან მეგრულ გვარსახელებზე ნაშრომის პირველ თავში თავი მო-
უყარა ამ საკითხზე ყველა მანამდე არსებულ შეხედულებას და
საკმაოდ დანვრილებით განიხილა კოლხური (მეგრულ-ჭანური)

¹ რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 231-232

² რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 246.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ.,
2000.

გვარსახელების სუფიქსური და სუფიქსოიდური სისტემები. მიუხედავად ამისა, ჩვენ წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ თავიდან გადაგვხედოდა ამ საკითხისათვის და ახალი შესაძარბეული მასალების გამოყენებით გარკვეული ჩვენეული მიდგომები დაგვეფიქსირებინა.

პ. ცხადიას დაკვირვებით, ქართველური ანთროპონომიული სისტემა ერთიანია (და უძველესი), მაგრამ ამ ერთიანობის ფარგლებში ქართულ, სვანურ და კოლხურ (ზანურ) გვარსახელებს გარკვეული თავისებურებები მოეპოვებათ როგორც ამოსავალ ფუძეთა (პირსახელთა, მეტსახელთა) სემანტიკის, ისე სუფიქსაციის თვალსაზრისით. კერძოდ, კოლხურად ითვლება გვარსახელები, რომელთაც ფინალში აქვთ: -ია, -უა, -ვა, -ში, -სქირი, -სქუა, -ბერი, -ჭკორი¹. ავტორისავე აღნიშვნით, „კოლხური გვარსახელი“ ეთნიკურ-ენათმეცნიერული ტერმინია და აღნიშნავს კოლხური (ზანური, ანუ მეგრულ-ჭანური) ენის საგვარეულო მოდელს (სემანტიკითა და სტრუქტურით, ე. ი. ფუძეებით, სუფიქსებითა და სუფიქსოიდებით. ამ მოდელის მქონე ყველა გვარსახელის სამშობლო და ძირითადი სამკვიდრო არის არა მხოლოდ სამეგრელო, არამედ აჭარა-გურია-იმერეთი, სადაც დაფიქსირდა 100-მდე კოლხური გვარსახელი, რომლებიც არ გვხვდება (ან თუ გვხვდება, მიგრირებულია) სამეგრელოში².

ყველაზე მძლავრი და გამოკვეთილად ჩვენთვის ცნობილი ქართველურ ტომთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო კოლხეთის სამეფო, რომლის წიაღშიც კოლხეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზეც მოსახლეობა ეთნიკურად ქართულ-ქართველური იყო და იგი ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ დიალექტზე მეტყველებდა, რომელსაც აკაკი შანიძე კოლხურს უწოდებდა და რომლისგანაც შემდგომ მეგრული და ლაზური წარმოიშვა. სწორედ ამ ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი და მისი

¹ პ. ცხადია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 12.

² პ. ცხადია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 14.

გრძნეული ქალიშვილი მედეა. აქვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული სვანურიც¹.

დღევანდელ კოლხური (მეგრულ-ჭანური, ასევე სვანური) სუფიქსური წარმოებების შედარება ძველალმოსავლურ მასალასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რამდენადაც ქართველთა წინაპარი ტომების ძირითადი კონცენტრაცია ამ ტერიტორიაზე (იგულისხმება ალმოსავლეთ მცირე აზია და მთლიანად ამიერკავკასია) ხდებოდა. ჩვენი აზრით, ზოგადად ქართველურ ტომთა განსახლების არეალი ანტიკურ და ადრეანტიკურ ხანაში გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა როგორც სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ისე ჩრდილოეთის მიმართულებით. კერძოდ, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე (უმთავრესად, აღმოსავლეთ საქართველო) და მახლობელ აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ განფენილი, ძვ. წ. IV-III ათასწლეულების სამინათმობედო კულტურა, მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურაა². ეს საკმაოდ თვითმყოფადი არქეოლოგიური კულტურა მოიცავდა არა მარტო მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთს, არამედ ვრცელდებოდა უფრო შორს, თითქმის მთელ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში-ჩეჩნეთში, ჩრდილო ოსეთის ზოგიერთ რაიონში, დაღესტანში, სამხრეთ-დასავლეთით-ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, სირიასა და პალესტინაში³. უფრო კონკრეტულად, მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ ექცევა ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე აღმოსავლეთ ანატოლიის საკმაოდ ვრცელი ტერიტო-

¹ თ. გამყრელიძე, ქართული სახელმწიფოებრიობა, აღმოსავლური ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №2, 2001.

² А. Куфтин, Урартские «колумбарии» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII, 1944.

³ Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века (Неолит, энеолит, ранняя бронза), М. 1975, გვ. 149.

რია: ყარსის ოლქი, ელიაზიგ-მალათიის მხარე, მგიშის ველი, ვანის ტბის სანახები, იდგირის რაიონი და სხვ. თუმცა გამოთქმული მოსაზრებით ეს კულტურა მტკვარ-არაქსის განვითარებულ საფეხურს განეკუთვნება და დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლით თარიღდება¹.

არქეოლოგიური მონაცემები ნათლად აჩვენებს ამ კულტურის ერთფეროვნებას ამ ვრცელ ტერიტორიაზე, რაც საერთო წარმოშობის მონათესავე ტომების არსებობას გვაგვარაუდებინებს, თუმცა, არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით გამოთქმული ვარაუდების გარდა, არსებობს ბოლოდროინდელი გენეტიკური კვლევები, საიდანაც ჩანს, რომ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის არეალი დასახლებულია G2a და J2 ჰაპლოგუფების მატარებელი ხალხით. G2a კონცენტრირებულია კავკასიის, ანატოლიის და სამხრეთ ევროპის გარკვეულ ტერიტორიაზე და ის აღიარებულია, როგორც სამინათმოქმედო კულტურის მქონე ხალხების გენეტიკური მარკერი².

ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომებზე, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოდან, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის წერილობითი წყაროებიც. მოკლედ რომ გადავხედოთ, ძვ. წ. XXIV საუკუნეში აქადის სემიტი მეფე სარგონ I (ძვ. წ. 2369-2314 წწ.) გრანდიოზულ ლაშქრობებს აწყობდა ჩრდილო-დასავლეთ მესოპოტამიის მიმართულებით, იმ მხარეებში, რომლებიც მდებარეობენ ტიგროსის ზემო დინებაზე და რომელსაც იმხანად სუბართუ(-ტუ) ერქვა. ასევე ლაშქრობები ეწყობოდა სირიისა და პალეს-

¹ ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში (ადრეყორღანული კულტურა), თბ., 1998, გვ. 143.

² რ. შენგელია, გ. ანდრიაძე, ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, ნ. ჩიქოვანი, ე. ხმალაძე, მ. კეკელიძე, შ. ლალიაშვილი, საქართველოს მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური გენეტიკური კვლევა, კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, თბ., 2016, გვ. 145; Shengelia R., Andriadze G., Bitadze L., Chitanava D., Chikovani N., Khmaladze E., Kekelidze M., Laliashvili Sh. Comparative Genetics Study of East Georgia Population. Moambe, 2017, vol. 11, no 4.

ტინის მიმართულებით. ამავე დროს სარგონი თავის ჯარს აგ-ზავნის მცირე აზიის ტერიტორიაზე და ჩრდილო-დასავლეთით მსხვილ დაპყრობით ოპერაციებს აწარმოებს¹. ამ დაპყრობითი ომების კიდევ უფრო მეტი ენერგიით წარმოება შუმერ-აქადური სახელმწიფოს მიერ ჩრდილოეთით ხდება მეფე შულგის (ძვ. წ. 2100-2042 წწ.) დროს, რომელიც ხელახლა იპყრობს სუბართუს ქვეყანას და მდ. ევფრატის ზემო დინებაზე მდებარე მიწებს. ის ასევე იპყრობს სირიას და აღწევს მცირე აზიის დასავლეთ ნაწილამდეც, რომელიც იმ პერიოდისათვის შუმერული კულტურის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფება². ამ რეგიონში, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აქადურ წყაროებში პირველად იხსენიებიან ხურიტები, რომლებიც გაიგივებულნი არიან სუბარელებთან, ანუ სუბარიელებთან, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დროინდელ წყაროებში სუბარიელები და ხურიტები არ მოიხსენიებიან ხურიტების სინონიმად, არამედ რაღაც „განსაკუთრებულ ხალხად“ ითვლებიან. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ანუ ევფრატისა და ტიგროსის მთელ ზემო და შუა დინებაზე, და ვანის ტბის მიდამოებში მოსახლე სუბარები, ადგილობრივი ტომები უნდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. II და I ათასწლეულის დასაწყისის ასურულ წყაროებში იწოდებიან ხურიტები სუბარელებად. ხურიტების განსახლების რაიონი შუმერულად იწოდება სუ-ბირ, ხოლო აქადურად-სუბარტუ ან სუ-ბარტუ; ამ რაიონის მცხოვრებნი იწოდებოდნენ სუბარელებად. ეს არის ხურიტების სინონიმი. მოგვიანებით, ტერმინი „სუბარტუ“ გამოიყენებოდა მოცემული ტერიტორიისათვის მაშინაც, როდესაც იქ უკვე არ იყო ხურიტული მოსახლეობა, ხოლო ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ის დამონმებულია ტერმინ „ასურეთი“-ს სინონიმად. ხურიტები ეგვიპტურად იწოდებოდნენ h'r,w (χαρυ, хурру) ძველებრაულად -хори³.

¹ В. И. Авдиев, История древнего Востока, Л., 1953, гл. 59-60.

² В. И. Авдиев, История древнего Востока, гл. 66.

³ И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Ереван, 1968, гл. 14.

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ხურიტების წინამორბედი მოსახლეობა იყვნენ სუბარები. ასევე აქადურ subari-ujm, šubaruj-ს თვლიან დენომინატურ აღმნიშვნელს ტოპონიმიკური ტერმინიდან Subartum, Subariu, შუმ. Su-biar¹.

ზემოთ წარმოდგენილი ძველი აღმოსავლეთის მოკლედ მიმოხილული ეთნიკურ-პოლიტიკური სურათი ეპოქალურად დაშორებულია მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდს, ანუ მტკვარ-არაქსის კულტურა სუბარების წყაროებში პირველად მოხსენიების პერიოდში უკვე დაახლოებით ორასი-სამასი წლის წინ წყვეტს არსებობას, მაგრამ არქეოლოგიურ კულტურაში ამ ღრმა ცვლილების მიუხედავად, მტკვარ-არაქსელთა ამ ტერიტორიიდან ერთიანად აყრა და სხვაგან გადასახლება ძნელად წარმოსადგენია. თვითონ სუბარელთა განსახლების ასეთი ფართო არეალი ჩრდილოეთით და სირიის ტერიტორიაზე, ასევე მცირე აზიის აღმოსავლეთით და მის სიღრმეებში, გვაფიქრებინებს მათ იგივეობას მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებთან. რაც შეეხება სუბარების და ხურიტების გაიგივებას, ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ხურიტები წინა აზიის ტერიტორიაზე არ ჩანან ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე და, ვფიქრობთ, რომ ურარტულთან მათი ენის ნათესაობა (რომელიც ზოგიერთმა ავტორმა ერთი ენის სხვადასხვა დიალექტადაც კი მიიჩნია) უნდა ყოფილიყო ადგილობრივ, დამხვდურ მოსახლეობასთან მათი შერევის მიზეზი, შესაძლოა სემიტური მოდგმის ტომების სამხრეთიდან მონოლის შედეგად.

ტერმინი სუბარი უნდა ყოფილიყო ერთი საერთო გენეტიკური წარმოშობის ტომების აღმნიშვნელი. ის ალბათ გარკვეული შემკრებილობითი სახელი იყო მონათესავე ტომებისა, რომლებიც ამ ვრცელ ტერიტორიაზე ანუ „სუბარეთში“ სახლობდნენ; ხოლო ხურიტი უფრო ერთი კონკრეტული ხალხის აღმნიშვნე-

¹ И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М. 1967. გვ. 113.

ლი იყო, რომელთაც სუბარების სახელწოდება ამ ტერიტორიაზე განსახლების შემდგომ მიიღეს.

ამჯერად ჩვენ აქ არ შევუდგებით ცალკეულ ავტორთა მოსაზრებების ღრმა ანალიზს ქართველთა ეთნოგენეზის საკითხებზე, უბრალოდ ზოგიერთი ავტორის მოსაზრებათა გაზიარებით გვინდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია საკითხთან მიმართებაში. კერძოდ, სიმონ ჯანაშიამ ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემას სათანადო გამოკვლევა მიუძღვნა, სადაც აღნიშნა, რომ თაბალ-თუბალის გზით, ჩვენ ავდივართ უფრო ადრინდელ საფეხურამდე, სუბარ-შუმერამდე. დაბადების თაბალსა და თუბალ-კაინში, „კაინ“//„კენი“ არის ეპითეტი, რომელიც სათანადო სემიტური ძირის საშუალებით, „მჭედელს“ აღნიშნავს. მისივე თქმით, თაბალ ხომ უპირატესად მჭედელი და მეტალურგია. შესაძლებელია ისიც (მარი, ჯავახიშვილი), რომ აქ გვექონდეს სათანადო სატომო სახელის გააზრებაც („კაენებს“ იხსენიებს პლინიუსი, და შემდეგში ცნობილი არიან ჭანნი-ოკაენიტნიც). მკვლევარი „შესაქმეთა ნიგნის“ თობელებს ანუ თუბალ-კაინებს, რომლებზეც ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროვ, მჭედელი რვალისა და რკინისა“, უკავშირებს კოლხური ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურის შემოქმედთ¹.

შოთა ძიძიგურის აზრით, იბერ ფორმის მრავალსახელიანი ეთნიკური სახელწოდებები მჭიდროდ უახლოვდება ტერმინ სუბარ-ულს. ავტორი აქ იმონმებს რ. ბლაიხშტაინერის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბარები ტაბალებისა და მუსკების ახლო მონათესავენი არიან, ავტორი, თვით სახელწოდება სუბარტუ-ში გამოყოფდა სუფიქს ტუ-ს, რომელსაც ქართულ თი-ს უკავშირებდა. მისივე აღნიშვნით, ავსტრიელი მეცნიერი სუ-ს პრეფიქსად მიიჩნევს და, ამრიგად, ფუძედ ბარ-ს გამოყოფს, ამავე ძირისაა ი-მერ-იბერ (ა-ბას-გ). ამავე დროს სუ-მერ,

¹ ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 66-74.

სუბარ და ტი-ბარ//იბერი-ს მონათესავედ თვლიდა ბას-კ//მუს-კ-ს, მათ იაფეტური მოდგმის სამ ნაკადად მიიჩნევდა, რომლებიც სხვადასხვა დროს იჭრებოდნენ შუამდინარეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში¹.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ სუბარ და იბერ ფორმების იგივეობას, ასევე მის კავშირს შუმერ//სუმერთან და აბაზგ-ბასკ-მუსკ-მესხთან, ვფიქრობთ, სწორედ სუბარები ანუ გვიანდელი იბერები უნდა ყოფილიყვნენ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მელითონე ტომები, რომელთაც საფუძველი დაუდეს, როგორც ქართველურ, ისე, იბერიულ-კავკასიურ ხალხთა ძირითად გენოფონდს². აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ადიღეველი ხალხი მეგრელებს თუბალებს უწოდებს³.

სწორედ მოგვიანო ხეთური, ასურული და ურარტული წყაროები გვაძლევენ საკმაო ინფორმაციას ამ ტერიტორიაზე მოსახლე, სავარაუდოდ ქართველურ ტომებთან მონათესავე ერთობების შესახებ, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებო შესაძარებელი მასალა ამჯერად ჩვენთვის საინტერესო საკითხთან-კოლხურ გვარსახლებთან მიმართებაში შეიმჩნევა ქაშქა-გაზგებთან და მუშქებთან (იგივე მესხებთან). სწორედ ეს გარემოებები გვავარაუდებინებს დღევანდელ კოლხურ და რიგ შემთხვევებში სხვა ქართველურ ტომებთან ფიქსირებულ გვარსახლებში სუფიქსური წარმოებების იდენტობას, მათ საერთო წარმომავლობას და ქართველური გვარსახლების უძველესი დროიდან ჩამოყალიბებას. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში, შუა საუკუნეების ქართული და ძველადმოსავლური (ხეთური,

¹ შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, თბ., 1978, გვ. 50.

² საკითხთან დაკავშირებით სათანადო მსჯელობა და სამეცნიერო ლიტერატურა უფრო ვრცლად იხ. ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, თ. ზუბიაშვილი, ე. ყვავაძე, ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, თბ., 2010, გვ. 341-352.

³ Народы Мира. Народы Кавказа, т. II, М. 1962, გვ. 213.

ასურული, ურარტული) წყაროებისა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე განხილულია კოლხურ გვარსახელთა სუფიქსური (ია//ვა, -(ი)ში, -(ი)ან, -სქირი (სკი-რი), -სქუა (სკუა), ჭკორი, -ტი, -უა, -ყვა, -ბერე//ბერი, -ელ, -ულ, -ურ) წარმოებები.

ნიგნში ცალკე თავი დაეთმო ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან გავრცელებული ძველი კოლხური ხელოვნური ბორცვ-სამოსახლოების-დინა-გუძუბების დასახლების სტრუქტურას და მის ურთიერთმიმართებას გვართან, რომელიც იმ ეპოქის წამყვანი სოციალური ინსტიტუტი ჩანს. ამავე დროს, არქეოლოგიურ მასალასთან ბერძნული წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე, განხილულია ამ დასახლებათა და კოლხური გვარის, მოგვიანებით ოჯახისა და სახლის აღმნიშვნელად შემორჩენილი უძველესი ტერმინები, რომელზეც სანდო ცნობებს გვაძლევს ქსენოფონტის „ანაბასისი“. საკითხი ეხება -ნი//ნე სუფიქსის გენეზისს, იმავე ქსენოფონტესთან მოხსენიებული ქართველური ტომების დასახლების ერთეულის-„ხორიონ“-ების სტრუქტურას და მის ურთიერთმიმართებას თანამედროვე მეგრულ „ოხორუ“-სთან, რომელიც გვარის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი იყო. ეს ყოველივე განხილულია ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენობრივი და ეთნოგრაფიული პარალელების გამოვლენის საფუძველზე. ამავე ჭრილში შესწავლილია თანამედროვე სამეგრელოს სოფლისათვის დამახასიათებელი დასახლების ერთეული-„სამოხიო“. ამასთან მიმართებაში განხილულია სვანური საგვარეულო დასახლების-სამხუბ//ლამხუბის სტრუქტურა და მისი, როგორც გვარის აღმნიშვნელი უძველესი ქართველური ტერმინის გენეზისი.

ნიგნში ცალკე პარაგრაფი ეთმობა სამეგრელოში რელიქტის სახით შემორჩენილი ოჯახის აღმნიშვნელი უძველესი ლექსიკური ერთეულის „თი“-ს გენეზისის საკითხებს, მის ურთიერთმიმართებას გვართან და საერთოდ საქართველოს ტოპონიმი-

კურ მასალასთან. ჩვენს მიერ სამეგრელოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შესწავლილია მეგრული გვარის და პატრონიმიის აღმნიშვნელი ტერმინ „თური“-ს გენეზისის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თური-ს, როგორც პატრონიმიის აღმნიშვნელ ტერმინს და ამ დაბოლოების მქონე მეგრულ გვარსახლებს. ასევე, ყურადღებაა გამახვილებული თურის, როგორც გარკვეული პატრონიმისტიკული ერთობის გავრცელების არეალზე და მასთან მიმართებაში სამეგრელოს მთისა და ბარის მონოგენური დასახლებების სპეციფიკურ ნიშნებზე. ამ მიმართულებით საყურადღებოა ზემო სამეგრელოს **-ლე** პრეფიქსიანი და ბარის სამეგრელოს **-სა** პრეფიქსიანი საგვარეულო დასახლებების გენეზისის საკითხები.

ჩვენს მიერ ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, შესწავლილია მეგრული პატრონიმიის აღმნიშვნელ ტერმინ „**დინო**“-ს სტრუქტურა და გენეზისი. გამოვლენილია მისი ადგილი და როლი სოფლის დასახლების შიგნით, რომელიც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური და სოციალური ერთეულია.

ცალკე თავი დაეთმო მეგრული გვარის **ეკზოგამიის** წესს, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას საზოგადოებისა და საერთოდ ეთნოსის განვითარება-მდგრადობისათვის. ამავე თავში შესწავლილია სამეგრელოს სოფლების და რეგიონის შიგნით სხვადასხვა გვარებს შორის ქორწინების აკრძალვის წესები, რომელსაც ერთ-ერთ განმაპირობებელ მიზეზად ამ გვარსახელთა ისტორიული მახსოვრობა უდევს საფუძველად, რაც ოდესღაც მათ თანამოგვარეობას ადასტურებს. ეს მნიშვნელოვანი მასალაა გვარსახელთა გენეტიკური კვლევების თავალსაზრისითაც, რაც არა მარტო რეგიონის შიგნით მცხოვრებ გვართა შორის დაფიქსირდა, არამედ სვანეთისა და სხვა რეგიონების მოსახლეობასთან. საკითხი მნიშვნელოვანია გვართა მიგრაციულ პროცესებზე თვალის სადევნებლად.

ცალკე თავში წარმოდგენილია საკუთრივ სამეგრელოსა და დღევანდელი აფხაზეთის (მაშინდელი ოდიშის სამთავრო) **გვარსახელების ეთნოისტორიული კვლევა XVI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით**. ეს მასალა მნიშვნელოვანია პირველ რიგში აფხაზეთის იმდროინდელი ეთნიკური სურათის დასანახად და ამ გვარსახელთა მიგრაციის მიზეზებისა და მიმართულებების დასადგენად.

ნიგნის ბოლო თავი დაეთმო „**ნამღევ**“ („**ნალევ**“), ანუ მცირერიცხოვან გვარსახელთა დემოგრაფიულ და გენეტიკურ კვლევებს. საკითხი შესწავლილია, როგორც ჩვენს მიერ ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული და საარქივო მასალების, ისე, გენეტიკურ და ანთროპოლოგიურ კვლევებთან ურთიერთშეჯერებით. ამ კვლევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები. საკითხთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ გვარსახელების კვლევა საქართველოში დღემდე ძირითადად ეთნოისტორიულ ჭრილში-საისტორიო წერილობით წყაროებში არსებული ცნობებისა და საველე-ეთნოგრაფიული მასალების შესწავლით ხდება. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დანერგილი კვლევის ახალი მიმართულებებით, გვარსახელი გამოყენება, როგორც ბიოლოგიური, ანუ გენეტიკური მარკერების ანალოგი¹ და მათ, როგორც სელექციურად ნეიტრალურ მარკერებს, ისეთივე ღირებულება აქვთ, როგორც საუკეთესო კოდომინანტურ სისტემას². საკითხის ამ კუთხით შესწავლის აუცილებლობა ქართულ მეცნიერებაში ჯერ არ დასმულა. გვარსახელები თაობიდან თაობას გადაეცემა ძირითადად მამის ხაზით-**Y ქრომოსომის დნმ მარკერების** თანმხვედრად, ამიტომ გვარების მეშვეობით შეიძლება შევის-

¹ **B. Crow J. F., Mange A.P.** Measurement of inbreeding from the frequency or marriages between person of the same surname // Eugen.Quart. 1965, v. 12, pp. 199-203.

² **Morton N. E., Yee S., Harris D.E., Lew R.** Bioassay of kinship // Theoretical Population Biology, 1971, v. 2, pp. 507-521.

წავლთ ინბრიდინგის დონე, მიგრაციები, გენთა დრეიფი, პოპულაციებს შორის გენეტიკური დისტანციები.

დნმ კვლევებს საქართველოში დიდი ისტორია არა აქვს. ჩვენს მიერ ამ მიმართულებით შესწავლილ იქნა 200 სვანური და 500-ზე მეტი მეგრული გვარსახელი. ეს კვლევები ხორციელდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით არსებული „საქართველოს და კავკასიის გენოფონდის შემსწავლელი კომისიის“ მიერ, რომელშიც მონაწილეობდნენ პენსილვანიის უნივერსიტეტის (აშშ) ანთროპოლოგიის დეპარტამენტის პროფესორები თ. შური და ა. იარდუმიანი. ჩვენი ჯგუფის მიერ (რამაზ შენგელია, ლიანა ბითაძე, დავით ჭითანავა, შორენა ლალიშვილი) ჩატარდა გვარსახელების ეთნოისტორიული და ანთროპოლოგიური კვლევა¹.

გვარსახელების, როგორც გენეტიკური მარკერების მაგალითზე კვლევებში აუცილებელ პირობად ხაზგასმულია არაუმცირეს 10 თაობიანი გვარსახელის შესწავლა². რეტროსპექტულ და ტოტალურ გამოკვლევებში გვარსახელი წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლო ინსტრუმენტს გენეტიკურ-დემოგრაფიული

¹ Shengelia R., Andriadze G., Bitadze L., Chitanava D., Chikovani N., Khmaladze E., Kekelidze M., Laliashvili Sh. Comparative Genetics Study of East Georgia Population. Moambe, 2017, vol. 11, no 4, pp. 1-8; Yardumian A., Shengelia R., Chitanav D., Laliashvili Sh., Bitadze L., Laliashvili I, Villanea F., Sanders A., Azzam A., Groner V., Edleson K., Vilar M.V., Schurr T.V. Genetic Diversity in Svaneti and Its Implications for the Human Settlement of the Highland Caucasus. American Journal of Physical Anthropology, 2017, October 27, pp. 837-852; Yardumian A. Schurr., T. G, Shengelia R., Chitanava D., Laliashvili Sh., Bitadze L., Laliashvili I. Reconstructing the Genetic History of Svaneti, Northwest Georgia, A N C I E N T LINEAGES, Filadelfia, 2017, pp. 22-28.

² Ельчинова Г. И., Кривенцова Н. В. Распределение фамилий в Ростовской области // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, 2009, № 2, გვ. 51; Лавряшина М. Б., Ульянова М. В., Толочко Т. А., Балановский О. А., Романов А. В., Балановская Е. В. Шорцы: Сходство и различие территориальных групп по данным фонда фамилий и аутомомных ДНК маркеров. // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, 2011, № 2, გვ. 69.

მაჩვენებლების ცვალებადობის შესასწავლად და დროის დიდ სიღრმეებში ჩასახედად¹ გენეტიკურ მარკერად გვარსახელის გამოყენება სამეგრელოს მაგალითზე უპრიანია, რამდენადაც აქ ეთნიკურად ერთგვაროვან მოსახლეობასთან გვაქვს საქმე. წინამდებარე ნაშრომის ბოლო თავში წარმოდგენილი კვლევები თავისი ხასიათით და მასშტაბურობით პირველია არა მარტო ქართულ სამეცნიერო სივრცეში, არამედ ზოგადადაც.

¹ **Лавряшина М. Б., Ульянова М. В, Балановская Е. В.** Динамика фамильного состава как показатель изменения популяционной структуры коренных этносов южной Сибири // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, 2009, № 2, გვ. 51.

თავი I

კოლხურ გვარსახელთა სუფიქსური და სუფიქსოიდური წარმოებები

1. ია//ვა სუფიქსები

-ია, -ვა ზანურ გარემოში გვარების მანარმოებელია, არაზანურში (მაგალითად აღმოსავლეთ საქართველოში) ადამიანთა სახელების კნინობითი ფორმების სანარმოებლად გამოიყენება¹.

პ. ცხადაიას მოსაზრებით, ქართულში აქტიურად გამოყენებული და მრავალფუნქციური სახელადი სუფიქსი -ა (სვანურში იგი იშვიათია, პ. ც.) საერთო ზანურ-ქართული წარმომავლობისა ჩანს, რომელმაც ქართულში და ზანურში მრავალი (იდენტური თუ განსხვავებული) მნიშვნელობა განივითარა. მეგრულში ის საკუთარი სახელიდან ანარმოებს კნინობით სახელებს (მაგ. გერგე-გერგა), საზოგადო სახელთაგან პირსახელებს (მაგ. ჩიტი-ჩიტა), ხოლო მოგვიანებით გვარსახლის კატეგორიის ჩამოყალიბება-დამკვიდრებასთან ერთად, მსგავსება-წარმომავლობის გამომხატველმა -ა სუფიქსმა იკისრა შთამომავლობის აღნიშვნაც და საგვარსახელო სუფიქსად იქცა. ამ ფუნქციით ის დაერთო თვით იმ სახელებსაც, რომელთაც უკვე ჰქონდათ დართული წარმომავლობა-შთამომავლობის, მსგავსების და კნინობითობა-მოფერებითობის გამომხატველი მარტივი (ოდენ -ა) ან რთული (-ალ-ა, ელ-ა, -ილ-ა და ა. შ.) სუფიქსი (მაგ. გოგილა-ა, პერტენა-ა და სხვ.)². ავტორისავე დასკვნებით, გვარსახელთა მანარმოებელი -ა ქართულ-ზანური ერთობის დროინდელი ზოგადი სახელადი სუფიქსი ჩანს, რომელმაც ქართულშიც და ზანურშიც განა-

¹ შ. აფრიდონიძე, ზანური ანთროპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჯაკობია, ჟორდანია ტიპის გვარების შესახებ), ონომასტიკა, I, თბ., 1987, გვ. 252.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 24-25.

ვითარა ახალი მნიშვნელობანი, კერძოდ, ზანურში თავდაპირველად მსგავსება-ჩამომავლობის აღნიშვნის ფუნქცია შეიძინა, ხოლო შემდეგ, როცა ამის აუცილებლობა დადგა, კიდევ უფრო გააქტიურდა და საგანგებო საგვარსახელო სუფიქსად იქცა. კოლხურ გვართა -ია, -ვა, -უა დაბოლოებანი სხვადასხვა წარმომავლობისაა, გვარსახელთა ფაქტიური და ისტორიული მანარმოებელია -ა, მაგრამ სინქრონულ ქრილში სამივე დასახელებული ბგერათკომპლექსი შეიძლება საგვარსახელო სუფიქსად ჩავევალოთ¹. ავტორი ასევე, საისტორიო წყაროების ანალიზის შედეგად აღნიშნავს, რომ დადასტურებულია -ვა დაბოლოებიან გვარსახელთა სამი ვარიანტი: 1. -ვა უცვლელადაა შენახული; 2. -ვა გამარტივებულია და გვარის ფუძეს ერთვის მხოლოდ -ა სუფიქსი; 3. ნაშთის სახით დარჩენილი -ა სუფიქსიც მოკვეცილია. ავტორისავე აზრით, ცხადი ხდება, რომ კოლხურ გვარსახელთა -ავა დაბოლოებაში წინამავალი -ა ფუძისეულია, ბოლოკიდური -ა საგვარეულო სუფიქსია, ხოლო თანხმოვანი ვ (და) გარკვეული ფუძის მქონე ჩანართია ინტერვოკალურ პოზიციაში².

ვ. თოფურიას აზრით, -ია რთული სუფიქსის პირველი კომპონენტი ი ნაშთია -ინ, -იტ სუფიქსებისა³.

ქ. ლომთათიძის კვლევით, -ია მომდინარეობს -ინ-ა (იშვიათად -ილ-ა) -საგან. ავტორი იზიარებს ვ. თოფურიას მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ის არ არის მარტივი სუფიქსი და სათანადო ფუძეებში ჩავარდნილია თანხმოვანი (კერძოდ ნ სონანტი) ხმოვანთა შორის. მისივე აზრით, -ია თავდაპირველად გამოხატავდა მსგავსება-კუთვნილებას, ხოლო კნინობითობა-მოფერებითობის ფუნქცია გვიან აქვს შეძენილი⁴.

¹ **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 27.

² **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 21-22.

³ **ვ. თოფურია**, შრომები, ტ. III, თბ., 1973, გვ. 102.

⁴ **ქ. ლომთათიძე**, ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის -ია სუფიქსის საკითხი ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV, თბ., 1987, გვ. 69-70, 71-73.

-ია-სა და -ვა-ს, ნ. მარი აფხაზურიდან შენათვისებ ელემენტებად თვლიდა, მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზური სიტყვა ბა//ფა („ძე“) არისო. მეგრულ -ვა-ს სრულ სახედ ნ. მარს -ვარ მიაჩნდა. ეს მოსაზრება კატეგორიულად არ გაიზიარა ს. ჯანაშიამ, რომელმაც სხვადასხვა ფონეტიკური კანონზომიერებების უარყოფის გარდა აღნიშნა, რომ აფხაზურში იგი აღნიშნავდა გვარისსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი ორივე სქესისას. მისივე აზრით, მეგრული გვარების -ვა დაბოლოებაში უნდა გვქონდეს შეკვეცილი -ვან და მაგალითისთვის ფალავა, გალდავა და მისთანების ისტორიული სახე იქნება: ფალავან, გალდავან¹.

აკ. შანიძემ, -იან მანარმოებელი -ეან-ისაგან მიღებულად მიიჩნია, ხოლო -ეან სუფიქსის ამოსავლად -ე-ვან ივარაუდა².

მ. ქალდანის აზრით, მეგრულ გვარებში -ავ ელემენტს არა აქვს გენეტიკური კავშირი ძველი ქართულის საზოგადო სახელთა სიტყვანარმოებაში დაცულ -ევ, და მით უფრო -ავ სუფიქსთან და მეგრულ გვარებში დაცული -ავ ელემენტი ქართულ-სვანურ -ელ სუფიქსს შეესატყვისება. -ელ ელემენტს, ავტორი, ქართველურ გვარსახელთა საწარმოებელ უძველეს სუფიქსად მიიჩნევს, რომელიც ამ ფუნქციით -ან, -ი-ან, ძე, შვილ კომპონენტების დამკვიდრების შემდეგ ფუძეს შეხორცებია (მაგ. მარგვ-ელ-ა-შვილი, მარგვ-ელ-ან და სხვ.). საერთოქართულ -ელ-ან მოდელს მეგრულში -ავა დაბოლოება შეესატყვისება. მისი ბოლოკიდური -ა არის -ან სუფიქსის ბოლომოკვეცილი ვარიანტი, -ავ სუფიქსი კი საერთო ქართულ-სვანური -ელ სუფიქსის ფონეტიკური სახესხვაობაა³.

¹ ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 40-41.

² აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 122.

³ მ. ქალდანი, -ელ/-ავ სუფიქსთა საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ XXII, თბ., 1980, გვ. 68-70

ჯ. ონიანიც იზიარებს ს. ჯანაშიას ძირითად დებულებებს, რომ -ა სვანური -ან-ის თანხმოვანმოკვეცილი ნაწილია, ოღონდ მიიჩნევს, რომ ეს -ან(ი) ოდესღაც ძესა და შვილს ნიშნავდა უშუალოდ და ამიტომ იქცა იგი გვარის დაბოლოებად, როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი, ხოლო ი-ან დაბოლოების -ი კომპონენტი არის ან ფუძისეული ხმოვანი, ან ნათესაობითი ბრუნვის ნაშთი თანხმოვანფუძიან სახელებთან, მაშასადამე იანიშ-იან¹.

პ. ცხადაის აზრით, ორი სხვადასხვა სუფიქსის შეერთებითა და შემდგომი გამარტივებით წარმოქმნილ -ია კომპლექსს სიტყვანარმოებით ფუნქცია მიუღია, კერძოდ, გვარსახელთა მანარმოებელ საგანგებო (სპეციალურ) სუფიქსად ქცეულა კოლხურში (მეგრულში). თუმცა, განაგრძობს ავტორი, -ია ყოველთვის არ არის გვარსახელის მანარმოებელი. არის გვარები, რომელთაც ბოლოში აქვთ -ნძია კომპლექსი, აქაც -ია მიღებული -ეა-საგან. -ძე სუფიქსს სამურზაყანოსა და მიმდებარე ზუგდიდის რაიონში წინ ნ ჩაერთვის. რატომღაც -ნძე დაბოლოება არ აღმოჩნდა საკმარისი და საგვარეულო ფუნქციის გაძლიერების მიზნით დაერთო -ა სუფიქსი, მაგალითად: გოლ-ავა და გოლა-ნ-ძია².

გ. როგავა ნაწილობრივ იზიარებს ს. ჯანაშიას მოსაზრებას -ვა დაბოლოებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ისტორიულად -ან სუფიქსის წინ დასტურდება -ავ, -ევ, -ივ, -ოვ, -ევ. გამარტივების შედეგად მივიღეთ: ევ-ან-ეან-იან-ია, -ივან-ივ-ია. ავტორისავე კვლევით, -ვ ჯერ კიდევ დაკარგული ჩანს XVI-XVII საუკუნეებში, რომელსაც ამტკიცებს ამ პერიოდის „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი“, სადაც მეგრული გვარების დიდი ნაწილი წარმოდგენილია -ვ თანხმოვნის გარეშე, მაგალითად-მჭითანაა, არქაულია მჭითავა და სხვ. ავტორი ასევე არქაულად თვლის -ვა-ნ სუფიქსიან გვარებს და

¹ **ჯ. ონიანი**, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1979, გვ. 85.

² **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 19.

-ოვან//უვა-ნ სუფიქსის -ნ მოკვეცილ სახეობად მიიჩნევს -უა სუფიქსიან გვარებს დასავლეთ საქართველოში¹.

ზემოთ წარმოდგენილი ლინგვისტური ანალიზით, ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ია//ავა სუფიქსები ისტორიულ ქრილში, კერძოდ, იმის დასაანახად თუ რომელია ისტორიულად უფრო ძველი და განვითარების რა გზა გაიარეს მათ სანამ დღევანდელ ფორმას მიიღებდნენ. ეს დაგვეხმარება ქართველური ტომების განსახლების არეალის წარმოსაჩინად, რომელსაც ძველად-მოსავლურ წერილობით წყაროებზე დაკვირვებით შევძლებთ. ჩვენი აზრით, -ვა და -ია სუფიქსის უძველესობას ამტკიცებს ძველადმოსავლური წერილობით წყაროებში ქართველურ ტომებთან ფიქსირებული ტოპონიმიკური მასალა თუ საკუთარ სახელთა ჩამონათვალი. თუმცა სანამ ამ შორეულ შედარებებს მოვიყვანთ, აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვიზიარებთ გ. როგავას ლინგვისტური დაკვირვების შედეგად გამოთქმულ მოსაზრებას -ვა სუფიქსის -იან და -ია სუფიქსებთან შედარებით უძველესობასთან დაკავშირებით, რაც პირველ რიგში შუა საუკუნეების წყაროებითაც დასტურდება, კერძოდ, -ვა დაბოლოებიანი მეგრული გვარსახელების არსებობას ჯერ კიდევ X-XI სს.დათარიღებული ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნუსხური წარწერა გვიდასტურებს. აქ იხსენიება გიორგი ქოჩოლვაია, ხოლო ნებელდის ტერიტორიაზე მიკვლეულ ასომთავრულ წარწერაში, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება, იხსენიება ლუკა მარტინ(ი)ვა. აღნიშნულია, რომ ეს ორი გვარსახელი უნდა წავიკითხოთ როგორც ქოჩოლვა ან ქუჩულავა და მარტინავა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ -ვა დაბოლოებიანი გვარსახელების მოდელი უკვე XI საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბებული ყოფილა².

¹ გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, აღ. ნუსლეუკიდის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955, გვ. 5.

² თ. გვანცელაძე, ილორისა და ნებელდის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XI-XIII საუკუნეთა ორი ლაპიდარული წარწერის მიხედვით, ქუთაისური საუბრები, V, 1998.

მნიშვნელოვანია ასევე XIV საუკუნის ნალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის ბერძნული წარწერა, საიდანაც ვიგებთ, რომ ვამეყ დადიანს (1384-1396 წწ.) კონსტანტინოპოლში მხატვრის ჩამოსაყვანად გაუგზავნია ორი ბერი-ანდრონიკე გაბისულავა და მახარობელ ქვაბალია¹. პ. ცხადაიას კვლევით, ქვაბალია, დღევანდელ გვარსახელ ქობალიას იდენტური ფორმაა, ხოლო გაბისულავას ფორმის გვარსახელი სხვა ისტორიულ წყაროებში არ დასტურდება, თუმცა ავტორს იმავე ფუძისად მიაჩნია გაბისულაისძე XIII საუკუნის საეკლესიო საბუთიდან, რომელთა სამარხია ლებეჭინის ეკლესია რაჭაში². ვფიქრობთ, იგივე ფორმის არის დღევანდელ სამეგრელოში საკმაოდ მრავარიცხოვანი გვარსახელი გაბისონია//გამსონია//გამისონია.

ამ მიმართულებით, ხელშეშახები პარალელური მასალის მოძიება შეიძლება ქასქების (ქაშქების) ტომებთან მიმართებით, რომელთა გენეტიკური ნათესაობა ქართველურ ტომებთან არ გამოირიცხება³.

ქასქები (ქასქები) ბინადრობდნენ მდინარე ევფრატის ზემო სათავეებში, რომლებიც ხეთურ წყაროებში იხსენიებიან ძვ. წ. XVI-XIII საუკუნეებში⁴; მათი სახელწოდების დაწერილობა გადმოცემულია სხვადასხვანაირად: „ქაშქა“, „ქასკა“, „გასგა“, „კაშქა“, „კაშქა“ და ა. შ. (ბგერა „შ“ წარმოსათქმელია როგორც „ს“). ეგვიპტურ იეროგლიფურ ტექსტებში: **kškš (kaškaš)**; შუა ასურული ხანის წყაროებშია: **kaskaia**; ელ-ამარნას არქივის ერთ-ერთი ტექსტის მიხედვით: **gašgaia**⁵.

¹ ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1914 გვ. 211-213; თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, დასავლეთ საქართველო, თბ., 1992, გვ. 94-95.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 13.

³ გ. გიორგაძე, უძველესი ახლო აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002, გვ. 94.

⁴ გ. გიორგაძე, უძველესი ახლო აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 94.

⁵ გ. გიორგაძე, უძველესი ახლო აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 95.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ქაშქა-გაზგების ეთნოგენეზის პრობლემის ირგვლივ არსებული მოსაზრებების წარმოჩენას, რამდენადაც ის სათანადოდ არის განხილული გ. გიორგაძის ნაშრომში, სადაც ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ძირითად ნაწილს ვიზიარებთ. გ. გიორგაძე ქაშქების გენეტიკურ კავშირს ხედავს ძველ კოლხურ (ე. ი. დასავლურ-ქართველურ, მეგრულ-ლაზურ-სვანურ, გ. გ.), განსაკუთრებით სამხრეთ კოლხურ ტომებთან, რომლებიც ანტიკურ ხანაში სწორედ პონტოს აღმოსავლეთ რაიონებში ცხოვრობდნენ. ამ მიმართულებით ავტორის ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული (უმრავლესობა შესაძლოა გვარიდან ამოზრდილი) სახელწოდებები, რომლებიც მთავრდება **-ია** სუფიქსზე: ასხარფაია/აშხარფაია ან ასხარბაია/აშხარბაია (მთა), ელურია/ილურია (მთა), გახარია/ქახარია (დასახლება), ქათხარია (ქვეყანა), ქასქაია/ქაშქაია (იგივე ქასქა/ქაშქა), ფათალია (ქვეყანა), სარია/შარია (მდინარე), სეხურია/შეხურია (დასახლება), თახანთარია (დასახლება), თალიფაცია, თალიფაცია (დასახლება), თეხულია/თიხულია (დასახლება), თასქულია/თაშქურია (დასახლება), თიმია (დასახლება), თიფია (ქვეყანა), თუხუფია (ქვეყანა), ვასხაია/ვაშხაია (დასახლება), ცასფია/ცაშფია (დასახლება), ციხარია (ქვეყანა), ციხარცია (დასახლება), ცითახარია (მთა), ცულია (მდინარე) და სხვა. გ. გიორგაძე აქ ფიქსირებულ **-ია** სუფიქსს მეგრული გვარების დაბოლოებების **-ია** სუფიქსის იდენტურად მიიჩნევს¹. ამ ზოგიერთი ადგილის სახელწოდებებში, ჩვენი აზრით, შეგვიძლია ამოვიკითხოთ დღესაც ცოცხალი ისეთი მეგრული გვარსახელები, როგორცაა: გახარია, სეხურია, სარია//შარია და სხვა. ბევრი მათგანი ფუძისეულად უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს.

საყურადღებოა, რომ **-ია** სუფიქსიანი საკუთარი სახელი გვხვდება მუშქების (მესხები) ტომთან, კერძოდ, სავარაუდოდ საკუთარი სახელი ბურუნქაია მოხსენიებულია ძვ. წ. X-IX საუ-

¹ გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 110-111.

კუნეების იეროგლიფურ ლუვიურ წარწერებში, მუშქების მეფე ხართაფუს სახელით შედგენილ წერილობით ძეგლებში¹.

მნიშვნელოვანია, რომ ქაშქების ტომთა ერთ-ერთი ცნობილი გაერთიანებაა -ია დაბოლებიანი თიფია-ს ქვეყანა, რომელიც ხეთურ წყაროებში ზემო ქვეყანას უკავშირდება², სადაც ზანური ტომების განსახლების არეალი უნდა ვიგულისხმოთ.

ინტერესს იწვევს -სქა, -სგა (შქა, -შგა) სუფიქსიანი ქასქური ტოპონიმები, რომლებიც გავრცელებული იყო მხოლოდ ქასქებით დასახლებულ ტერიტორიაზე, თვითონ ქასქა/ქაშქასთან ერთად ეს შემდეგი დასახლებებია: დუდუსქა/დუდუშქა (ქაშქების მთავარი დასახლება), ხუმინთესქა/ხუმინთემქა, ქარიკურისქა/ქარიქურიშქა, მუნისკა/მუნიშქა, თათისქა/თათიშქა, ციანთისქა/ციანთიშქა. გ. გიორგაძის აზრით, ტოპონიმები თათიშქა და ციანთიშქა გამოირჩევა იმითაც, რომ მათში შეიძლება დავინახოთ სიტყვა („თიშქა/დიშქა“ (მდრ. მეგრული დიშქა „შეშა“), ხოლო -შქა, -სქა სუფიქსიანი ტოპონიმები შემორჩენილია სამეგრელოში დღესაც, მაგალითისთვის გ. გიორგაძეს მოჰყავს ტოპონიმი ყირღალისქა³. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში შქა/შკა ნიშნავს შუას ხოლო ყირღალიშქა იქნება „ორ ლელეს შუა“.

გ. გიორგაძე ყურადღებას აქცევს ქაშქებთან ფიქსირებულ -ლა სუფიქსიან სახელწოდებებს, კერძოდ, ქასქების ერთ-ერთი მთავარი ქვეყნის სახელწოდებაა ხალილა, საიდანაც გამოიყოფა სუფიქსი -ლა, ხოლო დარჩენილი ხალი-, ავტორისავე აზრით, შესაძლოა, არის შემადგენელი ნაწილი გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა, რომლებიც მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავ-

¹ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია. ძვ. წ. IX-VIII სს. ასურული ლურსმული, ძვ. წ. VI ს. სპარსული ლურსმული, იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები. შეადგინა, თარგმნა, კომენტარები დაურთო ნანა ხაზარაძემ, თბ., 2015, გვ. 18.

² გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 100.

³ გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 111.

ლეთით მდებარე რაიონებში გვხვდება როგორც ხეთურ, ასევე მის მომდევნო ხანებში. ესენია: ხალივა (მთა), ხალიმანა (დასახლება), ხალიტუ (ქვეყანა), ხალიბი (ტომი) და სხვა¹.

საინტერესოა მრავალფეროვანი ქასქური საკუთარი სახელები: ასხაფალა (აშხაფალა), ხატეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გაციფირი), ფაათა (პაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია (ბია), ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფაციცი, საფალი, სუისმელი (შუიშმელი), დადი (დათა, თათა), დადილუ, თემეთი, თითა (დითა), თუთუ და სხვ. ზოგიერთი მათგანი ფონეტიკურ მსგავსებას იჩენს ისეთ მეგრულ სიტყვებთან, როგორცაა: ფია („ნაჭერი“. შდრ. აგრეთვე ადგილი სამეგრელოში: ბია), ხაციცი (სახალწლო საუზმე), ხაცეცი (რძალი, სარძლო) და ა. შ.²

საყურადღებოა **-უვა, -ვა** დაბოლოებების მქონე ტოპონიმები და საკუთარი სახელები. ტოპონიმები: ხათენცუვა, ქარასუვა (ქარაშუვა), ქათალადუვა, ქათხაიდუვა, ქათითიმუვა, საფიდუვა, თაფასავა, თიქუქუვა, თაფაფანუვა, თაფაფახსუვა, ციმუმუვა და სხვა.³

ქასქური პირთა სახელების ნაწილი მთავრდება **-ილი** სუფიქსზე, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ხათური (პროტოხეთური) წარმოშობის **-ილ** სუფიქსი უნდა იყოს და უნდა აღნიშნავდეს ამა თუ იმ პირთა წარმომავლობას (შდრ. „ნერიქაილ“-ნერიქელი, კაცი ქ. ნერიქიდან; „ხათუაშაილ“-„ხათუსელი“-კაცი ქ. ხათუსიდან და სხვანი). მას დიდი ხანია უკავშირებენ ქართულ **-ელ** სუფიქსს. ასეთი ქასქური სახელებია: ხიმუილი (ე. ი. „ხიმუელი“), ითილი, ქასქაილი („ქასქელი“), ფიაფილი, სამეთილი („სამეთელი“); საუსილი, სუისმელი, სუნაილი, დადილი, დადილუ („დადი-

¹ გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 112.

² გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 112.

³ გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 112.

ელი“, შდრ. სამეგრელოში არსებული დაბა დადია და დადისწყალი) და ა. შ.¹

ასურეთის მეფე სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859-824) წარწერა გვამცნობს, რომ მას აუოხრებია უაშთალის ქალაქი სუხმე და ხელთ უგდია ამ ქალაქის თავი სახელად სუა². სალმანასარ III-ის დროსვე დაიაენის მეფე ყოფილა ასია³. ასევე დიაუხის მეფე არგიშთ I მენუას ძის (ძვ. წ. VIII ს. პირველი ნახევარი) წარწერებში დიაუხის ქვეყნებთან იხსენიება ბია-ს ქვეყანა და ზუა-დიაუხის სამეფო ქალაქი⁴. ვფიქრობთ, ამ საკუთარ სახლებსა და ქვეყნების სახელწოდებებში ნათლად იკითხება -ა სუფიქსი.

საინტერესოა ხეთების მეფე თუთხალია-ს სახელი და მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მის მიერ დაპყრობილი ქვეყნის არცავა-ს სახელწოდება, ასევე, მასთან ახლოს მდებარე ქვეყანაა მირა-ქუვალია და ხაფალა⁵. აქაც -ია, -ა და -ავა სუფიქსურ წარმოებებთან უნდა გვექონდეს საქმე.

ჩვენ ვიზიარებთ გ. გიორგაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აბეშლაელები და მუშქები ერთი დიდი რეგიონის შემადგენლობაში მყოფი და ურთიერთმონათესავე ტომები იყვნენ. მისივე აზრით, ქაშქებში და აბეშლაელებში შეიძლება დავინახოთ დასავლურ ქართული წარმოშობის ტომები⁶. უფრო რომ დავა-ზუსტოთ, ვფიქრობთ, მათში უნდა ვიგულისხმოთ ის კოლხური ტომები, რომელების მეგრელ-ჭანთა (ზოგადად ზანური ერთობის) წინაპრების ენაზე მეტყველებდნენ. ზემოთ წარმოდგენილი უძველესი საკუთარი თუ გეოგრაფიული სახლები ფუძისეულად

¹ გ. გიორგაძე, უძველესი ახლო აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 112.

² საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 10.

³ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 11-12.

⁴ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 22.

⁵ გ. გიორგაძე, უძველესი ახლო აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 55.

⁶ გ. გიორგაძე, უძველესი ახლო აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 120-121.

უფრო დაწვრილებით ლინგვისტურ კვლევას მოითხოვს, თუმცა მიგვაჩნია, რომ მათ როგორც მორფოლოგიურად, ისე სემანტიკურად აშკარად მეგრულ-ჭანური ელფერი დაჰკრავთ და მათში შენიშნული ია//ვა დაბოლოებები ძვ. წ. XII საუკუნიდან მოყოლებული მაინც სიტყვების სუფიქსურ მანარმოებლად არის წარმოდგენილი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ამ დროიდან უკვე გვაქვს გვაროვნული საზოგადოების დაშლის შორსნასული პროცესი, მეორე მხრივ კი, ამ ეპოქაში ისინი ჯერ კიდევ არა უბრალოდ მრავლობითობის და კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსები უნდა ყოფილიყო, არამედ მეტყველებაში ჯერ კიდევ გვარის, საგვარეულო დასახლების აღმნიშვნელი ცოცხალი ლექსიკური ერთეულები, რომელიც სიტყვის ფუძესთან ერთად ორ დამოუკიდებელ სიტყვად უნდა გვექონოდა, როგორც მაგალითად ეს არის თანამედროვე ქართული გვარსახელების „შვილი“ და „ძე“ დაბოლოების შემთხვევაში.

2. -(ი)ში სუფიქსი

კოლხურ გვარსახელებში უძველესი ჩანს -(ი)ში სუფიქსი, რომელიც თანამედროვე ლაზურ გვარსახელთა უმეტესობის მანარმოებლად შემორჩა.

პ. ცხადაიას კვლევით, კოლხური ნათესაობის ბრუნვის ნიშანი -იში//ში, რომელიც გამოხატავს კუთვნილება დანიშნულებას (ისევე როგორც მისი ქართული შესატყვისი -ის), სიტყვათმანარმოებითი სუფიქსის ფუნქციით აღჭურვილა დიდი ხნის წინათვე. ამას ადასტურებს ტოპონიმიაც და ანთროპონიმიაც: -ში დაერთვის ეპონიმის სახელს და აღნიშნავს ამ ეპონიმისადმი კუთვნილებას, მისგან მომდინარეობას. მისივე თქმით, დღევანდელ დრომდე -ში სუფიქსით გვარსახელის წარმოება დამახასიათებელია ლაზების და ლაზურისათვის და სუბსტრატის სახით არის შემორჩენილი აჭარასა და გურიაში¹.

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 27-28.

კოლხურ (მეგრულ) გვარსახელთა დაბოლოებებს შორის -ში სუფიქსის უძველესობას ადასტურებს ფეოდალური ხანის ქართული წერილობითი წყაროები, კერძოდ, ასეთია ცნობილი ფეოდალური საგვარეულო გვარსახელი ბალუაში. ბალუაშები არგვეთის (ზემო იმერეთი) მფლობელები იყვნენ. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი ლიპარიტ ბალუაში IX საუკუნის 70-იან წლებში არგვეთიდან თრიალეთში გადმოვიდა და თრიალეთისა და შიდა ქართლის გამყოფ ქედზე კლდეკარის ციხე ააგო. მან თავი დავით I კურაპალატის (876-881) ყმად გამოაცხადა და მისი მფარველობა მოიპოვა¹.

X-XI სს. კოლხურ გვარსახელებს შორის უნდა დავასახელოთ მარუშიანთა, იგივე მარუშისძეთა საგვარეულო, რომლისგანაც, ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, შესაძლოა მომდინარეობდნენ ვარდანისძეები და დადიანები². ჩვენი აზრით, მარუშიან ფორმაში ჩვენ გვაქვს ორმაგი წარმოება -ში და -იანი. ეს უკანასკნელი კი მიუთითებს -ში-ს უძველესობას -იან-თან შედარებით, თუმცა ორივე უძველესი კოლხური სუფიქსი ჩანს.

აღნიშნულია, რომ გვარსახელი ბალვაში (ბალუაში, ბალუში) და პირსახელი მარუში -ცხადყოფენ, რომ ამ პერიოდისათვის (ე. ი. IX-X სს.) -(ი)ში ბრუნვის ნიშანს უკვე ჰქონდა მოპოვებული სიტყვანარმოებითი ფუნქცია ეპონიმის შთამომავალთა აღნიშვნისა. ბალუაში ნიშნავს ბალუს შთამომავალს, ხოლო ანთროპონიმი მარუში შეიძლება პირსახელადაც ვიგულებოთ (თუ მხოლოდ მამიშვილობას გამოხატავს) და გვარსახელადაც (თუ რამდენიმე თაობას გადაეცა მემკვიდრეობით, როგორც მაგალითად ტულუში, ხალვაში და სხვა)³.

¹ იხ. ა. ბალიშვილი, ბალვაშები, ჟურნ. „აია“, №2, 1998, გვ. 48; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 325.

² ჰ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 13.

³ ჰ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 13.

საინტერესოა სვანური სამხუბის (საძმოს) შიგნით პატრონი-მიის-„თემი“-ს (ერთი გენეალოგიური ჯგუფი გვარის შიგნით) დანაყოფებში მოქმედი შ//მა//ში ჟღერადობის სუფიქსები, რომელიც ხუთი და მეტი თაობის წინანდელი ამა თუ იმ წინაპრის საკუთარ სახელს ერთვის და მისდამი კუთვნილებას აღნიშნავს. ის, ჩვენი აზრით, მეგრულ-ჭანური კუთვნილების -ში სუფიქსის იდენტურია.

ამის დამადასტურებლად, ჩვენს მიერ სვანეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

მესტიაში მცხოვრები ჯაფარიძეთა გვარი იყოფა შემდეგ თემებად: ციოყები, მახამეშა, ომანაიშა, ყანსავშერი, მეორე ყანსავშერი. ყანსავშერების კიდევ ერთ განაყოფს ეწოდება დადიშა, ასევე არიან-სკვინჩილდი, მურზაყანშერი, ნესგაშერი, ნარსავშერი.

მესტიაში მცხოვრები ჩართოლანების გვარი იყოფა გაბიშა-დ და ბიბეშა-დ.

მულახის თემის სოფელ ჩვაბიანში მცხოვრები გიგანები მესტიიდან ჩამოსულან. ჩვაბიანში ჩამოსულა ერთი თემი გეგანშა. კიდევ იყო მაქაშა, რომელიც ზარდლაში წასულა და ბუტიშა, რომელიც მერშკელში დასახლებულა. ჩვაბიანში მცხოვრებლები იყოფიან შემდეგ თემებად: ბუტიშა, ქოჩულშა, ქელდიშა, მონიშა, ჯახულარ, ჯანთუშა, ქერთბიშა, გეგანშა, მაქაშა.

მულახის თემის სოფელ მუჟალში მცხოვრები მარგიანების ძველი საცხოვრისი იყო ქვედა მულახი. მარგიანები და ვერცხლიანები ერთი გვარის ხალხი ყოფილა. ერთი დარჩა ბეჩოში, მეორე-მესტიაში. მუჟალის მარგიანების თემები შემდეგია: გიოშერი, გენაშერი, ბექნშერი, გუდუშერი, ბედაშერი, ბადუვე, მარგიანშა. გიოშერები ცხოვრობენ ჩვიბიანში (მულახის თემი). მათი მოძმე თემებია მესტიაში მცხოვრები ინოშერი და გენაშერი.

ჩვენი აზრით, -ში სუფიქსის უძველეს დროს საკუთარი სახელებისა და დასახლებული პუნქტების საწარმოებლად გვხვდება

ქართველურ ტომებში, კერძოდ, დიაუხის და ურარტუსთან კავშირში.

ასურეთის მეფე სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859-824 წწ.) ნარწერაში იხსენიება ურარტუელთა მხარე თუ ქალაქი არზა-შ-ქუნუ¹, სადაც -შ, კუთვნილებითი -ში-ს იდენტურად მიგვაჩნია.

ურარტუს მეფე არგიშთ I მეწუას ძის (ძვ. წ. VIII ს. პირველი ნახევარი) ნარწერაში მოხსენიებული დიაუხის მეფის სახელ უტუფურ(ს)ში² უნდა გამოვყოთ კუთვნილების -ში სუფიქსი. იმავე ლაშქრობისას დაპყრობილ ქვეყნებს შორისაა აშკალაში-ს ქვეყანა და ქალაქი შაშილუ³. ურარტუს მეფე სარდურ II-ს (ძვ. წ. VIII ს. შუა ხანები და მეორე ნახევარი) კულხას წინააღმდეგ ლაშქრობისას დაუპყრია კულხახალის ქვეყნის სამეფო ქალაქი ილ-დამუშა⁴, სადაც -შა დაბოლოება -ში-ს იდენტურად მიგვაჩნია.

ხეთურ-საერთო ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ პარალელებს შორის ენათმეცნიერთა მიერ შენიშნულია ხეთური *შჷ „შობა“ და ნახურ-დაღესტნური *შ(უ)-ს იგივეობა⁵. სწორედ მეგრული კუთვნილების -ში სუფიქსი და ლაზური გვარების მანარმოებელი -ში-ს იდენტურია მოგვიანო, უმეტესად აღმოსავლურ-ქართულ გვარსახელთა მანარმოებელი -შვილ სუფიქსი, რომლის ეტიმოლოგიაც შობის, საშოს მნიშვნელობამდე უნდა დავიყვანოთ და მას „შუას“ სემანტიკა აქვს. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ქართული გვარსახელების „შვილი“ სუფიქსი, რომელიც თითქოს გვიანდელად არის მიჩნეული, მომდინარე ჩანს უძველესი -ში სუფიქსიდან, რომელიც თანამედროვე მეგრულსა და ლაზურში კუთვნილებას აღნიშნავს.

¹ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 10-11.

² საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 21.

³ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 22.

⁴ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 25.

⁵ გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართულთა წარმომავლობა, გვ. 92.

3. -(ი)ან სუფიქსი

ქართველურ გვარსახელთა ერთი ნაწილის მანარმოებლად გამოიყენება -ან და -იან სუფიქსები, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ჩანს და ქართულ სამყაროში თითქმის ყველგან დაერთვის პატრონიმისტიკულ სახელწოდებებს.

დღესდღეობით, -ან და -იან სუფიქსიანი გვარსახელები სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმშია გავრცელებული, თუმცა, პ. ცხადაიას მოსაზრებით, -იან და -ან სუფიქსიანი გვარსახელების მცირე ნაწილის სამშობლო უნდა იყოს სამეგრელო (მაგ. არზიანი, კვიტატიანი, კიკიანი და სხვ.)¹.

ს. ჯანაშიას აზრით, „იან“-ის ნაშთია თანამედროვე მეგრული -ია, ეს „იან“-ი რთული სუფიქსია და არ არის საერთოქართველური „ან“ სუფიქსის ვარიანტი. გვარსახელების ეს დაბოლოება, თავდაპირველად გავრცელებული ჩანს ყველა ქართველ ტომში და ქართველების პატრონიმისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ადრინდელი მოვლენათაგანია. დროთა განმავლობაში ეს ფორმა ზოგს ქართველურ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქოს მთლად დაიკარგა, ყველაზე კარგად ამჟამად იგი სვანეთშია დაცული“².

არნ. ჩიქობავა, ძირითადად იზიარებს ს. ჯანაშიას მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ -ნ საბოლოოდ დაკარგულია და გაუჩინარებულია ბევრ შემთხვევაში, რომელიც ავტორისავე აზრით, სათანადო კილოს სალიტერატურო ენასთან კავშირის განყვეტით არის გამონეული და მასში ამის გამო შემდგომი საფეხურები არ ასახულა³.

ჯ. ონიანმაც გაიზიარა ს. ჯანაშიას მოსაზრება, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ „ან(ი)ოდესლაც „ქე“-სა და „შვილ“-ს ნიშნავდა უშუ-

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 30.

² ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, გვ. 35, 40.

³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 104, 106.

ალოდ და ამიტომ იქცა იგი გვარის დაბოლოებად, როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი¹. ავტორის აზრით, სვანურ გვარებში გვაქვს არა ორგვარი დაბოლოება -იან და -ან, არამედ მხოლოდ ან სუფიქსი, იქ სადაც -იან ფორმა გვაქვს, ი ხმოვანი აქ ნათესაობითარია (ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოების -იმ, ქართული ის სუფიქსის ნაშთია)². ვფიქრობთ, ეს ახსნა მხარს უმაგრებს იმ მოსაზრებას, რომ -იან სუფიქსი არა მარტო -ია და -ვა სუფიქსზე გვიანდელია, არამედ ის -იმ სუფიქსზეც გვიანდელი ყოფილა. ჩვენი აზრით, ამასვე ადასტურებს ჯ. ონიანის მიერ აღდგენილი სვანური გვარის ევოლუციის ამგვარი სქემა: ბერი-ბერ-იმ-ან-ი, ჭაბუკ-იმ-ან-ი-ჭაბუკიანი და სხვ³. ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ ი-(ი)ან სუფიქსით დაბოლოებული გვარების კონსერვაცია მოხდა სვანეთში და ნასვანარ კუთხეებში, ხოლო ბარის საქართველოში გვარების მასობრივი გადასვლა ხდება ძეზე და შვილზე, რომელი პროცესიც XIII-XV საუკუნეებში სვანეთშიც დაწყებული (მაგ. როგორც ძე-როგოიანი, ჯოხა ძე-ჯოხანი და სხვ. ჯ. ო.) ფეოდალური ურთიერთობების შესუსტების შედეგად⁴. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ საყურადღებო მოსაზრებაა, თუმცა საკითხი ცალკეული გვარების ისტორიის უფრო დანვრილებითი კვლევის გარეშე ვერ გადაწყდება. მეორე მხრივ ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის ის თუ რატომ არის -იან და -ან დაბოლოება სხვადასხვა სემანტიკის. ჩვენ ისინი იდენტიურად მიგვაჩნია.

ზ. ჭუმბურიძის აზრით, „იან“ ბოლოსართი ქართულში აღნიშნავდა ვინმესგან წარმომავლობას ან ვინმეს მიმდევრობას.

¹ ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1979, გვ. 85.

² ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის, გვ. 81.

³ ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის, გვ. 82.

⁴ ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის, 83.

შემდეგ კი მან მნიშვნელობა გაიფართოვა და ახალ ბევრნაირ სახელს დაერთვის რისიმე ყოლის ან ქონების აღსანიშნავად (ცოლ-იან-ი, შვილ-იან-ი, თავ-იან-ი). ავტორი იზიარებს ს. ჯანაშიას მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ იმავე ბოლოსართის, ოღონდ -ნ-ს გარეშე შეიცავს სამეგრელოში გავრცელებული -ია დაბოლოებიანი გვარები; მისივე აზრით, -იანი, ძეს და შვილს შეუცვლია საქართველოს სხვა კუთხეებში¹.

მაშასადამე, ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ანი, იანი, უძველესი ლექსიკური ერთეულებია, რომელმაც თავისი განვითარება შემდგომში ვერ ჰპოვა და ქართულ გვარებს მხოლოდ მრავლობითობის მანარმოებელი სუფიქსის სახით შემორჩა. აქედან გამომდინარე, ამ სუფიქსების (ანი, იანი) თავდაპირველ სემანტიკურ მნიშვნელობაზე მსჯელობა ძნელია, თუმცა მის ფუნქციაზე და უძველესობაზე ზოგიერთი ქართველური ტომის სახელწოდების დაბოლოებაც (ტიბარენი//ტიბარანი) მეტყველებს.

ჩვენ ბოლომდე არ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ -ია არის -იან-ის ნაშთი, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენთვის უფრო მისაღებია ამ საკითხზე გ. როგავას მოსაზრება (იხ. ზემოთ), რასაც -ია სუფიქსის წერილობით წყაროებში უფრო ადრე გამოჩენაც ადასტურებს. მაშასადამე -იან-ში -ნ გვიანდელი გაჩენილი ჩანს და ამის მაგალითებად შესაძლოა მოვიყვანოთ თანამედროვე სამეგრელოში გავრცელებული უმთავრესად მიგრირებული გვარსახელების წარმოებები (მაგალითად ჯიაძე, რომელსაც უჩნდება -ნ და ვიღებთ მეორე ფორმას ჯილანძე, ჭაფაძე-სამეგრელოში გაუჩნდა -ნ და მივიღეთ ჭაფანძე და ა. შ.).

ავტორთა ის ნაწილი, რომლებიც -იან სუფიქსს სვანურ წარმოშობისად მიიჩნევენ, აღნიშნავენ, რომ ადრე შუა საუკუნეების აფხაზეთში სვანების გამეგრელებაც შეინიშნება, რისი მაჩვენებელიცაა, მაგალითად, მარლიანის (მარლანი) გადაქცევა მარლანიად, მარუშიანის-მარშანიად, ჩხეტიანის-ჩხეტიად, კვიციანის-

¹ ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1950, გვ. 44.

კვინინიად, სვანის-სვანიშიად და ა. შ¹. თუმცა, ამ გვარსახელების ერთმნიშვნელოვნად სვანურად მიჩნევა არ არის ამ ეტაპზე მიზანშეწონილი, რამდენადაც თითოეული მათგანის ისტორია ცალკე კვლევას მოითხოვს და აქედან გამომდინარე შესაძლოა სულ სხვა შედეგები მივიღოთ.

-ანი და -იანი სუფიქსები საერთოქართველური ჩანს და გარკვეულ ეპოქაში საგვარეულო, ერთი გენეალოგიური თუ საოჯახო ერთობის აღსანიშნავად საყოველთაო უნდა ყოფილიყო (მაგალითები იხ. ქვემოთ). ეს ნათლად ჩანს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების პატრონიმისტიკულ დაბოლოებებში, რომელიც გვარსახელის მანარმოებელ სუფიქსად ან ვერ იქცა, ან კიდევ „დაკნინდა“ და შეიცვალა უფრო გვიანდელი „შვილი“ და „ძე“ სუფიქსით, რომელიც ფეოდალურ საქართველოში გვარსახელთა (ჯერ უმთავრესად მაღალი წოდების) მანარმოებელი საყოველთაო სუფიქსი იყო (შდრ. მარუშიანი//მარუშისძე).

-იანი გვარსახელთა მანარმოებლად შემორჩა ხოლო შემდგომ სამართლებლივ დოკუმენტებშიც იმავე ფორმით გაფორმდა მხოლოდ სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი საკუთრივ სვანურად მიჩნევა ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან გამომდინარე არ არის მართებული. გვარსახელთა მანარმოებლად ეს სუფიქსი შემორჩა სომხურ გვარსახელებს, თუმცა მისი ინდოევროპული წარმოშობა საეჭვოა და ის სომხებს უნდა შეეთვისებინათ იმ ტერიტორიაზე, სადაც მათი წინაპრები დამკვიდრდნენ, ეს ტერიტორია კი ოდესღაც ქართველური და მათთან მონათესავე ტომებით იყო დასახლებული და მოქცეული იყო დიაოხის, ურარტუს და ნაირის ქვეყნების არეალში. სომხებში თავდაპირველ ფორმად მიჩნეულია -იანც (-ანც, -ენც), -უნც, -უნი, რომლებშიც XIX საუკუნის ბოლოს ქრება -ც ბგერა და ფორმდება მხოლოდ -იან სუფიქსი. რაც შეეხება -უნი სუფიქსიან გვარებს, ის XI საუკუნიდან არის ცნო-

¹ გ. გასვიანი, აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 142.

ბილი სომხებში და მას ძველი ფეოდალური გვარები (ნახარარე-ბი) ატარებდნენ¹. ამავე დროს, -იან სუფიქსის გავრცელება -ენ და -ონ სახესხვაობების სახით, გაცილებით ვრცელი არეალის მომცველია, რაც ეპოქალურად შორეულ ურთიერთობებს და მიგრაციებს უნდა უკავშირდებოდეს. მაგალითად, ასეთია დანი-ური-ჰანსენი, ანდერსენი, ნორვეგიული-იბსენი, შვედური- ან-დერსენი, ერიქსონი, ინგლისური-ველსონი, ჯონსონი, ნიქსონი, გერმანული (იშვიათად)- ვულფსონი². ეს შედარებები უფრო ვრცელ ანალიზს მოითხოვს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არ არის შემთხვევითი და ამ პარალელების ნამდვილი მიზეზების ძიება მომავალი ინტერდისციპლინარული კვლევებით უნდა მოხდეს. ის უშუალო კავშირშია ქართველთა ეთნოგენეზის საკვლევ პრობლემებთან.

მსჯელობა ჩვენი თემის ფარგლებს რომ არ გასცდეს, გადავხედოთ ქართველურ პატრონიმისტიკას, სადაც -ან/იან/ენ სუფიქსური წარმოებები საყოველთაოა:

აჭარის მაგალითზე ქობაძეების გვარი იყოფა შემდეგ თაობებად: „ქუტიენთი-14 ოჯახი; ათიენთი-7 ოჯახი; ემურიენთი-2 ოჯახი; რეჯებიენთი-4 ოჯახი; ჩელებიენთი-8 ოჯახი; არაბიენთი-4 ოჯახი; ხეშმიენთი-4 ოჯახი³.

ბორჯომის ხეობის სოფელ ლაბაძეებში მცხოვრები ბერიძეების გვარი იყოფა ექვს საგვარეულო შტოდ: „მოლაოსმანიენთი, მაზმანიენთი, ჯოლოგიენთი, რეჯებიენთი, მაუდიენთი, ქოჩიენთი. როგორც თ. აჩუგა აღნიშნავს, პატრონიმიის სახელწოდება ტრადიციულად ოჯახის უფროსი წინაპრის სახელის ეპონიმიის მიხედვით იქმნებოდა, პიროვნების საკუთარ სახელს კი ემატება ფორმანტები: იენთი (იანთი), სანი, შვილი, ძეები და სხვა, რომ-

¹ რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 103.

² რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 41.

³ აღ. რობაქიძე, მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, ტ. II, თბ., 1974, გვ. 28.

ლებიც ჯერ მხოლოდ ოჯახის სახელის მანიშნებელი იყო, ხოლო ოჯახის გაყრის შემდეგ პატრონიმიის სახელწოდებასა და ზოგჯერ გვარსაც აწარმოებდა“¹. მაშასადამე, აჭარის მაგალითზე ნათელია, რომ იენთი (იანთი) სუფიქსებით იწარმოება ჯერ ოჯახი (ანუ სახლი-გვარი), შემდეგ პატრონიმია, ხოლო შემდეგ კი გვარსახელი.

კახეთის მაგალითზე პატრონიმიული დასახლებები ამ სახით არის ნაწარმოები: „მურჯიკანთ უბანი, ბეზარანთ უბანი, გეთიანთ უბანი, ცისკარიანთ უბანი, შიმიანთ უბანი, ნამიანთ უბანი, ელიზბარანთ უბანი. მაგალითად, გურანდზიანთ უბანი შედგება 22 ოჯახისაგან, რომლებიც საკუთარ თავს თვლიდნენ ერთი წინაპრიდან, ერთი ოჯახიდან წარმოშობილად“². ამავე კუთხის მაგალითზე თ-თი ფორმანტის გარეშე, -ანი სუფიქსით ნაწარმოები პატრონიმიული სახელწოდებებიც გვხვდება; მაგალითად, სოფელი კარდენახი დაყოფილი იყო შემდეგ უბნებად: ილაანი, სესიაანი, ჩახვანი, რიაანი, ტეტულაანი, მართაანი, ელოსაანი, ტურიანი, ძიძანი, ვაჟბელაანი, მამუდაანი, ბედენაანი, ბერიკელაანი³.

სიღნაღის რაიონის სოფ. მალაროში ყანდიაშვილების შტოგვარებია: დინაანი, ეტროლეანი, უთულიანი, ფოთოლაანი, ხატოანი, ფილაანი, ნიკაანი, იდრიციანი, ჩაჩოანი, აშტროანი, ნაკუდაანი, კონონაანი, სწორეანი, იუველიანი.⁴

ქიზიყში, სოფელ ზემო მაჩხანში, თავილაანის საოჯახო თემის სეგმენტაციის შედეგად გაჩნდა სოფლის მთელი უბანი, რომელიც 8 ურთიერთმონათესავე დანაყოფისაგან შედგებოდა: ნატროაანი, ჯანაანი, რობიტაანი, ბოსტოგაანი, გოგოლაანი,

¹ თ. აჩუგბა, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ., 1990, გვ. 18.

² P. Харадзе, Грузинская семейная община, т. II, Тб. 1961, გვ. 63-64.

³ P. Харадзе, Грузинская семейная община, т. II, გვ. 57-58.

⁴ მ. მჭედლიშვილი, შტოგვარები სოფელ ქვემო მალაროში, ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998, გვ. 123-124

ბოსტაანი, ბენაანი, ტაკლინაანი. ესენი თავის მხრივ საოჯახო თემების სეგმენტაციის შედეგად იყვნენ წარმოქმნილი¹. იმავე ქიზიყში, ერთი სანათესო უბანი, რომლის სახელწოდებაა თავილლანი, იყოფა შემდეგ უბნებად: ნარტლანი, ჯანაანი, რობიტაანი, ბოსტოგაანი, გოგილანი, ბოსტაანი, ბენაანი, ტოკლინაანი².

ხანდოში გვრიტიშვილების „კომობის“ პატრონიმიული დანაყოფებია: კატინი, დეკანოზიანი, სეხნიანი, დათვიანი, ნადირაანი; მოთაშვილებისა-ბერონი, ოქრონი, ბიჯგედიანი, ჟიჟანი, გეგუანი; ხანდოს ხევის დავითურები-ირემანთ, მჭედლიანთ, სიხანთ; ვეშაგურები-ხიზანიანთ, გრიგოლაანთ, ბერიანთ, ზალიკიანთ, ფოცხვერიანთ, მჭედლიანთ; ბურდულები კი ძველად სამ ბუდობას შეადგენდნენ-გურასპაანი, რომელშიც შედიოდა: გოგოლაანთ, პაპუანთ, ხახიანთ, ჩიტინთ, იასიანთ, შიოდინთ, ბედნიანთ და ბედიანთ კომობანი. მეორე კომობა იყო ქადიგულანი, რომელშიც შედიოდა-ჯეჯაანი, მარტანი, ბაქარიანი; მესამე ბუდობაა ღარიბიანი, რომელშიც შედიოდა-ნადირანი, ლაბლიანი, მოხელიანი, ბეანი³.

მსგავსი სურათი ჩანს ხევსურეთშიც, სადაც „ბურკვანი იყოფიან-მშაველიანად და თათარანად; ჯილათიდა განშტოებებიან-დავითანი, გიდაურნი, უჭკუონი; ნადირთა დანაყოფებია-ბებუჩანი, მგელიანი, ყვირილიურნი, ხიშიანი“⁴.

მთიულეთშიც მამის სახელების მიხედვით გვარსახელის შიგნით გვაქვს იან//იანი დაბოლოების მიხედვით დანაყოფები. მაგალითად, კობაძეები იყოფიან: პაპიანი-2 სახლი; აბრამიანი-4 სახლი; პაპიანი-1 სახლი; ტორელიანი-1 სახლი; აბიანი-2 სახლი;

¹ **Р. Харадзе**, Грузинская семейная община, т. I, Тб. 1960, გვ. 91.

² **Р. Харадзе**, Грузинская семейная община, т. I, გვ. 94.

³ **აღ. რობაქიძე**, მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე, კრებ. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. III, თბ., 1971, გვ. 67-68.

⁴ **რ. ხარაძე**, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, კრებ. მიმოხილველი, ტ. I, თბ., 1949, გვ. 189.

ბიანი-2 სახლი; ბერიანი-1 სახლი; ამანიანი-2 სახლი; შიოლიანი-1 სახლი; ელიზბარიანი-1 სახლი; ბეჟანიანი-1 სახლი; მოსელიანი-3 სახლი; მგელიანი-1 სახლი; ჩიტყიანი-3 სახლი; ციხელიანი-2 სახლი. იმავე მთიულეთში, ქვემო მლეთელ ბურდულთა საგვარეულო სამ ძირობას წარმოადგენდა-პოვლიანი, ჭაბუკიანი და შიუკიანი. თითოეული ეს ძირობები დაყოფილია კომობებად. შიუკიანის კომობებია: ქურთავლიანი, ვაჟიკიანი და ბეჯანიანი. ჭაბუკიანთ ძირობა დაყოფილია: ხოსროიანი და როდომიანი. პოვლიანთ ძირობა დაყოფილია: ხეციანთ, ჭოჭოლანთ, ვარდანიანთ, ბურდულიანთ, ზაალანთ, მჭედლიანთ, ხუციანთ კომობებად. ხეციანთ კომობა თავის მხრივ ორ ახალ კომობას მოიცავდა-კოკოლიანებს და ლეგვიანებს¹.

სოფელ ამირთკარის ამირიძეები იყოფიან: მჭედლიანი-4 სახლი; ანტონიანი-7 სახლი; სამუკიანი-4 სახლი; კიდიანი-1 სახლი; სიმონიანი-3 სახლი; ჩივიანი-2 სახლი; პაპიანი-2 სახლი; ვანდიანი-4 სახლი; ხუტიანი-4 სახლი; ხიზინიანი-4 სახლი; ამირიძიანი-4 სახლი.

სოფელ ქავთარიანში მცხოვრები ქავთარაძეები იყოფიან: ატილიანი-5 სახლი; ქავთარანი-3 სახლი; პაპიანი-13 სახლი; დეგელიანი-5 სახლი; ქოჩორიანი-3 სახლი.

სოფელ მაქართაში მცხოვრები ნიკლაურები იყოფიან: ჩახუანი 7-8 სახლი; გამახარიანი-16 სახლი; მამუკიანი -8 სახლი და მერაბიანი (?).²

ფშავში მამიშვილობის სახელი ნაწარმოებია უმეტესად -ანი სუფიქსით: რაზიკაანი, ხუმარანი, ჩიანი, გომიანი, ჩოფანანი, გულბათანი³.

¹ ალ. რობაქიძე, მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე, გვ. 71.

² Л. Б. Панек, Следы родового строя у мтиулов, Советская этнография, №2, 1939, გვ. 74.

³ ზ. ქავთარაძე, ფშაური გვარსახელების ჩამოყალიბება ე. წ. სათემო გვარების გათვალისწინებით, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVI, თბ., 2005, გვ. 73.

ზემოთ წარმოდგენილ პატრონიმიულ დანაყოფებში ზოგან -იან სუფიქზე დართულია -თი/თა სუფიქსებიც, რაც ცხადყოფს ორმაგ წარმოებას და შესაძლოა სამმაგსაც, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ -ია/ანი/იანი//თა/თი სხვადასხვა დროს გაფორმებული სუფიქსური წარმოებებია, და ეს ასეც უნდა იყოს.

-ან და -იან სუფიქსიანი პატრონიმიული დანაყოფები ჩვენ არა გვაქვს სამეგრელოში და საერთოდ ზანურად მეტყველ გარემოში, მაგრამ დღევანდელი არც არაზანურად მეტყველი გარემოა ამ მხრივ გამონაკლისი. ასეთი დანაყოფები არ დასტურდება იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში, რაც ამ რეგიონებში ქართული მეტყველების გვიანდლობით და თავის დროზე ადგილობრივი, დამხვედური ელემენტის უპირატესობით უნდა აიხსნას. მაგალითად, იმერეთში გვარის შიგნით პატრონიმიული დანაყოფები ნაწარმოებია „შვილი“ დაბოლოებით. მაგალითად, ხურციძეთა „ბაბუაშვილობა“ (პატრონიმია) იყოფა ტაბრიელაშვილებად, სეხნიაშვილებად, ივანიშვილებად, ვახტანგიშვილებად, როსტომაშვილებად¹. შვილი სუფიქსის აქ გაბატონება სწორედ რომ ზანური კუთვნილების -ში სუფიქსიდან მომდინარე ჩანს რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავდაპირველად „შობა“ ზმნიდან განვითარდა.

სულ სხვა ვითარებაა რაჭაში, სადაც გვარი იყოფა -ებ სუფიქსიანი პატრონიმიებად. მაგალითად, ბაკურიძეების დანაყოფებია მოსიკეები და ჩიბუკეები². აქ ჩვენ შესაძლოა საქმე გვქონდეს დღეს უმთავრესად აფხაზური გვარების მანარმოებელ -ბა-ს იდენტურ სუფიქსთან, რომელსაც ასევე თავისი წარმოშობით ზანური საწყისი უნდა ჰქონდეს (იხ. ქვემოთ).

ამ პატრონიმისტიკული იან//ანი სუფიქსების იდენტურად მიგვაჩნია ძველადმოსავლურ წერილობით წყაროებში ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე ეთნოტოპონიმი-

¹ **Р. Харадзе**, Грузинская семейная община, т. I, გვ. 69.

² **Р. Харадзе**, Грузинская семейная община, т. I, გვ. 78.

კასა და ანთროპონიმიკაში ფიქსირებული მსგავსი სუფიქსური წარმოებები, რომელიც ამ სახისა:

ასურეთის მეფე ტიგლათფილესარ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) წარწერაში ზემო ზღვის (შავი ზღვა) ნაირის ქვეყნების ფარგლებში დასახელებულია -//უნა//უნი//ან//ანუ//ენი სუფიქსიანი ქვეყნები: თარხუნა, უნზამუნი, აბარსიუნი¹. ფილაქინი (ორმაგი წარმოება ჩანს -ქი//ინი, -დ. ჭ.), ათურგინი, ქულიბარზინი, შინიბირნი, ქირინი, უგინი, გილზანუ, აბაენი, ადაენი, დაიანენი. აღსანიშნავია, რომ აქ საკუთარ სახელსაც დაერთვის -ენ სუფიქსი, კერძოდ, დაიანენის მეფის სახელია სიენი².

ურარტუს მეფე არგიშთ I მენუას ძის (ძვ. წ. VIII ს. პირველი ნახევარი) წარწერაში დიაუხის ქვეყნებთან ახლოს იხსენიება: ხუშანის, არხუნის, თარიუნის, იგანის, ეთიუნის, აფუნის ქვეყნები, ქალაქი ურიეიუნი, რომელიც უიტერუხის სამეფო ქალაქი ყოფილა³

ურარტუს მეფე სარდურ II-ის (ძვ. წ. VIII ს. შუა ხანები) წარწერაში, სადაც ლაპარაკია კულხას ქვეყნის წინააღმდეგ ლაშქრობაზე, დასახელებულია პირსახელი ხახანი, რომელიც ხუშალხის ქვეყნის მეფე ყოფილა. იმავე წელს სარდურ II-ს დაუპყრია აბილიანიხის ქვეყანა. კულხას ქვეყნის წინააღმდეგ მეორე ლაშქრობისას მას დაუპყრია კულხახალის სამეფო ქალაქი ილდამუშა, ასევე ის მესამეჯერ ლაშქრობს უიტერუხის ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც მან ააგო ციხესიმაგრე ურაიანი. მომდევნო ლაშქრობებისას ის იპყრობს ეთიუნის ქვეყნას, მის მარჯვნივ მდებარე ერიახის ქვეყანას, მარცხნივ კი კურიანის ქვეყანას, შემდეგ ლაშქრობს იგანის ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის მეფეა კაფურიანი. იმავე ლაშქრობისას იპყრობს ფუზუნის ქვეყანას და ქალაქ ალკანიას⁴. შემდეგ ის ლაშქრობს ერიახის ქვეყნის, იშთელუანის

¹ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 7-8.

² საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 7-8.

³ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 21, 23.

⁴ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 24-26.

ქვეყნის, კადიანის ქვეყნის, აბილიანის ქვეყნის, აფუნის ქვეყნის, უელიქუნის ქვეყნის წინააღმდეგ. აფუნის ქვეყნის მეფეა ნიდინი. იმავე წელს ის მესამედ ლაშქრობს არკუკინის ქვეყნის, ლუიფრუნის ქვეყნის, კუალბანის ქვეყნის, უხუნის ქვეყნის და თერიანის ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც უშქიანის მთას ასახელებს¹.

ურარტუს მეფე რუსა II-ის (ძვ. წ. VII ს.) წარწერაში იხსენიება მუშქინი-ს ქვეყანა².

ზოგიერთი მკვლევარი (ი. დიაკონოვი) მიიჩნევს, რომ დაიაენი/დაიანი ტერმინი გაფორმებული უნდა იყოს ხური-ურარტული წარმოშობის -ენი/-ნი სუფიქსით, მაშინ როდესაც ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელწოდების ძირი არ უნდა იყოს ხური-ურარტული წარმოშობის (დაიაშეთი, დაიაქქუ)³. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არ არის მისაღები, რამდენადაც ორივე ენაში, როგორც ასურულში, ისე ხური-ურარტულში, ეს საკუთარი სახელები, ასევე ტომების და ადგილის სახელწოდებები ერთნაირი სუფიქსით ვერ გაფორმდებოდა, ამიტომ ის მიგვაჩნია ადგილობრივი ავტოხტონი მოსახლეობის სუფიქსად, ამ ტერიტორიაზე კი იმ დროს ქართველური ტომების განსახლება სავარაუდო.

4. -სქირი (სკირი), სქუა (სკუა) სუფიქსოიდები

-სქირი, რომელიც ქართული „ძე“ და „შვილის“ იდენტური სუფიქსოიდია, სულ რამდენიმე კოლხურ გვარსახელში გვხვდება⁴, იგივე ჩანს მეგრული გვარსახელების -სკუა დაბოლოება, რაც სიტყვასიტყვით „შვილს“ ნიშნავს. ამჯერად, სულ რამდენიმე მეგრული გვარი ბოლოვდება -სკუა სუფიქსით (პაპასკუა, გეგესკუა, ხარასკუა და სხვ.)⁵.

¹ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 27.

² საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 28.

³ **გ. გიორგაძე**, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 126. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

⁴ **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 28.

⁵ **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 29.

-სქირი//სკირი მეგრული გვარების მანარმოებელი ძველი ფორმა ჩანს. ის დასახელებულია XVI საუკუნის საბუთში, კერძოდ სოფელ ქორეისუბანში ცხოვრობდა მეზუთხე თემ-ნა ბუბესკირი, რომელიც ჯავახ ჭილაძემ საკანონოდ შესწირა [სვეტიცხოველს]¹. 1621 წელს შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავლის დავთარში“ სოფელ თილითში მცხოვრებ გლეხთა შორის დასახელებული არიან მიხილია სტეფანასკირი, შურითოლი სტეფანასკირი, კუტულია სტეფანასკირი, ბაბასკური ჟვანესკირია, ქალარა ჟვანესკირია².

-სკირის და -სკუას იდენტიურობა სრულიად დასაშვებია, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით, -სკუა სუფიქსი დაერთვის სამეგრელოში დღესაც მცხოვრებ იმ გვარსახელებს, რომლებიც არ არიან ადგილობრივი წარმოშობის და რომელთაც „შვილ“ სუფიქსი დაერთვის. ასეთებია: ქორთუსკუა-ქორთუშვილი, ბერისკუა-ბერიშვილი, ნარუსკუა-ნაროუშვილი, ბიძნასკუა-ბიძინაშვილი და სხვა. აქ ჩვენ „სკუა“-ს პირდაპირ ქართულიდან „შვილი“-ის თარგმანთან გვაქვს საქმე მათი წარმომავლობის მიხედვით, კერძოდ, ამ გვარსახელების ქართულად მეტყველი გარემოდან მიგრაციის გამო.

ნათელია ისიც, რომ ზან. სქუნ-ს//სქუფ-ს წარმოადგენს ქართ. შ-ევ (შვა) ზმნის ზანურ შესატყვისს. ქართული შევ-ის ევ აქაც ზანურში შეიძლება ყოფილიყო გადასული: სქუნ-ს//სქუმ-ს*სქ-ოვ-ს*სქ-ევ-ს. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში გვაქვს სქ-უნ-ს სქ-უნ-ს³.

კოლხურ -სკუა სუფიქსთან მიმართებაში საყურადღებოდ მიგვაჩნია პოლონური გვარსახელების მანარმოებელი -ski სუ-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, ტფ. 1897, გვ. 389.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 429.

³ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1962, გვ. 28.

ფიქსი. მას თავდაპირველად მხოლოდ პოლონელი აზნაურების-შლიახტების წარმომადგენლები ატარებდნენ; ის აღნიშნავდა სამფლობელოს პატრონის სახელწოდებას. -სკი//ვსკი სუფიქსი ასევე გავრცელებულია დასავლეთ მაკედონიაში¹. ამ მიმართულებით სხვა უფრო ხელშესახები პარალელების მოძენაა შესაძლებელი, რაც მომავალი კვლევის საქმეა.

5. ჭკორი სუფიქსი

-ჭყორ სუფიქსიანი გვარსახელები სამეგრელოში არც თუ ისე ბევრია. ის ხელოვნურად არის შექმნილი ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან. მაგალითად, გეგე-ჭკორი სიტყვასიტყვით ნიშნავს წმინდა გიორგის (გეგე) მონას, ყმას, მორჩილს (ჭკორი). შესაძლოა სიტყვა ჭკორი წარმოშობით უკავშირდებოდეს ქართულ ნულს, რომელიც „ყრმას“, „ვაჟს“ აღნიშნავს². გ. როგავას აზრით, ჭყორ (ყმა) კომპონენტს ფეოდალური წყობილების დალი აზის³.

6. -ტი სუფიქსი

მეგრულ გვარსახელებში გამოიყოფა -ტი//-ნტი სუფიქსიც, -ნტი-ში ის ორმაგი სუფიქსაცია ჩანს. ასეთებია, მაგალითად: მირგატია, გელანტია, ციმინტია, ხუბუტია და სხვა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ „ტი“ მეგრულ გვართა და პირთა სახელების დაბოლოებებში „თი“-ს სახენაცვალნი ფორმაა და ის ჭანური გავლენის არეალიდან მომდინარეობს და სომხურშიც აქედან ჩანს შეთვისებული⁴. -თი სუფიქსზე უფრო ვრცლად ჩვენ

¹ რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 103-104.

² ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 551.

³ გ. როგავა, ზოგიერთი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, აღ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, ქუთაისი, 1955, გვ. 1.

⁴ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 95-98; ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 152-155.

ქვემოთ გვექნება საუბარი, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ -ტი წარმოება გვარსახელებში ყოველთვის -თი-ს სახენაცვალ ფორმად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მაგალითად, გვარსახელი ეგუტია XVI საუკუნის ქართულ წერილობით ძეგლში ეგუპტია-ს ფორმით იხსენიება, რაც ეგვიპტელს ნიშნავს¹ და ჩვენი აზრით, ამგვარი გვარსახელების ეტიმოლოგია და მათი წარმოშობის გზები ცალკე კვლევას მოითხოვს.

-ტი სუფიქსთან მიმართებაში შესაძლოა საყურადღებო იყოს ასურეთის მეფე სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859-824 წწ.) წარწერაში მოხსენიებული კუტი-ების (მთიელთა) ვრცელი ქვეყნის სახელწოდება².

7. -უა სუფიქსი

გ. როგავას აზრით, „ოვ-ან (თუ -უვ-ან) სუფიქსი მეგრულ გვარებში მეტად აქტიური სუფიქსი უნდა ყოფილიყო ერთ დროს. -ო-ვან (თუ უვ-ან) რთულ სუფიქსს ჯერ მოკვეცია ბოლოკიდური ნ, ხოლო შემდეგ ხმოვნებს შორის ამოვარდნილა ვ თანხმოვანი³. ავტორის აზრით, ზოგი მეგრული გვარი -ლუა და-ბოლოებით-ტაბალუა, ბაძალუა და სხვა, შეიძლება -უა სუფიქსს არ გამოყოფს, რამდენადაც არაა გამორიცხული ამ გვარების უცხოურობა. შესაძლოა ასევე, რომ -უა უძველესი სუფიქსია, გვარსახელებში გაქვავებული⁴. პ. ცხადაია კი მიიჩნევს, რომ -უა დაბოლოებიან გვარსახელთა ფუძე ოდენ კოლხურია, გარდა რამდენიმე შემთხვევისა. მისი მანარმოებელია -ა სუფიქსი, თუმცა -უა ზოგ შემთხვევაში კიდევაც შეიძლება საგვარსახე-

¹ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, გვ. 102.

² საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 11.

³ გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, აღ. ნულუკიდის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955, გვ. 5-6.

⁴ გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, გვ. 6.

ლო სუფიქსად ჩაითვალოს¹. -ლუა შესაძლოა მართლაც იყოს აფხაზურიდან მომდინარე სუფიქსი, სადაც ლექსემა მამრის გამოძახატველია (მაგ. „ააბალა“-მამალი თხა)².

შესაძლოა ეს სუფიქსია შემორჩენილი ხიმუა-ს ქვეყნის სახელწოდებაში, რომელიც მოხსენიებულია ასურეთის მეფე სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859-824 წწ.) წარწერაში³.

8. -ყვა სუფიქსი

გურიის ანთროპონიმიაში გამოვლენილ -ყვა, -ქვა დაბოლოებებს, ს. ჯანაშია, ოდინდელ ჩერქეზულ სიტყვად თვლიდა, რომელიც „ღელე“-ს, „ხევი“-ს, „ხეობა“-ს მნიშვნელობით დამახასიათებელია ყაბარდოული ენაკავისათვის და ტოპონიმკურ მანარმოებელ ელემენტად გვხვდება უპირატესად ყაბარდოში⁴. ივ. ჯავახიშვილიც იმავე აზრს ავითარებდა და აღნიშნავდა, რომ საქართველოში დაცულ საგვარეულო სახელებში (ინგოროყვა// ინგორაყვა) ოყვა, აყვა ანუ ოყო, აყო არის წინათ ყაბარდოულსა და ჩერქეზულში შვილის აღმნიშვნელი სიტყვა⁵. პ. ცხადაია არ გამორიცხავს, რომ ჩრდილოკავკასიური ენებიდან ნასესხებ -ყო და -ქუ დაბოლოებიან საკუთარ სახელებს დართვოდა კოლხური საგვარსახელო სუფიქსი -ა და მიგველო გვარები: ინგოროყვა (-ინგოროყუ-ა), როყვა (-როყუ-ა) და სხვ.⁶

არ არის გამორიცხული, რომ -ყვა დაბოლოებიანი გვარსახელები მართლაც იყოს მიგრირებული ჩერქეზეთიდან, რაც ნე-

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 24.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, თბ., 1992, გვ. 136.

³ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 7.

⁴ ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში, შრომები, ტ. III, გვ. 120-121.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 88.

⁶ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 32.

რილობითი წყაროებით და ეთნოგრაფიული მასალებით მათი ისტორიის დაწვრილებით კვლევას მოითხოვს, მაგრამ ამ დაბოლოების უცხო გარემოში ასე დიდი ხნით შემორჩენილობის მტკიცება არადამაჯერებლად გვეჩვენება. ამიტომაც საინტერესოდ მიგვაჩნია ქართველურ ენებში -ყვა სიტყვის პარალელური მასალების მოშველიება.

-ყვა//ოყვა სიტყვასთან მიმართებაში ხელშესახებად მიგვაჩნია მეგრული სიტყვა ყვაჯი (ყვერი), რომელიც მამრობითობის აღმნიშვნელია და შესაძლოა უკავშირდება სიტყვა „ყვერბი“-ს, რაც ქართველურ ენებსა და დიალექტებში ზოგადი აზრობრივი მნიშვნელობით გაიგება, როგორც კერაზე დადგმული ზესადგარი, გინდაც ქვა, გინდა ხე¹. მას ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში ხარის რქის მსგავსი კერის ზესადგარების სახით სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა და განასახიერებდა მამაკაცურ სანყისს, ხარს, ზოგადად ხარის, როგორც გამანაყოფიერებელი არსების კულტს, რომელიც შემდგომ კოლხურ კულტურაში უკავშირდება კვრბებს-წარწერებიან მაღალ სარიტუალო სტელებს. სწორედ კურო-დან (ხარი) მომდინარეობს სამეგრელოში ძველად ფიქსირებული ხარების შეჯიბრი „კურული“, რომლის იდენტიურია ესპანური კორიდა. ეს თამაშობაც თავისი წარმოშობით მამაკაცური ნაყოფიერების კულტს და სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეას უკავშირდება. სწორედ ყვერბთან ანუ კერაზე დადგმული ნაყოფიერების გამომხატველ მამრთან ანუ ხართან დაკავშირებული ნივთი არის სიმბოლო ნაყოფიერებისა². თუ ამ სიტყვების სემანტიკური და მორფოლოგიური იდენ-

¹ ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, ე. ყვავაძე, თ. ზუბიაშვილი, ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ისტორიის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, თბ., 2010, გვ. 102-103.

² საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. დ. ჭითანავა, ხარის კულტი და „კურული“ ქართველ ტომებში, კრებ. ირაკლი ახალაია – 100, თბ., 2016, გვ. 205-251.

ტობა დასაშვებია, მაშინ მიგვაჩნია, რომ ჩერქეზულში შვილის აღმნიშვნელად შემორჩენილი, ხოლო ზოგიერთ კოლხურ გვარ-სახელში დაბოლოების სახით მქონე -ყვა ნარმოადგენს არა გვიანდელ ნასესხებს, არამედ იმ უძველეს იბერიულ-კავკასიური ერთობისათვის ოდესღაც საერთო, მტკვარ-არაქსის ერთობის დროინდელ სიტყვას, რომელიც შემდგომ ენათა იზოლაციის შედეგად სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს, თუმცა თავდაპირველ სემანტიკურ და მორფოლოგიურ იერსახეს მაინც ინარჩუნებს.

9. -ბერე// -ბერი სუფიქსოიდები

-ბერე-ზე დაბოლოებული გვარსახელები სამეგრელოში, საისტორიო წყაროებით XVII საუკუნიდან არის ცნობილი. „საცა-იშლო გამოსავლის დავთარში“ (1616-1621 წწ.) დასახელებულია საეკლესიო გლეხები გვარად გეგებერია¹. შენიშნულია, რომ -ბერ კომპონენტისანი გვარების ფუძეს, ჩვეულებრივ, შედგენილი სახელი წარმოადგენს².

გ. როგავას, -ბერ სუფიქსისანი გვარები უძველესი წარმოშობისად მიაჩნია (მაგ. კახა-ბერ-ი, სულა-ბერი-ძე და სხვ.), მას ავტორი უდარებს ქანურ ბერე-ს – „ვაჟი“, „შვილი“³. იმავე მოსაზრებებზე დაყრდნობით, პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ ბერე ჭანურში იმავე მნიშვნელობის სიტყვაა, რაც ქართულში ძე, შვილი და მეგრულში სქირი, სქუა. ავტორისავე მასალებით, იგი მეორადი სუფიქსაციის გარეშე მხოლოდ ერთადერთ გვარშია შემონახული, ესაა კაკუბერი „კაკუს ძე“. ყველა სხვა შემთხვევაში -ბერე (ბერი) დაბოლოებიან ფორმას დართვია -ა სუფიქსი (სამეგრელოში) და -ძე (აჭარა-გურია-იმერეთი). ავტორისავე დაკვირვებით, მათში მრავალრიცხოვანი გვარი არცაა და ამ გვარსახელთა ძირითადი სამკვიდრო არის ქვემო სამეგრელო, ზემო

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 439-440, 442, 468-469.

² რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გვ. 242.

³ გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, გვ. 2.

სამეგრელოში კი ბევრად მეტია -ძე, (იშვიათად, -შვილ) დართული ვარიანტები (გოგიბერიძე და სხვა)¹.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბერი ვაჟიშვილის აღმნიშვნელი საერთოქართველური სიტყვაა².

ჩვენ იმავე მნიშვნელობისად მიგვაჩნია აფხაზურ გვარსახელთა დაბოლოება -ბა, რომელზეც სხვა მოსაზრებაც არსებობს. კერძოდ, ს. ბახია აფხაზურ-აბაზურში გამოყენებულ -ბა სუფიქსს ფონეტიკურად ფა-იფა-ს იდენტურად, ხოლო იფას უფრო ადრინდელად მიიჩნევს³. შესაძლოა, -ბა იგივე ზანური მამის აღმნიშვნელი „ბაბა“-ს დანატოვარია და იდენტურია აფხაზური ა-აბ სიტყვის, რომელთა თურქულიდან სესხება საეჭვოა⁴. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მეგრული ნათესაობის სისტემაში გვაქვს ტერმინი ბადიში, რომლითაც აღნიშნება შვილიშვილები, ანუ ბაბუისთვის მესამე თაობის შთამომავლობა არის ბა-დიში, ანუ დიდი ბაბუის კუთვნილი (დიდიში-დიდის) ბა(ლანები) – ბავშვები.

ძველადმოსავლურ წერილობით წყაროებში ბა დაბოლოების მქონე პირთა სახელები იშვიათია, მაგრამ ზოგიერთ ადგილას, მაგალითად ასურეთის მეფე ტიგლათფილასარ I-ის წარწერებში იხსენიება -ბა და -ბი დაბოლოების მქონე ქვეყნები თუ ადგილები: ალბაი, ნიზაბი⁵.

10. -ელ, -ულ, -ურ სუფიქსები

-ელ სუფიქსიანი გვარები სამეგრელოში, პ. ცხადაიას კვლევით, მიგრირებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 29.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 186.

³ ს. ბახია-ოქრუაშვილი, ზოგიერთი დაკვირვება აფხაზეთის ონომასტიკაზე, კრებ. „კლიო“, №6, თბ., 1999, გვ. 145.

⁴ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 16.

⁵ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 7.

(ბარათელი, გურიელი და სხვა) ან დასტურდება ხელოვნურად შექმნილ გვარებში (ენგურელი). -ელ სუფიქსი გვხვდება ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილ გვარებშიც: ჯვარელია, ხობელია და სხვა. ხოლო -ურ და -ულ სუფიქსიანი გვარები სამეგრელოში იშვიათია (გურული, ძიძიგური და სხვა)¹.

ნიშანდობლივია, რომ ასურეთის მეფე ტიგლათფილესარ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) წარწერაში ზემო ზღვის (შავი ზღვა)-ნაირის ქვეყნების ფარგლებში დასახელებულია -ალი, -ელი, -ლა, -ულ დაბოლოებების მქონე ქვეყნები, რომლებშიც ტომობრივი და გეოგრაფიული სახელებიც შეიძლება ამოვიკითხოთ:

- ელ სუფიქსიანი: შურაბელი;
- ულ სუფიქსიანი: ელულა, უზული;
- ლა სუფიქსიანი: აბეშლა (ისინი მუშქების ლაშქარში ყოფილან);
- ალ სუფიქსიანი: თუალი.

¹ ვ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 33.

თავი II

ქველი კოლხური დასახლების სტრუქტურა და გვარი

§ I. ქველი კოლხური დასახლების სტრუქტურა და გვარის აღმნიშვნელი უძველესი ქართველური ტერმინები (ხი//ხა//ხე სუფიქსები. ხორიონი//ოხორუ//სახლი)

კოლხეთის დაბლობის რელიეფი ძველად დაჭაობებული იყო (ნანილობრივ ახლაც ასეა) და მისი ზედაპირი ეპოქალურად განსაკუთრებულ ცვლილებებს განიცდიდა. ასეთ პირობებში თავისებური ფორმის დასახლების სისტემის შექმნა იყო საჭირო, რომელიც გვაროვნული საზოგადოების დროს არსებული სანარმოო ძალებით არ იყო ადვილი. თუმცა, სწორედ ამ პირობებში მოხერხდა მსოფლიო მასშტაბით უნიკალური და სრულიად განსხვავებული (როგორც ფორმით, ასევე ტიპით) დასახლების სისტემის შექმნა. ის ძირეულად განსხვავდება დღეს სამეგრელოს სოფლისათვის (და ზოგადად კოლხეთის დაბლობისათვის) დამახასიათებელი გამწვანებული ფორმის და კარ-მიდამოს სისტემის დასახლებისაგან. ეს გახლავთ ე. წ. ხელოვნური „დიხა-გუძუბების“ შუა ჭაობში მოწყობის პრაქტიკა, რომელიც უდიდეს შრომას მოითხოვდა და შეუძლებელია განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ საზოგადოებას შეექმნა. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში ქველი კოლხური დასახლების სიტემის ზოგადი მიმოხილვა, ვიქტრობთ, იმდროინდელი გვარის გენეზისის დასახასიათებლად საყურადღებო მასალას წარმოადგენს.

კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი მეოთხეულ პერიოდში იფარებოდა თუ არა ზღვით, ამ დარგის სპეციალისტებს დამაჯერებელი პასუხი არა აქვთ, მაგრამ სამეგრელოს ზოლოვანი რაიონის რელიეფის განვითარება დაწყებულია მე-

ოთხეულის დასასრულს¹. კოლხეთის დაბლობის წარმოშობას გეოლოგები უკავშირებენ ტექტონიკურ პროცესებს, რამაც მესამეულის დასასრულში და მეოთხეულის დასაწყისში გამოიწვია ამ ტერიტორიის ძალზე დაწვევა და მასზე ზღვის უბის გაჩენა; მეოთხე გამყინვარების შემდეგ, როდესაც შავი ზღვის დონე დიდ მერყეობას არ განიცდიდა, „კოლხეთის“ უბეში თავი მოიყარა ამავე უბეში შემავალი მთის მდინარეების მიერ მოტანილმა დიდძალმა მასალამ. ამავე დროს ზღვის კონტინენტური ტერასაც ჩამოყალიბდა და „კოლხიდის“ უბე ზღვას მოსწყდა. მოხდა დაჭაობება, ცალკეული გუბე-ტბების გაჩენა, წარმოიქმნა მცენარეულობა გარკვეული ეკოლოგიური თავისებურებებით და მოხდა მთელი რიგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ცვლილება, რაც დიდ გავლენას ახდენს კოლხეთის დაბლობის რელიეფზე. ყოფილა დრო, როდესაც კოლხეთის დაბლობის ზედაპირი იმდენად გამშრალა და გამაგრებულა, რომ შესაძლო გამხდარა იქ ადამიანი დასახლებულიყო, რაზეც მოგვითხრობს ძველი დროის ნამოსახლარი ადგილები ხელოვნურად წარმოშობილი ბორცვების სახით.²

მეოთხეულ პერიოდში, რომელზეც მოდის მთელი ქვის ხანა ანუ პალეოლითი³, კოლხეთის სამოსახლოები ტერასებზე ღია სადგომების სახით გვხვდება⁴. მუსტიეში უკვე კარგად ჩანს ათვისებული ცენტრალური კოლხეთის მთისწინა ზოლი⁵. ამ პერიოდში დაბლობი არის დაუსახლებელი და ძირითადად მოსახლე-

¹ გრ. დევდარიანი, მასალები სამეგრელოს ბორცვიანი ზოლის გეომორფოლოგიისათვის, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, ქუთაისი, 1950-1951, გვ. 133, 136.

² გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, თბ., 1941, ტ. X, გვ. 324-326.

³ აღ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 78-79.

⁴ აღ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939, გვ. 88.

⁵ ი. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 21.

ობა ჯერ კიდევ გორაკ-ბორცვებზე და მთისწინა ზოლში ცხოვრობს. გვიანპალეოლითურ ეპოქაში ადამიანის მიერ ფართოდაა ათვისებული დასავლეთ საქართველო, მაგრამ უპირატესად რიონ-ყვირილას აუზები და მღვიმეები, რაც აცინებას უნდა გამოენვია¹. გვიანპალეოლითში კოლხეთის დაბლობი და შავიზღვიპირეთის სამხრეთ-დასავლეთი ოლქები ჯერ კიდევ დაუსახლებელი რჩება.² ნეოლითის პერიოდში, რომელიც ძვ. წ. VIII-V ათასწლეულებში ექცევა³, მოსახლეობა გორაკ-ბორცვებზე დასახლებული ღია სადგომებში (ადრენეოლითში), სადაც საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობის პირველი მინიშნებაც გვაქვს. ამ დროის ძეგლებიდან სამეგრელოში აღსანიშნავია ოდიში⁴, პალური⁵, ურთა და სხვა⁶, რომლებიც ბუნებრივ ბორცვებზე იყო განლაგებული. გ. გრიგოლიას გამოკვლევით, ძველი ქვის ხანის ადამიანს სამოსახლოების შერჩევისას, უპირატესობა მიუცია საშუალო სიმაღლის მთიანი ზოლის მდინარეთა ხეობებისთვის; მაღალი სიმაღლის მთიანი ზოლის მდინარეთა ხეობებში არსებული მაღალი ტერასებისა და მღვიმე-ფარდულებისათვის. მომდევნო ხანაში კი ფართოდ ათვისებიათ გორაკ-ბორცვიანი ზოლი და ჰიფსომეტრიულად ყველაზე დაბალი დონის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დავაკება, რომელიც კოლხეთის დაბლობის სახელით არის ცნობილი⁷. ავტორისავე

¹ ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 33.

² ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 37-38.

³ ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, გვ. 118.

⁴ ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, გვ. 363-371.

⁵ გ. გრიგოლია, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, პალური, თბ., 1977.

⁶ ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 123.

⁷ გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994, გვ. 4.

აღნიშვნით, დასახლება აქ ყველგან წარმოდგენილია ბუნებრივი თუ ხელოვნური ბორცვების სახით, იმ განსხვავებით, რომ ბუნებრივ ბორცვებზე წარმოდგენილი შედარებით ადრეული ასაკის გორასამოსახლოები უპირატესად ქვეყნის შიდა რაიონებში გვხვდება; კოლხეთის დაბლობზე კი მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი გორაკ-ბორცვებზე წარმოქმნილი ნამოსახლარებია მოჭარბებული¹.

კოლხეთის დაბლობის დასახლებები ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე უკვე არსებობს (ანაკლია, ურეკი) და როგორც აღნიშნულია, მოსახლეობა აქ უფრო ადრე უნდა ყოფილიყო, რადგან იქ გვხვდება ნეოლითური ხანის დასახლებათა ნაშთები, რომელიც ვრცელდება ზღვისპირეთის გაყოლებაზე ჩრდილოეთით მდ. ხობის მიდამოებში და მის შესართავზე მდ. ცივთან, ასევე აფხაზეთში².

„დიხა-გუძუბა“ წარმოადგენდა ხელოვნურად მოზვინულ ბორცვს, რომელიც პირველად ვრცლად ნ. ხოშტარიას და გ. ნიორაძის მიერ იქნა არქეოლოგიურად შესწავლილი. „დიხა-გუძუბა“, ამ ხელოვნური გორაკ-სამოსახლოების ადგილობრივი ყველაზე გავრცელებული მეგრული სახელწოდებაა, თუმცა მსგავსი სამოსახლოების აღმნიშვნელად სხვა სიტყვებიც გვხვდება-დიხაზურგა, ნაოხვამუ, დიხა, ნადიხუ, ნამდევეუ, ნასაყდრევი, ნასაჯვარევი, ზურგანი, დიდი დიხა, გამოსგვენჯილი, კურკუცია, გორსიოლაფირი. დიხა-გუძუბა³ ანუ ამობურცული მინა მათი ზოგადი სახელწოდებაა და ყველგან სადაც კი მსგავსი ტო-

¹ **გ. გრიგოლია**, ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები, გვ. 4.

² **Н. В. Хоштария**, Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955, გვ. 29.

³ ზოგიერთი ავტორის აზრით, გუძუბა (გუძუბი) უკავშირდება სიტყვას „კუნუბი“ და დიხა-გუძუბა ნიშნავს არა ნაყარ გორას, ამობურცულ მინას ან კიდევ მინა-ძუძუს, არამედ იგი არის მინა კუნუბი (ამონეული, წვერი) იხ. **ბ. კლინავა**, „დიხა-გუძუბას“ გაგებისათვის, კრებ. ტოპონიმიკა, ტ. I, თბ., 1976, გვ. 403-405.

პონიშია ფიქსირებული ძველი მოსახლეობის ნაშთები გვაქვს¹. ამ დიხა-გუძუბების, ანუ ხელოვნურად აგებული ბორცვების სიმაღლე ხშირად რამდენიმე მეტრია, ხოლო დიამეტრი ას მეტრამდე აღწევს; დიხა-გუძუბები, ჩვეულებრივ, ჯგუფებად არის განლაგებული. ამას გარდა, ცენტრალური, უფრო მაღალი დიხა-გუძუბის ირგვლივ არის რამდენიმე ამაღლებული მოედანი (ეგიძელი). ყოველი მათგანი გარშემორტყმულია არხით ან არხებით (და ჯვბირებითაც). ყველა ეს არხი შეერთებულია მდინარეებთან და წარმოადგენს ერთ სისტემას². აქ ასეთი გორაკები (ხელოვნური თუ ბუნებრივი) ასობით არის და ზოგიერთ ასეთ ბუნებრივ და ხელოვნურ ბორცვებზე (სოფ. ქოგნარი, სოფ. პატარა ენერი, ნაოხვამუ, ნაჯიხურუ, მდ. ცივზე, სალორია, დაბლაგომი) დაახლოებით ერთი და იმავე პერიოდის კულტურული ნაშთებია, დაწყებული ძვ. წ. IV-III ათასწლეულიდან და ახ. წ. პირველი საუკუნეებით დამთავრებული, და ამ პერიოდის განმავლობაში აქ მოსახლეობა თითქმის უწყვეტად არსებობდა³. გ. გობეჯიშვილის დაკვირვებით, სამოსახლოს აღნიშნული ტიპი (დიხა-გუძუბები) წარმოქმნილია არაუგვიანეს ძვ. წ. III ათასწლეულისა და, როგორც ჩანს, მთელი ანტიკური პერიოდის გასულამდე არსებობდა⁴. ო. ჯაფარიძის მიხედვით, შუაბრინჯაოს ხანაში ინტენსიურადაა დასახლებული კოლხეთის დაბლობის რიონ-ენგურის ორმდინარეთი, რომლის ათვისება ჩანს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, ჯერ კიდევ III ათასწლეულის

¹ ნ. ხოშტარია, დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №2, თბ., 1944, გვ. 207-208.

² ნ. ხოშტარია, დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, გვ. 209.

³ ნ. ხოშტარია, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №6, თბ., 1945, გვ. 466-468.

⁴ გ. გობეჯიშვილი, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 264.

ბოლოდან იწყება და თითქმის მთელი II ათასწლეულის მანძილზე გრძელდება¹.

როგორც ნ. ხოშტარია აღნიშნავს, ადვილად წარმოსადგენია თუ რა უზარმაზარი შრომა და რა ორგანიზაცია იქნებოდა საჭირო ამ დიხა-გუძუბის ამოსაყვანად და არხების მოსაწყობად; ეს განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ლითონის (სპილენძის) იარაღები ჯერ კიდევ იშვიათი უნდა ყოფილიყო და მთელი ეს სამუშაოები ქვის (და ხის) იარაღებით უნდა შესრულებულიყო. ხელოვნური ბორცვების აგება საცხოვრებლად და მის ირგვლივ მდინარეთა შეერთებული არხების სისტემის მოწყობა ადამიანის უკვე დიდ გამოცდილებაზე მეტყველებს და წარმოადგენს ჭაობთან ბრძოლის საუკეთესოდ მოფიქრებულ სამეურნეო ღონისძიებას: მელიორაციის, დრენაჟის უძველეს ხერხს. უამისოდ ადამიანს არ შეეძლო კოლხეთის დაბლობში ცხოვრება².

დიხა-გუძუბები, როგორც წესი, ერთი-მეორის გვერდით მდებარე ორი, სამი და მეტი ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფით არის წარმოდგენილი და გარკვეული შუალედებით ერთი რომელიმე პატარა მდინარის გასწვრივ არის განლაგებული. ამ რიგის ძეგლების ერთ-ერთ თავისებურებად მიჩნეულია ის, რომ სამოსახლო ბორცვების ჯგუფს გარს აკრავს ერთ ჰექტრამდე ფართობის მქონე ოდნავ შემალლებული თხრილშემოვლებული სამეურნეო მოედნები, რომლებიც არხებით დაკავშირებულია სამოსახლოებთან. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით უფრო ვრცელია სამეურნეო ფართობი და მით უფრო რთულია მისი საარხო სისტემა (დღვაბა, წინაგოლა, ბუდუხუ, ოტორონჯე, ომუნე, ქვემო ქვალონი, ნამარნუ, საგვიჩიო, ნანდეუ და სხვ.). ასევე აღნიშნულია, რომ ბორცვების ჯგუფიდან ერთი ბორცვი ყოველთვის გამოირჩევა სიმაღლით, მზლუდავი თხრილის მასშ-

¹ ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 197.

² ნ. ხოშტარია, დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, გვ. 209.

ტაბებითა და რაოდენობით (ზოგჯერ ორი არხი ზღუდავს), მას სამოსახლოში ცენტრალური ადგილი ეკავა. გორანამოსახლართა მესამე თავისებურებაა-გარკვეული შუალედებით გავრცელება ერთი რომელიმე პატარა მდინარის ან მასთან დაკავშირებული არხების გასწვრივ. აბაშის, სენაკის და ხობის რაიონებში სამი ძირითადი სამოსახლო, მდინარეული არტერიითაა გამოვლენილი¹.

როგორც ჩანს, ახ. წ. II-VI საუკუნეებში ეს ადგილები (ზოგიერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და დიდი დასახლებების გარდა), თანდათან ქრება, ისპობა მელიორაციის სიტემა, წყალი ბინძურდება, ხოლო მისი აღდგენა უკვე არ ხდება, რადგან უკვე იცვლება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები, მონური შრომა წარსულს ჩაბარდა. ამდენად, ახ. წ. V საუკუნიდან მაინც კოლხეთის დაბლობის დასახლების ფორმა-დიხა-გუძუბების სახით საბოლოოდ იცვლება, ამ ადგილების უმრავლესობა მოსახლეობისაგან დაცარიელდა და ჩრდილოეთით, გორაკ-ბორცვიან ზონაში უფრო მშრალი ზოლისკენ ინაცვლებს. ციხე-სიმაგრის ტიპის თავდაცვის სისტემას, რომლის ფუნქციასაც საცხოვრებელთან ერთად დიხა-გუძუბა ითავსებდა დაბლობში, სამეგრელოს მთიანეთში უკვე ფეოდალური ეპოქის ტიპური თავდაცვითი ნაგებობები ცვლის. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან უკვე მასიურად იწყება დასახლების ინდივიდუალური-დღევანდელი კარ-მიდამოს ფორმის სისტემის ჩამოყალიბება.

სოციალური თვალსაზრისით, აღნიშნულ ძეგლებს (დიხა-გუძუბებს) ზოგიერთი ავტორი, გარკვეული ტომის გვაროვნულ დასახლებათა განვითარების საფუძველზე წარმოშობილ ე. წ. სასოფლო თემის სამოსახლოებად მიიჩნევდა². ასევე გამოითქვა

¹ გ. გრიგოლია, დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, კრებ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 19-20.

² გ. გრიგოლია, დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, გვ. 20.

მოსაზრება, რომ ამგვარ გორაკ-ბორცვებზე აღმოჩენილი ბათქაშით შელესილი ხის თიხატკეპნილიატაკიანი სახლები ცალკეულ გვაროვნულ-საოჯახო დასახლებებს წარმოადგენდა¹. ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი, ეს დასახლებები დიდ, თუ შედარებით მომცრო ოჯახების ცალკეულ საცხოვრებლებს წარმოადგენდა, რომელთა ჯგუფს სოფლური დასახლებები უნდა შეედგინათ. აქედან გამომდინარე, კოლხეთში ივარაუდეს ცალკეულ ოჯახთა ნათესაურ კავშირზე დაფუძნებული სასოფლო თემები². ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ძველი კოლხური (ბრინჯაოს და ადრერკინის სამოსახლოები) სოფელი ნათესაურ-კოლექტიურ დასახლებას წარმოადგენდა³. ზოგიერთი მოსაზრებით, ბორცვული დასახლება შეესატყვისება დიდი ოჯახის ან გვარის ერთი ნაწილის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ გაერთიანებას⁴.

მ. ინაძემ, ნოსირ-მუხურჩის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის დაბლობის მოსახლეობაზე დაკვირვებით, ნამოსახლარი ბორცვების უმრავლესობა დიდი ოჯახებით დასახლებულად მიიჩნია და ამ სამოსახლოების აღსანიშნავად ტერმინი „სახლი“ (მეგრულად „ოხორი“, სხვანურად „ლახორ“ ანუ „ლალხორ“) გამოიყენა. მისივე აზრით, ასეთი „სახლების“ კომპლექსური სახით ცალკე დასახლებები, მათი სამოსახლოების შემოზღუდვა არხებით, იმის ნიშანია, რომ ისინი დამოუკიდებელ სოციალურ ერთეულებს წარმოადგენენ⁵.

¹ **Б. А. Куфтин**, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб. 1950, გვ. 172-174.

² **А. И. Джавахишвили**, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа, V-III тыс. до н. э. Тб. 1973, გვ. 359-360.

³ **გ. გამყრელიძე**, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982, გვ. 55.

⁴ **ე. გოგაძე**, კოლხეთის ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარების კულტურა, თბ., 1982, გვ. 84.

⁵ **მ. ინაძე**, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994, გვ. 20-21, 22-23.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახის მოსაზრებები არქეოლოგიურ ლიტერატურაში უამრავია, თუმცა არც ერთ მათგანში არ ჩანს ამ დასახლების სოციალური წყობის ნათელი სურათი. არ არის განმარტებული თუ რას გულისხმობენ „საგვარეულო ოჯახის“, „გვარის“, „თემის“ ქვეშ.

აღნიშნულია, რომ „კლასობრივი საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ეტაპს. ეს განვითარება სამ ძირითად ეტაპს ითვლის: პირველყოფილი უკლასო საზოგადოება, კლასობრივი საზოგადოება და განვითარებული უკლასო საზოგადოება¹.

პირველ რიგში, უნდა შევნიშნოთ, რომ „უკლასო საზოგადოება“ მეტად პირობითი აღნიშვნაა და მიზანშეწონილია ვიხმაროთ ტერმინი „გვაროვნული საზოგადოება, მეორე მხრივ გამოყოფილი ეტაპი-„განვითარებული უკლასო საზოგადოება“ გაუგებარია თუ რა ნიშნით გულისხმობს რაიმე მნიშვნელოვან ხაზს. ვფიქრობთ, მსგავსი განვითარების ხაზი არ არსებობს და ის არ დასტურდება არც ერთ ხალხში. ასევე აღნიშნულია ისიც, რომ ნეოლითურმა რევოლუციამ, რომლის დროსაც ხდება გადასვლა მინათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე, ლითონის დამუშავებაზე, შექმნა ადამიანი მიერ ადამიანის ექსპლუატაციის შესაძლებლობა და განსაზღვრა კლასობრივი განვითარების შემდგომ ეტაპზე, ანუ კლასობრივი საზოგადოების ეტაპზე გადასვლა². მაგრამ განა მართო მეურნეობის ფორმებმა განსაზღვრა კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა ანუ ე. წ. „ნახტომი“³; კლა-

¹ გ. მელიქიშვილი, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოების ხასიათის საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, თბ., 1971, გვ. 105.

² გ. მელიქიშვილი, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოების ხასიათის საკითხი, გვ. 105.

³ საკითხთან დაკავშირებით იხ. დ. ჭითანავა, მომთაბარეობიდან ბინადრობაზე გადასვლის ძირითადი მიზეზები პირველყოფილ საზოგადოებაში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV-XV, თბ., 2016, გვ. 575-587.

სობრივი საზოგადოების წარმოქმნა ყოველთვის შინაგანი, ანუ ეკონომიკური განვითარების შედეგად არ ხდებოდა; ამის საინტერესოდ შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ხალხთა განვითარების მაგალითები-გერმანელების, სლოვაკების, რუსების, რომლებიც გვაროვნული წყობიდან უცბად გადავიდნენ ფეოდალურ ფორმაციაში. აქვე შენიშვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ეს მიდგომა ც ზოგადია, რადგან კლასები გვაროვნული საზოგადოების პირობებშიც კი არსებობს მისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი ფორმებით; ეს შეინიშნება ზედა პალეოლითის დასასრულშიც კი, ხოლო ნეოლითში თავის პიკს აღწევს და ამ ყოველივეს განაპირობებს იმდროინდელი საზოგადოების შინაგანი ცხოვრების წესის სხვადასხვა ასპექტები, რომლის დეტალური ანალიზი მომავლის საქმეა.

აღნიშნულია, რომ პირველყოფილ თემური წყობილების უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა რეგულარულად დამატებითი პროდუქციის წარმოქმნა. დამატებითი პროდუქტის მიღების რეგულარულობამ, თუგინდ ყველაზე მინიმალურის, შექმნა რეალური შესაძლებლობა წარმოქმნილიყო შრომის საზოგადოებრივი განაწილება, წარმოების პარცელიზაცია, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. ერთი სიტყვით, ეს ის მოვლენებია, რომლებმაც საბოლოოდ მიგვიყვანა კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნამდე¹. მნიშვნელოვანია ე. წ. ნეოლითური რევოლუცია ანუ მინათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლა, რომელიც დასრულდა ოიკუმენის ყველაზე მოწინავე რაიონებში². პირველყოფილი საზოგადოების რღვევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცენტრად მიჩნეულია წინა აზია, სადაც VII-V ათასწლეულებში მოხერხდა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევა მესაქონლეობასა და მინათმოქმედებაზე

¹ **А. М. Хазанов**, Разложение первобытнообщинного строя и возникновение классового общества, Первобытное общество, М. 1975, гл. 88.

² **В. М. Массон**, Средняя Азия и Древний Восток, М.-Л. 1964.

გადასვლით¹. თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ მეურნეობის ახალი ფორმების გაჩენამ პირველ პერიოდში მიგვიყვანა მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოების გაფურჩქვნასა და გამტკიცებად².

მისაღებია მოსაზრება, რომ პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლა წარმოადგენს არა ერთდროულ აქტს, არამედ ასეულობით და ათასეულობით წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესს. ბარბაროსობის პირველი საფეხური წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს ველურობიდან ცივილიზაციისაკენ. ამ ეპოქაში ისახება კერძო საკუთრება, ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა, საკუთრების სხვადასხვა ფორმები, ადამიანების რანგებად დაყოფა, ერთის ხელისუფლება მეორის მიმართ-თანამედროვე დროს ასეთი ურთიერთობები და პერიოდი წინაკლასობრივის სახელწოდებით არის ცნობილი. საბჭოთა მეცნიერებაში ენგელსსა და მორგანზე დაყრდნობით გვარის ფუნქცია წინ იყო წამოწეული და გვაროვნული კავშირები განიხილებოდა როგორც პირველყოფილი საზოგადოების საფუძველი. თუმცა, ცნებები „გვაროვნული ურთიერთობები“ და „პირველყოფილი ურთიერთობები“ ერთმანეთის თანმხლები არ არის. არსებობენ ხალხები, რომლებშიც გვაროვნული ურთიერთობები მთლიანად გაქრა, მაგრამ ერთეულნი დარჩნენ განვითარების ადრეულ პირველყოფილ საფეხურზე (ბუშმენები, ხაზდა, კუბუ, ესკიმოსები და სხვ.); მეორე მხრივ, ცნობილია ხალხები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს კლასობრივ საზოგადოებას, მაგრამ შეინარჩუნეს გვაროვნული წყობა, მათ შორის დედამთავრულიც კი. ი. სემიონოვი ყოველივე ამას უარყოფს და აღნიშნავს, რომ პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლას ძალიან ცოტა საერთო ჰქონდა საოჯახო თემის დაშლასთან

¹ **А. М. Хазанов**, Разложение первобытнообщинного строя и возникновение классового общества, Первобытное общество, гв. 88

² Возникновение и развитие земледелия, М. 1967, гв. 5.

და საგლესო თემთან კაპიტალიზმის პირობებში; ჯერ ერთი, ის გრძელდებოდა უზარმაზარ ისტორიულ ეპოქაში, მეორე მხრივ ეს გადასვლა წარმოადგენდა არა დაშლის და ძველი სტრუქტურების დანაწევრების, არამედ მათი მუდმივად ახლით გარდაქმნის პროცესს. პირველყოფილი თემი არ იშლებოდა, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ ტრანსფორმირდებოდა სულ სხვა ტიპის თემად, პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლა წარმოადგენდა, პირველ რიგში, ახლის წარმოქმნის პროცესს, უფრო ზუსტად, კლასების და სახელმწიფოსი. კლასების ჩამოყალიბებას საფუძვლად ედო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის წარმოქმნა¹. ავტორისავე აზრით, პირველყოფილი და წინაკლასობრივი საზოგადოების ეკონომიკის შესწავლამ (ეკონომიკური ანთროპოლოგია) შეიძლება ნათელი მოჰფინოს კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის პროცესს².

ამ საკითხზე ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი თუ განსხვავებული უამრავი მიდგომები არსებობს. ჩვენ ამჯერად ამით შემოვიფარგლებით. ზოგადად კი აღვნიშნავთ, რომ ამ მოსაზრებათა უმრავლესობაში საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოქმნის მხოლოდ მატერიალისტურ სანყისებზეა საუბარი: პროდუქტის განაწილება, ვილაცის გამდიდრება, ვილაცის გაღარიბება და ჩაგვრა, ე. წ. „ნეოლითური რევოლუცია“, მესაქონლეობა, მინათმოქმედება და ა. შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან უდიდესი როლი შეასრულა ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის საქმეში, მაგრამ არა გადამწყვეტი, რადგან არსებობენ ხალხები, რომელთაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მატერიები ბოლომდე აითვისეს, მაგრამ არ გააჩნიათ სახელმწიფო, არა აქვთ საზღვრები, თუმცა ჰყავთ გვარის და თე-

¹ **Ю. Н. Семенов**, Переход от первобытного общества к классовому: пути и варианты развития (часть I), Этнографическое обозрение, М. 1993, №1, გვ. 52-54.

² **Ю. Н. Семенов**, Экономическая антропология, Этнология в США и Канаде, М. 1989, გვ. 87.

მის წინამძღოლები, რომელთაც პატივს სცემენ და ეთაყვანებიან. ამდენად, სახელმწიფოს და ამა თუ იმ საზოგადოების თუ სოციალური ერთობის საკითხთა კვლევისას, პირველ რიგში (სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად), უნდა გავითვალისწინოთ რელიგიის (რწმენა-წარმოდგენების) როლი. ვფიქრობთ, მხოლოდ ქონების დაგროვების შედეგად ვერავინ გახდებოდა „ტომის ბელადი“ თუ ის პირველ რიგში არ იქნებოდა „ქურუმი“, ანუ ადამიანი, რომელმაც წინაპრისაგან გადმოცემული „ყველა სიბრძნე“ იცოდა. ის უნდა ყოფილიყო ქურუმი, არა მარტო თავისი სოციალური სტატუსით, არამედ ადამიანი, რომელიც „სასწაულებს“ (მაგია, მკურნალობა და ა. შ.) ახდენდა; სწორედ ეს ძალა ანუ ბასილევსის მაგიური ძალა უბიძგებდა საზოგადოებას გამხდარიყო ერთიანი ერთი გარკვეული იდეის ირგვლივ. ესა თუ ის ქონება, რომელიც გააჩნდა ამ ადამიანს (კულტის მსახურს), იქნებოდა სამხედრო ძალის შექმნის საფუძველიც, რომლითაც ის ძლიერდებოდა და გარშემო მყოფთ იმორჩილებდა. ვერ გავიზიარებთ ზემოთ წარმოდგენილ იმ მოსაზრებას (ი. სემიონოვი), თითქოს გვარს და თემს არავითარი როლი არ უნდა შეესრულებინა საზოგადოების და კლასების წარმოქმნის საქმეში. სწორედ გვარი უნდა ყოფილიყო ის სოციალური ერთეული, რომლის თანდათანობით დაშლის შემდეგ იქმნება ჯერ მონოგენური, ხოლო შემდგომ პოლიგენური თემი. ისიც თავის მხრივ იშლება და იქმნება სახელმწიფოს საფუძველები. იქ სადაც თემი არ არის დაშლილი, სახელმწიფოს შექმნის საფუძველი არ არსებობს. საქართველოს მაგალითზე, ქართული სოფლები მონოგენურად იყო განსახლებული, რაც თითქმის ბოლო დრომდე ცოცხლობს ყოფაში. ზოგიერთი ავტორი ამ მოვლენას მიიჩნევდა (მ. კოვალევსკი) გვაროვნულ და პირველყოფილ თემურ ნყოფილებად, მსგავსი მიდგომები სავსებით სამართლიანად არის გაკრიტიკებული სამეცნიერო ლიტერატურაში¹.

¹ Г. А. Меликишвили, К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев, Вестник древней истории, М. 1984, №1 (167), гв. 27-50.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, I საუკუნემდე, წყაროების უქონლობის გამო, საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების შესახებ ვერაფერს ვიტყვით; I საუკუნიდან კი საქართველოს საზოგადოება გვაროვნულ საზოგადოებაზეა აშენებული. გვაროვნული წყობილება არის ის საფუძველი, რომელიც წარმოშობს ყველა ინსტიტუტს I-VII საუკუნეებში, დაწყებული მეფე-მამასახლისით და სოფლის მამასახლისით დამთავრებული, ყველანი გვაროვნული წყობილების საფუძველზე არიან წარმოშობილი. ამ საზოგადოების უმრავლესობა თავისუფალია, მაგრამ სოლიდარული ურთიერთობა მონობის სახით უკვე არსებობს. ასეთი მდგომარეობა გრძელდება VII საუკუნეებამდე. VII-VIII საუკუნეებში „მონობის“ ხსენება ქრება“, ხოლო IV საუკუნიდან ფეოდალური ურთიერთობა მტკიცდება და ამ საფუძველზე წარმოიშობა მეფის ხელისუფლება, რომელიც არსებითად განსხვავდება I-VII საუკუნეებში არსებული საგვარეულო წყობილების მეფე-მამასახლისის ხელისუფლებისაგან¹.

ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას სხვა ახსნა დაუპირისპირეს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ივ. ჯავახიშვილი თავისი მსოფლმხედველობით მარქსიზმის წინა ხანის ისტორიკოსებს ეკუთვნის და რასაკვირველია, სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტულ ახსნას ჩვენ მისგან არ მოველით“-ო². ივ. ჯავახიშვილი აქ სავსებით გასაგებად იყენებს ტერმინს „გვაროვნებათა მიხედვით“ განსახლებას, რომელიც გულისხმობს არა პირველყოფილ გვარს, არამედ საგვარეულო ანუ მონოგენურ განსახლებას, რომელი ტრადიციაც დღესაც წარჩუნდება ქართულ სოფელში (რა თქმა უნდა მეტ-ნაკლებად); მისი პირველყოფილ-გვაროვნული წყობისაგან გარჩევა არც თუ ისე ძნელია. ასეთივე მიდგომითაა განსახილველი ტერიტორიული თემის სტრუქტურა-

¹ მითითებულია ივ. სურგულაძის ნაშრომიდან, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ., 1951, გვ. 19.

² ივ. სურგულაძე, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, გვ. 19-20.

რაც, რომელიც საქართველოს ბარსა და მთაში თითქმის ბოლო დრომდე ცოცხლობდა. კერძოდ, სამეზობლო თემის განვითარების ეტაპები თანაეტაპებად უნდა დაიყოს. უფრო მართებულია გავიზიაროთ ის მიდგომა, რომ სამეზობლო თემის განვითარების ეტაპები ორი მიმართულებით იქნას წარმოდგენილი: ერთი, „პირველყოფილი მეზობლური (ე. ი. ისეთი, რომელიც არსებობს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში, -დ. ჭ.) და, მეორე, „კლასობრივი საზოგადოების სამეზობლო თემი“¹. დაუშვებლად მიგვაჩნია ისეთი მიდგომები, სადაც ეთნოგრაფიულად XIX საუკუნის ქართული სოფლის ყოფაშიც კი გვაროვნული ხასიათის გადმონაშთებია დანახული². საგვარეულო ხასიათის დასახლების არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს გვაროვნულ საზოგადოებას. მეორე მხრივ, პოლიგენური დასახლების წარმოქმნის მიზეზები გვაროვნული საზოგადოების უკვე კარგა ხნის დაშლის შემდგომ არსებულ ფორმაციებში უნდა ვეძებოთ.

ისევ რომ მივუბრუნდეთ კონკრეტულად ძველი კოლხური დასახლების სტრუქტურას გვართან და თემთან მიმართებაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნებრივი და ხელოვნური დიხა-გუძუბები და გორა-სამოსახლოების სახელწოდება უნდა ყოფილიყო ხი//ოხორე//ხორი//ქორი. წინსწრებით აღვნიშნავთ, რომ ეს ტერმინი ქართველურ-იბერიულ-კავკასიური ერთობის და მათთან მონათესავე ძველადმოსავლური არაინდოევროპული ეთნოსების კუთვნილებაა. მცირე აზიაში მისი გავრცელება კი მიუთითებს ძველადმოსავლური და ქართველური ტომების უძველესი დროიდან ვრცელ ტერიტორიაზე ერთად მოსახლეობა-

¹ იხ. **Л. Б. Алаев**, Сельская община в Северной Индии, М, 1981, გვ. 11; იხ. **დ. ჭითანავა**, სამეზობლო თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში („სამოხიო“), კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. V, თბ., 2003, გვ. 406; მისივე, ტერიტორიული თემი სამეგრელოში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მტუდიები, ტ. VII, თბ., 2004.

² **რ. ხარაძე**, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, თბ., 1959, გვ. 178.

ზე. ხორი-ოხორი, რომლის ფუძეა -ხ, უძველესი, მატრიარქატის დროინდელი ტერმინი ჩანს და ამ დასახლებების აღმნიშვნელად არა ხი-ს, არამედ ოხორი//ხორი-ს სახით უკვე ძვ. წ. V-IV საუკუნეებიდან არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ქართველურ ტომებს უკვე I ათასწლეულზე დიდი ხნით ადრე გაუფლიათ გვაროვნული წყობა. კერძოდ, ვფიქრობთ, II ათასწლეულის დასაწყისში ეს პროცესი უკვე დასრულებული ჩანს. ამ პერიოდში უკვე არსებული დასახლებები არა პირველყოფილ-გვაროვნული, არამედ საგვარეულო და სახელმწიფოს არსებობის პერიოდშიც მოქმედი სათემო ფორმის უნდა ყოფილიყო. ამაზე დიხა-გუძუბების დასახლებათა განლაგებაც აშკარად მიუთითებს.

ძვ. წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული კოლხური დიხა-გუძუბების თუ ბუნებრივი გორაკ-ბორცვების დასახლებები დიდ საგვარეულო დასახლებებს წარმოადგენდა, რომელშიც გვარის დაშლის პროცესი შორს ჩანს წასული, რამდენადაც ერთი გენეალოგიური ერთობის მიერ ამგვარი სამოსახლოების გამართვა უბრალოდ შეუძლებელია. თითოეულ დიხა-გუძუბაში უნდა ეცხოვრა რამოდენიმე მონათესავე საოჯახო თემს, ანუ რელიქტის სახით სამეგრელოში ოჯახის აღმნიშვნელად შემორჩენილ „თი“-ს და მისგან ნაწარმოებ თურის“ მსგავს სოციალურ ერთობას (თი და თურ-ზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ). ეს რამოდენიმე მონათესავე „თი“ ანუ დიდი ოჯახი ქმნის დიხა-გუძუბების დასახლების სოციალურ სურათს. თითოეული დიხა-გუძუბა, რომელიც მონათესავე გვართა დასახლებას წარმოადგენდა, ემეზობლებოდა ერთ ან რამოდენიმე მსგავსადვე განსახლებულ დიხა-გუძუბას, რომელთა ერთიანობას აქ უნდა შეექმნა თემი, როგორც ტერიტორიულ-მეზობლური ანუ პოლიგენური ერთეული და რომელიც გარკვეულ ლოკალურ ტერიტორიაზე ქმნიდა ერთიან თავდაცვით სისტემას. თავის მხრივ, ეს თემიც უნდა დაშლილიყო, რასაც შემდგომი შინაგანი თუ გარეგანი განვითარების შედეგად სახელმწიფოს წარმოქმნისკენ მიყვავართ. როგორც თითოეულ დიხა-გუძუბას, ისე თემს, უნდა

ჰქონოდა, როგორც ცალ-ცალკე, ისე საერთო მმართველობის სისტემა, რომლის მეშვეობით მყარდებოდა კავშირი სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთან. მათ უნდა ჰქონოდათ როგორც ცალ-ცალკე, ისე საერთო სალოცავი და სხვა.

სწორედ ეს დიხა-გუძუბები გახლავთ ის უძველესი და საკმაოდ მძლავრი ძველი კოლხური თავდაცვითი სისტემა, რომლის დასახლების ფორმა და ტიპი მჭიდრო კავშირშია ჩვენს მიერ ამჯერად საინტერესო გვარის სტრუქტურის საკითხებთან. მასთან დაკავშირებით უამრავი ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის პრობლემა ღრმა კვლევას მოითხოვს, რაც ზოგადთეორიული მიდგომების გარდა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების გარეშე შეუძლებელია. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე ნათელია ის, რომ გვაროვნული თემიდან ამოზრდილი საგვარეულო დასახლებების არსებობა ძველ კოლხეთში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მაინც უნდა ვიგულისხმოთ.

საკითხთან მიმართებაში, წერილობითი წყაროებიდან ყველაზე უფრო ფართო და საინტერესო მასალას იძლევა ძვ. წ. V-IV საუკუნეების ქსენოფონტეს „ანაბასისი“, რომელშიც საკმაოდ კარგადაა დახასიათებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველური ტომების დასახლებათა როგორც ფორმა, ასევე ტიპი და თვით მათი ადგილობრივი სახელწოდებებიც ¹. ის უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა კოლხური გვარის გენეზისის კვლევისას. პირველ რიგში, საინტერესოა ტერმინი „ხორიონი“ (*χορίον, χορία*), რომელიც გარკვეული სახის დასახლების ერთეულის აღმნიშვნელია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველურ ტომებში ².

¹ თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 70, 80, 91-92, 100-101, 103, 105, 106.

² თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, გვ. 67, 70, 71, 80, 90, 91, 93, 96, 98, 100, 101, 103, 104, 105, 106.

როგორც ქსენოფონტეს „ანაბასისიდან“ ვიგებთ¹, ძვ. წ. V საუკუნეში, ქართველურ ტომებთან (ტიბარენები, მოსინიკები, ტაოხები, ხალიბები, დრილები და სხვა) „ხორიონები“ დასახლების ერთ-ერთ ძირითად ერთეულს წარმოადგენდა. ისინი საკმაოდ გამაგრებული ნაგებობების შთაბეჭდილებას ტოვებს და, როგორც აღწერილობიდან ჩანს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ერთიან კომპლექსს ქმნიან. რაც მთავარია, მათ შიშინობის დროს თავდაცვითი ფუნქცია გააჩნდათ. ხორიონები,

¹ „...[ქარდუხები] ისე გაიქცნენ და მიატოვეს *χαρίον* (სიმაგრე – თ. მ.), რომ [ელინები] ახლოს არ მიუშვეს“. „...ტაოხები ცხოვრობდნენ მიუვალ სიმაგრეებში (*χαρία*) და მთელი თავისი სურსათი იქ ჰქონდათ ატანილი. როდესაც ელინები მივიდნენ ერთ გამაგრებულ (*χαρίον*) ადგილთან, რომელიც ქალაქი არ იყო და სადაც შენობები არ მოიპოვებოდა, თუმცა იქ თავი მოეყარა მამაკაცებს და ქალებს მრავალ პირუტყვთან ერთად“. „როდესაც ელინები [ამ მთიან] ქვეყანაში მივიდნენ, დრილებმა გადაწვეს და მიატოვეს ის სიმაგრეები (*χαρίον*), რომელიც მათი ფიქრით, ადვილი ასაღები იყო; ასე, რომ აქედან არაფრის წაღება არ შეიძლებოდა გარდა ღორისა, ხარისა და სხვა შინაური პირუტყვისა, რომელიც ცეცხლს გადარჩენოდა; ერთი სიმაგრე (*χαρίον*) მათი დედაქალაქი იყო. იქ თავი მოეყარა სუყველას. მას გარშემო ღრმა ხრამი ჰქონდა და სიმაგრე მისადგომად სახიფათო იყო. [ელინებმა] ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის (*χαρίον*) აღება, რადგან მას გარშემო განიერი ორმო და მინის ყრილი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ამ ყრილზე აღმართული იყო მესერი და მრავალი ხის კოშკი. განიდრახეს გასცლოდნენ მას... შიკრიკმა ქსენოფონტეს უთხრა, რომ სიმაგრე (*χαρίον*) სავსეა მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი აღებაც შეუძლებელია, რადგან იგი მიუვალია და არც მისგან დახვევაა ადვილი... „...მაშინვე გაეშურნენ მტრისაკენ იმ სიმაგრის (*χαρίον*) წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე უფრო სუსტი ეგონათ. ის მდებარეობდა იმ ქალაქის წინ, რომელსაც მეტროპოლისი ეწოდებოდა [და რომელსაც მოსინიკების [ქვეყანაში] ყველაზე მაღალი ადგილი ეკავა...“ . „ბარბაროსები (მოსინიკები) გაიქცნენ, ცეცხლი წაუკიდეს და მიატოვეს ეს სიმაგრეც (*χαρίον*)... „სიმაგრეთაგან (*χαρίον*) უმეტესი ასეთი იყო: ქალაქები ერთიმეორისაგან 80 სტადიონით იყო დაშორებული, ზოგი მეტით და ზოგი ნაკლებით, როცა [მცხოვრებნი] გადასძახებდნენ ხოლმე ერთმანეთს ძახილი ერთი ქალაქიდან მეორეში ისმოდა, იმდენად მთავორიანი და ღარტაფიანი იყო ეს ქვეყანა“ „...[ტიბარენებს] ზღვის სანაპიროზე მცირედ გამაგრებული დასახლებები (*χαρία*), ჰქონდათ“ (თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბაზისი“, გვ. 67, 70, 71, 80, 90, 91, 93, 96, 98, 100, 101, 103, 104, 105, 106).

როგორც ჩანს, გარშემო განიერი თხრილით, ზემოთ კი მესრე-
ბით იყო გარშემორტყმული; საცხოვრებელი და სამეურნეო ნა-
გებობები კი ხის მასალისაგან შენდებოდა. ამგვარი დასახლების
სისტემის შექმნის (როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი) აუცი-
ლებლობა, ერთი მხრივ ბუნებრივი პირობებით (წვიმის წყლისა
და ნესტისაგან დაცვა) და, მეორე მხრივ, თავდაცვითი ფაქტო-
რის (მტერთა და ნადირთა) წინა პლანზე წამოწევი იყო ნაკარ-
ნახევი. „ოხორუ“-ებიც ალბათ ცალკეულ გვართა საგვარეულო
დასახლებებს წარმოადგენდა.

ტერმინი „ხორა“, როგორც გარკვეული დასახლების აღმ-
ნიშვნელი, მეტად ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური
ეპოქის მთელ მცირე აზიაში¹. ზოგიერთი ავტორი, ამ ტერმინზე
მსჯელობისას არ ითვალისწინებს ქართულ, კავკასიურ და ძვე-
ლადმოსავლურ ენობრივ მასალას. ის მხოლოდ ინდოევროპული
ენობრივი მასალითაა განხილული, საიდანაც ხორა (χώρα) მიჩ-
ნეულია სოფლის ტიპის დასახლებად (სოფლის ტერიტორიად),
რომელიც ჩვეულებისამებრ პოლისის საპირისპიროდ იხმარება.
თუმცა, ტერმინი „ხორა“ გამოიყენებოდა სრულიად განსხვავე-
ბულ ვითარებაშიც, კერძოდ, ერთ-ერთი მისი მნიშვნელობა იდენ-
ტურია ლათინური *locus*-ის (ადგილი); არის მისი სხვა მნიშვნელო-
ბებიც-„ქვეყანა“, „მინა“ (ლათ. *regio*), „მინის საკუთრება“ (*ager*),
„ქალაქის კუთვნილი მინა“ (*rus*). ტერმინ „ხორა“-ს (χώρα) თავისი
მნიშვნელობებით შორეულ წარსულში მივყავართ. ის მრავალ-
ჯერ გვხვდება ჰომეროსთან „ილიადასა“ და „ოდისეაში“, ზოგ-
ჯერ „ადგილის“, ზოგჯერ „მინის“, ზოგჯერ კი „ქვეყნის“ მნიშვ-
ნელობით. ამ ტერმინის განსაკუთრებით ხშირად ხმარობს ქსენო-
ფონტე: „სამინო მფლობელობის“ და „მინის ნაკვეთის“, „ქალაქის
საკუთრებაში (კუთვნილი) მინის“, „ადგილის“, „ადგილმდებარე-
ობის“, „ველის“, „სოფლის ადგილის“ (უზნის) მნიშვნელობით².

¹ Е. С. Голубцова, Сельская община в Малой Азии, М. 1972, გვ. 14-31.

² Е. С. Голубцова, Сельская община в Малой Азии, გვ. 26-27.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, სამეგრელოში, დასახლების ერთეულს, კარ-მიდამო ანუ „ოხორუ“ წარმოადგენს, რომლის შიგნით გაფანტულად, მაგრამ გარკვეული ნორმების დაცვით, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ერთობლიობაა მოცემული.

„ო-ხორუ“-დან (-ო პრეფიქსი ქართული -სას იდენტურია) -მა პრეფიქსის დართვით ნაწარმოებია სიტყვა „მახორობა“, რომელიც სამეგრელოში ეწოდება არ მარტო კარ-მიდამოს და საცხოვრებელ ნაგებობას, არამედ ოჯახს, მის შიგნით მცხოვრებ ნათესაურ გაერთიანებას მთლიანად.

არქ. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში „ოხორო“ ჰქვია ეზოს შიგნით ყველაზე დიდ შენობას, რომელიც სტუმრის მისაღებად არის დანიშნული. როგორც კი შინაურები შენიშნავენ ვინმე უცხო შემოვიდაო ეზოში, მაშინვე მიეგებებიან და შეიყვანენ „ოხოროში“, სადაც სტუმარი, თუ ზამთარია, ცოტაოდენ ცეცხლს მოითბობს, მოისვენებს და მერე სახლის პატრონთან მიიყვანებენ. ოხოროში ზამთრობით პურსა სჭამენ და ერთ კუთხეში სახლის პატრონის საუკეთესო ცხენი აბია, რათა ხელად ჰყავდეს, თუ უეცრად დასჭირდა; ...ოხოროს იქით სხვა შენობებიც დგას¹.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, „ოხორო“ ლამბერტის გაგებით ეწოდებოდა კარ-მიდამოს შიგნით ერთ კონკრეტულ საცხოვრებელ (სტუმრის მისაღებ) ნაგებობას. თუმცა, ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ „ოხორუ“-ს უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, ის როგორც ზემოთ აღინიშნა, მთლიანად ეზოს (კარ-მიდამოს) და მის შიგნით განთავსებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ერთობლიობას გულისხმობს, ხოლო მისგან ნაწარმოები ტერმინი „მახორობა“, იქ მცხოვრებ სოციალურ ერთეულს-ოჯახს.

სიტყვა „ოხორუ“-ს მსგავსი ლექსემები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა დანიშნულების მატარებლად შე-

¹ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991, გვ. 32.

ნარჩუნდა: აჭარაში „ახორი“ საცხოვრებელი სახლის პირველ სართულს ნიშნავს¹, ხოლო იმავე აჭარაში „ახორი“ მთაზე მდებარე საქონლის სადგომსაც ეწოდება, საქონლის მომვლელს კი „მეახორე“². გურიაში პირუტყვის გამოსაზამთრებელ ადგილს, რომელიც სახლის მეორე თვალს წარმოადგენს „ხორ“-ს ეძახიან³; იმერეთში „ახორი“ იხმარება „საქონლის სადგომი შენობის (ნაგებობის) მნიშვნელობით“⁴; მთიულეთში „ახორი“ ეწოდება „ცხენის ბაგას საბძელში, რომელიც წნელისაგან არის გაკეთებული“⁵.

არნ. ჩიქობავას აზრით, „ჭანური ო-ხ-ორ-ი//ო-ხ-ო-ი და მეგრული ო-ხ-ორ-ის იდენტურია ქართული სა-ხ-ლ-ი. აქ ძირეულია -ხ, -ლ ქართულში დეტერმინატი სუფიქსი ჩანს. მას შეესატყვისება -ორ; ჭანურსა და მეგრულში -სა თავსართი ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელია, დანიშნულების მაჩვენებელი რომ იყოს, სათანადო ბოლოსართი ექნებოდა. ჭანურში ეს თავსართი ო-თია გადმოცემული“⁶.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ტერმინი „სახლი“ გვხვდება V-VI საუკუნეებში და ის გულისხმობდა, როგორც თვით ნაგებობას, ისე ნაგებობაში მცხოვრებ მოსახლეობასაც, ოჯახს და საგვარეულოსაც კი. სახლში -სა თავსართი უნდა იყოს- ამას მეგრული და ჭანური შესატყვისი „ობორე“ ცხადყოფს, სადაც -ო თავსართია და „ხორ“-ე ძირი“⁷. მისივე აზრით, სახლი ძვე-

¹ ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის აჭარაში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, ბათუმი, 1960, ტ. 1, გვ. 20.

² თ. აჩუგბა, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ. 1990, გვ. 85.

³ გ. ცეცხლაძე, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991, გვ. 22, 83.

⁴ P. Харадзе, Грузинская семейная община, т. I, გვ. 73.

⁵ ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ. 1967, გვ. 250.

⁶ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 150-151.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 6-7.

ლად მიწა-წყლისა და ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა და რაკი გვარსაც ძველად სახლი რქმევია, ამიტომ ადმინისტრაციულ ერთეულთა ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა უეჭველია გვაროვნულ წეს-წყობილების დროს უნდა იყოს შესული“¹.

ს. ჯანაშიამ „სახლის“, როგორც ერთ ჭერქვეშ გაერთიანებული ძირითადი სოციალური ერთეულის ჩამოყალიბება, ქართველ ტომთა წინაპარი ეთნიკური კოლექტივების დაჯდომას და ბინად ცხოვრებაზე გადასვლას დაუკავშირა. მისივე აზრით, „თავდაპირველად ქართული „სახლი“ წარმოადგენდა მიწაზე მჯდომ მატრიარქალურ კომუნას, რომელიც თავისი ზრდის გარკვეულ საფეხურამდე, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა“².

რ. ხარაძის აზრით, ტერმინი „სახლი“ უნდა ყოფილიყო მატრიარქატის ხანაშივე მიწათმოქმედებაზე გადასულ და გარკვეულ ტერიტორიაზე დამკვიდრებული სოციალური ერთეულის აღმნიშვნელი, რომელიც საერთო წარმოებასთან ერთად საერთო საცხოვრებელი ბინით ერთიანდებოდა“³.

პ. ინგოროყვას „ხორი“ ქართული წარმოშობის სახელწოდებად მიაჩნდა⁴.

ი. ადამიას აზრით, ოხორუ//ოხორე//მახორობა, ლაზურ-მეგრული წარმოშობის უძველესი ტერმინია და როგორც ტერმინი გვხვდება არა მარტო სამეგრელოში, არამედ მოქვისა და კოდორის ხეობათა ზოგიერთ მთის სოფელში⁵.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 1928, გვ. 142.

² ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, „შრომები“, თბ., 1959, ტ. III, გვ. 1.

³ რ. ხარაძე, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, კრებ. „მიმომხილველი“, №1, თბ., 1949, გვ. 201.

⁴ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 176.

⁵ ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წ. II, აფხაზეთი, თბ., 1968, გვ. 48.

ს. კაკაბაძის მიხედვით, ქართული „სახლი“ უდრის ჭანურ „ო-ხორი“-ს, სადაც ფუძეა ხლ/ხრ. მისივე აზრით, „ხორი“ იდენტურია სვანური „ქორი“-სა, რომელიც იქაც ოჯახის და სახლის მნიშვნელობით იხმარება, ხოლო ქართულში მაღალი სახლის მნიშვნელობით და ამ სიტყვის (ქორი) თავდაპირველი მნიშვნელობა იქნებოდა მაღალი, ანუ ის, რაც მაღლობთან არის დაკავშირებული. „სახლი“, „ოხორ“ სიტყვები უნდა იყოს სესხებით შემოტანილი ერთ-ერთი უძველესი კილოდან, რომელიც ენათესავებოდა სვანურში ახლაც წარმოდგენილ ერთ ძირითად ფენას. „სახლი“, უნდა ყოფილიყო გვაროვნული ხასიათის ტერმინი, რომელიც ლიტერატურულ ენაში ნიშნავს არა მარტო შენებულობას, არამედ საგვარო მნიშვნელობაც აქვს¹.

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, „ქორი შენობასაც ნიშნავს და სოციალურ ერთეულს, გვარს, ასეთივე შინაარსისაა სახლი (=ციხე) შენობაც და სოციალური ერთეულიც (გვარი). მისივე აზრით, ტერმინი „სახლი“ უთვისტომო არაა. მისი შესატყვისია მეგრული „ოხორი“; და ქორისა და სახლის ურთიერთმნიშვნელობა იმის მონიშნავს, რომ წარმოშობით ისინი სხვადასხვა ქართველური ტომების საკუთრებაა და მეორე მხრით, ეს ფაქტი იმის მონიშნავს, რომ ამ ტომებს გვაროვნული ცხოვრების დიდი ნაწილი (თუ მთლიანად არა) ურთიერთისაგან დაშორებულ ვითარებაში გაუვლიათ ძირითადად“².

ზემოთ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

1. ტერმინი „ოხორუ“, რომელიც სამეგრელოში დასახლების ერთ-ერთი ძირითადი ერთეულის-„კარ-მიდამოს“ აღმნიშვნელი სახელწოდებაა, უძველესი ლექსიკური ერთეული ჩანს, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში მოხსენიებულია ქსენოფონ-

¹ ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოს გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, ნ. 1, თბ., 1924, გვ. 87-88.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1971, გვ. 34-35.

ტეს „ანაბასისში“ „ხორიო“-ნების (*χορίον, χορία*) ფორმით, კოლ-ხური ტომების დასახლების გარკვეულ სახეობად.

2. ტერმინი „ხორა“ (*χορα*) გავრცელებული იყო არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე, არამედ მთელ მცირე აზიაში, და ზოგან „სოფლის ტერიტორიას“, „ქვეყანას“, „მინას“ (ქალაქის კუთვნილ მიწებს), „ადგილს“, „ადგილმდებარეობას“, „ველს“ და „სოფელს“ ნიშნავდა.

3. ტერმინი ოხორუ//ხორ//ოხორი და მისგან ნაწარმოები „მახორობა“ იდენტურია ქართული „სახლისა“, რომელიც, აღნიშნავდა არა მარტო საცხოვრებელ ნაგებობას, არამედ იქ მცხოვრებ მოსახლეობასაც, ე. ი. ოჯახს, ხალხს, გვარს. ის თავდაპირველად ალბათ აღნიშნავდა პირველყოფილი გვარს, გვაროვნულ დასახელებას, ხოლო შემდგომ მისი დანაწევრების შედეგად მიღებულ ნათესურ ერთობას „ხორა“-ს ან „სახლ“-ს (გვარის, ოჯახის, პატრიარქალური ოჯახის სახით).

4. ზემოთ წარმოდგენილი მასალა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ოხორუ//სახლი უძველესი წარმომავლობის, გვაროვნული ეპოქის ლექსიკური ერთეული ჩანს და ის ქართველური და მასთან მონათესავე ტომების კუთვნილებაა, ამ სიტყვებში (ოხორუ//სახლი) მკვეთრად გამოიყოფა -ხ ძირი.

5. ქართულ-ზანური ოხორუ//სახლის იდენტური უნდა იყოს სვანური „ქორი“, რომელიც იქ სახლის ზედა სართულის აღმნიშვნელ ტერმინად შემოგვრჩა. განსხვავება ისაა, რომ ქართულ-ზანურმა ეს სიტყვა ძირეულ -ხ მორფემით ერთნაირი ფორმით შეინარჩუნა.

ტერმინ ოხორუ//სახლის თავდაპირველი მნიშვნელობის, საერთოდ მისი ენობრივი კუთვნილებისა და ეტიმოლოგიის დასადგენად, ვფიქრობთ, პირველ რიგში საინტერესოა იბერიულ-კავკასიური ენობრივი მონაცემები.

„ხორიო“ (*χορίον*) ბერძნულ ენაზე ნიშნავს „ადგილს“, „ალაგს“, „მხარეს“, „ქვეყანას“, „კიდეს“, „ნაპირს“, „ტერიტორიას“, „სივრ-

ცეს“, „ფართობს“, „სიბრტყეს¹. ახალბერძნულად კი „ხორა“ (χώρα) ნიშნავს „ქვეყანას“, „ალაგს“, „მხარეს“, „ადგილს“ და „ქალაქს“².

ამ სიტყვის ბერძნულის გზით შემოსვლის სანინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართველური ხორ//ოხორუ//სახლის, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკურად იდენტური მნიშვნელობები, შემორჩენილია კავკასიურ (იბერიულ-კავკასიურ) ენებში.

დაღესტნურ ენებში, კერძოდ, ცეზურად хур, ლაკურად къу, ახვახურად хъури, დარგულად хъу, ლეზგიურად хуър, თაბასარანულად тьул (<хуър), არჩიბულად хор, ნიშნავს „ველს“, „მინდორს“ და „სოფელს“³.

იმავე დაღესტნურ ენებში „ოჯახის“ და „სახლის“ აღსანიშნავად გვაქვს: ჰუნზიბურად хъом, ცეზურად хъвин, ხვარშიულად хъван, გინურად хъвен, ანდიურად хъи, ცეზურად хутор, ბეჟიტურად хъун, დარგულად хъали, თაბასარანულად, რუთულურად და აღულურად хаг, ნახურულად хав, хив (хутор). როგორც ს. ხაიდაკოვი აღნიშნავს, ეს სიტყვები შეიძლება აღდგეს საერთო-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე და ისინი გენეტიკურ ნათესაობაშია ქართულ სიტყვა სახლთან (сахли), რომელიც დიდი კულტურული მნიშვნელობისაა და ძველი კავკასიელების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას უკავშირდება⁴. სხვა დაღესტნურ ენებშიც „სახლის“ და „ოჯახის“ მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები (ლეზგიური Кивал, Гъвечикивал, კრინული და ბუდუხური кiyг, უდიური кидж, არჩიბული нокъ, ავარიული рукъ, ანდიური гъаньу, ჭამალური гъакв, ბოთლიხური гъанкъ, ლოდობერიუ-

¹ И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. II, М.-Л., 1958, გვ. 1793.

² А. А. Иоаннидис, Новогреческо-русский словарь, М. 1950, გვ. 724.

³ Г. Б. Джаукян, Взаимоотношение индоевропейских хуррито-урартских и кавказских языков, Ер. 1967, გვ. 140.

⁴ С. М. Хаидаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, М. 1973, გვ. 79.

ლი ГЪАНКЪО, ლაკური КЪАММА, ბეჟიტური БИЛИО, ჰინუხური БУЛУ, ხუნძური БУИИ) იმავე ძირისად არის მიჩნეული და აღნიშნულია, რომ აქ ХЪ, Х კომპლექსის დაღესტნური ენებისათვის დასაშვებია კИ, КЫ, КЪ ხმოვანშესატყვისობებთან გვაქვს საქმე¹. ასევე აღსანიშნავია, რომ დაღესტნურ ენებში „სახნავ-სათესის“, „ველი“-ს, „მინდვრის“ აღსანიშნავად გვაქვს: ანდიური хур, ჭამალური хуаа, хуша, და ავარიული хур, რუთულური хуй, აღულური хху, არჩიბული ух, თაბასარანული хумай, хумил (х), ლაკური кьур², ბოთლიხური хур (ყანა)³. ამავე რიგის უნდა იყოს ჩაჩნურ-ინგუშური ханан⁴, რომელიც „გვირგვინიან სახლს“ ნიშნავს⁴.

ზემოთ წარმოდგენილი მასალის იდენტიურად მიგვაჩნია აბაზინურში „სახლის“ და პატრონიმიის უფროსის სახელწოდება Ахида⁵.

ზოგიერთ ძველამოსავლურ ენაში (რომელთა ნათესაობას ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ენებთან მრავალი მეცნიერი უჭერს მხარს), ვხვდებით მსგავსი აგებულების და მნიშვნელობის სიტყვებს, რომლებიც ინდოევროპულ ენებშიც აქედან უნდა იყოს შესული. მაგალითად, ხურიტულად ანუ ხალდურად **hubi-hubi** ნიშნავს „ველს“, „მინდვრს“, „ტერიტორიას“, „ვაკეს“, „მხარეს“⁶. როგორც გ. ბ. ჯაჰუკიანი აღნიშნავს, ურარტული hubi შეიძლება შევადაროთ ინდოევროპულ, კერძოდ ინგლისურ cumb-ს (დაბლობი) და გალო-რომანულ cumba-ს (დაბლობი)⁷. ასევე საყურადღებოა ხურიტული haw(u)r-„მინა“,

¹ С. М. Хайдаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, გვ. 79.

² С. М. Хайдаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, გვ. 72.

³ ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა, თბ., 1962, გვ. 243.

⁴ Е. С. Голубцова, Сельская община в малой Азии, М. 1972, გვ. 200.

⁵ Е. Н. Данилова, Семья и патронимия в системе сельской общины абазин во второй половине XIX века, «Советская Этнография», №5, М. 1973, გვ. 86.

⁶ Г. А. Капанцян, Историко-лингвистические работы, т. II, Ер. 1956, გვ. 105; Г. Б. Джаукян, Урартские и индоевропейские языки, Ер. 1963, გვ. 99.

⁷ Г. Б. Джаукян, Урартские и индоевропейские языки, Ер. 1963, გვ. 99.

რომლის იდენტურია qaw'ṛ, qaw'ra-qawṛ „დედამინა“¹, მას ხური-ურურტული qi(u)ra<k'i-u-ra და k'i-u-ra-ს სახით, გ. ბ. ჯაჭუკიანი ადარებს საშუალო ბერძნულ *χωμη*-ს „სოფელი“, „დასახლება“, გოთურ *haims*-„სოფელი“, „დასახლება“ (მრ. რ.), „სოფლის უბანი“, „ადგილი“, ძველ გერმანულ *heims*-„სამშობლო“, „სახლი“, „საცხოვრებელი“, ლათინური-*cunae* (მრ. რ.) „ბუდე“, *cunabula* „სამშობლო“². (შდრ. რუსული Калибель). ვფიქრობთ, ამის მსგავსი უნდა იყოს რუსული хутор (სოფლური ტიპის დასახლების აღმნიშვნელი) და ინგლისური house (შდრ. ქართ. ოხორუ//სახლი).

საყურადღებოა სომხეთის ერთ-ერთი მხარის სახელწოდება „ხარზანი“, რომელიც გრ. ლაფანციანის აზრით, ნანარმოებია ძირით *xars*, რაც თავდაპირველად ნიშნავდა „ცხოვრებას“, „დასახლებას“ და რომელიც გადმონაშთის სახით შენარჩუნებულია სომხურ სიტყვაში *xərcith* (ქოხი)³.

თუ ზანურ-ქართული ოხორუ//სახლთან სვანური „ქორი“-ს იდენტურობას დასაშვებად მივიჩნევთ, მაშინ საყურადღებოა, რომ ჩაჩნურად ქუორ(დ)-ქუერაშ(დ) ნიშნავს „ფანჯარა“-ს, „სხვევ“-ს, ინგილოურსა და ნოვურშიც ქუორ(დ)//ქორ(დ) იმავე მნიშვნელობით იხმარება⁴.

ვფიქრობთ, ოხორუ//სახლი-დან ნანარმოებია სიტყვა „სახურავი“-ც⁵, რომელზეც ნ. მარმა საინტერესო ეტიმოლოგია შემოგვთავაზა: „თავს+მთა+ზეცა, რესპ. „სიმაღლი“-ს მნიშვნელობით⁶.

¹ И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М. 1967, გვ. 132.

² Г. Б. Джаукян, Урартские и индоевропейские языки, Ер. 1963, გვ. 102.

³ Гр. Капанцян, Историко-лингвистические работы, т. II, გვ. 428.

⁴ თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, „ენიშკის მოამბე“, თბ. 1940, ტ. V-VI, გვ. 615.

⁵ აღსანიშნავია, რომ აქადურად *uḫḫuzu* „გადახურვას ნიშნავს, იხ. Г. А. Капанцян, Историко-лингвистические работы, т. II, с. 276.

⁶ Н. Я. Марр, Избранные работы, т. II, М. 1936, გვ. 228.

ასევე აღსანიშნავია სვანური თემის შესაკრები ადგილის სახელწოდება ლალხორი//ლახორი და „ლუზორი“¹.

„ოხორუ“-დან ნაწარმოებია მეგრული ოხორასკირი//ოხოლასკირი, რომელიც ცოლის დის და ცოლის ძმის აღსანიშნავად იხმარება. როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, „ოხოლასკირი//ოხორასკირი ტერმინებს შიგნით ჩვენ საქმე გვაქვს მატრიარქატთან, როდესაც ქალი ირთავს ვაჟს, ეს უკანასკნელი მიდის ქალის სახლში და იქ მას უხვდება „სახლის შვილი“ (ე. ი. ცოლის სახლის შვილი) ცოლისძმა, ცოლისდა (სახლის ასული)“². ეს მომენტი, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ მიუთითებს ოხორ//სახლი სიტყვის არქაულობაზე და მის ადგილობრივ წარმოშობას უჭერს მხარს.

ასევე ქართულში გვაქვს ტერმინი „ხორში“ (შდრ. სოფელი ხორში), რომელიც საცხოვრებელ ნაგებობაში კამაროვან სვეტებსა და სვეტებს შუა ცარიელ ადგილის ეწოდება. სულხან-საბა ორბელიანის სიტყვით, „ხორში ეწოდება სვეტთა და სვეტთა(ა) საშუალოთა (შუა) ადგილთა ტაძრისათა (ტაძარსა შინა) და მისთანათა“³, ე. ი. მას „ცარიელი ადგილის“, „სივრცის“ მნიშვნელობა აქვს.

ოხორუ//სახლის იდენტიურად და მისგან ძირეულ -ხ ლექსემით ნაწარმოებად მიგვაჩნია მეგრული „მხარის“ და „კუთხის“ აღმნიშვნელი სიტყვა „მუხური“ და ქართული „მხარე“.

როგორც პ. ინგოროყვა მიუთითებს, სახელწოდება „მუხური“ თავისი პირვანდელი მნიშვნელობით მხარეს აღნიშნავს, რომე-

¹ საყურადღებოა, რომ შუმერულად სახალხო კრებას ეწოდება puzur, ხოლო იმერულ კილო-თქმაში გვაქვს სიტყვა ფუზური, რაც ქალთა ჭორიკნობას, ფუსფუსს ნიშნავს, იხ. **კ. თოფურია**, შუმერულ-ძველალმოსავლური რელიგიური კულტები სამეგრელოში, ჟურნ. „აია“, №1, თბ., 1998, გვ. 29.

² **არნ. ჩიქობავა**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 22.

³ **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ. 1991, გვ. 427-428.

ლიც, გვხვდება როგორც აფხაზეთში, ისე შიდა საქართველოში მთელი რიგი გეოგრაფიული პუნქტების სახელების სახით¹.

„მუხური“, ტოპონიმის სახით, სოფლების სახელწოდებებად საქართველოში (უმეტესად სამეგრელოში) ბევრგან გვხვდება, კერძოდ, „მუხური“-ტყიბულის რ-ნი, „მუხური“-გალის რ-ნი, „მუხური“ სენაკის რ-ნი, „მუხურჩა“-აბაშის რ-ნი, მდ. „მუხურჯინჯა“-ზუგდიდის რ-ნი, მთა „მუხურშა“ და ადგილი „მუხურში“-მდ. ბზიფის ხეობა, „განარჯიამ მუხური“-სამურზაყანო, „ხუტუმ მუხური“-ზუგდიდის რ-ნი².

გრ. ზარდალიშვილს დასაშვებად მიაჩნია სიტყვა მუხუ//მუხურის (რომელიც ტოპონიმიკაშია შემორჩენილი, -დ. ქ.) მეგრული წარმოშობა, რომელიც, მისივე სიტყვებით, „კუთხეს“ (ადგილს, დაბას, თავშესაფარს) ნიშნავს³. გ. ჟორდანიამ სიტყვა მეხურელი//მუხურ-ში დაინახა „ხურ“ ფუძე და ის „ხური“-ს (ხურიტები, -დ. ქ.) ხალხის სახელწოდებასთან გააიგივა⁴. ალ. ცაგარელი „მუხურს“ კუნძულს (მინას, -დ. ქ.) უწოდებს⁵.

სიტყვა „მუხური“-ს იდენტურად მიგვაჩნია დალესტნურ-ნახური „moaxq“, რომელიც ნიშნავს „ქვეყანას“, „მხარეს“ და „სამყაროს“, მაგალითად, „გVijie moaxq“-სიტყვასიტყვით „ქართველთა ქვეყანას“ ნიშნავს⁶.

ასეთივე წარმოშობის უნდა იყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ შემორჩენილი ზოგიერთი ტოპონიმიკური სახელწოდება. მაგალითად, ანაპასთან ახლოს მდებარე ბორცვს ეწოდება

¹ **პ. ინგოროყვა**, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 177.

² **თ. ჟორდანია**, მეხურელნი, თბ., 1956, გვ. 56-58.

³ **გრ. ზარდალიშვილი**, კლუხორის რაიონის ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელთა დადგენისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXVI, თბ., 1949, გვ. 149.

⁴ **თ. ჟორდანია**, მეხურელნი, გვ. 28-62.

⁵ **А. Цагарели**, Мингрельские этюды, т. 1, გვ. 70.

⁶ **გ. ბურჭულაძე**, **ბ. შავხელიშვილი**, „ქართლის“, „საქართველოს“ აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურ-დალესტნურ ენებში, კრ. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინები, თბ. 1993, გვ. 325.

чехурай, რომელიც ადიღური ენის чяхъурай (чихурай) საფუძველზე იხსნება და „მრგვალ მიწას“ ნიშნავს¹.

სიტყვა „მუხური“-დან ნაწარმოებად და მის იდენტიურად მიგვაჩნია დასავლეთ საქართველოში, აგათია სქოლასტიკოსთან მოხსენიებული ქვეყნის სახელწოდება „მუხირისი“ *Μοχη`ρησις* და პროკოფი კესარიელის „მოხირისი“ (*Μουχειρισις*), რომელიც „მხარეს“, „ქვეყანას“ უნდა ნიშნავდეს და შესაძლებელია ერთ კონკრეტული „ქალაქის“ სახელწოდებაც იყო².

მოხმობილი მასალიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ქართველურ-იბერიულ-კავკასიურ და ძველალმოსავლური ეთნოტოპონიმიკის მანარმოებელი -ხი სუფიქსი, რომელიც, ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების იდენტიური მნიშვნელობის მატარებელია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველურ ტომთა და „ქვეყნების“ უმრავლესობის სახელწოდებებს, როგორც ამას ურარტული და ბერძნული წყაროები გვამცნობს, ტომობრივი მანარმოებელი -ხი, -ხა სუფიქსი დაერთვის. ასეთია: დიაუ-ხი, ტაო-ხი, კარდუ-ხი, ვიტერუ-ხი, კოლ-ხი, ერია-ხი, იგანიე-ხი, კუმუ-ხი, ველიკუ-ხი, არგუ-ხი, შიშირი-ახა, ხალციდი-ხა, კულ-ხა, ზაბა-ხა და სხვა³.

¹ Дж. Н. Коков, Из Адигской (Черкесской) ономастики, Нальчик, 1983, გვ. 103.

² ო. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №4, თბ., 1974, გვ. 129-136. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

³ ქართველურ ტომებად მიჩნეული მუშქები პირველად იხსენიებიან ასურულ ლურსმულ წარწერებში, ასურეთის მეფე ტიგლათფილესარ I-ის (ძვ. წ. 1115-1077) ანალებში. მის ანალებშივე იხსენიება კილხი//ხაბხი, რომლებიც ნაირის ქვეყნების კოალიციაში შედიოდნენ. სალმანასარ IV-ის (ძვ. წ. 859-824) ანალებში იხსენიება -ქი სუფიქსიანი ურარტუს ქვეყანა ხუბუშქია. აშურნასირპალ II (ძვ. წ. 884/3-859) ასახელებს ქათმუხის ქვეყანას, რომელიც მას მუშქების ქვეყანასთან ერთად დაუპყრია. ურარტუს მეფე მენუას (ძვ. წ. IX ს. დასასრული და VIII ს. დასაწყისი) წარწერაში გვაქვს ფორმა დიაუეხი, რომლის ქვეყნებს და ქალაქებს შორის ასევე

ნ. მარის აზრით, ხი-ზე დაბოლოებული ტომობრივი სახელები (კოლ-ხი, კა-ხ-ი, მეს-ხ-ი, ჯავა-ხ-ი და სხვა) გაიგება, როგორც ქართული ტერმინი გვაროვნული მნიშვნელობით¹.

ივ. ჯავახიშვილი სახელწოდება „მესხი//მოსხი“-ს განხილვის დროს აღნიშნავს, რომ მას „ბოლოში ჩვეულებრივ ქართული ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცი „ხი“ უზის“².

გ. მელიქიშვილის აზრით, სუფიქსები **-ḥe(ni)** წარმოადგენენ კუთვნილების სუფიქსებს. მაგალითად **Menuaḥini** არის „მენუ-ას კუთვნილი“ (სახელწოდებაში **Menuaḥinili**) **agristiḥini** ნიშნავს „არგიშთის კუთვნილს“ და ა. შ. მისივე აზრით, ეს სუფიქსი ასევე აწარმოებს პატრონიმიკას: **sarduriḥi-(ni)**, ნიშნავს „სარდურის შვილს“, **iṣpuiniḥi** „იშპუინის შვილს“ და ა. შ. ამასთან ერთად, განაგრძობს ავტორი, ის ხშირად გვხვდება სატომო დაბოლოებებში, რომელიც გაიაზრება, როგორც ამა თუ იმ ადამიანის შვილი (ეპონიმი, ღმერთი). სუფიქსი -ხი ასევე გამოიყენება სხვადასხვა „ციხესიმაგრეების“, „სამფლობელოების“, „ქალაქების“ სახელწოდებათა დაბოლოებებში. ამ სუფიქსთან (ხი) ახლოს დგას **ḥa//ini//ni//i//a**, სუფიქსები, რომლებიც ხური-ურარტული ენებისათვის არის დამახასიათებელი და ამავე დროს იყო სამხრეთ ამიერკავკასიის სახელების ადგილობრივ ფორმებში³.

სახელდება ბალთულხის ქვეყნის მეფე და ქალაქ ხალდირიუხის ქვეყნის მეფე. დიაუხის ქვეყნის მეფის სახელი არის უტუფურში. აქ აშკარად ჩანს ტომობრივი მანარმოებელი -ხი სუფიქსი და ანთროპონიმული -ში კუთვნილების სუფიქსი.

არგიშთ I მენუას ძის (ძვ. წ. VIII ს. პირველი ნახევარი) წარწერაში იხსენიება დიაუხის ქვეყნებთან ახლოს მდებარე ქვეყნები: ზაბახა, ერახი, უიტერუხი (ტომი), შაშქი, არდარაქიხი, ბალთულხი, კაბილუხი. დიაუხის ქვეყნის საშველად მოსულან ლუშა, ქათარზა-ს, გულუთახი-ს ქვეყნები; დაუპყრია ასევე უიტერუხის ქვეყანა, მისულა აფუნის ქვეყანაში.

¹ **Н. Я. Марр**, Крещение армян, абхазов и алан Святым Григорием (Арабская версия), СПб, გვ. 167.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ. 1951, გვ. 392-393.

³ **Г. А. Меликишвили**, Урартский язык, М. 1964, გვ. 29-30; **Г. А. Меликишвили**, Урартские клинообразные надписи, М. 1960, გვ. 51-52; **გ. მელიქ-**

გრ. ლაფანციანის აზრით, ურარტული კუთვნილებითი სუფიქსი **hi** უდრის რუსულ **скии**-ის (ანუ ქართულ ძეს-შვილს და ა. შ., -დ. ქ.) და გამოიყენება ისეთ სახელებში, როგორც არის **Menuahi, sardurihi** და სხვა, რაც ნიშნავს „მენუას კუთვნილს“, „მენუს ძეს (Менуевич, Менуиский). ასევე ის გვხვდება ეთნიკური სახელწოდებებით გადმოცემული ქვეყნების სახელებში-**Etiuhi** (//**Etiuni**), **Welikuhi** (//**Welikuni**) **meniuhi, Wihhiruhi, Diauehi, Eriahi** და სხვა. ავტორისავე აზრით, შესაძლებელია ის ასევე შედიოდეს რთულ სუფიქსში **-alhi** თუ რა თქმა უნდა აქ არა გვაქვს დამოუკიდებელი სიტყვა **alhi** რაც „სახლს“, „გვარს“ ნიშნავს. მისივე აზრით, მაგალითად **Diau(e)-hi**-ში -ხი არის კუთვნილების აღმნიშვნელი, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს **Диаухский**. -ხი სუფიქსი ასევე დაერთვის ღვთაებათა, სატომო, ეთნიკურ, ქალაქის სახელებს და სხვადასხვა სუბსტრატის ნაცვალსახელებს. ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს **xa, ex, ax** დაბოლოების მქონე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმებსაც ოც-ხე, ჭორო-ხი, მეტე-ხი, კარდენა-ხი, მოდინა-ხე; ავტორისავე აზრით, ეს სუფიქსური წარმოება მომდინარეობს სუბარო-ურარტული ენობრივი სამყაროდან, რომელიც საკმაოდ შორს ვრცელდება ჩრდილოეთით და მოიცავდა ხეთას, სირიას და საქართველოს¹.

ბ. პიოტროვსკის აზრით, **ni** და **hi** სუფიქსები კანონზომიერად დაერთვოდა საკუთარ სახელებს², თუმცა ავტორი, მათ მნიშვნელობათა შესახებ არაფერს ამბობს.

იშვილი, უძველესი სამეფო საქართველოს ტერიტორიაზე, კრებ. ძიებანი საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, №4, თბ., 1974, გვ. 50-51.

¹ **Гр. Капанян**, Суффиксы и суффиксированные слова в топонимике древней Малой Азии, Ер. 1998, გვ. 25-27; მისივე, Историко-лингвистические работы, Ер. 1956, გვ. 433-436; მისივე, Историко-лингвистические работы, Ер. 1975, გვ. 92.

² **Б. Б. Пиотровский**, Ванское царство (Урарту), М. 1959, გვ. 34.

ი. დიაკონოვის აზრით **ჰჰ** და **ჰ** სუფიქსები შეესაბამება ურარტულ **h**-ს, კერძოდ, კუთვნილებითი ზედსართავი სახელების ცნობილ დაბოლოებებში ურარტულ **hi/e**-ს¹.

გრ. გიორგაძის აზრით, ქასქურ სახელწოდებებში „რამოდენიმე პუნქტის სახელები შეიცავენ **ha** სუფიქსს, რომელიც შეიძლება **ka** სუფიქსის იდენტური იყოს, ეს უკანასკნელი კი ადგილის სახელწოდებებს ქმნის და ერთვის².

გ. მელიკის აზრით, სუფიქსები **hi//ha** და (i//a//u) ni წარმოადგენენ ადგილობრივ სუფიქსებს და ისინი ამ სახელწოდებებში ურარტულთა მიერ არ იყო მიკუთვნილებულ³. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, ჩვენ ამ ტერიტორიაზე ადგილობრივებში უნდა ვიგულისხმობთ უპირატესად ქართველური მოდგმის ტომები.

გ. ხალატიანცის აზრით, სომხურ **Тай(к)**-სა და ბერძნულ **Таο-χοი**-ში იდენტური სუფიქსებია (**k-x**) სადაც **k** მრავლობითობასთან ერთად ხალხსაც აღნიშნავდა⁴.

გ. ჯაჰუკიანის აზრით, ურარტული **-hi** (<-k-?) ხურიტულ **he-s** უდრის⁵.

თუ **hi-ha** სუფიქსის ნი სუფიქსთან იგივეობას დასაშვებად მივიჩნევთ (**Diauxi//Daiaeni**) და გავიზიარებთ გ. ხალატიანცის მოსაზრებს იმის შესახებ, რომ **ha** სუფიქსი „ხალხს“-საც ნიშნავს, მაშინ საყურადღებოა ავტორის კიდევ ერთი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **ni** მას „ქვეყნის“, „მინის“ აღმნიშვნელად მიაჩნია. ავ-

¹ **И. М. Дьяконов**, Рецензия на книгу Г. А. Меликишвили «Наири-Урарту», «Вестник древней истории», М. 1956, №1, გვ. 127; **И. М. Дьяконов**, Сравнительно-грамматический обзор Хурритских и Урартских языков, «Переднеазиатский сборник» М. 1961, გვ. 380-383.

² **Г. Г. Гиоргадзе**, К вопросу о локализации и языковой структуры Кавказских этнических и географических названий. Переднеазиатский сборник, М. 1961, გვ. 202, 205.

³ **Г. А. Мелик**, Диаухи, «Вестник древней истории», №3-4, М. 1950, გვ. 30.

⁴ **Г. А. Халатянц**, О некоторых географических названиях древней Малой Азии, М. 1901, გვ. 7.

⁵ **Г. И. Джаукян**, Урартский и индоевропейские языки, Ер. 1963, გვ. 127.

ტორისავე აზრით, სომხური უნი-კ სუფიქსი გვიჩვენებს ასევე გვარის ან ტომის ერთიანობას და იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც გარკვეულ სამფლობელოებს ფლობენ. მაგალითად სომხური მხარეების სახელწოდებებია: *Рштуник, Хорхоруник, Безнуник* და ა. შ.¹

ზოგიერთი ავტორი, „ნახჩების“ თვითსახელწოდების პირველ ნაწილს „ნახ“, „ხალხის“ მნიშვნელობით ხსნის².

პ. ინგოროყვას აზრით, ბოლოკიდური „ხი“ ეთნიკური სახელეების დაბოლოებებში სადაურობაზე მიუთითებს. იგი, იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორც დაბოლოებანი „ელი“, „არი“ (ოდიშელი, ოდიშარი). მისივე აზრით, ქვეყნის სახელია „კოლა“, ხოლო ტომის სახელია „კოლხი“, იგივე „კოლაელი“ ანუ „კოლარი“³.

ს. ჯანაშიას აზრით, „ზმნის სუფიქსი -ხ გამოხატავს, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტურის მრავლობითობას, ხოლო იმავე წარმოშობის აფიქსი -ხა მრავლობითობას აღნიშნავს ნაცვალსახელებში. მრავლობითობის ეს სუფიქსივე, განაგრძობს ავტორი, უნდა გვევლინებოდეს კავკასიური ეთნიკის ერთი კატეგორიის მანარმოებლის როლში (მესხი, ტაოხი, ჯავახი). მისივე აზრით -ხა ჩერქეზულის ყველა კილოკავში აწარმოებს გვარის სახელებს კრებითი მნიშვნელობით⁴.

კ. წერეთელს და თ. მიქელაძეს ქართველურ და კავკასიურ ტომებში შემორჩენილი *k(q)* და -ხ დაბოლოებები იდენტურად მიაჩნიათ⁵.

¹ **Г. А. Халатянц**, О некоторых географических названиях древней Малой Азии, გვ. 5.

² **Purr**, Die heutigen Namen der Kauk., მითითებულია ნ. მარის ნაშრომიდან, *Кавказские племенные названия и местные параллели*, Петр. 1922, გვ. 19.

³ **პ. ინგოროყვა**, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 138.

⁴ **ს. ჯანაშია**, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, „შრომები“, ტ. III, თბ., 1959, გვ. 101-102.

⁵ **კ. წერეთელი**, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხის“ ისტორიისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომბე“, თბ., 1954, ტ. XV, №2, გვ. 115; **თ. მიქელაძე**, მესხთა საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 114.

ზ. ჭუმბურიძე ეთნონიმ „კოლხის“ განხილვისას აღნიშნავს, რომ „კოლხი//კოლხა“ შეიცავს სატომო სახელთა მანარმოებელ დაბოლოებას -ხა, რაც დაახლოებით დღევანდელ ქართულში სადაურობის აღმნიშვნელ „ელ“ სუფიქსს უდრის. ამგვარად, ასკვინის ავტორი, კოლხი უდრის „კოლას მცხოვრებს“, „კოლაელს“¹.

თ. გვანცელაძის აზრით, -ხ ელემენტს (აბას-ხი-ში), ტაოხი, დიაოხი, ქართული ტაოს ფონზე, რაღაც მორფოლოგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდა და მრავლობითი რიცხვის სუფიქსად მისი გამოცხადება უმართებულოა².

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „გეოგრაფიული სახელების ორ ჯგუფს დაღესტანში ბოლოკიდური -ხი, -ახ, -ოხ, -იხ, -უხ მოეპოვება. მაგალითად „კუან-ხი“, „ხარახი“, „კახი“, „შაპიხ“, მთა „ცინციხი“, „ხუნძახ“, „კახი-კალახ“, „ჩარახ“, „ხილნახ“, „ახ-ვახ“, „ტლახ“, „მოროხ“, „ჩოხ“, „ჩეტოხ“, მდ. „რეტლუხ-ხეანუხ“ ანუ „ინუხ“, „გინუხ“, მთა „უხუს-ნუხ“, „მუსრუხ“, „ანნუხ“, „ნეტუდუხ“, „მურუხ“, „ლუმუქ“³.

-ხი//ხა სუფიქსის წარმოშობის და გენეზისის გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში შემონახულ ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთა სუფიქსური წარმოებების ისეთ ფორმებს, რომლებიც ისტორიული ფორმებითა და სემანტიკით შორეულ წარსულს უკავშირდებიან. ამის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ხე//ფხე ფორმანტი. იგი ტრადიციულად ქალის მამისეულ გვარს ერთვოდა, მაგალითად ბაუჟაფხე, შაქარაფხე, ელიაფხე ... და გადმოსცემდა გათხოვილი ქალის ნათესაობისადმი კუთვნილებას, მამის გვარეულობიდან წარმომავლობასა და ვინაობას. ნათესაურ ჯგუფში რძლის

¹ ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1966, გვ. 70.

² თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზი“-სა და მასთან დაკავშირებული ფუძეთა შესახებ, კრებ. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინები, თბ., 1993, გვ. 576.

³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 54.

მამისეულ გვარეულობაზე ხე//ფხე სუფიქსის დართვა მიანიშნებდა არა მარტო ქალის თავდაპირველი სოციალური ორგანიზაციისადმი კუთვნილებას, არამედ ხაზს უსვამდა სქესსაც. მაგალითად ბაბაუჭაფხე მნიშვნელობით იგივეა, რაც ბაუჭადის ქალი¹.

აღმოსავლურ დიალექტებში ქალის სადაურობის, ვინაობის, ჩამომავლობის აღმნიშვნელად გავრცელებულია -ურ სუფიქსი (ბუჩუკური, ლუღუშაური...). დასავლურ კილოებში (იმერული) მისი იდენტურია -ულ სუფიქსი (ბრეგოული-ბრეგადის ქალი). იგივეა ზემოაჭარულში, სადაც მითითებულია არა გვარი, არამედ მამისეული სოფელი (დიდაჭარულაჲ...). -ურ სუფიქსიანი წარმოება დასავლურ კილოებსა და კოლხურში (ზანური) მეორეული ჩანს და უფრო აღმოსავლურ ქართული ენობრივი სამყაროსთვის არის ნიშანდობლივი².

ისტორიული ძეგლებიდან ფხე სუფიქსით ნაწარმოები გვარეულობები დასტურდება „ტბეთის სულთა მატიანეში“ (შარაფხე, ნიკოლაფხეშვილი გოგა), თუმცა აქ ის ყოველთვის ქალის მამისეულ გვარეულობას კი არ დაერთვის, არამედ გაქვავებულია და გვარსახელის შემადგენელ ნაწილადაა ქცეული. ასეთივეა ის ლაზურში, აჭარულსა და გურულში, რომლის გამარტივებული ვარიანტია მეგრულსა იმერულში გავრცელებული -ხე სუფიქსი (ცანავა-ცანახე და სხვა). -ხ მრავლობითობის ფორმანტად გვხვდება სვანურში³. სვანურშიც ის („ფხუ“//„ფხე“) უძველესი ჩანს, რამდენადაც გვხვდება სვანეთის სულთა მატიანეშიც-გულუაფხე (გელოვანი), რუჩეგიფხე (რუჩეგიანი) და სხვა⁴.

¹ **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, II, 1998, გვ. 3.

² **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 3-4.

³ **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 4-5.

⁴ **გ. გასვიანი**, სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე, „მაცნე“, ისტორიის სერია, №2, თბ., 1972, გვ. 115.

ხე/ფხე-ს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები განხილულია ნ. მგელაძის და მ. ფალავას მიერ. აქედან გამომდინარე, მათი ხელახალი დანვრილებითი ნარმოდგენა აქ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, თუმცა, ზოგადად, საკითხზე არსებული მიდგომები შემდეგი სახის არის: ნ. მარმა ხე/ფხე ქართულში აფხაზურიდან შეთვისებულად მიიჩნია, რამდენადაც აფხაზურში ა-ფა ვაჟს, ხოლო აფჰა ქალს ნიშნავდა. პ. ჭარაია კავშირს ხედავდა აფხაზურ ფჰა-სა და ქართულ მხევალს შორის. არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ ხე//ფხე ქართულში დაცულია მჭევ-ალ-ის პირველ ნაწილში. გ. მელიქიშვილი, მამაკაცისათვის განკუთვნილი ქართული ძე-ს ანალოგიურად ფხე//ხე-ს ქალიშვილის, ქალის აღმნიშვნელად თვლიდა, თუმცა მის ნასესხობას სხვა ენობრივი წრიდან დასაშვებად მიიჩნევდა; მას უკავშირებდა სიტყვა „მჭევალს“ და ისტორიულად იმ უძველეს ეპოქაში წარმოქმნილად მიიჩნევდა, როცა „სახლის წულები“ მონებად განიხილებოდნენ. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ ავტორები და მიიჩნევენ, რომ ხე//ფხე-ს, მხევალის, „ასულისა“ და „მონა ქალის“ მნიშვნელობით ჩამოყალიბება მეორეული მოვლენა ჩანს. თავდაპირველი უნდა იყოს ეფე//ფე//ფა, რომელიც ზოგადად შვილს აღნიშნავდა¹.

მოგვიანო გამოკვლევებში, ქართულ-კავკასიურ ენათა მონაცემების საფუძველზე ხე//ფხე უშუალოდ კოლხური ენიდან მომდინარედ არის მიჩნეული. მდედრობითობის აღმნიშვნელი მეგრული -ხე მიღებულია ხელი-საგან ლ-ს მოკვეციტ, წარმოებითა და სემანტიკით ხელი იგივეა რაც ქართული შვილი. მისი კავშირი არ გამოირიცხება შუამდინარეთის უძველეს ხალხთა ენობრივ სამყაროსთან (ო. ჭურღულია) და ეს კავშირები დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ურარტულში ხი//ხე//ხინე//ხინე „შვილს“ უნდა ნიშნავდეს (ივ. მეშჩანინოვი). ხე//

¹ ნ. მგელაძე, მ. ფალავა, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 6-7. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

ფხეს ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისები ეძებნება მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში და ოსურში¹. აღსანიშნავია ქალიშვილის აღმნიშვნელი აფხაზური აფხა, აბაზური ფხლა//ფხა, ადიღური ფხუი, უბიხური ფხა; აფხაზურში დის გამომხატველი აიახშა, აბაზურში ახსა. ხა//ხუ მორფემა აფხაზურში მიჩნეულია მდედრობითი სქესის უძველეს მანარმოებლად (კ. შაყრილი)².

ხე//ფხე-ს მნიშვნელობა განვითარების ადრეულ საფეხურზე გამანაყოფიერებელი წყლის მნიშვნელობასაც შეიცავდა. მას მიიჩნევენ ზანურ გვარსახელებში (წულეისკირი, პაპასქირი და სხვა) წყლის პროტოსემად და უდარებენ სქურ//სკურ ფუძიან ზანურ ტოპონიმებს³.

ასევე, გამოთქმულია მოსაზრება გვარსახელებსა და ტოპონიმკაში შემორჩენილი -ყვა და -ფსა ელემენტების იდენტურობის შესახებ, რომელიც წარმოშობით ჩერქეზულ სიტყვებად არის მიჩნეული, რაც ღელეს და ხევს ნიშნავს⁴. შუამდინარულ ლურსმულ დამწერლობაში წყლის წვეთს, გარკვეულწილად გააზრებულს შეეძლო გადმოეცა შობის, შემქმნელის (მამის) და შექმნილის (შვილის) ცნებები. არ არის შემთხვევითი, რომ ქართველურ და კავკასიურ ენებში მრავლად გვხვდება წვიმის, წყლის და მდინარეთა სახელწოდებებში ხე//ხი ფორმანტი⁵.

¹ **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 7. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

² იხ. **Г. В. Рогава**, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (чуркесских) языках, Тб. 1956, გვ. 33, 66-67; **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 8. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

³ **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 9. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

⁴ **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 9. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

⁵ **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 10. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

ქართულში ნყლის სემანტიკით ხე//ხი ძირისაგან ნანარმოები სიტყვებიდან ყურადღებას იქცევს ხევი, რომელსაც ანალოგიები მთის კავკასიურ ენებში ეძებნება¹. ასევე, აღსანიშნავია, რომ სიტყვა ხე უკავშირდება რუსულ „ხა“-ს სიტყვებში Швечи-ха в Собани-ха, სადაც ха ცოლს, ქალს ნიშნავს (ჯიშკარიანი)².

„ხე“ ბოლოსართთან მიმართებაში საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული რ. შენგელიას. ავტორი მას ქალური სანყისის მნიშვნელობას ანიჭებს და ძველ კოლხეთში ხის კულტის ფართოდ გავრცელების გამო „ხე“-ს მცენარის აღმნიშვნელად თვლის. მისივე აზრით, „მინა დედაა, ქალია, ხოლო ხე მინიდან ამოსული სიცოცხლეა, რომელიც თვითონვე იბამს ნაყოფს, ანუ თვითონაც დედაა“. იქვე ავტორი, დიაოხი-სა და კოლხა-ს სახელწოდებებში გამოყოფს ორ სიტყვას- „დია“ და „ხე“, სადაც „დია“ ზანურად დედას ნიშნავს, ხოლო მისი ხესთან შეერთება გვაძლევს სამშობლოს, დედა ქვეყნის მნიშვნელობას³.

ზოგიერთი მოსაზრებით, -ფხე ფორმანტი საერთოქართული ენის კუთვნილება უნდა ყოფილიყო; -ფხე სუფიქსი ქართულ გვარსახელებსა და ქალის საკუთარ სახელებში ადასტურებს იმას, რომ ქართველებს გვარები მანამდე ჰქონდათ, სანამ საერთოქართული ენა ქართულ, ზანურ და სვანურ მეტყველებებად დაიშლებოდა, ე. ი. ქართულ სინამდვილეში მოხდა გვაროვნული საზოგადოების გვარის (род) უშუალოდ გვარსახელში (фамилия) გადაზრდა⁴.

¹ **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 12. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

² **ნ. მგელაძე, მ. ფალავა**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 15. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

³ **რ. შენგელია**, მზისა და ნაყოფიერების კულტი ქართულ ყოფასა და ტოპონიმში, თბ., 2014, გვ. 57-58.

⁴ **რ. თოფჩიშვილი**, სახელების ეთნოლოგია, გვ. 295.

ასევე აღნიშნულია (ქ. ლომთათიძე), რომ -ფხე სუფიქსი მიღებულია სიტყვისაგან „მწვევალი“ („მხევალი“), რაც ქართულ წერილობით ძეგლებში უძველესი დროიდანაა დადასტურებული და „მსახურ ქალს, გოგოს“ აღნიშნავდა (ი. აბულაძე). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „მხევალი“ ნაყიდი ან ნამზითვი ქალის, ტყვე ქალის, მოახლის, ხელზე მოსამსახურე ქალის აღმნიშვნელი იყო. ზოგიერთი მოსაზრებით, „მხევალისაგან“ კი არ უნდა იყოს „ფხე“ მიღებული, არამედ, პირიქით, „მხევალი“ „ფხე“-საგან უნდა იყოს ნაწარმოები. „ფხ“ ფუძიანი სიტყვები სვანურსა და ზანურ მეტყველებებშია დადასტურებული. სვანურში ფხერ-ა, ლი-ფხერ, ლი-ფხრ-ე „თვალის გახელას“ ნიშნავს და ი. ჩანტლაძის ვარაუდით, სვანური ლექსემა „ფხ“ თავის დროზე „თვალს“, „მზეს“, „მზის თვალს“ აღნიშნავდა. მონმენდილ ცას აღნიშნავს სვანური მე-ფხე და ლაზური მა-ფხა. იგივე ფუძე გამოიყოფა ზა-ფხ-ულ კომპოზიტივშიც (ტ. ფუტკარაძე). გამომდინარე აქედან ზოგიერთი ავტორი ასკვნის, რომ „ფხ“ საერთოქართველურ ენაში თავდაპირველად მზის (ცის) აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ „ქართველების უძველესი მზის ღვთაება მდედრობითი სქესის არსება იყო“ (ვ. ბარდაველიძე) და მზისა და ცის კულტი ერთობლიობაში წარმოიდგინებოდა, „ფხე“ კომპლექსიდან ფხევალის (მხევალის) მიღება გამორიცხული არ უნდა იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ უძველესი ქართველური „ფხ“ ლექსემა (აღნიშნული გაგებით) ედოს საფუძვლად საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ფხოვისა და აფხაზეთის სახელწოდებებსაც¹.

ტერმინ ოხორუსთან და ხე//ხი სუფიქსის მატრიარქატთან კავშირზე საინტერესოა მეგრულში მოყვრობითი ნათესაობის ერთი ტერმინი, კერძოდ, ცოლის დები და ძმები, ქმრის დები და

¹ რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია, გვ. 296-297, იქვე მითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

ძმები აღინიშნება ერთი ტერმინით-ოხორასკირი//ოხოლასკირი, რომელიც უძველესი ჩანს და ნათესაობის საკმაოდ რთული კატეგორიის აღმნიშვნელად გვევლინება. რაც შეეხება ლაზურს, ნ. მგელაძის დაკვირვებით, ასეთი ტერმინოლოგიური შერწყმა ცოლის ძმისა და ქმრის ძმის ნათესაურ კატეგორიებში ვლინდება,¹ ხოლო ქართულში ცოლის ძმა და ქმრის ძმა აღინიშნება ტერმინით -„მაზლი“, ხოლო ცოლის დის და ცოლის ძმის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი -„მული“.

ი. ყიფშიძის განმარტებით, „ოხორასკირი“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „სახლის შვილს- „ოხორ“ -სახლი, „სკირი“-შვილი.²

არნ. ჩიქობავას აზრით, „ქართული სათანადო პირს ახასიათებს იმის მიხედვით თუ რა ნათესაურ ურთიერთობაშია ის ცოლთან, ჭანურსა და მეგრულში კი ნაჩვენებია ამ პირის კავშირი სახლთან, ავტორის აზრით, ცოლის ძმა წარმოდგენილია სახლის შვილად (იგივე ითქმის ცოლის დის აღმნიშვნელი სიტყვის შესახებაც-ოხორასულე-არნ. ჩ.). წარმოუდგენელია ცოლის ძმაც და ცოლის დაც ერთი სახლის შვილნი ყოფილიყვნენ და ცოლს მისი ძმებიც თან გამოჰყოლდნენ. მაგრამ, ავტორისავე აზრით, თუ ცოლის სახლს ვიგულისხმებთ, მაშინ სავსებით გასაგები იქნება, რომ ქმარმა-სიძემ „სახლის შვილი“ უწოდოს ცოლის სახლში დახვედრილ კაცებს და ქალებს, ცოლის ძმებსა და ცოლის დებს (პირველნი უცოლონი უნდა იყვნენ, მეორენი უქმროცა და ქმრებიანიც-არნ. ჩ.) თუ ეს ასეა, განაგრძობს ავტორი, საქმე გვაქვს მატრიარქატთან: ქალი ირთავს ვაჟს; ეს უკანასკნელი მიდის ქალის სახლში და იქ მას უხვდება „სახლის შვილი“ (ე. ი. ცოლის სახლის შვილი-არნ. ჩ.) ცოლის ძმა, ცოლის და სახლის ასული“.³

¹ ნ. მგელაძე, ოხოლასკირ//ოხორასკირი-ს ნათესაური ბუნებისათვის მეგრულსა და ლაზურში, კრ. ძიებანი საქართველოს ეთნოგრაფიაში, თბ., 1991, გვ. 191.

² ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, გვ. 499.

³ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 22.

ნ. მგელაძის გამოკვლევით, მოცემული ტერმინის (ობორასკირი//ობოლასკირი) „უძველესი სოციალური ფუნქცია დასაშვებია კონსტრუირებულ იქნეს გვაროვნული საზოგადოების სტრუქტურულ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე. მამაკაცი ქალის სახლში ეპიზოდურად დადიოდა, ან მუდმივად სახელდებოდა და ბუნებრივია, რომ ცოლის სამოსახლოში დახვედრილ ვაჟებსა და ქალიშვილებს ანუ ცოლის დებს და ცოლის ძმებს მოიხსენიებდა მოცემული სახლის ასულებად და სახლიშვილებად. ავტორისავე ვარაუდით, ობორასკირის სოციალური მნიშვნელობა მისი ოთხი ძირითადი კატეგორიის დამკვიდრების სახით ჩამოყალიბდა არა ფორმალური განვითარების (მატრილოკალურიდან პატრილოკალურ დასახლებაში გადასვლის საფუძველზე-ნ.მ.) ნიადაგზე, არამედ განაპირობა თვით მატრილოკალურ დასახლებაში იმთავითვე არსებულმა სტრუქტურამ. დუალურ მატრილინეალურ სტრუქტურაში, განაგრძობს ავტორი, თუ დავუშვებთ ობოლასკირის ოთხი ძირითადი კატეგორიით არსებობას (ცოლის ძმა, ცოლის და, ქმრის ძმა, ქმრის და. ნ. მ.) მაშინ საერთო სახლის ფარგლებში ერთ საქორწინო წრეში ექცევა ყველა დასახლებული კატეგორია ან უკიდურეს შემთხვევაში ერთ სახლსა და დასახლების შიგნით უნდა ვივარაუდოთ ორი ნახევრის ეგზოგამიურ-საქორწინო წრეთა არსებობა, სადაც ერთი საქორწინო წრის ანუ ნახევრის მამაკაცები პოტენციური ქმრები იყვნენ მეორე საქორწინო წრის ანუ ნახევრის ქალებისა და პირიქით. ასევე, ავტორის აზრით, მისაღებია ვიფიქროთ, რომ ობორასკირის ტიპის ნათესაობაში თავდაპირველად უნდა არსებულიყო ორი მნიშვნელობა ცოლის ძმისა და ცოლის დის სახით. ამ მოსაზრებას, ავტორი, უფრო საფუძლიანად მიიჩნევს, რამდენადაც მისი თქმით, ტერმინში ასახული ქმრის (როგორც დუალური ორგანიზაციის ნახევრის, ცალკე აღებული ეგზოგამიური წრის წევრის-ნ.მ.) პოზიცია; ცოლის ძმასა და ცოლის დას ერთი სახლის წევრებად განიხილავს. ხოლო რაც შეეხება მაზლსა და მულს, ავტორის აზ-

რით, განვითარების შედარებით გვიანდელ საფეხურზე ჩამოყალიბდნენ და ოხორასკირის ფუნქციური მნიშვნელობა გააფართოვეს და ოხორასკირის ტიპის ასეთი მნიშვნელობითი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ პატრილოკალური დასახლების ფორმირებიდან დაწყებულიყო. ოხორასკირის არქაულ მატრილინეალურ სტრუქტურაზე უნდა მიუთითებდეს მისი დასავლურ-ქართული ანალოგია სახლიშვილობა, რომელმაც კლასობრივი საზოგადოების პირობებში პატრონიმიული სტრუქტურის პატრილოკალურ დასახლებაში შემოგვინახა ნათესაობის დედის ხაზი“.¹

ჩვენი აზრით, მდებდრობითი სქესის მანარმოებელი ხე//მხე//ფხე ნაწილაკის უძველესი სემანტიკა სავსებით მართებულადაა მიჩნეული შობის ცნების იდენტურად, რომელიც კოლხურ ენობრივ სამყაროში დღემდე შემოინახა. მისი ყველაზე ახლო შესატყვისია ხალა (შობა) და სხვა მისგან ნაწარმოები სიტყვები (ო. ჭურღულია). ასევე, მისაღებია მოსაზრება, რომ ხე//ფხე-ს ანალოგიური სემანტიკა აქვს შვილს, რომლის კანონზომიერი ზანური შესატყვისია სქ(კ)ირი//სკუა და სვანური ემსგე- „ძე“, სგ-ე-ჟ „შვილი“ (ზ. სარჯველაძე)². ის ნაწარმოები უნდა იყოს ხალა „შობა“ ზმნიდან და აღსანიშნავია, რომ გ. როგავას კვლევით, სხვა ქართველურ ენებში ეს ფუძე არ დასტურდება, არც ჭანურ დიალექტშია იგი ცნობილი და ავტორი ამ ფუძის ისტორიას ძნელად დასადგენად მიიჩნევს³. მაშასადამე, ჩვენ ხე-ს საერთოქართველურ მოვლენად ვერ მივიჩნევთ და ის საკუთრივ კოლხურია.

¹ ნ. მგელაძე, ოხორასკირ//ოხორასკირი-ს ნათესაური ბუნებისათვის მეგრულსა და ლაზურში, გვ. 19, 20, 21.

² ნ. მგელაძე, მ. ფაღავა, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, გვ. 8. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

³ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1962, გვ. 26.

§ 2. მეგრული „სამოხიო“ და სვანური „სამხუბი“ (გენეზისი და სტრუქტურა)

სამეგრელოს სოფლის თემის, თუ სოფლის შიგნით იქმნება წვრილი მეზობლური გაერთიანებები, რომელიც „სამოხიო“-ს სახელწოდებით არის ცნობილი.¹

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „სამოხიო“ ეს არის ტერიტორიულად ახლო მცხოვრები ოჯახების გაერთიანება, რომელთაც ერთმანეთის მიმართ ევალებათ ურთიერთდახმარება ჭირსა და ლხინში. მასში სხვადასხვა გვარის ხალხი შედის და სრულიად არ არის აუცილებელი, რომ „სამოხიო“ მონოგენური დასახლების ხარჯზე იყოს შექმნილი; მის შიგნით ქორწინება სასტიკად აკრძალულია.

სამეგრელოში სამოხიოს შიგნით შემავალი ოჯახების რაოდენობა ყველგან ერთნაირი არ არის, მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფლების მაგალითზე სამოხიოში მეტწილად 40-დან 60 ოჯახამდე შედის, იმის მიხედვით, თუ რამდენი ოჯახი ცხოვრობს ახლო-მახლო ტერიტორიაზე, მარტვილის რაიონის სოფლებში არის 80-დან 120 ოჯახისაგან შემდგარი სამოხიოებიც, რომელსაც აქ ანაცვლებს ტერმინი „საოშო“, სიტყვასიტყვით „საასო“. ეს უკანასკნელი, უფრო საბჭოთა ეპოქაში წარმოქმნილი ტერმინი ჩანს. მაგალითისათვის, მარტვილის რაიონის მუხურჩას თემში ფიქსირებულ სამოხიოებში ასამდე ოჯახი შედის.

მიუხედავად იმისა, რომ „სამოხიო“ ყველგან პოლიგენურია, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი წევრები ერთმანეთში არ ქორწინდებიან, ე. ი. ის ეგზოგამიურია. ისინი ერთმანეთის მიმართ ვალდებულებას იჩენენ ურთიერთდახმარების ისეთი ფორმის დროს, რომელიც „ნოდი“-ს (ნადი) სახელწოდებით არის ცნობილი. რაც მთავარია, ისინი ერთმანეთის მიმართ ვალდებულნი არიან დახმარების ხელი გაუწოდონ თავიანთ წევრებს მიცვა-

¹ „სამოხიოს“ საკითხთან დაკავშირებით იხ. **დ. ჭითანავა**, ტერიტორიული თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში („სამოხიო“), კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. V, თბ., 2003, გვ. 400-414.

ლებულის გასვენების დროს, რომელიც პირველ რიგში მოსული სტუმრების გამასპინძლებას გულისხმობს; ამ დროს სამოხიოს ყველა წევრი ვალდებული იყო თავისი ოჯახიდან გაელო 2 კგ. ლობიო და 4 კგ. სიმინდი ან ლომი და ღვინო. სამოხიოს წევრებს, მიცვალებულის გასვენების დროს შეტყობინება-„გინაფა“ არ სჭირდებათ. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ერთი გვარის შიგნით მიცვალებულის გასვენების დროს შეტყობინება აუცილებელია, რაც ზოგიერთი გვარის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე განსახლებით და პატრონიმიის რღვევის შორსნასული ნიშნებით არის ნაკარნახევი.

სამოხიოს შიგნით, ქორწილის დროს მათ წევრებს შორის შეტყობინება-„დაბატიჟება“ აუცილებელია. თუ ეს ასე არ მოხდა ვინმემ ეს წესი დაარღვია, გარკვეულ ურთიერთგანაწყენებას ექნება ადგილი.

ერთ სამოხიოში შესაძლოა რამდენიმე მონოგენური უბანიც შედიოდეს. მაგალითად, ერთ სამოხიოში ერთიანდებოდნენ ესვანჯიები, მინდილაიები, რუსიები, გახოკიები (მარტვილის რ-ნი, სოფ. მუხურჩა); ასეთივეა ფიფიების, აფსაგების, ხარებაგების, ნანაგების და მირცხულავების სამოხიო, რომელთაც სასაფლაოც ერთი აქვთ და მათში შემავალი ოჯახები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაეხმარონ ჭირსა და ლხინში (ზუგდიდის რ-ნი, ყულიშკარის თემი).

სამოხიოები იქმნება ასევე მონოგენური უბნების შიგნითაც, იქ, სადაც გვართა არევა მინიმალურია. მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში-სიჭინავების, იმავე რაიონის სოფელ ჭოლაში-შენგელიების, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში-კვარაცხელიების, რომლებიც ორ, სამ და მეტ სამოხიოებადაც კი იყოფიან. ზუგდიდის რაიონის ყულიშკარის თემში როგავების დასახლება იყოფა ორ სამოხიოდ, რომელთაც სასაფლაოც ცალ-ცალკე აქვთ.

გ. ელიავა აღნიშნავს, რომ სამოხიო „ტერიტორიულად სოფელია ან სოფლის ერთი ვრცელი კუთხეა, ერთი მეჭირისუფ-

ლე უბანია. მასში შედიან რამდენიმე თურის სხვადასხვა დინოს წარმომადგენლები. აქ მეზობლობაა უპირველესი და არა სისხლით ნათესაობა. წინათ, ძალიან შორეულ დროს, როცა თური არ იყო განსახლებული და ერთ ადგილას სახლობდა, ერთ სამოხიოდ ითვლებოდა. როცა თური დინოებად დაიყო და განსახლდა, ახლა ერთი თურის სხვადასხვა დინოს მეზობლად სხვა თურის რამდენიმე დინო დასახლდა, ისინი დამეზობლდნენ და შეადგინეს სამოხიოები, სამახლობლონი, მეზობლობით საჭირისუფლო“.¹

თვითონ ის ფაქტი, რომ სამოხიო შეიძლება შეიქმნას მონოგენური უბნის თუ სოფლის შიგნით, მიუთითებს იმაზე, რომ ის წარმოქმნილია იმ დროს, როდესაც გვარის პატრონიმიული ერთობა დარღვეულია, განსახლებულია დიდ ტერიტორიაზე, ურთიერთვალდებულებები შესუსტებულია, ხოლო შემდგომში კი ამ ტერიტორიაზე, ანუ ერთი გვარით დასახლებულ ტერიტორიაზე მეზობლად ან მის შიგნით (ჩასიძების წესით და ა. შ.) სხვა გვართა ჩამოსახლების შედეგად მათ შორის იქმნება მტკიცე მეზობლური ურთიერთობები, რომელიც ტერიტორიულ სიახლოვეში პოულობს გამოხატულებას. ამის შედეგად მის შიგნით მტკიცდება ეგზოგამიის წესი და საბოლოოდ ფორმდება ერთ მთლიან ორგანიზმად, რომელიც სამეზობლო თემის ნიშნებს ატარებს.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით გ. ელიავას იმაში, რომ სამოხიოს წარმოქმნა ხდება მაშინ, როდესაც ირღვევა „თური“-ს (გვარის) ერთიანობა ერთი დასახლების შიგნით, მაგრამ ასევე ჩნდება კითხვები: დაახლოებით როდის, რა პერიოდში ხდება სოფლის მონოგენურობის რღვევა და შესაბამისად (თუ ჩვენ სამოხიოს ამ მოვლენის შედეგად წარმოქმნილად მივიჩნევთ) სამოხიოს, როგორც სოციალური ორგანიზმის ტერიტორიულ ერთობად ჩამოყალიბება და თვითონ ამგვარი სახელწოდების დასახლების

¹ გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო (ალბომი), მარტვილი, 1989, გვ. 114.

ერთეულის წარმოქმნა სამეგრელოს მაგალითზე? და მეორე, წარმოადგენდა თუ არა სამოხიო, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, უფრო ფართო დასახლების აღმნიშვნელ ერთეულს სამეგრელოს მაგალითზე, თუ ის ყოველთვის დღევანდელ დღეს ფიქსირებულის მსგავსი, ვინრო დასახლების აღმნიშვნელი იყო?

ო. ქაჯაია „სამოხიო“-ს შესახებ აღნიშნავს, რომ სამეგრელოში „ყველა სოფელი დაყოფილია სამოხიოებად. დაყოფა პირობითია და საფუძვლად ტერიტორიული პრინციპი უდევს. სამოხიოში თუ ვინმე გარდაიცვლება, ჭირისუფალი სამოხიოს ყველა ოჯახს ინვესს; ისინი ვალდებულნი არიან გასვენებაში მივიდნენ და „გადასახურავი“ („გინაფორალი“) ფული მიიტანონ. როგორც ჩანს, ადრე სამოხიოში შედიოდნენ გვარის შტოს წარმომადგენლები. მაგრამ გვარის წარმომადგენლები დაიშალნენ, სამოხიო კი ძალაში დარჩა. ამჟამად სამოხიოში შედიან სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები, გადამწყვეტი გახდა ტერიტორია“.¹

მეგრული „სამოხიო“-ს მაგალითზე საფიქრებელია, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს „პირველყოფილ კოლექტივიზმთან“. სამოხიო არ წარმოადგენს იმ სახის რთულ სოციალურ ინსტიტუტს, როგორც ეს დადასტურებულია საქართველოს მთიანეთში არსებული ტერიტორიული თემების მაგალითზე, ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდისათვის, როცა ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული მასალით შეიძლება აღდგეს.

რ. ხარაძის აზრით, სოფლის განსახლებაში გვაროვნული ხასიათის გადმონაშთები თანდათანობით ისპობოდა და ამის ნაცვლად იქმნებოდა მეზობლური ურთიერთობებით შემდგარი გაერთიანებებით გამტკიცებული უცხო გვარებისაგან შემდგარი გაერთიანებები.² ეს მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად და, ვფიქრობთ, მეზობლური ურთიერთობებით გამტკიცებული

¹ ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002, გვ. 574.

² რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. IV, ნაკვ. 2, თბ., 1959, გვ. 178.

უცხო გვარებისაგან შემდგარი გაერთიანებების წარმოქმნის მიზეზი კლასობრივი საზოგადოების პირობებში, გვაროვნული ხასიათის გადმონაშთების თანდათანობით მოსპობა არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც „სოფლის გვაროვნებათა მიხედვით განსახლება“ (და არა გვაროვნული) სრულებით არ ნიშნავს „გვაროვნული“ ხასიათის დასახლებას და მასში გვაროვნული ხასიათის გადმონაშთების აღმოჩენის შანსი უმრავლეს შემთხვევაში მინიმალურია. მეორე მხრივ, პოლიგენური დასახლების წარმოქმნის მიზეზები გვაროვნული საზოგადოების უკვე კარგა ხნის დაშლის შემდგომ არსებულ ფორმაციებში უნდა ვეძებოთ, რაც ზემოთ წარმოდგენილი მასალის გარდა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქრილში და მიგრაციული პროცესების უფრო ღრმად შესწავლის შემდეგ გახდება ნათელი.

მეგრული „სამოხიო“, როგორც თავისი სოციალური მნიშვნელობით და დანიშნულებით, ასევე ფონეტიკური სახესხვაობით, კავშირს ამჟღავნებს გურიის მაგალითზე სოფლის შიგნით არსებულ მეზობლურ ერთეულთან, რომელიც სახევისკაცო//სახეისკაცოს სახელწოდებით არის ცნობილი. გურიაში ერთი უბანი ერთ „სახეისკაცოს“ შეადგენდა, ხოლო „ხევისკაცი“ ხევის ცალკეულ წევრს ნიშნავდა.¹ ვფიქრობთ, ამის მსგავსია იმერეთის მაგალითზე ცნობილი „მეხევე“, რომელსაც ვ. ბერიძე ამგვარად განმარტავს: სატირალში მოსულნი ქირისუფლის ნათესავთა და მოყვარეთა გარდა სხვა მცხოვრებნი იმა სოფლისა, მეხევენი „გადასახურავს“ იხდიან მხოლოდ ათ შაურს“.² ამ საკითხთან მიმართებაში, ასევე საინტერესოა ოკრიბაში ფიქსირებული ტერმინი „ხეიბარი“, რომელიც, გ. გოცირიძის აღნიშვნით, ხევის უფროსს, წინამძღოლს ნიშნავს, ხოლო ტერმინი ხევი „მათი სოფლის ერთობას“.³

¹ გ. ცეცხლაძე, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991, გვ. 65-66.

² ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПБ. 1912, გვ. 80-81.

³ გ. გოცირიძე, რელიგიური დღესასწაული ჯვარობა ოკრიბაში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. II, თბ., 1985, გვ. 183.

„სამოხიო“, თავისი შინაარსით, ახლოს დგას ქართულ „ხევ“-თან და სვანურ „ჴეჴ“-სთან.

გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ტერიტორიულ პრინციპზე დამყარებული საზოგადოებრივი გაერთიანებების გამომხატველი ტერმინი „ჴეჴ“-ი სვანეთში ვინრო და ფართო მნიშვნელობითაა დადასტურებული. პირველი, ერთ ხევში მდებარე სოფელთა გაერთიანებას გულისხმობს, ხოლო მეორე, მთელი სვანეთის გაერთიანების გამომხატველია. იგი „ერთობილი სვანეთის „ჴეჴ“-სა თუ „ბედნიერი სვანეთის „ჴეჴ“-ის სახელითაა ცნობილი“.¹

მითითებული ნაშრომის მიხედვით, „ჴეჴ“ ქართულიდან არის შესული სვანურში არა უგვიანეს X-XI საუკუნეებისა იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ქართულში ჰქონდა,² ხოლო საერთოდ ფეოდალიზმის მთელ მანძილზე საქართველოში „ჴეჴ“ ადმინისტრაციულ-საგამგებლო ერთეული იყო.³

ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, „ქართული სოფლები ხევისპირულნი გახდნენ მას შემდეგ, რაც მორწყვა მათთვის უმთავრესი მნიშვნელობის სამეურნეო საქმიანობა შეიქმნა. ამიერიდან ქართულში სოფელი ხევს მიეკრა და მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია თუ საიდან მოდის ის ფაქტი, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია, მთელი მოსახლეობა ხევებად და მოხევეებად დაიყო. გამოდის, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ხევებად მისი სამეურნეო განვითარების სახეობის შედეგია“.⁴

¹ რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 65.

² რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 71.

³ დ. გოგოლაძე, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.), თბ., 1992, გვ. 8.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1991, გვ. 181.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჴეობა, „ერთ(ს) წყალზე(დ) მრავალ(ი) მოსახლეს („მოსახლეობას“, ს.-ს. ორბელიანი) ნიშნავს,¹ ხოლო ჴევი, „ღელეთ უდიდესს“.² მისივე განმარტებით, ღელედ ითქმის „ჴევი მცირე“, ხოლო „ჴევი მისა უდიდესსა და ღრმას და წყალოვანებითაცა მეტ და ნაღვარევი-ღელე ჴმელი თვინიერ ღვარისი“.³

ფშავში, „ხევ“-ი პატარა მდინარეს ნიშნავს, ხოლო „ჴევ-ჴმელ“-ი წყალსა და ხმელეთს, მთელს ქვეყანას, დედამინას“.⁴ ქიზიყურ დიალექტზე „ჴევი“-„წყალნატარ ადგილს, ნაღვარევის, ღორღიან ადგილს, კაჭრეთს და ღვარს ნიშნავს“.⁵

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ხევი „მდინარის ღრმა კალაპოტია მთებში“.⁶

ენათმეცნიერთა განმარტებით, ქართული ჴევეს//ხევი-ს შესატყვისისა მეგრული „ხაბ//ხაბ“-ო და მათივე აზრით, ისმის კითხვა ქართულ „ხევ“ და სვანურ „ჴეჴ“ ფორმათა ურთიერთმიმართების შესახებ.⁷

ჩვენი აზრით, „სამოხიო“-ში გამოიყოფა -სა პრეფიქსი (რომელიც გეოგრაფიულ სახელწოდებათა და გვარების მანარმოებელია), და -მო ზმინსნინი, საიდანაც გვრჩება ძირეული „ხ“, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს ქართულ ხ-ევ-თან, გურულ სა-ხ-ევისკაცო//სა-ხ-ეისკაცოსთან და იმერულ მე-ხ-ევე-სთან. ამდენად, ვფიქრობთ, რომ „სამოხიო“ შეიძლება „სამოხევის“, „სახეოს“ მნიშვნელობით აღდგეს, რომელიც გარკვეულ „მტკი-

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1991, გვ. 440.

² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, გვ. 438.

³ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, გვ. 249.

⁴ ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 768.

⁵ ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 768.

⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რედ. არნ. ჩიქობავა, თბ., 1986, გვ. 577.

⁷ ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 495.

ცედ განსაზღვრულ, დასახლებულ ტერიტორიას უნდა ნიშნავდეს“, ხოლო რაც შეეხება სიტყვა „სამოხიო“-ში ძირეულ „ხ“-ს ანუ „ხი“-ს გამოყოფის ფაქტს (ამ სახით მის ხევთან კავშირს), ვფიქრობთ, უფრო ადრინდელ ეპოქაში მივყავართ, რომელიც ქართულ ეთნოტოპონიმიკურ მანარმოებლებშიც აისახა, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და ის გვარის აღმნიშვნელ ერთ-ერთ უძველეს ქართველურ ტერმინად მიგვაჩნია¹. მაშასადამე, „სამოხიო“, სამეგრელოს მაგალითზე, მონოგენურად დასახლებული სოფლის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. მორფოლოგიურად ის ჯეგ-ის იდენტურად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა შენიშნულია ისიც, რომ გვიანფეოდალურ ხანაში, კერძოდ კი XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, იმერეთის სამეფოში „ხევი“ თითქოს ხმარებიდან გამოდის და მას სიტყვა „თემი“ საბოლოოდ ცვლის.² ეს იმაზე მიანიშნებს, რომ „სამოხიო“-ს მნიშვნელობა და ფუნქცია თანდათანობით ვინროვდებოდა, რაც ვინრო სამეზობლოების სახით ამ ბოლო დრომდეც შემორჩა სამეგრელოში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯეგის, სამოხიოს და მის მსგავს სხვა დასახლების ერთეულთა სახით, უძველეს ტერმინებთან გვაქვს საქმე, რომელთა სოციალური მნიშვნელობის შესწავლას გვაროვნულ ეპოქაში მივყავართ.³ მეორე მხრივ, როგორც სამოხიო, ისე თემი, თავდაპირველი მნიშვნელობით მონოგენური დასახლების აღმნიშვნელი ტერმინები იყო და მათი ფუნქციები სწორედ გვიანფეოდალური ხანიდან უნდა შეცვლილიყო და აქ ისინი ერთიმორეს კი არ ცვლიან, არამედ სხვადასხვა მნიშვნელობებს იძენენ, რაც ბოლო დრომდე შემორჩა კოლხურ სოფელში.

¹ ამ საკითხზე და დასახლების აღმნიშვნელ სხვა მსგავს უძველეს ქართულ ტერმინთა შესახებ, იხ. **დ. ჭითანავა**, დასახლების აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. VIII, თბ., 2004, გვ. 178-209.

² **თ. ბერაძე**, სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. 81, №1, თბ., 1976, გვ. 225.

³ **დ. ჭითანავა**, დასახლების აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, გვ. 178-209.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ „სამოხიო“ – სამოხევეო//სახეოს მნიშვნელობით შეიძლება აღდგეს, რომელიც გარკვეულ მტკიცედ ლოკალიზებულ დასახლებულ ტერიტორიას უნდა ნიშნავდეს და მის კავშირს ოხორუ//სახლი//მუხური//მხარე სიტყვებთან გვავარაუდებინებს, როგორც ძირეული -ხ მორფემა, ასევე მათი აზრობრივი მნიშვნელობათა იდენტურობა, კერძოდ „მოსახლეობა“, „სიმრავლე“, „წყალი“ რესპ. „მინა-წყალი“, „ხმელეთი“, „დედამინა“, „ტერიტორია“, და ა. შ.

მორფოლოგიური და სემანტიკური იდენტობების თვალსაზრისით საინტერესოა ადიღური ხьань, და ყაბარდოულ-ჩერქეზული хьаньэ, „სოფლის“ და „აულის უბნის“ მნიშვნელობით. ეს სიტყვები ანთროპონიმებსაც დაერთვის ადიღური Бэрдэжхьань და ყაბარდოული Батэхьань-ს სახით¹.

ასეთივეა ჩაჩნურ-ინგუშური „დასახლების“ და „სოფლის“ აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი **p̄haa** და ბაცბური **p̄hae** (რომელიც ბაცბურში დღესაც არის შენარჩუნებული) და როგორც ენათმეცნიერი კ. ჩოკოვი აღნიშნავს, ეს ტერმინი, „გვაროვნული ურთიერთობების დროინდელი უნდა იყოს“².

სამოხიოსა და ხევთან კავშირში მყოფ გვარის აღმნიშვნელ უძველეს ტერმინზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სვანური სამხუბ//ლამხუბი³.

ქართველურ ტომებში გვარის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი სწორედ სვანურს უნდა შემოენახა სვანური ლამხუბ//სამხუბის ფორმით.

სვანეთში ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, სამხუბი წარმოადგენს არა თუ ე. წ. პატრონიმიულ ერთეულს, არამედ უფრო ვრცელ სოციალურ უჯრედს

¹ Дж. Н. Коков, Адыгская (черкеская) топонимика, Нальчик, 1974, გვ. 37.

² К. З. Чоква, Строительная лексика в вайнахских языках, иберийско-кавказский этнолингвистический сборник, т. II, тб., 1975, გვ. 172.

³ Д. Читанова, Для значений Сванского Самху-Ламхуба, историко-этнолингвистический сборник, т. XVI, тб., 2014, გვ. 183-190.

გვარს. იგივეა ლამხუბი, რომელიც ტერმინ სამხუბის ქვემოსვანური დიალექტური სახესხვაობაა (ლა=სა).

რ. ხარაძის მასალებით, თითქოს სვანური გვარი სისხლით ნათესაობის გამომხატველ ნორმებს არ შეიცავს და არ ახასიათებს ეგზოგამიურობა და მხოლოდ ერთ სამხუბიანი გვარები არიან ეგზოგამიურნი. ამ ფაქტს, ავტორი, გვარის ერთი შტოს წარმომადგენლის მეორე შტოს „მონაყიდედ მიჩნევით ხსნის¹. სამხუბის შიგნით ქორწინების ფაქტები, ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, თუმცა ეს არ არის აუცილებელი ხდებოდაც ყველა მრავალშტოიან გვარში, რამდენადაც ასეთებიც ინარჩუნებენ ეგზოგამიურობას, რომლის ცალკეულ დეტალებზე მსჯელობა ამჯერად შორს წაგვიყვანდა. რ. ხარაძის კვლევით, დიდი გვარი სვანეთში სისხლითნათესაობის მიხედვით ცალკეულ ჯგუფებად, ანუ საძმოებად ე. წ. „სამხუბ“-ებად ნაწილდება. მისივე აღნიშვნით, თითოეული ჯგუფი თავისი საერთო წინაპრისაგან მომდინარეობს და მისივე სახელს ატარებს. სამხუბი კიდევ შედგება ცალკეული მუხლები-სა ანუ ნათესაური ჯგუფებისაგან, რომლებიც აგრეთვე თავიანთი წინაპრის საკუთარ სახელს ატარებენ².

რ. ხარაძის მოსაზრებით, თითქოს ისე გამოდის, რომ სვანური სამხუბი წარმოადგენს არა თუ გვარს, საგვარეულოს, არამედ ერთ გარკვეულ გენეალოგიურ ჯგუფს, რომლებიც, გვარის შიგნით შესაძლოა იყოს რამოდენიმე, ან ერთი (ერთსამხუბიანი და მრავალსამხუბიანი). ამგვარი მიდგომა თვით სიტყვა სამხუბის მნიშვნელობიდან გამომდინარე (რომელსაც რ. ხარაძე მხოლოდ და მხოლოდ საძმოს მნიშვნელობას ანიჭებს და არა გვარის როგორც სისხლითნათესაური ერთეულის) დაზუსტებას მოითხოვს. სამხუბის გვარის დანაყოფებთან, ანუ პატრონიმიულ ერთეულთან გაიგივება არ მიგვაჩნია მართებულად

¹ რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1935, გვ. 17.

² რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, გვ. 18.

და ის, ჩვენი აზრით, უფრო დიდ სოციალურ ერთეულს, გვარს ნიშნავდა. ჩვენს მიერ სვანეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, საგვარეულოს (სამხუბის) შიგნით არსებულ ცალკეულ დანაყოფებს, რომელიც აერთიანებს 4-5 და 6-7 თაობის შთამომავლებს, და რომლებიც საერთო წინაპრის საკუთარი სახელის (შესაძლოა სახელწოდება ადგილის მიხედვითაც დარქმეოდა) მიხედვით განირჩევიან სხვა თავიანთი თანამოგვარეებისგან, ეწოდება არა სამხუბი, არამედ „თემი“. მაგალითად, სუბელიანების სამხუბი („საძმო“) იყოფა შემდეგ თემებად: ბაყთეშერები, სანთიშერები და გუაშერები. ბაყთეშერების მომდევნო დანაყოფი მესამე თაობის წინაპრის მიხედვით უკვე იწოდებიან რომანოზებად. მათ შორის ქორწინება დაუშვებელი იყო. ტერმინი „თემი“ ამ სახის გენეალოგიური ერთეულის აღმნიშვნელად საქართველოს მაგალითზე სხვაგან არ დასტურდება და ის ყველგან დიდ ტერიტორიულ-მეზობლურ, ანუ პოლიგამიურ ერთეულს აღნიშნავს. ჩვენი აზრით, მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო მეგრულში დიდი ოჯახის აღმნიშვნელი, რელიქტის სახით შემორჩენილი „თი“ ლექსიკური ერთეულის იდენტური, რომლისგანაც ნაწარმოებია მეგრულში გვარის აღმნიშვნელი ტერმინი „თური“¹. სწორედ ამ სახის დანაყოფებთან უნდა გვქონდეს საქმე სვანური თემების სახით, რომელიც სვანური სამხუბის შიგნით გენეალოგიური ჯგუფების აღმნიშვნელია და უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა, ვიდრე სამხუბი, ანუ გვარი. მისი იდენტური უნდა იყოს ადიღური ტამ-ე (თამ) რომელიც იქ „აულის ნაწილს“, „უბანს“ ნიშნავს².

¹ დ. ჭითანავა, პატრონიმია და გვარი სამეგრელოში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. V, თბ., 2002, გვ. 322-344. მისივე, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VII, გვ. 287-333.

² Г. Погава, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в Адыгских (Черкесских) языках, Тб. 1956, გვ. 4.

როგორც ზემოთ გამოჩნდა, უძველეს ქართულ ლექსიკაში გვარის აღმნიშვნელი ტერმინი იყო „სახლი“. მისი შესატყვისია მეგრული „ოხორე“, სადაც გამოიყოფა ძირეული -ხ ელემენტი, რომელიც გვაქვს დასახლების ისეთი დიდი ტერიტორიულ-სამეზობლო ერთეულების აღსანიშნავად, როგორიცაა მეგრული სამოხიო¹, გურული სახევისკაცო//სახეისკაცო, იმერული მეხევე, სვანური ჴეჟ და ქართული ხევი. იმავე ძირისაა მეგრული „მუხური“-მხარე. ამ ლექსემების ძირეული -ხ ელემენტი უნდა გვქონდეს ქართველურ, საერთოდ იბერიულ-კავკასიურ და მათთან მონათესავე (ხური-ურარტულ) ეთნოტოპონიმკური მანარმოებელი ხი-ს (ხი, ხა) სახით, რომელიც არა მარტო მრავლობითობის და კუთვნილების მნიშვნელობის სუფიქსია, არამედ როგორც ცალკე მდგომი გვაროვნული ეპოქის დროინდელი ლექსიკური ერთეული, ის აღნიშნავდა გვარს, ტომს, ხალხს, ქვეყანას, მიწა-წყალს, მხარეს. მისი შესატყვისები იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკაში, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური მნიშვნელობებით საკმაოდ ბევრია. ხი სუფიქსი ასევე აწარმოებს ქართულ გვარსახელთა გარკვეულ ნაწილსაც².

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გვარის აღმნიშვნელი უძველესი ძირეული -ხ ელემენტი გვაქვს სვანურ სა-მ-ხ-უბ//ლა-მ-ხ-უბ-ში, რომელიც კონკრეტულად გვარის აღმნიშვნელად (და არა პოლიგენური დასახლების) აქ შემოინახა დღესაც ცოცხალი სიტყვის ფორმით. სწორედ ამ

¹ დ. ჭითანავა, ტერიტორიული თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში („სამოხიო“), კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. V, თბ., 2005, გვ. 400-414.

² დ. ჭითანავა, დასახლების აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VIII, თბ., 2003, გვ. 178-209. მისივე, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 287-326.

საგვარეულო ერთეულში გარკვეული სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებათა გამო ერთიანდებოდნენ სხვადასხვა მცირე გვარები „ძლიერი“ გვარის მფარველობის ქვეშ, რაც, რიგ შემთხვევაში, მის ეგზოგამიურობას არღვევდა. ისეთი გვარის (სამხუბის) შიგნით კი, სადაც მისი ცალკეული დანაყოფები (თემები-გენეალოგიური ჯგუფები) აღიარებენ საერთო წარმომავლობას, ქორწინება აკრძალული იყო. სამხუბ//ლამხუბი, ისევე, როგორც სამოხიო//სახევისკაცო, თავის დროზე ეგზოგამიური ერთეული უნდა ყოფილიყო. ეგზოგამიურობა სვანეთში პერიოდულად ხშირად ირღვეოდა ერთი გვარის შიგნით სხვადასხვა გვარის შეკედლების მიზეზით, რასაც მათი ისტორიული მეხსიერება განაპირობებდა. თუმცა, ამ ფაქტს ეგზოგამიის დარღვევასაც ვერ დავარქმევთ, რამდენადაც ისინი მიუხედავად სამართლებლივ დოკუმენტებში თანამოგვარეებად ფიქსირებისა, თავის დროზე სხვადასხვა გვარისანი (სხვადასხვა თემის) იყვნენ. სამეგრელოში კი სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა მონოგენურ უბანში უცხო გვარის ჩამოსვლით გვარის შეცვლა, ანუ დამხვედურთან შეკედლება არ ხდებოდა. ამავე დროს, მიუხედავად სოფლის პოლიგენურობისა, რაც გვიანდელი მოვლენაა-სამოხიო მაინც ეგზოგამიური დარჩა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. მეგრული „ოხორუ“, ქართული „სახლი“ და სვანური „ქორ“ ნიშნავს, როგორც საცხოვრებელ ნაგებობას, „კარ-მიდამოს“, ისე „მოსახლეობას“ და „ხალხს“.

2. ოხორუ//სახლში გამოიყოფა ძირეული -ხ, რომელიც უძველესი ლექსიკური ერთეული ჩანს. ოხორუ//სახლის ზემოთ წარმოდგენილი მნიშვნელობები კარგად ჩანს მეგრულ „მუხურსა“ და ქართულ „მხარეში“, რომელიც „კუთხეს“, „მხარეს“ და „ქვეყანას“ ნიშნავს და როგორც ოხორ//სახლში, აქაც ძირეულია -ხ მორფემა. სიტყვა „მუხური“ მრავლად არის შემორჩენილი სა-

ქართველოს ტოპონიმოლოგიაში და მას შესატყვისები მოეპოვება იბერიულ-კავკასიურ ენებში „ქვეყნის“, „მხარის“, „სამყაროს“, „მინის“ მნიშვნელობით.

3. ქართველური ხორ// ოხორუ //სახლი//ქორ//მუხური// სამოხიო//სახეისკაცო//სახევისკაცო//წეჲ//ხევი ფონეტიკურ-აზრობრივი მნიშვნელობით იდენტურია და აღნიშნავს „ქარ-მი-დამოს“, „საცხოვრებელ ნაგებობას“, „ხალხს“, „გვარს“, „მოსახლეობას“, „მხარეს“, „კუთხეს“, „მინა-წყალს“, „სოფლის კუთხეს“, „დასახლების გარკვეულ მტკიცედ განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულს“; მსგავსი შესატყვისებით მოიპოვება იბერიულ-კავკასიურ ენებში (ჩაჩხურ-ინგუშური, აფხაზურ-ადიღურში, ნახურ-დაღესტანურში), „ველის“, „მინდვრის“, „სახლის უფროსის“, „ტერიტორიის“, „ვაკის“, „დასახლების“, „სოფლის“, „მინა-წყლის“, „სამშობლოს“, „ბუდის“, „ცხოვრების“, „დაბის“, „თავშესაფრის“ მნიშვნელობით.

4. ძირეული -ხ ელემენტი უნდა გვექონდეს იბერიულ-კავკასიურთან გარკვეულ ნათესაობაში მყოფ ძველალმოსავლურ (ხური-ურარტულ) ეთნოტოპონიმოლოგიურ დაბოლოებებში არა მარტო როგორც კუთვნილების და მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსის მნიშვნელობით, არამედ როგორც ცალკე მდგომი ლექსიკური ერთეული, რომელიც თავდაპირველად ნიშნავდა „ქვეყანას“, „მხარეს“, „მინა-წყალს“, „გვარს“ (კოლ-ხი-კოლას ქვეყანა, მხარე, მინა-წყალი, გვარი, რესპ. ერთი გარკვეული ტომობრივი, ნათესაური კავშირი).

5. ვფიქრობთ, ხი-ს ცალკე ლექსიკურ ერთეულად გამოყოფის საფუძველს კიდევ ერთი გარემოება იძლევა. როგორც ცნობილია, საქართველოს ტოპონიმოლოგიაში მრავლად არის შემორჩენილი თი-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები (უმთავრესად დასავლეთ საქართველოში), რომელთა უმრავლესობა საკუთარი სახელისაგან არის ნაწარმოები. მისი იდენტურია ცალკეული ქვეყნების თუ მხარეების დაბოლოებებში შემორჩენილი და დღესაც ცოცხალი ეთ/თა სუფიქსები (მაგ.

მესხეთი, იმერეთი, სვანეთი და სხვ.), მაგალითად „მეს-ხ-ეთ-ში“ ჩვენ გვაქვს ორმაგი ხ//ეთ-თა სუფიქსური წარმოება. ეს უკანასკნელი ეთ/თა სუფიქსის ფორმა თი თითქმის ჩვენს დრომდე მეგრულს შემორჩა, როგორც ცალკე მდგომი ლექსიკური ერთეული, რაც „ოჯახს“, „სახლ-კარობას“, „გვარს“, „მოსახლეობას“ და „სახლს“ ნიშნავს. ასეთივე დანიშნულების უნდა ყოფილიყო თავის დროზე უძველესი ეთნოტოპონიმის მანარმოებელი -ხი სუფიქსი ანუ ცალკე მდგომი ლექსიკური ერთეული, რომელიც საერთო იყო ქართველურ-იბერიულ-კავკასიური და ხურიურარტული სამყაროსათვის.

6. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ -ხი სუფიქსი მეტად გავრცელებული ყოფილა ქართულ გვარსახელებშიც ორმაგი წარმოებით, ისეთებში, როგორიცაა: კობა-ხი-ძე//კობა-ხი-ა, კომა-ხი-ძე, სხულუ-ხი-ა, კორძა-ხი-ა, პერტა-ხი-ა, გოგო-ხი-ა, კუჭუ-ხი-ძე, ბობო-ხი-ძე, ჩომა-ხი-ა, კვინი-ხი-ძე, სადაც უძველესი ხ//ხი და გვიანდელი „ძე“ წარმოება ერთი და იმავე (საგვარეულო, შთამომავლობა, სახლი და ა. შ. -დ. ჭ.) მნიშვნელობისაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგი -ხი-ზე დაბოლოებული ქართველური ტომის თვითსახელწოდება პირდაპირ გვარ-სახელადაც იხმარება. მაგალითად: მეს-ხია, მეს-ხი, მეს-ხი-შვილი, ჯავა-ხი-შვილი, ჯავა-ხა-ძე, ჯავა-ხი-ძე, ჯავახი-ა და როგორც ენათმეცნიერი გ. როგავა მიუთითებდა -ხი ძველისძველი სუფიქსი ჩანს, რომელიც მოქმედი ყოფილა მაშინაც, როცა დაიწყო ბერძენი და ქართველი ტომების შეხვედრა¹. ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ მიუთითებს მის უძველესობასა და ქართველური, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური და მათთან მონათესავე ძველალმოსავლური ეთნოსებისადმი კუთვნილებაზე, რაც ზემოთ განხილულ

¹ გ. როგავა, ზოგიერთი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, ქუთაისი, 1995, გვ. 6-8; საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ. მ. სანაძე, ზოგიერთი გვარის წარმოებისათვის „ტბეთის სულთა მატთანში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, თბ., 1985, გვ. 135-138.

ქართველური დასახლების აღმნიშვნელ სიტყვებთან უდავო კავშირშია.

7. ხი//ხა სუფიქსის უძველესობას და თავდაპირველი მნიშვნელობას ხსნის მეგრულში მისი მდებრობითი სექსის სუფიქსად შემორჩენილობა, რომელიც კოლხურ გვარსახელებს ერთვის-ხე-ს სახით (მაგალითად, ჯაბუას ქალი იქნება ჯაბხე//ჯაბუხე, შენგელიასი-შეგელხე და სხვ.). აქედან გამომდინარე, ის გვარის აღმნიშვნელ მატრიარქატის დროინდელ ტერმინად უნდა მივიჩნიოთ.

8. ზემოთ წარმოდგენილ სიტყვებს, პარალელები მოეპოვება ინდოევროპულ ენებშიც, რომელიც თითქმის იმავე ფონეტიკური და აზრობრივი მნიშვნელობებით გვხვდება, თუმცა მათი ინდოევროპულობის დასამტკიცებლად არავითარი არგუმენტი არ არსებობს. ზემოთ წარმოდგენილი მასალის გათვალისწინების საფუძველზე უფრო დასაშვებად და რეალურად მიგვაჩნია ეს უძველესი ძირის მქონე სიტყვები ქართველური და ზოგადად იბერიულ-კავკასიური ენობრივი სამყაროს კუთვნილებად მივიჩნიოთ.

9. თუ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ოხორ//სახლი//ქორი//მუხური//მხარე//სამოხიო//სახვეისკაცო//სახეისკაცო//ხევი-ს თავდაპირველ მნიშვნელობათა შესახებ სწორია, მაშინ, ვფიქრობთ, უფრო ადვილი იქნება „ხორ“ ფორმის შემცველი ტოპონიმების ინტერპრეტაცია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება: „კლუხორი“¹, „ჩიხორი“², „ხორენია“ (ჯავახეთში)³, „ხონოხორი“ (სათიბი ხორშში), „ხორგა“ (ხობის რ-ნის სოფელი), „ხორგული“ (ადგილი სოფ. ფოცხო-

¹ გრ. ზარდალიშვილი, კლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიულ სახელთა დადგენისათვის, გვ. 145.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ტ. I, თბ. 1971, გვ. 16.

³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ტ. I, გვ. 16-17.

ში), „ხორგიში“ (სოფ. სენაკის რ-ნი), „ხორგიში“ (საძოვარი სოფ. თეკლათში), „ხორში“ (სენაკის რ-ნში), „ხორშილი“ (ღელე სოფ. ცაიშში), „ხორხიშ(ი)“ (ტყე სოფ. ჭალეში)¹; „ხორნაბუჯი“ (ციხე-სიმაგრე წითელწყაროს რ-ნში, თამარის ციხე), „ხორანთა“²; „ხორჯინა“ მდინარე ტოლებში, ერთვის ხევისწყალს)³; „სახორისხევი“ (დუშეთის რ-ში, სოფელი ანისში, ღელეს სახელწოდებაა)⁴; „ხორეთი“ (ჩოჩხათის თემი), „ხორეთი“ (ტყე წითელგორაში), „ხორეთა“ (ადგილი, ტყე, საძოვარი ორაგვეთში), „ხორიე“ (გორაკი ორაგვეთში), „ხორისოული“ (ადგილი ჭანეთში, ზემო ონჭიკეთში), „ხოროჯინა“ (მდ. ტოლებში, ერთვის მდ. ხევისწყალს), „ხორ-ცისმერა“ (სათიბი ჭანეთში), „ხორციულა“ (მდინარე გოგოურში), „ხოხი“ (ადგილი, კლდე, წითელგორში)⁵.

¹ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 103-104.

² ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, IV, თბ., 1982, გვ. 81.

³ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1990, გვ. 86.

⁴ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, IX, თბ., 1995, გვ. 10.

⁵ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, VIII, თბ., 1993, გვ. 57.

თავი III

პატრონიზია და გვარი სამეგრელოში

§ 1. -თი//თა სუფიქსები და „თური“ (გენეზისი და სტრუქტურა)

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა თი-თა და მისგან ნანარ-მოები „თური“ ლექსიკური ერთეული, რომელიც გვართა და პატრონიზიულ დაბოლოებებში შემოგვრჩა და ბოლო დრომდე დამოუკიდებელი სიტყვის სახით გვქონდა მეგრულში. ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრება არსებობს.

ვ. თოფურია, „თა“ სუფიქსს ქართულ ნიადაგზე წარმოშობილ მრავლობითი რიცხვის ნათესობითი ბრუნვის დაბოლოებად მიიჩნევდა, რომელსაც „დროთა განმავლობაში ადგილის სახელის სუფიქსობის ფუნქცია დაუკავშირდა“¹.

ს. ჯანაშიამ ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა. იგი არ იზიარებს ვ. თოფურიას მოსაზრებას. ავტორი, თი//თა სუფიქსიანი დაბოლების სახელებს სახელობითი ბრუნვის ფორმანტად თვლის და მათი ქართული წარმოშობა საეჭვოდ მიაჩნია, რადგან ის ისეთ რაიონებში გვხვდება, სადაც ქართველის მოსახლეობა არ ყოფილა (მაგ. სამეგრელო-ხეთა, ჟინოთა, ჭუბურთა და სხვა) ან საძიებელია (ხორანთა -ჰერეთში, ქურთა-ჩრდილო ოსეთში და სხვა). მეორე მხრივ, ავტორისავე აღნიშვნით, ამ სახელების ეტიმოლოგია ყოველთვის არ არის იმდენად ნათელი, რომ მათი, როგორც კომპოზიტის ნაშთის გაგება დაუმტკიცებლად არ ჩაგვეთვალა (თუნდაც იგივე მცხეთა, ვარენთა-სამცხეში, ხანძთა-შავეშეთში, იკორთა, გუფთა-ქართლში და სხვა). ამასვე გვაფიქრებინებს, განაგრძობს ავტორი, ქართულ გეოგ-

¹ ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, კრებ. „ჩვენი მეცნიერება“, №11-12, ტფ., 1924, გვ. 710.

რაფიულ სახელთა ისეთი სუფიქსები, სადაც ფორმატივი წარმოდგენილია ხშირად გართულებულის პირობებში. ფუნქციის იდენტიურობით, ფონეტიკური მსგავსებით, ს. ჯანაშია, მათ (თი და თა-ს) ერთი და იმავე ვარიანტებად მიიჩნევს. ე-თი-თ დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებში, განაგრძობს ავტორი, შეუძლებელია ყველგან ეთნიკური შინაარსი ვეძებოთ, შეიძლება ითქვას მეტიც: ეს სუფიქსი აწარმოებს არა მარტო გეოგრაფიულ სახელებს. საზოგადოდ -ე-თი არსებითად არ განსხვავდება -თი ფორმანტისაგან. „სომხითი“-სა და „სომხეთს“ შორის პირველადი და ძველია „სომხითი“. ავტორი ამ ფორმანტის მრავლობითობის ფორმანტად გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებას არ უარყოფს და მას ებ-ით ნაწარმოებ (მაგ. სახლები, ბოსლები და სხვ.) სახელებს უდარებს. ავტორმა ასევე ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ ფორმანტი (ეთი, თი) აწარმოებს გვარსახელებსაც და აქედან გამომდინარე „აქ უნდა გვეკონდეს ოდესღაც თავისთავად არსებული სიტყვა, რომელსაც საფუძვლად ექნებოდა „ოჯახის“, „გვარის“ ცნება“ და იშველიებს ოჯახის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვას თი-ს. მისივე აზრით, მეგრული სიტყვის სინამდვილეს ადასტურებს აფხაზური მასალაც, სადაც ოჯახის აღმნიშვნელად გვაქვს ა-თააცია ფორმა, თუმცა ეს შედარება მას ჯერ კიდევ სათუოდ მიაჩნია. ავტორი, თი-ს უდარებს ტი ფორმანტს, რომელიც გვარსახელების დაბოლოებაში (ლლონტი, ჟლენტი, კორტი, ჯიბუტი) გვხვდება. იმავე წარმოშობისად მიაჩნია (და იდენტიურადაც) ოსური გვარსახელების -თა ფორმანტიც¹.

პირველ რიგში, ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, სადაც იმ მიზეზის გამო, რომ თი//თა ფორმანტი გვხვდება ქართების ტომით დაუსახლებელ ტერიტორიაზე (სამეგრელო და ჩრდილო კავკასია-ოსეთი, ასევე ჰერეთი) არაქართულად მივიჩნიოთ (თვი-

¹ ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, „შრომები“, ტ. III, თბ., 1959, გვ. 143-145.

თონ „ქართის“ ეტიმოლოგიაც და ტომობრივი ლოკალიზაციაც (საძებნია). ვფიქრობთ, ეს ტერმინი იმდენად ძველია, რომ ის ქართველური ენების ერთიანობის დროისად და ჩვენი ეთნოსის საერთოეთნიკური (გარკვეულ ეტაპზე „საერთოგვაროვნული“) სამეტყველო ენის კუთვნილებად უნდა ჩავთვალოთ. ამას მისი პატრონიმისტიკული დაბოლოებების გავრცელების არეალი და მეგრულ გვარსახელებში თურის სახით და თი-ს, როგორც ოჯახის აღმნიშვნელად რელიქტის სახით შემორჩენაც გვიდასტურებს. არც ისაა გასაკვირი, რომ კავკასიის სხვა, ჩვენთან კულტურულად (და შესაძლოა ნათესაობრივადაც, იხ. ქვემოთ) ახლო მყოფ, მაგრამ დღესდღეობით არაიბერიულ-კავკასიურად მიჩნეულ ხალხებში, მაგალითად ოსებში, ამ ტერმინს ჰქონოდა გავრცელება. მეორეც, ვფიქრობთ, ავტორის მოსაზრება საეჭვოა იმ ასპექტშიც, როცა ის ეთ-თა-თი სუფიქსებს უბრალოდ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელ მრავლობითობის სუფიქსად მიიჩნევს. უფრო მართებულად გვეჩვენება ავტორის მეორე მიდგომა ამ საკითხზე (რომელსაც ბოლომდე არ ავრცობს), სადაც თი-ს დამოუკიდებელი სიტყვის სახით განიხილავს. თვითონ ის ფაქტიც რომ თი-თა სუფიქსები გვხვდება არა მარტო გვარსახელების, არამედ სხვადასხვა წარმომავლობის გეოგრაფიული სახელების სანარმოებლად. ვფიქრობთ, ადვილად ახსნადია (იხ. ქვემოთ).

თ-ეთ(თი) სუფიქსის თაობაზე მოსაზრება ნ. ბერძენიშვილმაც გამოთქვა: „როგორც ირკვევა, თავდაპირველად ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ ცნება დამოუკიდებლად არ არსებობდა და ის შედარებით გვიან არის გაჩენილი. ადამიანთა ერთობა, საზოგადოება და მის მიერ ათვისებული მისი სამეურნეო სარბიელი, ბუნებრივია, თავდაპირველად ერთი და იმავე ტერმინით აღინიშნებოდა. ეს კარგად შეინიშნება იმ ფაქტში, დღემდისაც რომ ჩვენს ენას შემოუნახავს დასახლებული პუნქტების ძველი ქართული სახელების მრავლობითი რიცხვის ნიშნებით „ნი“, „თა“, „აეთ“, „ები“. ესენი არა მარტო სიმრავლეს აღნიშნავდა, არამედ იმავე დროს აღნიშნავდა ადამიანთა ამ კოლექტი-

ვების ადგილსამყოფელსაც, მაგალითად, სიტყვა „ყორანთა“-ს დროს სრული იქნებოდა „ყორანთა სახლი“, რომელ უკანასკნელში იგულისხმება არა მარტო ყორანთა კოლექტივი, არამედ ყორნების ადგილსამყოფელიც, ყორნების „ქვეყანა“. შეიძლება ფიქრიც, რომ თა სუფიქსიანი ეს სახელები უფრო გვიანი ფორმაციისა იყოს, ვიდრე ნ სუფიქსიანი სახელები, რომ თა სუფიქსიანი სახელები აზროვნების შემდგომი განვითარების შედეგია, ავტორს ის შემდეგი სახით აქვს წარმოდგენილი-ყორანი, ყორანთა, ყორანისი. ეთნიკურ-გეოგრაფიული აზროვნების განვითარების ასევე მაღალ საფეხურს მოწმობს „ეთ“ სუფიქსიანი სახელები. „ლიპარიტეთი“ არა მარტო „ლიპარიტიანთა სახლია“ (მრავლობა, „სახლი ლიპარიტეთი“), არამედ ამ ტერმინშივე იგულისხმება მინა-წყალი, ტერიტორია, რომელსაც ლიპარიტეთა სახლი ფლობდა¹.

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება ყველაზე მართებულად გვეჩვენება. მკვლევარი სწორად საზღვრავს იმას, რომ ნი, თა, ეთ, ები, ადამიანის ერთობის და ამავე დროს თი, მაგალითად „ლიპარიტეთ“-ში აღნიშნავდა არა მარტო მათ „სახლს“ (გვარს) არამედ „ტერიტორიას“, „მინა-წყალს“. ასევე მართებულად გვეჩვენება ისიც, რომ თავდაპირველად ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ მცნება არ არსებობდა. აქ რა თქმა უნდა არ არის საუბარი ვინ როდ ტერმინ „ქვეყანა“-ზე (მეგრ. „ქიანა“). თუმცა ვერ გავიზიარებთ ავტორის იმ მოსაზრებას, რომ სიტყვა „ყორანთა“-ში მაინცდამაინც უნდა გვეკონდეს „ყორანთა სახლი“, ვფიქრობთ, თვითონ სიტყვა „ყორანთა“, რომელიც თა სუფიქსით არის ნაწარმოები, მისი (თა=თი) ფუნქციიდან გამომდინარე, უკვე ნიშნავს „სახლს“ და ტერმინ „სახლის“ გარეშეც სრულ ფორმად გვეჩვენება. ასევე თა- თი-ში უკვე „სახლი“-ც და კოლექტივიცაა ნაგულისხმევი. აღსანიშნავია ისიც, რომ „ყორანთა“ უფრო

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 22-23.

ძველი წარმოების ტოპონიმი რომ იყოს, მაშინ გვექნებოდა „ყო-რა-ხი“ ან „ყორანხი“ ანუ იგივე „ყორანთა სახლი“ (ხი=სახლი); შედარებისათვის იგივეა „მეს-ხი“ ანუ იგივე „მესხების სახლი“, „გვარი“, „ქვეყანა“ და ორმაგი წარმოება „მეს-ხე-თი“ ანუ იგივე „მესხების სახლი“, „გვარი“, „ქვეყანა“, „ხალხი“. მამასადამე „ხი“ („სახლი“) და „თი“ იდენტურია, რომელთაგან გვარსახელების და გეოგრაფიული სახლების სანარმოებლად „ხი“ უფრო ძველია, ხოლო თვითონ ტერმინი „სახლი“ -სა პრეფიქსით გვიანდელი წარმოებაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეგრელოში დიდი ოჯახის აღმნიშვნელი იყო რელიქტის სახით შემორჩენილი ტერმინი „თი“¹.

პ. ცხადაიას კვლევით, „ლექსიკური ერთეული თი, სამეგრელოს ტოპონიმიკურ მასალაში უხვად არის შემორჩენილი, რომელთა უმრავლესობის ამოსავალ ფუძეს პირთა საკუთარი სახელი (იშვიათად გვარიდან ამოსავალ ფუძეებს, მაგრამ მაინც, -პ. ც.) წარმოადგენდა: გური-ათი-გურა, გურ(ი)ში-ათი-გურიშია, გურა-თი-გურა, ხუფა-თი-ხუფა, კუკა-თი-კოკა და სხვა“². აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირთა საკუთარი სახელი და პატრონიმის ფუძემდებლის სახელი უმრავლეს შემთხვევაში გვარსახელად იქცევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გვართა უმრავლესობა საკუთარი სახელისაგან არის ნაწარმოები და ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ სამეგრელოს მაგალითზე ამ სახის, ანუ საკუთარ სახელისაგან ნაწარმოები გვარები თი-თა

¹ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, ტ. I, გვ. 446; მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 1; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 298; გ. ელიავა, სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, თბ., 1972, გვ. 177-178; გ. ელიავა, პატრიარქატიდან მომდინარე გვართა ამოსავალი ძირების ალბომი, ყურნ. „აია“, №1, თბ. 1998, გვ. 27-28.

² პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985, გვ. 87.

სუფიქსით ან მისგან მომდინარე „თურ“ სიტყვით იშვიათად იწარმოება (გამონაკლისებია-ბალათურია, აბლოთია და სხვა); ეს შესაძლოა გამონვეულია იმიტაც, რომ თი ჯერ კიდევ მთელი თავისი სოციალური დატვირთვით არსებული ცოცხალი ლექსიკური ერთეული იყო და სალიტერატურო ენამაც მას გვერდი აუარა. ამავე დროს, ის იმდენად ძველი ლექსიკური ერთეულია, რომ -იან-ის მსგავსად მასიურად ვერ მოასწრო გვარსახლების (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ე. წ. „ფამილია“-ს) ფორმირებაში მონაწილეობის მიღება და უმრავლეს შემთხვევაში პატრონიმისტიკული მანარმოებლის ფუნქციაზე დარჩა.

გ. ელიავას დაკვირვებით, „თი-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები მრავლად არის შემორჩენილი სამეგრელოს ფარგლებს გარეთაც-იმერეთის და გურიის ტერიტორიაზე-ქორეთის, გელათის, გეგუთის და სხვათა სახით, რომლებიც დიდი პატრიარქალური ოჯახის ფუძემდებლის საკუთარი სახელები-საგან არის ნანარმოები“¹.

თავის დროზე, აკად. ნ. მარი, თა- სუფიქსს ძველ ქართულ-ეთ სუფიქსის დიალექტურ ექვივალენტად მიიჩნევდა, ხოლო ამ უკანასკნელს სიმრავლის მაჩვენებლად, და მას კუთხეთა და ქვეყანათა სახელების დაბოლოებას უკავშირებდა².

-ეთ სუფიქსის, როგორც სიმრავლის, მრავლად მყოფობის ადგილის აღსანიშნავად ნ. მარისეულ გაგებას აკად. არნ. ჩიქობავაც იზიარებდა-სვანეთი-ს, ოსეთი-ს, რუსეთი-ს და სხვათა სახით და ავტორის აზრით, ქვეყნების დაბოლოების გარდა ის მრავლად გვხვდება ადგილთა სახელების მანარმოებლად (რომელთა ფუძე საკუთარი სახელებისაგან არ არის ნანარმოები, -დ. ქ.), მაგალითად: თელეთი, წკნელეთი, შამბუთი, ნიგოზეთი,

¹ გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი, თბ., 1962, გვ. 113.

² Н. Я. Марр, История термина «Абхазь», Известия Академии Наук, М. 1912, გვ. 703.

ბუოლეთი, მშველეთი, გველეთი და სხვა. გამომდინარე აქედან, ავტორი, -ეთ და -თ სუფიქსის პარალელურად მიიჩნევს -ენ და -ნ სუფიქსებს, რომლებიც მეგრულ -ონ-თან ერთად მრავლობითობას აღნიშნავს და -ეთ სუფიქსის მივიწყების შემდეგ ჩანს გაჩენილი¹.

საინტერესოა ოსური გვარების და პატრონიმიის დაბოლოებაში წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვის სუფიქსი თე//ტე//თა. მაგალითად, პლიტების ანუ პლიევეების გვარსახელი შედგება რამდენიმე პატრონიმიული დანაყოფისაგან: ჯაორჯი-თე(ტე), სარხალ-თე(ტე), ესე-თე(ტე), კუშ-თე(ტე) და სხვა². გამოთქმული მოსაზრებით (ვ. მილერი), ეს -თა სუფიქსი პროტოირანული არ არის, მაგრამ ანალოგიური მრავლობითი რიცხვის სუფიქსი ფიქსირებულია ურალურ-ალთაურ და მონღოლურ ენებშიც კი, საიდანაც შესაძლოა შეთვისებული ყოფილიყო ალანების და ირანელების მიერ, რომლებსაც, ავტორი, ოსების წინაპრებად თვლის³. ივ ჯავახიშვილი ამ მოსაზრებას საექვოდ მიიჩნევდა და -თა სუფიქსს ყველაგან მრავლობითობის აღმნიშვნელად აღიარებას არ იზიარებდა⁴.

ჩვენი აზრით, თა//თი(ტა//ტი) სუფიქსი ოსურ გვარსახელებში უშუალოდ ქართველური სამყაროდან უნდა შესულიყო და ის მათი წინაპრების კავკასიაში დამკვიდრების შემდგომ ჩანს მათ მიერ შეთვისებული. ყოველ შემთხვევაში, ოსების ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების დროისათვის მათში ამ სუფიქსის

¹ არნ. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში, თბილისის უნივერსიტეტის „მომბე“, ტ. VI, თბ., 1926, გვ. 307-308.

² М. О. Косвен, Из истории родового строя в Юго-Осетии, Советская Этнография, №2, 1936, გვ. 7.

³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, თბ., 1950, გვ. 238.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 239.

არსებობის დამადასტურებელი მასალები არა გვაქვს. მეორე მხრივ, ოსების ეთნოგენეზის პრობლემის დღემდე არსებული ისტორიოგრაფიული გააზრება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ირანული მოდემის ინდოევროპულ ტომებთან არიან დაკავშირებული, შესაძლოა გარკვეულ გადახედვას და ხელახალ ინტერპრეტაციას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ ბოლოდროინდელი გენეტიკური (დნმ) კვლევების შედეგად ოსებში დადგინდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი 80%-იანი გენოფონდი. ეს კი უპირატესად გასათვალისწინებელი ფაქტორია ზოგადად ეთნოგენეზის თუ კონკრეტულად გვარსახელების ეთნოისტორიის კვლევისას. ამ საკითხის უფრო ნათელსაყოფად აღვნიშნავთ, რომ Y-დნმ-ის (მამის ხაზი) საქართველოში ძირითადად ორი ჰაპლოჯგუფია გავრცელებული G2a და J2. G2a კონცენტრირებულია კავკასიის, ანატოლიის და სამხრეთ ევროპის გარკვეულ ტერიტორიაზე და ის აღიარებულია, როგორც სამინათმოქმედო კულტურის მქონე გენეტიკური მარკერი¹, ამავე ჰაპლოჯგუფის მატარებელია მტკვარ-არაქსის კულტურის არეალი. სწორედ ამ G2a-ს მაღალი კონცენტრაცია ოსებში წინააღმდეგობაშია მათ ენობრივ კუთვნილებასთან, რომელიც ინდოევროპულია² და, შესაბამისად, გადასახედა ამ ხალხის ეთნიკური კუთვნილების ინტერპრეტაცია.

ოსები ამ მხრივ მეტ გენეტიკურ სიახლოვეს იჩენენ სვანებთან და აფხაზებთან. მიუხედავად მათ შორის ლინგვისტური განსხვავებისა, ეს ფაქტი მიუთითებს წარსულში ამ სამი ეთნო-ლინგვისტური ჯგუფის (და შესაძლოა საქართველოს სხვა

¹ რ. შენგელია, გ. ანდრიაძე, ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, ნ. ჩიქოვანი, ე. ხმალაძე, მ. კეკელიძე, შ. ლალიაშვილი, საქართველოს მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური გენეტიკური კვლევა, კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, თბ., 2016, გვ. 145.

² Nasidze I., Salamatina N. M. Genetic characteristics of the Georgian population, *Gene Geography*, 1996, 10, 105-112; Barbujani G., Nasidze I. Whitehead GN. Genetic diversity in the Caucasus, *Human Biology*, 66(4), გვ. 639-668.

მოსახლეობის, რომელთა გენეტიკური კვლევები ჯერ არ არის დასრულებული, -დ.ჭ.) საერთო მამისეულ გენოფონდზე¹.

-თი//თა სუფიქსები საკუთარ სახელთა და ტომობრივ მანარმოებლად ქართველურ ტომებში წერილობით წყაროებში უძველესი დროიდან ფიქსირდება, კერძოდ, -თა სუფიქსი ჩანს სარგონ II-ის ანალებში მუშქების მეფე მითა-ს პირსახელში. იმავე მეფის სხვა წარწერაში, რომელიც ძვ. წ. X-IX სს. მიჯნით თარიღდება, მოხსენიებულია ვინმე ხარ-თა-ფი².

-თი სუფიქსიანი დიაუზის ერთ-ერთი ქვეყნის სახელწოდება შეშეთი მოხსენიებულია ურარტუს მეფე მენუას (ძვ. წ. IX ს. დასასრული და VIII ს. დასაწყისი) წარწერაში³.

-თა/-თი სუფიქსთან მიმართებაში საინტერესოა ხეთური წყაროების ქასქების ტომის ერთ-ერთი დიდი გაერთიანების სახელწოდება დურმითა (Durmita), რომლის ტერიტორია „ზემო ზღვის ქვეყანაში“ შედიოდა⁴.

სამეგრელოში ოჯახის სახელწოდება -თი-ს, დაშლის შედეგად მიღებულ სოციალურ ერთეულს „თური“ ეწოდება, ანუ ეს გახლავთ ერთი წინაპრიდან განაყართა გენეალოგიური ჯგუფი პატრონიმიის სახით.

სანამ უშუალოდ „თური“-ს გენეზისზე ვისაუბრებთ, აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში მეგრული პატ-

¹ **Aram Yardumian, Ramaz Shengelia, David Chitanava, Shorena Laliashvili, Lia Bitadze, Irma Laliashvili, Fernando Villanea, Akiva Sanders, Andrew Azzam, Victoria Groner, Kristi Edleson, Miguel G Vilar, Theodore G Schurr.** Genetic Diversity in Svaneti and Its Implications for the Human Settlement of the Highland Caucasus. *American Journal of Physical Anthropology*, 2017, pp. 846; **Ramaz Shengelia, Giorgi Andriadze, Liana Bitadze, David Chitanava, Nino Chikovani, Eka Khmaladze, Merab Kekelidze, Shorena Laliashvili.** Comparative Genetics Study of East Georgia Population. *Moambe*, vol. 11, no 4, 2017, pp. 120-121.

² საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 13, 18.

³ საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 21.

⁴ **გ. გიორგაძე**, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 144.

რონიმიის აღმნიშვნელ ტერმინად „დინო“ მივიჩნიეთ და ამის სა-
წინააღმდეგო ამჯერადაც არაფერი გვაქვს, თუმცა ზოგიერთი
რამ დაზუსტებას მოითხოვს: კერძოდ, განვითარების გარკვე-
ულ საფეხურზე „თი“-ს (დიდი ოჯახი, საოჯახო თემი) დაშლის
მომენტისათვის, ანუ ერთი გარკვეული სისხლნათესაური ერ-
თობის ჩამოყალიბების დროს, თი-სგან უნდა მიგვეღო „თური“,
ანუ გვარი, შემდგომ სამართლებრივი სტატუსის მქონე ე. წ.
„ფამილია“, მაგრამ დღესდღეობით, როდესაც უკვე აღარ არ-
სებობს თი-ს ფორმის და სახელწოდების ოჯახი, მეგრული პატ-
რონიმიის აღმნიშვნელად „თურ“-თან ერთად გვაქვს ტერმინი
„დინო“, რომელიც უფრო ვიწრო სოციალური ერთეულია, ვიდ-
რე „თური“. თუმცა განვითარების გარკვეულ საფეხურზე თური
ჯერ დიდი საოჯახო თემის, ხოლო შემდეგ მისგან განაყარი 4-5
თაობის და იშვიათად 6-7 თაობის გენეალოგიური ჯგუფის აღ-
მნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. ეს ნათლად ფიქსირდება
დღესაც სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ზოგიერთ გვარ-
სახელთა პატრონიმიულ დანაყოფებში. დღევანდელი გაგებით,
ანუ მეგრულ ენაში „თური“ მთლიანად გვარს, საგვარეულოს
(მოგვარეს), ე. წ. ფამილიას (იგულისხმება სამართლებრივი
სტატუსის მქონე გვარი) ნიშნავს. მაშასადამე, „თური“ მეგრულ-
ში „გვარის“ აღმნიშვნელი ტერმინია და თუ გავითვალისწინებთ
იმ გარემოებასაც, რომ მეგრული სოფელი ერთი გვარით დასახ-
ლებულ ერთეულს წარმოადგენდა (რაც დღესაც ნათლად ჩანს),
მაშინ „თური“ „სოფლის“ ცნების აღმნიშვნელი ტერმინიც უნდა
ყოფილიყო (მდრ. თემი).

დაბლობის და პლატოს სამეგრელოს მონოგენური უბნების
მაგალითზე ნათელია, რომ ძველი, პირვანდელი დინოსაგან ნა-
წინილვენი ხალხით შექმნილია რამდენიმე ახალი დინო, რომელ-
თა შორის სუსტდება ნათესაური ურთიერთვალდებულებები,
თუმცა დღესაც აღიარებენ, რომ ერთი წინაპრის შთამომავლე-
ბი არიან. სწორედ ამ ძველ და ახალ დინოთა შემდგომი გაზრდის
შედეგად მეგრული სოფლის თემის შიგნით იქმნება უფრო დიდი

სოციალური ერთეული მონოგენური დასახლებით, რომელიც აქ (როგორც მთლიანად სამეგრელოში) „თური“-ს სახელწოდებით არის ცნობილი.

გ. ელიავას დაკვირვებით, „თური გვარია, თავდაპირველად პატრონიმიის პირველ ეტაპზე კლანი, გენი, შემდეგ სისხლნათესაური ერთობის უფრო წვრილი ერთეულის სახელი, შემდგომი გვარის სახელწოდება, ე. ი. ფამილია, ერთი სისხლნათესაური ერთეულისა. თური, განაგრძობს ავტორი, გვიანაც არ არის ნარევი, აქ ერთი სისხლნათესაური კავშირია, მტკიცე გენია, კლანია, მაგრამ იგი არაა პირველყოფილი გენი, კლანი. შემდგომ, შუა საუკუნეებში, კაპიტალიზმის ეპოქამდე ან უფრო ადრეც, გვარი ან თური მტკიცე სისხლნათესაური ერთობაა და ჩასიძების და ცოლის მოყვანის შემთხვევაში მისი ერთიანობა არ ირღვევა. ჩასიძებული მაინც სხვადასხვა თურის კაცია, იგი ვერ აქცევს თურს დარღვეულად, იგი თავისი თურული წარმოშობით გამოყოფს თავის ოჯახს თი-ს მის მოყვარე თური-საგან, ხოლო მოყვანილი ქალი კი ამ თურის ხდება, ქალი თავისი გვარისაგან გამოყოფილად ითვლება. დღესაც, ავტორისავე დაკვირვებით, ადამიანების თური მხოლოდ ერთ სისხლნათესაურ გვარისკაცებს იერთიანებს. ჩასიძებული „ჭაავა“-„ჭას“ გვარს ატარებს და ახალ ტოტს ქმნის-„ჭაშ-თურიში“ და არა ადამიანების თურიში. მისივე აზრით, თური მტკიცე სისხლნათესაური ერთობაა, ოღონდ უფრო მრავალრიცხოვანი შემდგარი წვრილი ერთეულებისაგან და ამ თურის შიგნით, ახალი ტოტები ახალ თურს არ ქმნიან, თუმცა, გვარის, ფამილიის ნევრებს შორის ქორწინება ისევე მტკიცედ „ვაშინერს“, ისევე არ შეიძლება“.¹

¹ გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, მარტვილი, 1984, გვ. 94-95; მისივე, სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., №3, 1972; მისივე, სოციალური ხასიათის ტოპონიმები და მათი კლასიფიკაცია, ონომასტიკა, I, თბ., 1987; მისივე პატრიარქატიდან მომდინარე გვართა ამოსავალი ძირების ალბომი, ჟურნ. „აია“, №1, თბ., 1998.

პ. ცხადაიას მასალების მიხედვით, მთიან სამეგრელოში ჩვეულებრივი ყოფილა მრავალრიცხოვან გვართა დაყოფა თურებად. „თური“ (თი-ურ-ი, -პ. ც.) აღნიშნავს ავტორი, მოიცავს 5-6 თაობას და იყოფა უფრო წვრილ ერთეულებად-გამნარყებად; გამნარყი, „ნაყარი“, განაგრძობს ავტორი, მხოლოდ ორ-სამ თაობას მოიცავს¹. მკვლევარს, ინფორმატორთა ამგვარი განმარტება მოჰყავს: „თური არის ძმების ნაყარი, ჩემი თური არის ჩემი ძველის ნაყარი. ჩემი ნაყარია ჩემი შვილები, შვილიშვილები და მათი შვილები, გამნარყი უფრო ვინროა, თური არის ერთი სისხლი და ხორცი, ვისი შთამომავლობაც ვართ იმისი თური გვქვია-მე ვარ გულაიათური, გულაიას შვილები ყოფილან კოჩაია, ესაია, შაქარია, მე კოჩაიას გამნარყი ვარ“. გამომდინარე აქედან, პ. ცხადაიას აზრით, სისხლით ნათესავთა აღმნიშვნელი თი- ტერმინისაგან, წარმომავლობის -ურ სუფიქსის დართვით წარმოქმნილია ტერმინი „თური“, რაც ნიშნავს თი-ს წარმომადგენელს, შთამომავალს, „გულაიათი“, განაგრძობს ავტორი, არის „გულაიას შტო“, გულაიას შთამომავლობა, ხოლო „გულაიათური“ იქნება გულაიას შტოს წარმომადგენელი, გულაიას ერთ-ერთი შთამომავალი“.¹

ს. ბახია „თურ“-ს მეგრული პატრონიმიის აღმნიშვნელ ტერმინად მიიჩნევს, რომელიც, დაკავშირებულია არქაული საზოგადოებრივი ერთეულის ოჯახის სახელწოდება თი-სთან. მისივე აზრით, მას მეგრულ-ჭანური ფუძე გააჩნია თი-ს სახით და თურში გამოყოფს პატრონიმიის განვითარების ორ რიგს; პირველი არის „ჯინჯი“ თური (ძველი, -ს. ბ.) და გვიანდელი ახალი თური, ხოლო შემდგომ, განაგრძობს ავტორი, პატრონიმიის გაზრდის შედეგად ჩნდება ტერმინი „ჯიმალობა“, (ძმობა, ს. ბ.) შემდგომ კი, გვარი. ს. ბახიას ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს სოფელ სანულეისკირიოს (სენაკის რაიონი) მაგალითი, სადაც წულეისკი-

¹ პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), გვ. 89.

რების გვარი დაყოფილი იყო (და არის -დ.ჭ.) რამდენიმე თურად: „ჯოლორია თური“, „ტუტულობემ თური“, „არძაიამ თური“, „გურულია თური“, „გოგონა თური“, „გაბრიელამ თური“, „ხუტუნა თური“, „ბოშიამ თური“, „ჩუკი თური“, „ლომჯიამ თური“, „ხუხუნია თური“. ავტორი დასძენს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პატრონიმიებიდან ჯოლორია და ტუტულობე წარმოადგენს პირველი რიგის პატრონიმიებს“.¹

ამდენად, წარმოდგენილი მასალებიდან ნათელია ის ფაქტი, რომ „თური“ მომდინარეობს, მეგრულში თავის დროზე, დიდი პატრიარქალური ოჯახის აღმნიშვნელი -თი ერთეულიდან, რომლის იდენტური ლექსიკური ერთეულები „თი“, ეთ//თა და „ტი“ სუფიქსების სახით უმრავლეს შემთხვევაში საკუთარი სახელიდან მომდინარე არა მარტო სამეგრელოს, არამედ საქართველოს (უმეტესად დასავლეთ საქართველო) სხვა კუთხეების ტოპონიმიკურ მასალაში უხვად არის შემორჩენილი². თუმცა პატრონიმიის გენეზისთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას, „თურ“-თან მიმართებაში ს. ბახიას წარმოდგენილი ტერმინი „ჯიმალობა“ (ძმობა) სამეგრელოში ჩვენი მასალებით არ დასტურდება. მსგავსი რამ ახასიათებს სვანურ გვარს სამხუბ//ლამხუბის სახით, რომელიც საძმოს გულისხმობს და არა გვარს (იხ. ზემოთ). დღესდღეობით, რიცხოვნობად გაზრდილი თურის წევრთა (გვარის, მონოგენური სოფლის) შიგნით ურთიერთობები შენარჩუნებულია დინოს შიგნით, ანუ 4-5 და იშვიათად 6-7 თაობის შთამომავალთა შორის, რომელ ტერმინსაც ს. ბახია საერთოდ არ ახსენებს.

პატრონიმიის განვითარების ადრეულ საფეხურზე ტერმინი დინოს, როგორც გვარის, საგვარეულო დასახლების და მის შიგნით არსებული პატრონიმიული ერთეულის აღსანიშნავად უდა-

¹ С. Бахия, Абхазская „Абипара“ патронимия, Тб., 1986, გვ. 9.

² იხ. დ. ჭითანავა, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VII, თბ., 2005.

ვოდ წინ უსწრებდა ტერმინი „თური“, რამდენადაც მეგრული დიდი პატრიარქალური ოჯახის -თი-ს დაშლის შედეგად პირდაპირ უნდა მიგველო „თური“ ანუ „თი“-ს წარმომადგენელი, „თი-ს შთამომავალი“.

ცნობილია, რომ ქართული გვარსახელების უმეტეს ნაწილს მამაკაცის სახელი უდევს საფუძვლად¹ და პირსახელისაგან ნაწარმოები გვარები სუფიქსაციის შედეგად ან კონვენსიით გაგვარსახელდნენ.² სამეგრელოს მაგალითზე შევნიშნავთ, რომ დიდი პატრიარქალური ოჯახის -თი-ს დაშლის შედეგად თითოეულმა თი-ს წევრმა სხვადასხვა სუფიქსებით თავისი წინაპრის საკუთარი სახელი გვარსახელად დაირქვა, რაც ნათლად ჩანს სამეგრელოს ტოპონიმიკურ მასალაში, რომელიც გ. ელიავას მიერ არის აღდგენილი. კერძოდ, „ჭის თურის განტოტების შედეგად წარმოიშვნენ: „ჭოჟკა“, „ჭიაია“, „ჭაჭია“, „ჭოჭუა“ და სხვა. „ჭოჟ“, „ჭი“, „ჭია“, „ჭიო“, „ჭა“, „ჭაჭუ“ და სხვები, მეგრულ-ზანური სახელებია“.³

მაშასადამე, „ჭი“-სგან ანუ „ჭი-ს თის“-გან (დიდი პატრიარქალური ოჯახი), ნაწარმოები გვაქვს „ჭიაია“, „ჭიოკა“, „ჭაჭუა“, „ჭოჭუა“ და სხვა, რომელთა დაშლა არღვევს პირველადი „თი“-ს ერთიანობას, „ერთ თურობას“, მაგრამ მათი შემდგომი გაზრდის და სხვადასხვა ტერიტორიაზე განსახლების შედეგად უკვე გადაკეთდა სხვადასხვა თურად ანუ გვარსახელად; გარკვეული, უკვე გვარსახელის მქონე ადამიანების ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე დასახლების შემდეგ ხდება ამ გვარსახელის თანდათანობით გაზრდა-განტოტება, რომლის შიგნით უკვე დროთა განმავლობაში ერთ ტერიტორიაზე, ერთ სოფელში განსახ-

¹ რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997, გვ. 97.

² იხ. პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 10.

³ გ. ელიავა, სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, თბ., 1972, გვ. 180.

ლების მიუხედავად ურთიერთვალდებულებები სუსტდება და შენარჩუნებულია მხოლოდ უახლოეს განაყრებს შორის, რომელიც მოიცავს 4-5 და იშვიათად 6-7 თაობას, რომელთა შემდგომი დაშლაც შეუქცევად პროცესად გრძელდება. ვფიქრობთ, აქ პატრონიმის (თურის და დინოს) განვითარების გვიანდელ საფეხურს ვაწყდებით, რომელსაც საბოლოოდ სამეგრელოს მაგალითზე მონოგენურად დასახლებული სოფლების თუ უბნების გაჩენამდე მივყავართ.

თი-ს დაშლა და მისგან საბოლოოდ „ფამილიის“ მიღება სამეგრელოში, საკმაოდ ადრე უნდა მომხდარიყო, რამდენადაც ეთნოგრაფიულად ჩვენთვის ხელმისაწვდომი პერიოდისათვის დიდი ოჯახის დაშლის შედეგად მიღებული განაყრები თავისი უახლოესი წინაპრის მიხედვით ახალ გვარ-სახელს არ ირქმევენ, არამედ იგივე გვარისანი რჩებიან, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს სხვა კუთხეების მაგალითზე, სადაც დედა-გვარიდან გამოსული ახალი მამიშვილობათა სახელები თავისი უახლოესი წინაპრის ეპონიმიდან ნაწარმოებ ახალ გვარსახელებად იქცნენ. ამგვარი ფაქტები შენიშნულია ფშავის, ხევის,¹ სოფელ მარტყოფის და რაჭის² მაგალითზე.

მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხური გვარსახელების წარმოქმნა (იმ გვარსახელებისა, რომელთაც უშუალო წინაპრის საკუთარი სახელი უდევთ საფუძვლად) დიდი პატრიარქალური ოჯახის თი-ს დაშლის ეპოქაზე მოდის და იგი მეტნაკლებად ჩამოყალიბებული ადრინდელი კლასობრივი საზოგადოების პერიოდს შეიძლება დავუკავშიროთ, რომელსაც, ალბათ, შემდგომში-ადრეფეოდალურ თუ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (ერთი წინაპრის შთამომავალთა მემკვიდრეობით სახელები), უკვე საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული.

¹ რ. თოფჩიშვილი, ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის, „ქართველური მემკვიდრეობა“, I, ქუთაისი, 1992, გვ. 95.

² მ. ილურიძე, გვარები და ბუდობები სოფელ მარტყოფში, თბ., 1998, გვ. 5.

ჩვენს მიერ სამეგრელოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, მთისწინა დასახლებებში (ჩხორონწყუს, წალენჯიხის და მარტვილის რაიონები) 4-7 თაობის ერთი წინაპრიდან მომდინარე შთამომავალთა აღსანიშნავად გვაქვს „თურ“ ტერმინით დაბოლოებული დანაყოფები, რომელთა უმრავლესობის სახელწოდებების ფუძეს საფუძველად უდევს მათი წინაპრის საკუთარი სახელი, თუმცა არის ისეთებიც, სადაც თურ დანაყოფებიანი სახელწოდებები ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის სახელის, ზოგიერთი კონკრეტული გენეალოგიური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ხასიათის, უნარ-ჩვევების, კანის ფერის, გარკვეული ფსიქოლოგიური მახასიათებლების და სხვა ნიშნების მიხედვით.

მთიან სამეგრელოში ფიქსირებულია 70-ზე მეტი -თი ბოლოკიდურიანი ტოპონიმები. მათი სიხშირე კლებულობს ცხენისწყლის ნაპირებიდან ენგურის ნაპირებისკენ (მარტვილის რაიონში 50-ზე მეტი, ჩხორონწყუს რაიონში 20-მდე და წალენჯიხაში-ერთადერთი)¹. აქვე შევნიშნავთ, რომ პ. ცხადია უარყოფს გ. ელიავას მოსაზრებას იმის შესახებ, სადაც -თი მიიჩნეულია მხოლოდ გვარების მიხედვით წარმოშობილად².

სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ამ სახის სურათი დაფიქსირდა:

სენაკის მუნიციპალიტეტი:

სოფელ ძველ სენაკში მცხოვრები ჩიქობავების დანაყოფებია: ლევანიშთური, კანკაშითური, ნიკოშთური, ჯოლორიაშთური, ლუკაიაშთური. აღსანიშნავია, რომ აქ საკუთარი სახელის შემდგომ თურ სუფიქსამდე გვაქვს -შ კუთვნილების მანარმოებელი, რომელიც მეგრულისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა და ის სვა-

¹ პ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 86.

² პ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, გვ. 87.

ნურ თემთა დანაყოფების სახელწოდებებსაც ერთვის. ეს მიანიშნებს -ში-ს პირველადობას თურ-თან შედარებით.

სოფელ საწულეისკირიოში წულეისკირების გვარის დანაყოფებია: ჯოღლორიაშთური, ტუტულობემთური, არძაიაშთური, გურულათური, გოგონათური, გაბრიელაშთური, ხუტუნათური, ბოშიაშთური, ჩეკითური, ლომჯიაშთური, ხუხუნიათური. ყველაზე ძველი მათ შორის არის ჯოღლორია და ტუტულობე.

სოფელ ზემო ნოქალაქევეში მცხოვრები ბალათურიები იყოფიან: ჭკადუამ თური, ტაბუშ თური და კიდევ არის ერთი, რომელსაც ვერ იხსენებენ.

ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტი:

სოფელ ნაფიჩხოვოში მცხოვრებ ბერიების გვარის დანაყოფებია: ივანეთური, ხვიჩათური, ცუყუნიათური (უბანს ეწოდება ცუყუნები), ვანათური, ხუხულიათური, გიორგითური, კინტირიათური, კიმოთათური. ბერიებში, რომლებიც სამი ძმიდან არიან წარმოშობილნი, ზემოთ ჩამოთვლილი დანაყოფები არის ძველი, ხოლო ახლები უკვე არ ატარებენ თურის სახელს და მას „გამნარყი“ ეწოდება. დღეს ბერიებში ასეთებია: გურიკოჩის, იოსეს, ჯუტუს, რევას, დიმიტრის, პეტრეს, ილარიონის და ბოშას ახალი პატრონიმიები (გამნარყები), რომელიც მომდინარეობს 3-4, იშვიათად ხუთი თაობის წინაპრის პირსახელიდან.

სოფელ ლესიჭინეში სიჭინავების გვარის დანაყოფები, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებით, ასეთია: ბაბკოთური, ნაკოთური, გურიშიათური, ხახულიათური, მირდიათური, ძალილიათური, ჭვითილიათური. შესაბამისად, უბნებსაც ეწოდება ბაბკოთი, ნასკოთი, მირდიათი, გულიშიათი, ჭვითილითური. ისტორიკოს ა. სიჭინავას მონოდებული მასალებით, სიჭინავების დანაყოფებია: ბაბკოთური, ნაკოთური, გურიშიათური, ხახულიათური, მირდიათური, ძალილიათური.

ლესიჭინეს თემის სოფელ სახორაში (ხორავების დასახლება) მცხოვრები ხორავები იყოფიან: ოჯაკუთური, ბოშილიათური, ბაკიჩათური, კოჩარდიათური, გულუანთური, მორდიათური,

პაპათური, გელოვანთური, ჩიტილიათური. ხორავები, ჩვენს მიერ 1997 წელს ჩაწერილი მასალებით, ექვს თურად იყოფოდნენ და ამ დროისათვის ადგილზე ოჯახების ამგვარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი: გულუანთური-6 ოჯახი, პაპათური-3 ოჯახი, ბოშილიათური-8 ოჯახი, ჩიტილიათური-9 ოჯახი, კოჩარდიათური-7 ოჯახი, მორდილიათური-12 ოჯახი. გ. ელიავას მასალებით, ხორავების თურები ამ სახის არის: ოჯაკუთური, ბაკიჩიათური, ბაბშელათური, კოჩარდიათური, გულუანთური, მორდელათური და პაპათური¹.

ჭოღას თემში მცხოვრები შენგელიების დანაყოფებია: მელვინეთური, პაპათური, კუროთური და ენნერის შენგელიები. XIX საუკუნეში ჭოღიდან მათი ნაწილი გადასახლდა იქვე ხუთიოდე კილომეტრზე მდებარე სოფელ ხაბუმეში, რომელთაც დღესაც ახსოვთ მათი ძველი თურები, მაგრამ აქ უკვე შედარებით ახალი დანაყოფები აქვთ, რომლებიც უკვე „გამნარყებად“ იწოდება, ასეთებია: ხუხულიაშ გამნარყი, ქორსიაშ გამნარყი, ვანაიაშ გამნარყი, ჭეჭუათის გამნარყი, კვატაიათიშ გამნარყი.

სოფელ ზუმში ოდესღაც სვანეთიდან ჩამოსული ლემონჯავების გვარი ორ შტოდ იყოფა: ქუთათური და კოჩათური.

გ. ელიავას მასალებით ჩიქობავების გვარი იყოფა შემდეგ თურებად: ლევანიშ თური, ხონკაშ თური, ნიკომ თური, ჯოლორიაშ თური, ლუკაიშ თური².

ვედიდკარის თემში მცხოვრები ფოჩხუების დანაყოფებია: მოგელიათური, უჩანიათური, ხუხუნიათური, მამუკიათური.

სოფელ თამაკონში მცხოვრები ჯანაშიების დანაყოფებია: მექიაჩეთური, გულათური, ნანელათური, სოხათური.

სოფელ გოჭკადილში (გაჭედილი) მცხოვრები ჯანჯღავების დანაყოფებია: ჩე (თეთრი) ჯანჯღეფი, უჩა (შავი) ჯანჯღეფი,

¹ გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო (ალბომი), მარტვილი, 1989, გვ. 97.

² გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, გვ. 99.

გურითური ჯანჯღეფი, ბუტა (მატლივით ჩამრგვალებულს დაუძახებენ) ჯანჯღეფი, ცექურა (ცუნდრუკა) ჯანჯღეფი.

სოფელ სალხინოში მცხოვრები ცანავეები, რომლებიც აქ სვანეთიდან ჩამოსულან, ორ შტოდ იყოფიან: პაპათურები და დადიანების ძერის გამზრდელები.

სოფელ მუხურჩაში მცხოვრები მაისაიები იყოფიან 4 თურად: ძუკუთური, ბურდლუიათური, დანარჩენი ორის სახელი მივიწყებულია.

მუხურჩაში მცხოვრები ფოჩხუების თურებია: მოგელიათური, უჩანიათური, ხუხუნიათური და მამუკიათური.

აბაშის მუნიციპალიტეტი:

სოფელ ნორიოში მცხოვრები ცომაიების გვარი სამ შტოდ იყოფა: ყომურა, ჩერქეზა და რობა.

სოფელ ნორიოში მცხოვრები გვაზავეების სამი ძმა ჩამოსულანაგავაზავოდან, მათი გვარი იყოფა სამ შტოდ: მათეთური, ტატუნათური და ბოროთური.

სოფელ ზანათში ჩანერილი მასალების მიხედვით, ქანტურები ჩამოსულან ლაზეთიდან და დასახლებულან ანაკლიაში. მათი თავდაპირველი გვარი ყოფილა ქანითური.

ხოპის მუნიციპალიტეტი:

სოფელ ხეთასა და პირველ მაისში მცხოვრები ბუკიები ოთხ განშტოებად იყოფა: ორი მათგანი ახსოვთ-საეკლესიო ბუკიები და ყორანის ბუკიები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:

სოფელ ჯიხაშკარის ზარანდიების ერთ-ერთი შტო, რომელსაც შორშეში (გზისპირის) ზარანდიებს ეძახიან, იყოფიან: გოძამის, ბეჯგვის, ლულაიას, კიტუნას გამნარყად; სხვა ზარანდიები-შევარდენის, ჩიტილის, ნოტოლიას და ფახულის გამნარყად.

როგორც მ. კოსვენი მიუთითებდა, „კომპაქტურ პატრონიმიულ დასახლებასთან ერთად, შეიძლებოდა არსებულიყო და არსებობდა პატრონიმიის განტოტების და გაფართოების შედეგად სოფლის ტიპის დასახლება (ე. ი. ერთი გვართ დასახლება,

მონოგენური სოფელი -დ. ქ.), რომელიც შედგებოდა რამდენიმე პატრონიმიისაგან და ამასთან ერთად, ურთიერთმონათესავე დასახლებები, რომლებიც, აქედან გამომდინარე დიდი პატრონიმიების დასახლებებს წარმოადგენდნენ“.¹

თავის დროზე, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი დაკვირვებით, „ქართული სოფლები უძველეს დროში გვაროვნებათა მიხედვით უნდა ყოფილიყო დასახლებული“.² მთიულეთის მაგალითზე, ალ. რობაქიძის კვლევით, „მიუხედავად იმისა, თუ როგორ ვითარდებოდა დასახლების ერთეული სოფლის შიგნით უბანთა გაჩენის თუ სოფლის გარეთ ახოს შექმნის გზით, ორივე მათგანი თავდაპირველად მხოლოდ და მხოლოდ ან ყოველ შემთხვევაში უპირატესად, ერთი გვარის ოჯახებით იყო დასახლებული, რომლებიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე ძველი გვარის „კომობას“ ქმნიდნენ. ეს იყო ტიპური პატრონიმიული (და არა გვაროვნული, -ალ. რ.) დასახლება, რომელიც აქაც კარგად ცნობილი საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმის სეგმენტაციის შედეგად ყალიბდებოდა“.³

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გვარი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეგრელოს სათემო დასახლებების შიგნით საკმაოდ კომპაქტურად არის განსახლებული და ესა თუ ის უბანი შესაბამისად ამავე გვარის სახელს ატარებს, პატრონიმიის რღვევის საკმაოდ შორსნასული ნიშნები შეიმჩნევა (სადაც ერთი გვარით დასახლებული უბანი შექმნილია რამდენიმე ამავე გვარის დინოსაგან), რომელთა გაერთიანების შედეგად, ე. ი. დინოების- პატრონიმიების გაერთიანების შედეგად, აქ უნდა გვექნოდნა „თური“-„სოფლის გაგებითაც“, მთხრობელი პირდაპირ ასე ამბობს: „ჩვენი დინო აქ არის, ხოლო თური (სოფელი, გვარი) იქ არის, საი-

¹ **М. О. Косвен**, Семейная община и патронимия, М. 1963, с. 105.

² **ივ. ჯავახიშვილი**, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვ., I, თბ., 1928, გვ. 115.

³ **რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე**, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 9-10.

დანაც ჩვენ ჩამოვედით“.¹ ე. ი. „გვარი ანუ თური“ ზოგიერთი მონოგენური უბნის მაგალითზე ცალკე სოფლად ვერ ჩამოყალიბდა და ერთი მხრივ, „თური“ ისეთი სოფლის აღმნიშვნელ სიტყვად გვევლინება, სადაც ამა თუ იმ გვარის პირველსაცხოვრისი ადგილია -„ჯინჯი“ (ძირი) ხატი, ძირი თური (გვარი, სოფელი).

ზოგიერთ ამ უბნებს ერთი გვარით დასახლებული ცალკე სოფლისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები გააჩნდა, რომელიც გარკვეული მმართველობის სისტემის-სოფლის, გვარის უხუცესი ადამიანის სახით, გვარის შესაკრები ადგილის და იდეოლოგიის სფეროში-გვარის სალოცავის არსებაში გამოიხატებოდა.

ტერმინ „თურ“-თან მიმართებაში საინტერესოა უძველესი ქართული სოციალური ტერმინი „თჳსი“, რომელიც გ. მამულიას აზრით, თავთან არის დაკავშირებული; „თჳსი“, აღნიშნავს ავტორი, ის არის, ვინც თავს ეკუთვნის, ვინც თავ-ის-(ა) არის. თჳსი, ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის დროის ტერმინია, რომლის სოციალურ ბუნებაზე ზანური თი და თური მიუთითებენ. „თი“ ზანურად თავს ნიშნავს, მეგრულში კი თავის გარდა თი ოჯახის, სახლის, ეზოს, გვარის მნიშვნელობით იხმარება, ხოლო თური-სახლიშვილის, მოგვარის მნიშვნელობით“. ავტორი ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „თჳსი ფარნავაზამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა და ის ბრინჯაოს ხანას მოიცავს, მაშინ, როდესაც, ქართველ ტომებში პატრიარქალური ურთიერთობანი მაქსიმალურ განვითარებას აღწევენ“².

„თური“-ს „გვარის“, „სახლის“ მნიშვნელობის გაგებასთან მიმართებაში საინტერესოა ერთ საარქივო საბუთში დაცული ცნობა. კერძოდ, 1828 წელს სარდალ-ბოქაულთუხუცესი ნიკო დადიანი (ნიკო მეორე), აზნაურ ხოფერიებისადმი ბოძებულ წყალობის

¹ მთხრ. ხარებავა ლეო ნესტორის ძე, დაბ. 1925 წ.

² გ. მამულია, აგნატური ჯგუფები ძველ ქართულში და მათი გენეზისი, ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976, გვ. 121-128.

ნიგნში აღნიშნავს: „ოდეს სწვიდეს ურთიერთსა... დაინვი სახლსა შინა თურით შენით და ესრე ხსენებული ნიგნები... დამწვარ იქნა“¹.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, ნათელია, რომ თი (თური) მეგრულში „სახლი“-ს ანუ „გვარის“ აღმნიშვნელი ტერმინია. ის იგივე მნიშვნელობით უნდა არსებულიყო სხვა ქართველურ ტომებში, რასაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შემორჩენილი ეთ-თი-თა პატრონიმიული სუფიქსური დანაყოფების არსებობა ადასტურებს. სიტყვა თი-მ (ეთი-თი-თა სუფიქსების სახით) ადრინდელი მნიშვნელობა სამეგრელოსაგან განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებში დაკარგა და სამეცყველო ენაში არ შემორჩა როგორც ცოცხალი ლექსიკური ერთეული. ის აქ შეუსისხლხორცდა ადამიანის საკუთარ სახელს, რომლითაც იწარმოება ერთი სისხლნათესაური ერთობა, ჯერ უფრო წვრილი გენეალოგიური ერთეული, შემდგომ კი მთლიანად გვარი, დიდი საგვარეულო ერთეული.

მაშასადამე, „სახლი“ ნიშნავდა არა მარტო ნაგებობას, არამედ იქ მცხოვრებ მოსახლეობასაც, ანუ გვარს. ასეთივე მნიშვნელობის ტერმინი უნდა ყოფილიყო „თი“ და „თური“. „თი“-დან ნაწარმოები „თური“ მეგრულმა დღესაც ცოცხლად შემოინახა „თანამოგვარეთა“ აღმნიშვნელად (ხოლო „ოხოორუ“, სიტყვა „მახორობას“, ანუ ოჯახის მნიშვნელობით დარჩა დღემდე). „თური“ ერთი სისხლნათესაური ერთობის აღმნიშვნელი იყო და არის; დღევანდელ ვითარებაში კი სამართლებრივი სტატუსის მქონე ერთობის ანუ ფამილიის, იგივე მოგვარეების აღსანიშნავადაც იხმარება. ის დღევანდელ ტერმინ „გვარი“-ს და უწინდელი „სახლი//ოხოორი//ქორ“-ის იდენტურია. „თური“-ს იდენტურია ასევე ქართული „თესი“, რომელიც, როგორც გაირკვა, უძველესი ტერმინია და ქართულ-ზანური ერთიანობის დროისად არის მიჩნეული (გ. მამულა). „თესი“ პირდაპირ „თავისიანს“ რესპ. „ჩემიანს“ „თავი-

¹ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის მასალები, საბ. №1184.

სი სისხლით ნათესავს“ აღნიშნავს. შემდგომ „თი“-ს განვითარება მოხდა არა მარტო ვინროდ „გვარის“, არამედ ზოგადად „ქვეყნის“, „მინა-წყლის“ „ტომის“ აღმნიშვნელ სიტყვამდე. ამას მონაწილეობს ისეთი გვიანდელი წარმოებები, როგორიცაა: იმერე-თი, კახე-თი, კოლხ-ეთი, ჯავახ-ეთი, რუს-ეთი, ჩინ-ეთი, თურქ-ეთი და სხვა.

არის კიდევ ერთი ნიუანსი. თუ „თი“-ს მივიჩნევთ „სახლის, „გვარის“ „მინა-წყლის“, „ქვეყნის“, ასევე პატრონიმისტიკული სახელწოდებების და გვართა მანარმოებლად, მაშინ რატომ ერთვის ის ისეთ ტოპონიმიკურ ფუძეებს, რომელსაც ამ სახის სოციალურ ერთეულებთან სემანტიკურად არავითარი კავშირი არა აქვს. მხედველობაში გვაქვს ისეთი სახელწოდებები, როგორიც არის „წკნელეთი“, „შაბუთი“, „ნიგოზეთი“, „ბჟოლეთი“, „მშველეთი“, „გველეთი“, „ჟინოთა“, „ჭუბურთა“, „ქურთა“, „ხორანთა“ და სხვა. ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვექონდეს იმ გარემოებასთან, რომ ეს ტოპონიმები იმ პერიოდში ჩნდება, როცა თი//თა-მ დამოუკიდებელი სიტყვის მნიშვნელობა დაკარგა და ის უბრალოდ მანარმოებელ ან მრავლობითობის მანარმოებელ სუფიქსად გადაიქცა (შდრ. -ონ სუფიქსი მეგრულში). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს ტოპონიმები, ყოველ შემთხვევაში მათი გარკვეული ნაწილი, ჯერ კიდევ ფუძისეულად საკვლევია. მაგალითად, „გველეთი“ შეიძლება იყოს საკუთარი სახელისაგან ნანარმოები, რადგან არსებობს გვარსახელი „გველესიანი“, ხოლო ზოგიერთი შესაძლოა ეთნოტოპონიმიც იყოს („ქურთა“, „ხორანთა“).

თი//თა სუფიქსის გვარსახელებთან მიმართებაში დახასიათებისას საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. როგორც ზემოთ აღნიშნა, პატრონიმიულ დანაყოფებს სხვა სუფიქსურ წარმოებებთან ერთად (ენი, იანი) თ//თა სუფიქსიც ერთვის. თუმცა მისი „ფამილიად“ გაფორმების შემდეგ ის (მაგ. ქუტიენთი-ქუტიძე, ელიზბარიენთი- ელიზბარაშვილი და სხვა) სრულიად ქრება და „ძე“ და „შვილი“ წარმოებებით არის წარმოდგენილი. იმის მტკიცება, რომ „შვილი“ (ხოლო „ძე“ ცალკე კვლევის საკითხია და ისიც ძველი ჩანს) შედარებით გვიანდელი წარმოქმნილია, საეჭ-

ვო არ არის (ის ზანურ-სვანური კუთვნილების -ში სუფიქსიდან მომდინარეა და „შობა“ ზმნიდან მოდის) და თი//თა და იან, ენი სუფიქსებით მათი ჩანაცვლება, ვფიქრობთ, აიხსნება იმ უბრალო ფაქტით, რომ ამ ტერმინების (თი//თა) უძველესობიდან გამომდინარე, სამეტყველო ქართულმა და სალიტერატურო ენამ მათი ნამდვილი მნიშვნელობა დაკარგა. მათ (თი-თა) გვარის ოფიციალური სამართლებრივი სტატუსის დამტკიცების დროს ცოცხალი მეტყველებისგან ვერ მიიღეს მნიშვნელობის გააზრების შესაძლებლობა და მათთვის მისაღები გახდა „ძე“ და „შვილი“ ტერმინები, რომლებიც დღესაც ცოცხალი ლექსიკური ერთეულებია, როგორც სამეტყველო, ისე სალიტერატურო ენაში. ის პირდაპირ ხაზს უსვამს და მიუთითებს ამა თუ იმ ადამიანის „ძეობა“-ზე (ძე ალბათ იდენტურია ძუ-სი, ანუ იგულისხმება დედის სქესი, რაც უძველესი ჩანს) და „შვილობა“-ზე (იგულისხმება შობა).

ტერმინ თი-ს ისევე, როგორც „სახლს“, რომლის შესატყვისია მეგრული ოხორი//ხორი და სვანური „ქორი“, ცალკე ვერც ერთი ქართველური ტომის კუთვნილებად ვერ ჩავთვლით, ის საერთოქართველური (და შესაძლოა საერთო იბერიულ-კავკასიური ოდინდელი ერთობის დროინდელი) ტერმინია, რაც, როგორც ვნახეთ, ნათლად ჩანს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ტოპონიმიკასა და პატრონიმისტიკულ სტრუქტურაში.

„თურ“ ტერმინი საინტერესოაა შემორჩენილი აჭარაში. კერძოდ, როგორც აღნიშნულია, აჭარაში დიდი ოჯახის მმართველად ქალი ჩანს, ხოლო პატრონიული გაერთიანება ნეგრო-ყოფილი დიდი ოჯახის წინამძღოლი ქალის სახელს ატარებდა. კერძოდ, სოფელი სხალთურიენთი წარმოდგა ოჯახის ყოფილი წინამძღოლი ქალის სადაურობის გამომხატველი სახელწოდებიდან „სხალთურა“, რაც სხალთელს ნიშნავს. ამგვარი მეტსახელის შერქმევა მიჩნეულია აჭარულ ოჯახში დამკვიდრებული განრიდების წესის ნიშნად¹. მაშასადამე, თური აქ ოდესღაც

¹ თ. აჩუგბა, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ., 1990, გვ. 79.

უნდა ყოფილიყო როგორც სოფლის, ისე გვარის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელსაც სადაურობის -ურ სუფიქსი დაერთვის და -თი ლექსემა, როგორც ოჯახის და გვარის აღმნიშვნელი სახსე-ბით იდენტურია ზანურ მასალასთან.

ადილურ ენაში გვხვდება სიტყვა ტამ (ე)//თამ(ე) там (ჟ), რომელიც ნიშნავს „უბანს“, „აულის ნანილს“. სპეციალურ ლიტერატურაში ის მიჩნეულია ქართული სიტყვა „თემი“-დან შეთვისებულიად¹.

„თურ“ და „თემ“ ტერმინებთან მიმართებაში, რომელიც მეგრულსა და სვანურში აღნიშნავს გვარის გენეალოგიურ ჯგუფს და ოჯახს, მიესადაგება აბაზინებში ერთი აულის ფარგლებში მცხოვრები საოჯახო-ნათესაური ჯგუფების აღმნიშვნელი ტერმინი „თუხუმი“².

ჩვენი აზრით, თურ სიტყვის წარმომავლობა უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ამის წარმოდგენა იყო შესაძლებელი. ამ მხრივ საინტერესო პარალელად მიგვაჩნია შუმერული მასალა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ შუმერულში „სამოსთვის“ და „ბოსლის“ აღმნიშვნელად გვაქვს შუმერული თურ სიტყვიდან მომდინარე-შაგ-თურ ან შა-თურ (აქად. შათურრუ, შასურრუ), რომელიც განიმარტება, როგორც „ბოსლის წიაღი“ და კიდევ სხვა პიქტოგრამა-„ბოსელში მყოფი დიაცი“, რომელიც იკითხება როგორც არხუმ და წარმოადგენს ზემონახსენები პიქტოგრამის-„სახლში ჩახატული დიაცი“, სახესხვაობას. თავად „ბოსლის“ (თურ) პიქტოგრამა წარმოადგენს შუმერულ სახვით ხელოვნებაში საკმაოდ გავრცელებული მოტივის სქემატურ ნახაზს. ამ სურათზე ჩვენ ვხედავთ შენობის ორივე მხრიდან გამომავალ ჩვილ ხბორებს, ახლადშობილ მარჩბივს (მეტისმეტი ნაყოფიერების ნიშნად), ხოლო მის გარშემო მოარულ საქონელს, რომელიც თავის დროზე

¹ Г. В. Рогова, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб. 1956, გვ. 4, 120.

² Е. Н. Данилова, Семья и патронимия в системе селской общины Абазин во второй половине XIX века, Советская Этнография, №5, 1973, с. 84-85.

იმავე ბოსლის წიაღში უნდა შობილიყო. ეს ბოსელი არ არის მათი საერთო საშო, რომლის სიტყვიერად შესაბამისად გამოხატულია კომპოზიციით შა-თურ. ანალოგიურ გამოსახულებას ვხედავთ სხვა სურათზე, სადაც სათურში შობილად წარმოდგენილია არა ძროხა, არამედ ცხვარი. ორივე შემთხვევაში ბოსელი „საშოობს“ და საშო „ბოსლობს“. მითოსურ-მეტაფორული აზრით მათ შორის სრული იგივეობაა. ამავე დროს, ორმაგი სემანტიკის მქონე სიტყვა შა-თურ ზედსართული სახელწოდებაა ნინ-თურისა, შობის ქალბატონის, და მამასადამე ქალღმერთიც წარმოდგენილია საშოდ, როგორც ზემოთ ვნახეთ დედრის სახელწოდებათა მაგალითზე. აქ ეს იგივეობა შა-თურსა და ნინ-თურს შორის- მოტივირებულია მათ სახელწოდებებში შემავალი იდენტური ჟღერადი სიტყვით თურ, რომელიც პირველ შემთხვევაში თუ „ბოსელს“ ნიშნავდა, მეორე შემთხვევაში განსხვავებული ცნების გამომხატველია. ნინ-თურის სახელში შემავალი თურ მარცვლის პიქტოგრამა იკითხება აგრეთვე როგორც თუ ან თუდ, რაც „შობას“ ნიშნავს. მაგალითად, დუმუ-უთუ-და „ძე შობილი“¹.

შუმერულ მასალაზე დაყრდნობით მსჯელობა თურ სიტყვაზე, მართლაც რომ საყურადღებოა. თუ და თური ხომ აქაც ნიშნავს შობას, იგივე ჩვილს, რომელიც „საშო“ სიტყვიდან მომდინარე ტერმინი ჩანს და ის სწორედ ამ ცენტრის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, როგორც სიცოცხლის გამჩენის, რაც უნდა გამხდარიყო ოჯახის, ხოლო შემდგომ გვარის აღმნიშვნელ სიტყვად დამკვიდრების საფუძველი, მოგვიანებით კი, პატრონიმიის, ანუ ერთი სისხლნათესაური ერთობის. ის ასევე, გვარსახელების მანარმოებელ, ტომის და ქვეყნის მრავლობითობის აღმნიშვნელ სუფიქსად უნდა გაფორმებულიყო. მამასადამე, თი//თური თავდაპირველად დამოუკიდებელი სიტყვა იყო, რომელსაც საშოს მნიშვნელობასთან, ანუ სიცოცხლის საწყისის გააზრებასთან მიყვავართ. შედარებისათვის, შესაძლოა, აფხაზურში გვარსახელების დაბოლოების

¹ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976.

სუფიქსი -ბა ამგვარი სემანტიკის იყოს და თავისი წარმოშობით უკავშირდებოდეს სიტყვა ბოსელს (შდრ. ბა-გა).

მაშასადამე, „გვარის“, „მოსახლეობის“, „მინა-წყლის“, „ტომის“, „ქვეყნის“ აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო ეთნო-ტოპონიმიკური მანარმოებელი -ხი ლექსიკური ერთეული და მისგან ნანარმოები სახლი//ოხორუ//ქორი. ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვქონდეს შემდეგ გარემოებებთან: -ხი ელემენტი და მისგან ნანარმოები სახლი//ოხორუ//ქორი, რომელიც „ხალხს“, „ქვეყანას“, „ტომს“, „მინა-წყალს“, „გვარს“ ნიშნავს ქართველურ, იბერიულ-კავკასიურ და ძველადმოსავლურ ლექსიკაში, იმ დროისათვის, როდესაც ის ფუძეს ერთვის (მაგ. კულ-ხა//კოლ-ხი ძვ. წ. VIII-VI სს.), ხი-ს (სახლის, გვარის, ტომის) ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებული ჩანს. „ხი“ ამ პერიოდისათვის თითქოს კარგავს თავის ნამდვილ მნიშვნელობას და იქცევა უბრალო მანარმოებელ სუფიქსად, რომლის მნიშვნელობა უკვე გარკვეული პერიოდის შემდეგ სახლი//ოხორუმ (-სა და -ო პრეფიქსის დამკვიდრების შემდეგ) ჩანაცვლა. ასეთივე სურათი გვაქვს თი-ს განვითარებასთან, რომელიც ხი-ზე (სახლზე//ოხორ-ზე) უფრო გვიანდელი წარმოქმნილია, ანუ იმ ეპოქაში, როცა -ხი უკვე ჩვეულებრივ სუფიქსად იქცა. მაშასადამე -ხი განვითარდა უმაღლეს პოლიტარქიად. მან უკვე „სახლის“, ანუ ვინრო საგვარეულო ერთეულის მნიშვნელობა დაკარგა და უფრო ფართო „სატომო“ და „ქვეყნის“ (კოლ-ხი, დიაო-ხი და სხვ.) მნიშვნელობა შეიძინა. ეს ფაქტი იგივე იყო -თი ერთეულისთვისაც, რომელმაც ასევე დაკარგა „სახლის“ მნიშვნელობა და თანამედროვე რეალობაში შემოგვრჩა გვარის დანაყოფების სუფიქსურ მანარმოებლად; ის „ქვეყნების“, „ტომის“, „ხალხის“ სახელწოდებების მრავლობითობის მანარმოებლად იქცა. -ხი-დან ასევე განვითარდა მეგრული „სამოხიო“, გურული სახვეისკაცო//სახეისკაცო, იმერული „მეხევე“, ქართული „ხევი“, სვანური ჳეჴ . ე. ი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველური სახლი//ოხორუ//ქორი განვითარდა სახელმნიფობრივ-ადმინისტრაციულ,

გარკვეული ტერიტორიული ერთობების აღმნიშვნელ ტერმინებად, უმაღლეს ადმინისტრაციულ პოლიტარქიებად. მის პარალელურად არსებობს ტერმინი „თემი“, რომელიც უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულს აღნიშნავდა.

როგორც აღინიშნა, ეთნოგრაფიულად ჩვენთვის ხელმისაწვდომი პერიოდისათვის და ალბათ უფრო ადრეც, ტერმინები სახლი//ოხორუ//ქორი, გვარის და გარკვეული სისხლნათესაური ერთობის მნიშვნელობით უკვე აღარ იხმარება. ის უბრალოდ საცხოვრებელი ნაგებობის მნიშვნელობით ვიცით, რასაც ვერ ვიტყვით მეგრულ „თი-თურ“-სა და ქართულ „თჯის“-ზე, რომელიც „გვარს“ და ოჯახს ნიშნავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების სახელწოდებებში ხი//თი დღესაც თანაბარი მნიშვნელობით გვხვდება ორმაგი წარმოებებით (მაგ. ჯავახეთი, კახეთი და სხვ.), როგორც ჩანს, ეს იმ დროის მოვლენაა, როცა ხი-მ დაკარგა ადრინდელი, ნამდვილი და რეალური მნიშვნელობა; მან ადგილი დაუთმო ცოცხალ ლექსიკურ ერთეულ თი-ს, რომელიც შემდგომში ბევრ ქართველურ ტომში (მეგრულის გარდა) იმავე ბედს იზიარებს და მარტო ანთროპო და ტოპომანარმოებლის როლში გვევლინება.

იგივე სურათი გვაქვს ქართულ გვარსახელებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, თი- ოფიციალური სამართლებრივი სტატუსის მქონე გვარსახელებს იშვიათად აწარმოებს, თუმცა ხი-ს შერჩა ეს ფუნქცია. საფიქრებელია, რომ თი-მ ვერ მოასწრო ამ ფუნქციის შეთავსება, რადგან ის დაფარა ძე-მ და შვილ-მა. მაგალითად, კობახი-ძე-ში, თი-ს რომ მოესწრო, უნდა გვექონოდა კობა-ხი-თი, მაგრამ უკვე „ძე“ ჭარბობს, რაც გვიანდელი მოვლენაა. კობახიძის თავდაპირველი ფორმა იქნებოდა „კობახი“, რომლის შედარება შეიძლება ეთნოგრაფიულად ფიქსირებულ პატრონიმიულ დანაყოფთან „კობაითი“ (აქ ზოგად ტენდენციებზე გვაქვს საუბარი და არა კონკრეტულ შემთხვევებზე). კობათი, კობათური-კობას ოჯახს, სახლს, გვარს ნიშნავს. ამ შემთხვევაში კობა-ხი-ძე-ში და პატრონიმისტიკულ „კობაი-თი“-ში -თი და -ხი, ერთი და იმავე ფუნქციაზე მიუთითებს.

§ 2. მეგრული დინო-პატრონიმია (გენეზისი და სტრუქტურა)

ქართული სოფლის დასახლებასთან მიმართებაში საყურადღებოა ტერმინ „პატრონიმიის“ ქვეშ ნაგულისხმევი სოციალური ერთეული, რომლის განმარტება პირველად ვრცლად მ. კოსვენმა შემოგვთავაზა: „პატრონიმია“ (ლათინურიდან: პატერ მამა და ნომენ-სახელი, ე. ი. სახელწოდება მამის მხრიდან) ისტორიული, საზოგადოებრივი ფორმაა, დამახასიათებელი პატრიარქალურ-გვაროვნული წყობისათვის, ის წარმოადგენს დიდ ან მცირე ოჯახთა ჯგუფს, რომელიც წარმოქმნილია ერთი პატრიარქალური საოჯახო თემის გაზრდის შედეგად და მას ამა თუ იმ ფორმით შენარჩუნებული აქვს მეურნეობრივი, საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ერთიანობა, რომლებიც ატარებენ ერთი პატრონიმიული ანუ ოჯახის უფროსის საკუთარ სახელს¹.

გვარის სტრუქტურის შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. საკითხი განიხილებოდა, როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების, ისე საქართველოს და კავკასიის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.² ავტორთა უმრავლესობა კოსვენისეულ სქემას უჭერდა მხარს, ნაწილმა ეს კონცეფცია მკაცრი კრიტიკის და პოლემიკის საგანი გახდა. ზოგი

¹ **М. О. Косвен**, Семейная община и патронимия, М. 1963, გვ. 97.

² **Н. А. Бутинов**, Община, семья, род, Советская этнография, М. 1968, № 2; **Н. А. Кисляков**, По поводу статьи М. В. Крюкова, о соотношений родовой и патронимической (Клановой) организации, Советская этнография, № 2, М. 1968; **М. О. Косвен**, История родового строя в Юго Осетии, Советская этнография, М. 1967, № 6. მისივე, Семейная община и патронимия, М. 1963; **М. В. Крюков**, О соотношении родовой и патронимической (клановой) организаций, Советская этнография, М. 1967, № 6; **А. И. Робакидзе**, Особенности патронимической организации у народов горного Кавказа (в связи с вопросами о соотношении рода и семьи, Советская этнография, №5, М. 1968; **Ю. И. Семенов**, Как возникло человечество, М. 1966; **რ. ხარაძე**, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, „მემომხილველი“, I, თბ., 1941; **ბ. მგელაძე**, **ბ. მასანოვი**, სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, კრებ. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათუმი, 1996.

კი მას საერთოდ მეორეხარისხოვან ინსტიტუტად მიიჩნევდა¹. ზოგიერთი ავტორი, განვითარების ამ ხაზს საერთოდ არ იხსენიებს სოციალურ ორგანიზაციათა სტრუქტურის კვლევისას². მ. კრიუკოვმა ტერმინი „პატრონიმია“ ნათესაობის მატერილინური ხაზის მქონე ხალხების მიმართ შეუსაბამოდ მიიჩნია და მის აღსანიშნავად შემოგვთავაზა მიორდოკის მიერ ნახმარი ტერმინი „კლანი“-ს გამოყენება³. მ. კრიუკოვის სტატიას გამოეხმაურა ნ. ა. კისლიაკოვი, რომელმაც პატრონიმიის კოსვენისეული სქემის ძირითად მომენტებს დაუჭირა მხარი, თუმცა პატრონიმია მან გვიანდელ მოვლენად მიჩნია და თვით ტერმინის გამოყენება უმართებულოდ ჩათვალა⁴. ზოგიერთმა მკვლევარმა, კოსვენის სქემის თითქმის ყველა ასპექტს დაუჭირა მხარი⁵. ალ. რობაქიძემ პატრონიმია, მხოლოდ და მხოლოდ საოჯახო თემის ან მისი გადმონაშთური ფორმის ოჯახის დაშლის შედეგად წარმოქმნილად მიიჩნია⁶, ხოლო ი. გოგინაშვილმა, პატრონიმიის დამოუკიდებელი სოციალური ფუნქციის მქონე ერთეულად გაგება არამართებულად ჩათვალა და მას უბრალოდ „გენეალოგია“ უწოდა⁷; ნ. მგელაძემ და ნ. მასანოვმა, პატრონიმიის გენეზისის საკითხებზე სრულიად ახალი თეორიული მიდგომები შემოგვთავაზა და მას

¹ Н. А. Кисляков, Рецензия на книгу М. О. Косвена, «Семейная община и патронимия», Советская Этнография, № 6. М. 1965.

² Д. А. Олдерогге, Иерархия родовых структур и типы большесемейных домашних общин, Социальная организация народов Азии и Африки, М. 1975.

³ М. В. Крюков, О соотношении родовой и патронимической (клановой) организации, Советская Этнография, № 6. М. 1967.

⁴ Н. А. Кисляков, По поводу статей М. В. Крюкова, «О соотношении родовой и патронимической (клановой) организации», Советская этнография, М. 1968, № 1.

⁵ Н. А. Бутинов, Община, семья, род, Советская этнография, № 1, М., 1968.

⁶ А. И. Робакидзе, Особенности патронимической организации народов горного Кавказа (в связи с вопросами о соотношении рода и семьи), Советская этнография, № 5, М. 1968.

⁷ ი. გოგინაშვილი, ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1991.

„ლინიჯთა“ ერთობლიობა უნოდა, ასევე მისი ლოკალურობის საკითხიც ეჭვქვეშ დააყენა¹.

ამდენად, პატრონიმიის და პატრონიმიული ორგანიზაციის სტრუქტურისა და გენეზისის საკითხთან დაკავშირებით უამრავი ახალი მოსაზრება გაჩნდა, მაგრამ თითოეული მათგანის შეფასება ვრცელი ფაქტობრივი მასალის გაანალიზების გარეშე შეუძლებელია, რაც ამჯერად ჩვენს მიზანს არც წარმოადგენს. მოკლედ კი დავაფიქსირებთ ჩვენს მოსაზრებას, რომ განვითარებული გვაროვნული ურთიერთობების პირობებში და, ნაწილობრივ, კლასობრივი საზოგადოების დასახლებებში, „გვარი“ ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ერთეული იყო. რაც შეეხება თვით ტერმინ „პატრონიმიას“, ის შეუსაბამოდ მიგვაჩნია ნათესაობის „პატრილინური“ და „მატრილინური“ ხაზის არსებობის გამო; ამ სოციალური ერთეულის აღსანიშნავად, შესაძლებლად მიგვაჩნია, ტერმინების „კლანი“ ან „ლინიჯი“ გამოყენება, თუმცა არა იმ გაგებით, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ხმარობს (მიორდოკი, მგელაძე, მასანოვი); მიგვაჩნია, რომ ერთი სისხლითნათესაური ერთობა არა თუ გვიანდელი მოვლენაა, არამედ ის გვარის შიგნით არსებული უძველესი სოციალური ერთეულია, როგორც გვაროვნული, ისე კლასობრივი საზოგადოების „საგვარეულო“ დასახლებებში. ის ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ დროს ფიქსირებულ დასახლებებში პირველ რიგში ნათესაური ერთობაა და არა მეურნეობრივი (თუმცა ეს ფუნქცია მას ავტომატურად მაინც გააჩნია მონოგენურ დასახლებებში); ის გვარის შიგნით მოქმედი ლოკალური ერთეულია, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, ჩვენი აზრით (როგორც გვაროვნულ ეპოქაში, ისე დღევანდელი ტიპიურ მონოგენური სოფლის შიგნით, სადაც უამრავი ასეთი ლოკალური

¹ **ნ. მგელაძე, ნ. მასანოვი**, სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, კრებ. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ტ. I, თბ., 1986.

ერთეული გამოიყოფა), არის იდეოლოგიური ერთიანობა, რაც საერთო წინაპრიდან წარმომავლობის გაცნობიერებაში და ერთიანი სალოცავის არსებობაშია გამოხატული.

სამეგრელოს მაგალითზე დასახლების ტიპს ქმნიდა (და ნაწილობრივ დღესაც ნარჩუნდება) მონოგენური სოფელი. სწორედ ამ მონოგენური დასახლების შიგნით, ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, პატრონიმიის აღმნიშვნელ ტერმინად თურ-თან ერთად გვხვდება ტერმინი „დინო“.¹

ამ სახის სოციალური ინსტიტუტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი: „მამანი“-ხევსურეთში², „ბაბუაშვილობა“-მთიულეთ-გუდამაყარში,³ „კომობა“ და „ბუდობა“-მთიულეთში.⁴ „ერთი ცეცხლის პირზე გაყრილები“-ქართლში,⁵ „ბაბუაშვილობა“ და „სახლიშვილობა“-რაჭაში,⁶ „გამრიგვი“⁷ და „ნოგრო“- აჭარაში,⁸ „სამხუ//ლამხუბი“ (თემი-დ.ჭ.)-სვანეთში,⁹ „აბიფარა“-აფხაზეთში,¹⁰ „ბუდობა“-მარტყოფში¹¹, „გვარზედმეტი“, „განაყოფი“, „ნიკიანი“-ოკრიბაში¹².

¹ იხ. დ. ჭითანავა, პატრონიმია და გვარი სამეგრელოში, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 2002, ტ. V, გვ. 322-344.

² რ. ხარაძე, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, „მიმოხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 187.

³ ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974, გვ. 20.

⁴ ალ. რობაქიძე, მთიულეთის კომობის ზოგიერთი მხარე, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. III, თბ., 1971, გვ. 66-68.

⁵ P. Харაძე, Грузинская семейная община, т. I, Тб., 1960, გვ. 52.

⁶ P. Харაძე, Грузинская семейная община, т. I, გვ. 78.

⁷ ალ. რობაქიძე, მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა“, II, თბ., 1974, გვ. 31.

⁸ ნ. მგელაძე, ნოგროს წვერთა ქონებრივ-უფლებრივი წესები აჭარაში, კრებ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა“, ტ. III, თბ., 1978, გვ. 74.

⁹ რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, გვ. 20.

¹⁰ С. Бахия, Абхазская «абиппара», патронимия, с. 5.

¹¹ მ. ილურიძე, გვარები და ბუდობები სოფელ მარტყოფში, თბ., 1998.

¹² დ. შავიანიძე, ოკრიბული გვარსახელები, ქუთაისი, 2002.

ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საქართველოში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე (მოგვიანებითაც-დ. ჭ.) არსებობას ინარჩუნებს მრავალთაობიანი და მრავალსულიანი დიდი ოჯახი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებებით არის ცნობილი: „ერთიანობის სახლი“¹, „განუყოფელი სახლობა“, „ჯალაფი ოჯახი“, „სადმო სახლი“ და „ჯარისეული ოჯახი“-აჭარაში²; „ჯალაბი ოჯახი“-იმერეთში³; „დიდი ოჯახი“, „დიდი კომი“, „დიდი ჯალაბი“, „დიდი ჯალაბობა“, „გაუყრელი ოჯახი“, „ერთიანობის ოჯახი“, „ერთობის სახლი“, ან „ჯალაფი“-მთიულეთ-გუდამაყარში⁴, რომელთა სახელწოდებაში „სიდიდე“ („დიდი“), ვალერიან ითონიშვილის დაკვირვებით, ოჯახის გაუყრელობის ფაქტს, მის მრავალრიცხოვნობას⁵ აღნიშნავს.

ოჯახის ამ სახელწოდებებში ტერმინი „სახლიც“ ფიგურირებს, მაგრამ ზოგჯერ მას ენაცვლება უცხო წარმომავლობის და გვიანდელი ტერმინები „კომი“ და „ოჯახი“. ტერმინ „სახლთან“ ერთად ოჯახის აღმნიშვნელად სიტყვების-„განუყოფელი“, „ერთიანობის“, „დიდი“-ს გაჩენა, ჩვენი აზრით, გვიანდელი მოვლენა გახლავთ, როცა „სახლმა“ სოციალური მნიშვნელობა დაკარგა. „სახლი“ ადრინდელ ეპოქაში, ალბათ, თავისთავად გულისხმობდა „განუყოფელობას“, „მრავალრიცხოვნობას“ და „სიდიდესაც“. „სახლმა“ (ანუ ამ შემთხვევაში კონკრეტულად

¹ **ნ. მგელაძე**, შრომის ორგანიზაცია და მმართველობის სისტემა აჭარულ ოჯახში ძველად, კრებ. აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1967, გვ. 73.

² **თ. აჩუგბა**, ზემო აჭარული ოჯახის სტრუქტურა (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), კრ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1980, №7, გვ. 90; **თ. აჩუგბა**, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ., 1990, გვ. 16.

³ **Р. Харадзе**, Грузинская семейная община, т. II, Тб. 1961, გვ. 67.

⁴ **ვალ. ითონიშვილი**, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974, გვ. 18.

⁵ **ვალ. ითონიშვილი**, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, გვ. 18.

დიდმა ოჯახმა) მეტყველებაშიც დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, ხოლო სოციალური თვალსაზრისით ის ინდივიდუალურობისაკენ და დაშლისაკენ მიმართული ტენდენციით წავიდა, რაც ალბათ მისი არსებობის ყველა ეპოქაში ხდებოდა, მაგრამ XIX საუკუნემ მას საბოლოო წერტილი დაუსვა.

ჩვენ მიერ სამეგრელოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, XIX საუკუნის დასასრულამდე აქ ნაწილობრივ შემორჩენილი იყო დიდ ოჯახებად ცხოვრების ტრადიცია, რომელიც სამი თაობის შთამომავლობას აერთიანებდა და „უგურთ“, „ერიან“, „ფანია“ და „აგვართა“-ს სახელწოდებით იყო ცნობილი. ასეთი სახის სოციალურ ორგანიზმს გააჩნდა საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა, მმართველობის სიტემა, საერთო საოჯახო ქონება, რომელზეც ოჯახის თითოეული წევრი თანასწორუფლებიანობას ინარჩუნებდა, როგორც გაყრის (ქალების გარდა), ისე ერთად ყოფნის დროსაც. მას ასევე გააჩნდა იდეოლოგიური ერთიანობის ისეთი ინსტიტუტი, რაც საერთო-საოჯახო „ოხვამერის“ (სალოცავის) არსებობაში გამოიხატებოდა.

სწორედ ამ სახის დიდი პატრიარქალური ოჯახის ანუ საოჯახო თემის ტრანსფორმირებული ფორმით აქ არსებული დიდი ოჯახის დაშლის შედეგად მიღებული მონოგენური დასახლებების შიგნით იქმნება პატრონიმიული ერთეული, რომელიც „დინო“-ს სახელწოდებით არის ცნობილი და რომელიც აქ ქმნის დასახლების გარკვეულ ტიპს. „დინო“-თა შემდგომი გაზრდის და განტოტების შედეგად კი იქმნება უფრო დიდი სოციალური ერთეული მონოგენური დასახლებით, რომელიც „თური“-ს სახელწოდებით არის ცნობილი.

სამეგრელოში ჩვენს მიერ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „დინო“ არის ერთი დიდი ოჯახიდან, საერთო კერიდან „განაყართა“, „გამოსულთა“ აღმნიშვნელი ტერმინი, ერთი „ზისხირი დო ხორცი“ („სისხლი და ხორცი“), ერთი „გამნარყი“, „ნარყი“ („ნაყარი“, „განაყარი“), რომელიც აერთიანებს 4-5 თაობის და

იშვიათად 6-7 თაობის, ერთი დიდი ოჯახიდან განაყარ, როგორც გვერდითი, ისე პირდაპირი, აღმავალი პატრილინეური ხაზის შთამომავლებს (ნათესავეებს), რომლებიც ერთმანეთის გვერდით სახლობენ თავიანთი „მამა-პაპის“ (უშუალო წინაპრების) მიწებზე, გააჩნიათ ერთიანობის გარკვეული ნიშნები და აქედან გამომდინარე ქმნიან დასახლების გარკვეულ ტიპს.

თავის დროზე, ტერმინ „დინო“-ს ყურადღება მიაქცია ნ. მარმა და „შინა“-ს („ШИНА“) სახით მას ქართული ექვივალენტი მოუძებნა, რომელიც (დინო) ავტორისავე აზრით, „სახლის“ მნიშვნელობითაც შეიძლება იქნეს გაგებული.¹ გ. ელიავას დაკვირვებით, „დინო“ ანუ „დინოხოლენი“ ნიშნავს შინაურ ხალხს, შიდა ნათესავთ, შიდა ახლობელთ.²

ჩვენ ვიზიარებთ ზემოთ წარმოდგენილ ავტორთა მოსაზრებებს და აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „დინო“ წარმოადგენს შემოკლებულ სახეს მეგრული სიტყვისა „დინოხოლენი“, რაც სიტყვასიტყვით „შიგნითა“-ს ნიშნავს, ე. ი. ამ შემთხვევაში ოჯახის „შიგნითა“, „შინა“ ხალხის აღმნიშვნელია, რომელთაც ერთი საერთო წინაპარი ჰყავდათ და ერთი სახლკარობა („ხოროუ“) ჰქონდათ.

სამეგრელოს სოფლის თემები წარმოადგენს ძალზე ვრცელ დასახლებებს, რომლის შიგნით შედის პატრონიმიის (დინოს და თურის) გაზრდის შედეგად მიღებული ისეთი დიდი მონოგენური უბნები, როგორც არის, მაგალითად, **ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში:**

ჯგალის თემში: ლეკვარაცხელე, ლეჩანგელიე, ლებელქანიე, ლეხარჩილე, ლესალე, ლეხუბულე, ლეთოფურე (თოფურიები იქ დღეს არ ცხოვრობენ), ლეკაკულე (კაკულიები იქ დღეს არ ცხოვრობენ).

ჩქვალერის თემი: ლეფიფიე, ლეშეროზე, ლემატუე, ლექუხილე, ლებადე, ლეგოგილე, ლეშამუგე, ლექანთარე, ლექურსუე, საჭანტურხო.

¹ Н. Я. Марр, Абхазоведение и абхазы, „Избранные работы“, т. 5, М. 1935, с. 172.

² გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, გვ. 89.

ნაკიფუს თემი: ლეაფშიე, სააბულადო, ლეცინდე. ეს მონოგენური უბნები შედის ისეთ სოფლებში როგორცაა ნაკიფუს თემში: მეჯოგეები, ქვედა და ზედა ლეჟა, ულურია, მეორე ნაკიფუ, თვითონ ნაკიფუ, ნანჯარუ.

ლიას თემი: სასამუშო, საფიფიო, საგოგოხიო, სანანო, საკანკიო, საქობალიო, საბერიშვილო, საზარანდიო. თემში ასევე გამოიყოფა ზედა ლია, ლებოხა, მახარია, პალური.

ობუჯის თემი: სამესხიო, საკონჯარიო, ჯალრა (ცხოვრობენ მებონიები, ხარჩილავები და ქებურიები), სასანგულიო, საფიფიო, საქებურიო; ასევე, არის უბანი ჭაჭაში.

ფახულანის თემი: ლეკუკე, საგურჩო, საშონიო, იგივე ტობეში, ჭველეში (აქ სხვადასხვა გვარი ცხოვრობს), სააფაქიო, საგერგედო, საგოგოხიო.

ჩხორონყუს მუნიციპალიტეტში:

ხაბუმეს თემი: ჯუმითი, რომელშიც შედის უბნები: ლეჯალალონიე და ლეგულუე; ჟულუ, რომელშიც შედის: ლეჩიქვანე, ლეგახარე, რომელიც ადრე მუხურის თემში შედიოდა, მას ასევე ეძახიან ლეძერეს, მასში შედის ლებაძალუე. ასევე ხაბუმეს თემში შედის-ლეშენგელიე, ლეჩალიგიე, მოიდანახე და ენნერი.

ჭოლას თემი: შონიათი, ბაკურეთი, ლეშენგელიე, ლეპატარე, ლეხობელე, ლეჯავატიე, ლეგაბელე.

ნაფიჩხოვოს თემი: ლებერიე, ლეგოგუე, ლეპაპე, ლელაგვილე, ლედარსალე.

მუხურის თემი: ლეჩიქვანე, ლეგახარე, ლეთოლორდე, საბაძალუო, ლეცირდე, ლეგაბელე, საცირამუო.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში:

ჯიხაშკარის თემი: საშენგელიო, საზარანდიო, საგეთიო, ქუადიდი, საბერულო. ასევე უბნებია-ფალაზონი და სობოგა,

ჭაქვინჯის თემი: დიდობერა, ნარაზენის ნანილი, რომელშიც შედის-საკალანდიო. ხიბულას უბანში-სალურნკაიო, ბალმარანი, ჯეგე ენერი, ქვატახტი, ჯიხაშკარი, დობერაზენი. თავის მხრივ ქვატახტი მონოგენური უბნებია: საჯიქიო, სახუბულავო; ბალმა-

რანში: საჩუხუო, სადარსალიო, საგულორდავო. სხვა მონოგენური უბნები აქ არ იქმნება და დასახლებები ძირითადად პოლიგენურია.

აბასთუმნის თემში შედის სამი სოფელი: აბასთუმანი, ხეცერა და ნარაზენი. ნარაზენის მონოგენური დასახლებებია: საკალანდიო, საგრიგოლაიო, საბიგვაავო. ასევე ცხოვრობენ გვარები: ლომაია, ბერიშვილი, თოდუა და ბეჭვია, რომლებიც აქ -საპრეფიქსიან მონოგენურ უბნებს ვერ ქმნიან.

ჭკადუაშის თემი: ლეჭითანე, საანთიო, საგულორდაო, სანაჭყებო, საჯიჯოლაო, საჩემიო.

ყულიშკარის თემში შედიოდა სამი სოფელი: ყულიშკარი, ალერტ-კარი და უჩაშონა. თითოეული მათგანი თავის მხრივ შედგებოდა ცალკეული მონოგენური დასახლებებისაგან. კერძოდ, თვითონ ყულიშკარში: საროგა, სამაქაცარიო, სახარება, სახასიო, საგვილიო, სანანა, საფიფიო, სამირცხულა, სალაგვილა, სათირქიო; ალერტ-კარში: საანთელა, საროგა (ყულიშკარის საროგას გაგრძელებაზე), საკანკიო, საკიკაშვილო, საესებუო, საგულუო. უჩაშონაში: საჭურღულიო, საროგა, საქანთარიო. უჩაშონაში მოსახლე სხვა გვარები აქ გვიან ჩამოსულები ან ჩასიძებით არიან დამკვიდრებული, რა დროსაც მონოგენური უბანი არ იქმნება.

მარტვილის მუნიციპალიტეტში:

თამაკონის თემის სოფლებია: თამაკონი, თარგამული, პირველი ნამოკოლაუ. მათში შედის მონოგენური დასახლებები: ლეხვიჩიე, ლეჯანაშე, ლეკაკასქუე, ლეგვილავე, ლეკვაშილე, ლეგოროზე, ლეინჯგე, ლეკიასონიე, ლეპირტახე, ლესართანე, ლეფეტელე, ლემიშველე, ლეაროსიე, ლესხულუხე, ლეკაკასქუე, ლეფარცვანე. ძველად, თამაკონის თემში შედიოდა გურძემიც მონოგენური უბნით ნახურცილაგოთი.

გოჭკადილის (გაჭედილის) თემი: შედის ორი სოფელი-სკურდი და ბალდა. ძველად სოფელს სქურდი ერქვა. ისინი ძველად სალხინოს თემის შემადგენლობაში შედიოდნენ. მასში, როგორც მონოგენური, ისე ადგილის სახელწოდების მიხედვით წარმოქმ-

ნილი შემდეგი უბნები შედის: ლერუხაიე, ლენულაიე, ლებუაღე, ლეჯამბურიე, ლეჯანჯღე, ლებალსქუე, ოხოჯური, ჭაჭახი, ლე-ბართე.

მუხურჩას თემის სოფლებია: ლეფოჩხუე, ორქა და მუხურჩა. მათში ლეფოჩხუეს გარდა ასევე შედის მონოგენური უბნები: სარურუო, სამაისაიო, საგახოკიო, საესვანჯიო, სამინდიალიო. ლეფოჩხუე ძველად ფოჩხუების გვარით დასახლებული სოფელი იყო. მუხურჩას თემის ეს სოფლები მთლიანობაში შედის ვედიდკარის თემში, რომელშიც ასევე ერთიანდება ლედარცმელე, ლეფაცუე, ეურდიე, საესვანჯიო, ასევე მახათის უბანი.

ტალერის თემის უბნებია: ლეთოდუე, ლეჯიჯღე, ლენანე, ლეგაგუე, ლეჯოჯუე, ლებიგვე, ასევე ადგილის სახელწოდებების მიხედვით: ზედა ენერი, ქვედა ენერი, ოჩე (ლაზაში ნერტი), ნობულევი.

აფხაზეთის კონფლიქტამდე სამურზაყანოშიც გვქონდა -საპრეფიქსიანი შემდეგი უბნური დასახლებები: სოფელ აჩიგვარაში-სატორუო, საქობალიო, საშაკაიო; სოფელ II ბედიამი-საქუთელიო, საჭოლარიო, სამატკო, საბიგუო; სოფელ გაგიდამი-სამებონიო, საშონიო, სახურციო; სოფელ განახლებამი-საკახიანო, სამინჯორაიო, საცქვიტარიო; სოფელ დიხაზურგამი-საგამსახურდიო, საგვაგვალიო, საეთერიო, საკვირკველიო, სალამანდიო, საძიგუო; სოფელ თაგილონში-საანჯაფარიო, საბენდელიო, სარუხაიო, სასარიო; სოფელ რეფში-სათურქიო, საინალისკუო, სამესხიო, სანანო, საყოლბაიო, საქვაცაბაიო, საჭითანო; სოფელ წარჩეში-საგერზაიო, საელიავო, საკენჯიო, საკობახიო, საჩხეტიო¹.

ამგვარად, მონოგენურად განსახლებული ყველა გვარი იყოფა რამოდენიმე „დინოდ“ და „გამნარყად“, რომელთაგან თითოეული როგორც ძველი, ისე ახალი წინაპრის საკუთარ სახელს

¹ ი. კვაშილავა, ისტორიულ-ეთნოლოგიური სამურზაყანო, თბ., 2017, გვ. 124.

ატარებს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვარის შიგნით ყველას გააჩნია თავისი დინო ანუ „გამნარყი“, ყველას ახსოვს თუ ვისი დინოს წევრია, ვინ იყო მისი უშუალო ძველი თუ ახალი წინაპარი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგვაზავოში მცხოვრები სურმავეები ოდესღაც ჩამოსულან აჭარიდან. იქ სურმანიძეები ყოფილან. ნაგვაზავოდან ნაწილი სერგიეთში წასულა. მათი წინაპრების ძველი სასაფლაო არის ნაგვაზავოში. მათ უბანს ეწოდება ლესურმე. მათი გვარის დანაყოფებია: ბუძოიას დინო, კომპულიაშ დინო, გვაბალებიშ დინო, შამუტიებიშ დინო და კიკინოზებიშ დინო. გრიშა სურმავას ოჯახში ადრე იყო სურმავეების გვარის სალოცავი. ოჯახში ასევე აქვთ საღვთო-საოცოდინაროს სალოცავი ქვევრი, რომელსაც აღდგომას ცხვარი ეწირება, მთელი საბიძაშვილო იკრიბება და ერთად ლოცულობს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის თემში მცხოვრები როგავეები, რომლებიც აქ სამ უბანს ქმნიან, და რომელთა შორის მტკიცედ დადგენილი საზღვარი არ შეიმჩნევა, იყოფიან „გამნარყებად“ (აქ ტერმინი დინო იშვიათად იხმარება), რომელთა შთამომავლებიც უძველეს წინაპართან ერთად, მათი უფრო უახლოესი მეხუთე-მეოთხე, იშვიათად კი მეექვსე და მეშვიდე წინაპრის საკუთარ სახელებს ატარებენ. კერძოდ, ლეკერძაიოს როგავეები ანუ როსტოს შთამომავლები შემდეგ გამნარყებად ანუ დინოებად (პატრონიმიებად) იყოფიან: ძოკიას გამნარყად, ძარგუს გამნარყად, არჩილის გამნარყად; კოკოჩალები ანუ კოკოჩას შთამომავალი როგავეები იყოფიან-ჯორგოს გამნარყად, ტოტის გამნარყად, თარასხანის გამნარყად, სოსრანის გამნარყად, ივანეს გამნარყად, პეტრეს გამნარყად; ჯეგე-საგულადოს როგავეები იყოფიან-გრიგორის გამნარყად, კოსტას გამნარყად ჩუხას გამნარყად, მანჩას გამნარყად.

ყულიშკარის თემში იმავე სახის პატრონიმიული დაყოფის სურათი გვაქვს სხვა მონოგენურად განსახლებული უბნების შიგნითაც. სათირქიოში (თირქიების მონოგენური უბანი) გამო-

იყოფა წინაპრის საკუთარი სახელიდან მომდინარე სამი დიდი გამნარყი- სიკოიას, შიმას და გოგიას გამნარყების სახით, რომელთა შთამომავლებიც 35 კომლად განსახლებულ, თირქიების მონოგენურ დასახლებას (სათირქიო) ქმნიან.

ხარებავეების მონოგენურად განსახლებული 32 ოჯახი იყოფა: ესტატემ გამნარყი, მაქსიმემ გამნარყი, ივანემ გამნარყი, ნესტორიმ გამნარყი, ორესტიმ გამნარყი, გიორგიმ გამნარყი, გურშიას გამნარყად ანუ დინოდ, უჩარდის გამნარყად ანუ დინოდ.

მონოგენურად განსახლებული მაქაცარიების გვარი (სამაქაცარიო) იყოფა სამ უბნად - „ჭველამ-განის“, ¹ „შოშიამ-განის“² და „ნუმოხონ“³ სამაქაცარიოს სახით. თუმცა ამ სახელწოდებებს შორის-„შოშიამ განი“-ს გარდა წინაპრის საკუთარი სახელი და ამ სახელისგან ნანარმოები პატრონიმიული უბანი არ ამოიცნობა, მაგრამ მაქაცარიები, რომლებიც ყველა ერთი წინაპრის შთამომავლებად ითვლებიან, დღესდღეობით აქ იყოფიან შვიდ გამნარყად-ქაქუჩელამ, შოშიამ, დუტუში გამნარყად.⁴

¹ ჭველამ-განი-სამაქაცარიოს ერთ-ერთი მონოგენური უბნის ეს სახელწოდება მისი პატრონიმიული, ანუ მათი წინაპრის საკუთარი სახელისგან არ უნდა იყოს ნანარმოები. ვფიქრობთ, „ჭველა“ უნდა მომდინარეობდეს სიტყვისაგან „ჭვე“ ანუ ჭვავი, რომელიც იმ ადგილებში ხარობდა, სადაც მაქაცარიების ერთ-ერთი მონოგენური უბანი იქმნება, ხოლო ამ სიტყვის („ჭველამ-განი“) მეორე კომპოზიტი – „განი“ მეგრულში „კუთხეს“ ნიშნავს (მდრ. „ანდო განი“). ე. ი. აქ საქმე ეხება იმ ადგილებში მოსახლე მაქაცარიებს, სადაც „ჭვე“ (ჭვავი) ხარობდა.

² შოშიამ-განი შესაძლებელია ნანარმოებია მაქაცარიების ერთ-ერთი პირველი წინაპრის საკუთარი სახელისაგან „შოშია“, და მისი პატრონიმიული სახელწოდება იყოს.

³ „ნუმოხონი“-„ზემოთ“, „დასანახ“, „მოპირდაპირე ადგილას“ მდებარეს ნიშნავს, რამდენადაც მაქაცარიების ძირითადი სამოსახლოდან „ნუმოხონ“ სამაქაცარიოს უბანი, მათგან შემალლებულ, დასანახ ადგილას მდებარეობს, კერძოდ კი „გაჯარის“ სასაფლაოსთან ახლოს, სადაც ისინი დღესდღეობით სულ ორ კომლს შეადგენენ.

⁴ მაქაცარიების სხვა პატრონიმიული ანუ დინოს წინაპართა საკუთარი სახელების აღდგენა ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რამდენადაც ისინი უკვე მივინცებული ჩანს.

ყულიშკარის თემში მცხოვრები გვილიების გვარი (საგვილიო-მონოგენური დასახლებით), იყოფა ვასილიში გამნარყი, გიორგიში გამნარყი (ეს უკანასკნელნი დღესდღეობით ყულიშკარში არ მოსახლეობენ და ქუთაისში არიან წასულები), მახაზიში გამნარყი, კინტირიაში გამნარყი, სიკოში გამნარყი, კოკუჩას გამნარყი; ასევე მათ გვარში აქ ყოფილა კიდევ ერთი გამნარყი-ბაშკუტიას გამნარყი, რომელთა შთამომავლობაც აქედან წასულა (სოფელ ერგეტაში, ზუგდიდის რაიონი), ხოლო მათი წინაპრის სახელწოდება ტოპონიმის სახით დღესაც შემორჩა ბაშკუტიას სამოსახლოს („ბაშკუტიამ ნოხორი“) და იქ მდებარე წყაროს („ბაშკუტიამ წყურგილი“) სახით.

სოფელ ლეგახარეში (მუხურის თემი, ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტი) მცხოვრები გახარების გვარის დანაყოფებია: სვიმომ დინო, ბათლომემ დინო, ისაკიმ დინო და ვასილიმ დინო.

თამაკონის თემში (მარტვილის მუნიციპალიტეტი) მცხოვრები ცალკეულ გვართა პატრონიმიული დანაყოფები ასეთია: სოფელ ნამიკოლაოში ჩანერილი მასალების მიხედვით, 4-5 თაობის აღსანიშნავად ხმარობენ სიტყვა გამნარყს, ხოლო უბანს უწოდებენ დინოს. კვაშილავების გვარი აქ იყოფოდა სტეფანეს გამნარყი, აკაკის გამნარყი, კონიაშ გამნარყი.

ოკუჯავების გვარი იყოფა: ტუტუს გამნარყი, ილარიონის გამნარყი, კოსტას გამნარყი, ჯარუს გამნარყი.

სართანების დანაყოფებია: მახუმ დინო, ნიკომ დინო, ვასილიმ დინო.

თარგამულში მცხოვრები მიშველაძეების დანაყოფებია: ხაჩაშ გამნარყი, ალექსანდრემ გამნარყი, რევაზიამ გამნარყი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ გვარების შიგნით ზემოთ ჩამოთვლილ გამნარყებს, დინოებს, სახელწოდებები თავიანთი უშუალო მეოთხე, მეხუთე, იშვიათად კი მეექვსე და მეშვიდე თაობის წინაპრის საკუთარი სახელებისაგან აქვთ მიღებული (ზოგჯერ მერვე და მეცხრე თაობის წინანდელი წინაპრის საკუთარი სახელიც ახსოვთ, მაგრამ დინო მის სახელ-

წოდებას არ ატარებს), მაშინ ნათელია, რომ მინიმუმ ყოველი მეოთხე და მაქსიმუმ ყოველი მეშვიდე თაობის შეცვლის შემდეგ ყოველი უახლოესი (მეოთხე და მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე) წინაპრის საკუთარი სახელისაგან ნაწარმოებ ახალ დინოთა შექმნა გვარის შიგნით შეუქცევადი პროცესია; ამ ფაქტს პატრონიმიის განვითარების და დაშლის შორსნასულ ნიშნებთან მივყავართ, რაც დროთა განმავლობაში გვარის გაზრდით, დიდ ტერიტორიაზე განსახლებით და შესაბამისად მის შიგნით ძველ ახლო ნათესაურ ჯგუფებს-დინოებს, იგივე გამნარყებს შორის ურთიერთვალდებულებების შესუსტებით არის გამოწვეული, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეგზოგამიურობა მკაცრად არის დაცული. ეთნოგრაფიულად ჩვენთვის ხელმისაწვდომი პერიოდისათვის ახალ დინოთა შექმნის შედეგად, ახალი გვარის წარმოქმნა არ ხდება და ერთი გვარისანი ყველანი აღიარებენ, რომ ერთი „სისხლი და ხორცი“ („ზისხირი დო ხორცი“) ხალხნი, ერთი სოფლის ხალხნი არიან.

დინოს წევრები, როგორც გამოჩნდა, სამეგრელოს სოფლის თემის შიგნით ქმნიან დასახლების გარკვეულ ტიპს, რომელიც ერთი გვარის რამდენიმე დინოდ-გამნარყებად განსახლებაში გამოიხატება. დინოს წევრები აქ სახლობენ თავიანთი „მამა-პაპის“ (უშუალო წინაპრების) მიწებზე ერთმანეთის გვერდით და ერთიანობის ზოგიერთ ნიშნებს ინარჩუნებენ. კერძოდ, ოჯახის გაყოფის შემთხვევაში ცალკეული საქორწინო წყვილები ანუ დინოს წევრები თავისი მამა-პაპური ოჯახიდან საერთო-საოჯახო ქონების თანაბრად გაყოფის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში, გაუყოფლად ტოვებდნენ სახნავ-სათესს, რომელსაც ერთად ამუშავებდნენ, ხოლო მოსავალს იყოფდნენ. ზოგჯერ, გაუყოფელი რჩებოდა ტყის ფართობი და მიწის დასამუშავებელი იარაღები; ისინი (დინოს წევრები) მეტად მყარ ერთიანობას ინარჩუნებენ მიცვალებულის და კრძალვის და ქორწინების შემთხვევაში, ვალდებული არიან ამ დროს ერთმანეთს დაეხმარონ მატერიალური თუ სხვა საშუალებებით. ასევე, დინოს გარკვე-

ულწინადად გააჩნდა თავისი მმართველობის სისტემა, რომელიც დინოს „დუდ-კოჩი“, „უნჩაში“ (თავკაცია, უფროსი) ნევრის არსებობაში გამოიხატებოდა. მას დინოს შიგნით მომხდარი რაიმე საჭირობოროტო საკითხის გადაწყვეტის დროს, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა; ის ასევე დინოს ნევრებზე პასუხისმგებლობას იჩენდა სოფლის თუ თემის საერთო შეკრებების დროსაც. ამ ერთი „ჯინჯი“ (ძირი) სახლიდან გამოყოფილი ოჯახების ანუ დინოს ნევრების ერთიანობა ყველაზე უფრო მყარად გამოსატყულებელი იყო საერთო პატრონიმიული სალოცავების არსებობაში და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრადიცია სამეგრელოს მაგალითზე ზოგიერთი დინოს შიგნით დღესაც არის შენარჩუნებული.

ამ დინოების, ანუ გამნარყების გაზრდის შედეგად, როგორც აღინიშნა, იქმნება თური, რომელიც წარმოადგენს გვარს, ერთ დიდ დასახლებულ ერთეულს და ფართო გაგებით სოფელს.

ამდენად, მონოგენური უბნების პირვანდელი მონოგენური სახის აღდგენა დღევანდელი მეგრული სოფლის მაგალითზე თვალნათლივ შეიძლება და სწორედ ძველი, პირვანდელი დინოსაგან ან დინოებისაგან ნაწინილვეი ხალხით შექმნილია რამდენიმე ახალი დინო, რომელთა ერთ ტერიტორიაზე განსახლების შედეგად იქმნება „თური-გვარი“, მათ უჩნდებათ ცალ-ცალკე სასაფლაოები, მაგრამ „თური“-ს „სოფლის“ გაგებით ცალკე ჩამოყალიბება ამ დასახლებების შიგნით ვერ ხდება.

კოლხეთის პლატოზე, რომელსაც თავისი რელიეფის გამო ჩვენ პირობითად მთისწინა სამეგრელოს ვუწოდებთ, ერთი გვარით დასახლებული სოფლების ანუ გვარის საწარმოებლად „ლე“ პრეფიქსია წარმოდგენილი. ასეთებია: „ლესიჭინე“, „ლე-გერსამე“, „ლედგებიე“, „ლედარსალე“, „ლეგახარე“, „ლებერიე“, „ლუნურნუმე“, „ლექარდე“, „ლესალე“, „ლესხულუხე“ და სხვა (იხ. ზემოთ), ხოლო მთლიანად ბარის და მასთან უშუალოდ

მოსაზღვრე პლატოს სამეგრელოს ერთი გვარით დასახლებული სოფლები თუ უბნები თითქმის მთლიანად ნაწარმოებია -სა პრეფიქსით.

პ. ცხადაიას კვლევით, სამეგრელოში 400-მდე -ლე პრეფიქსიანი ანთროპოოიკონიმიია. მათი გავრცელების არეალია მხოლოდ ოდიშის პლატო, ანუ კოლხეთის დაბლობის გორაკ-ბორცვიანი ნაწილი. ადმინისტრაციულად, ესაა წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონები, აგრეთვე ზუგდიდის, ხობის და სენაკის რაიონების აღმოსავლეთი ნაწილი. ზღვისპირა ბარში ლე- ადგილს უთმობს სა- პრეფიქსს. ავტორი ამის მიზეზს ასეთ ახსნას უძებნის: მთიანი სამეგრელო სვანური სუბსტრატის ზონაა. როგორც ჩანს, სვანები ქრისტეს დაბადების შემდეგაც რამდენიმე საუკუნე მოსახლეობდნენ (მეგრელებთან ერთად) ეგრისის ქედის წინამხარში და მხოლოდ მოგვიანებით გადაინაცვლეს ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებისაკენ¹. უფრო ადრინდელ ნაშრომში პ. ცხადაიამ სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური წარმოშობის ტერმინად მიჩნეული -ლე პრეფიქსი აღადგინა საერთოქართველურ დონეზე, ხოლო -სა პრეფიქსი მეგრულში იმერულისა და გურულის გზით შემოსულად მიიჩნია.² ჩვენ სწორედ ამ მოსაზრებას ვიზიარებთ და ამის მიზეზი სამეგრელოს დასახლების თავისებურებაში უნდა ვეძებოთ. საქმე იმაშია, რომ დღეს არსებული -სა პრეფიქსიანი მონოგენური დასახლებები შედარებით გვიანდელი წარმოქმნილი ჩანს და ისინი აქ ვერ ქმნიან ისეთ მონოგენურ სოფლებს თურის გაგებით, როგორც ეს მთიანი სამეგრელოს ლე- პრეფიქსიან ზონაში შეიმჩნევა. ლე- პრეფიქსი სამეგრელოში უპირობოდ ნიშნავს ერთი გვარით დასახლებულ მონოგენურ სოფელს. მი-

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 40.

² პ. ცხადაია, -ლე და -სა პრეფიქსების ლოკალიზაცია და მათი წარმოშობა, ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 384.

უხედავად იმისა, რომ დღეს უმრავლეს შემთხვევაში ეს მონო-გენურობა დარღვეულია და შესაძლოა „ლე“-თი ნაწარმოები სოფლის სახელწოდების გვარი უმცირესობაში იყოს, დასახ-ელებას მაინც უნარჩუნდება ძირძველი სახელწოდება (მაგალი-თად ლეშეროზიე, ლეშამუგე და სხვა).

XIX საუკუნის დასასრულამდე და XX საუკუნის 30-იან, ზო-გან 60-იან წლებამდე სამეგრელოს მოსახლეობა ძირითადად განფენილი იყო ეგრისის ქედის კალთებზე და მდინარეთა ხე-ობების გასწვრივ. უმთავრესად, ეს არის ე. წ. „ლაკადის“ ზონა, სადაც უამრავი ლე- პრეფიქსით ნაწარმოები მონოგენურად დასახლებული სოფლები იყო თავმოყრილი. ამ გარემოების თაობაზე, სავსებით მართებულადაა შენიშნული, რომ საბჭო-თა წყობილების პერიოდში სურათი საგრძნობლად შეიცვალა: ეგრისის ქედის წინამხრის კალთებიდან და ხეობებიდან მოსახ-ლეობამ მასობრივად გადმოინაცვლა მთისძირებსა და კოლ-ხეთის ბარში. თვით ბარშიც დააცარიელეს მივარდნილი და უშარაგზო უბნები და დასახლდნენ გზისპირებსა და სოფლის ცენტრის ახლომახლო, ქალაქების გარეუბნებში, საბჭოთა მე-ურნეობებში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეს პროცესი კი-დეც უფრო ინტენსიური გახდა. სწორედ ამ მიზეზით ენგურის, მაგანის, ხობისწყლისა და ტეხურის ხეობები, ასევე ერწყალსა და ოლორს შუა, ზანისა და ცივის, ნოლაიასა და ჩხოუშის სათა-ვეებთან მდებარე სერებსა და გორაკებზე აღარავინ დარჩა. სა-მაგიეროდ, ბარის (და, საერთოდ, გზისპირა) სოფლები მჭიდრო და მრავალრიცხოვანი, ხოლო უბნები მრავალგვარიანი გახდა¹.

ლე- პრეფიქსთან მიმართებაში გარკვეული შორეული პარა-ლელების გავლებაც არის შესაძლებელი, კერძოდ, გამოთქმუ-ლია მოსაზრება (ი. მ. დუნაევსკაია, ი. მ. დიაკონოვი), რომ ზოგი-

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 40.

ერთი ხათური მორფემა ანალოგიას იჩენს სწორედ ქართველურ ენებს შორის, ასევე ხათურის მესამე პირის მაჩვენებელი არის -h-, -h-, -s-, ისევე, როგორც ესაა ქართველურში; ამ უკანასკნელშიც გავრცელებულია ხათურში კარგად ცნობილი სიტყვათწარმოების სუფიქსი კუთვნილების და წარმომავლობისა -el; სვანურში არსებობს განყენებული სახელების პრეფიქსი li- და მრავლობითი რიცხვის la- პრეფიქსი, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ხათურ le- პრეფიქსთან¹. -ლე პრეფიქსი პროტოხეთურად არის მიჩნეული უფრო ადრინდელ ნაშრომებშიც².

§ 3. პატრონიმიული სალოცავები (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ტერმინ პატრონიმიის ქვეშ ნაგულისხმევი სოციალური ინსტიტუტის ლოკალურობაში, სხვადასხვა ხალხთა ეთნოგრაფიული მასალის მიმოხილვისას შესაძლოა ეჭვიც შეგვეპაროს, მაგრამ თუ გადავხედავთ სამეგრელოს ეთნოგრაფიულ მასალას, დავრწმუნდებით, რომ ის ნამდვილად ინარჩუნებდა და იშვიათ შემთხვევაში დღესაც ინარჩუნებს მყარი სოციალური ორგანიზმის ფუნქციას, რომელსაც, პირველ რიგში, ნათლად დავინახავთ არა სამეურნეო, არამედ იდეოლოგიური ერთიანობის სფეროში. ეს დასტურდება იმ საერთო სალოცავი ქვევრების არსებობაში, რომელსაც ერთად ასრულებდა გარკვეული გენეალოგიური ჯგუფი, რიგ შემთხვევაში კი გვარი.

ქართველი ერის ეთნოგრაფიულ ყოფაში მარანი არა მარტო ღვინის შესანახ, არამედ საკულტო ნაგებობას წარმოადგენდა, სადაც ამა თუ იმ ღვთაების სახელზე სპეციალურად იყო ჩაფ-

¹ **გ. გიორგაძე**, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. გვ. 89. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

² **П. Н. Ушаков**, Древнейшее население Малой Азии, Кавказа и Эгеиды, Вестник древней истории, М. 1939, 4 (9), გვ. 55.

ლული ქვევრები, რომლებშიც ცალკე ისხმებოდა ღვინო; აქ სრულდებოდა ოჯახის თუ გვარის საკეთილდღეო ლოცვა, რომელსაც ოჯახის ან გვარის უფროსი აღავლენდა მთელი რიგი რიტუალური ნესების დაცვით. სწორედ რომ ყველაზე უფრო მკაფიოდ საოჯახო და პატრონიმიული სალოცავები სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოგვინახა. მარანს, როგორც ჩანს, ძველ სამეგრელოში ეკლესიის ფუნქციაც შეუთავსებია, რადგან არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.) გვამცნობს, რომ მარანში ჯვრისწერის ცერემონიაც ტარდებოდა¹. ეს ფაქტი ს. მაკალათიას მიერაც იქნა დადასტურებული².

ნ. თოფურიას გამოკვლევით, „საქართველოს ცალკეული კუთხეების მაგალითზე ღვინის ზედაშეები, სამეგრელოსა, იმერეთსა და გურიაში განკუთვნილი ყოფილა, როგორც სახატო, ისე საოჯახო დღეობებისათვის. ქართლში და რაჭაში კი ღვინის ზედაშეები მხოლოდ სახატო დღეობებს ენიჭებოდა და საოჯახო ღვინის ზედაშეები ნაკლებად იყო წარმოდგენილი. სამეგრელოსა და იმერეთში ზოგიერთი საოჯახო დღეობა, რომელსაც ღვინის ზედაშეები ენიჭებოდა, საგვარ-სატომო ხასიათისა იყო, რომლის დღესასწაულებში, ადრე გვარი, ტომი ღებულობდა მონაწილეობას, ხოლო შემდეგ კი ოჯახში სრულდებოდა ვინროდ, ფარულად³.

მარანში, ქვევრთან შესრულებულ საოჯახო სალოცავებში, ცალკეულ ღვთაებათა მიმართ, მთავარ შესანიშნავს ღვინო წარმოადგენდა, რომელიც სპეციალურად გამოყოფილ ქვევრში ინახებოდა. როგორც ნ. თოფურია აღნიშნავდა, ქართველ ხალხს ღვინო წმინდა სასმელად წარმოედგინა, იგი ღვთაებისათვის საყოველთაოდ გავრცელებულ შესანიშნავ საგანს წარმოადგენდა,

¹ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991, გვ. 81.

² ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 265.

³ ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XII-XIII, გვ. 171.

რომელსაც „ზედაშე“ ეწოდებოდა. მისი შესატყვისი სამეგრელოში იყო „ოხვამერი“, ხოლო იმერეთსა და რაჭაში- „სალოცვილო“, საინგილოში-დადაში, ქართლ-კახეთში-„შესანირი ღვინო“-ზედაშე, ქართლში-სანირავი; ქართულ შესანირავს, მეგრულ ოხვამერს, იმერულ-რაჭულ სალოცვილს ფართო მნიშვნელობა აქვს, ის ზოგად ცნებას გამოხატავს, ზედაშე კი უფრო კონკრეტული მნიშვნელობით იხმარება¹.

სამეგრელოში ქვევრთან შესრულებულ საოჯახო და პატრონიმიულ სალოცავს, რომელიც ეთნოგრაფიულ ყოფაში დღესაც დასტურდება, „ოხვამერი“ ეწოდება. ოხვამერი არა მხოლოდ მარანში შესრულებული რიტუალის აღსანიშნავია, არამედ საერთოდ „ლოცვის“ და ეკლესიის, ასევე სადღეგრძელოს და სასაფლაოს აღმნიშვნელი სიტყვაცაა².

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მარანში, ქვევრთან, როგორც ვინროდ ოჯახის წევრები, ისე მთელი პატრონიმია, „ღვინო“-ს წევრები ერთად იკრიბებოდნენ და ლოცულობდნენ³. საოჯახო და პატრონიმიურ სალოცავებს შორის რიტუალურად არავითარი განსხვავება არ იყო და, ამდენად, ჩვენ ამ მხრივ ისინი ერთ ჭრილში უნდა განვიხილოთ. რაც შეეხება სახატო და სათემო მარნებს, მსგავსი სამეგრელოში არ იყო გავრცელებული და აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება.

ჩვენს მიერ სამეგრელოში ეთნოგრაფიულად ფიქსირებულ პატრონიმიულ სალოცავებს წარმოადგენდნენ „სალორონთო“ (სიტყვასიტყვით „საღმერთო“) და „სამგარიო“ (იგივე სამიქელ-გაბრიელო-მიქიელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელზე),

¹ ნ. თოფურია, საკულტო ნაგებობა, ზედაშე-ოხვამერი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, თბ., 1985, გვ. 120.

² დ. ჭითანავა, მეგრული „ხვამა-ოხვამე-ოხვამერი“-ს მნიშვნელობისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII-XIII, თბ., 2012/2013, გვ. 480-482.

³ იხ. დ. ჭითანავა, პატრონიმიული სალოცავები სამეგრელოში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. V, თბ., 2003, გვ. 383-395.

რომელთაც ზოგჯერ ორივეს ერთად, „დიდ ოხვამერს“ (დიდი სალოცავი) უწოდებენ.

ჩვენს მიერ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალერში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, აქ ჰქონიათ „დიდი ოხვამერის“ სახელწოდების სალოცავი, რომლის შესრულება ახალი წლის პირველ ან მეორე ორშაბათს არ უნდა გადასცდენოდა. მის სახელზე მარანში ცალკე ერთკოკიანი (24 ლიტრა) ქვევრი ჰქონდათ ჩაფლული. ადრე უფრო დიდი-3-4 კოკიანი ქვევრები სცოდნიათ. მასზე დათქმული იყო ერთი ძროხა, რომლის ნამატიც ლოცვის დღეს იწირებოდა. ამ ძროხაზე წენელის დარტყმაც კი არ შეიძლებოდა, მას ყოველთვის განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ. როცა ის დაბერდებოდა, ისევ დიდ ოხვამერს შესწირავდნენ და შემდეგ ისევ ახალს გაიჩენდნენ. ლოცვას ესწრებოდნენ ბიძები და ბიძაშვილები, განაყარი ძმები. ამ დღეს ოჯახიდან გათხოვილი ქალებიც მოდიოდნენ, თუმცა სიძეების დასწრება აუცილებელი არ იყო. ამ დღეს შეწირული საკლავის ტყავს და სხვა ნარჩენს მდინარეს გაატანდნენ. ოჯახის უფროსი ნისორზე დააწყობდა საკლავის თავს, გულ-ღვიძლს, კვერებს, რომელსაც კენტს აცხობდნენ სიმინდის ფქვილისაგან. პატრონიმის წევრ მამაკაცებს და ბავშვებს ანთებული სანთლით ხელში ქვევრთან დააჩოქებდა და ასე იტყოდა: „ღორონთქ გოუტიბინე ჩქიმი მოთა დო სქუას“ (ღმერთმა გაუთბოს, შეენიოს, ჩემს შვილებს და შვილიშვილებს). შემდგომ ოჯახში აგრძელებდნენ ქეიფს.

როდესაც ოჯახი ლოცვას დაამთავრებდა, „ალობა“-ს იხდიდნენ: ოჯახის უცოლშვილო ახალგაზრდას, რომელსაც „ბენი“ ეწოდებოდა, ჯერ ლოცვის რიტუალს ჩაატარებინებდნენ, შემდეგ მას ქვევრი ჩუმად უნდა მოეპარა (ზოგჯერ მეზობელს აპარინებდნენ) და მოშორებით უნდა დაემტვრია¹.

¹ ალობის რიტუალის შესახებ უფრო ვრცლად იხ. **დ. ქითანავა**, სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეა „ქვევრსამარხებში“ და ზედაშეს კულტურა, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. XII, თბ., 2010, გვ. 105-119.

იმავე სოფელ ტალერში ჩანერილი მასალის მიხედვით, ოჯახს ორი სახის სალოცავი ჰქონია. ერთი სააღდგომო, ხოლო მეორე ახალი წლის შემდეგ პირველ ან მეორე ორშაბათს უნდა შეესრულებინათ. მათ მარანში ცალ-ცალკე ქვევრი ჰქონდა გამოყოფილი. სააღდგომო ლოცვის დროს უფროს შვილს უნდა ეყიდა თიკანი (ქაცარი), სალოცავთან ოჯახის უფროსს მიჰქონდა საკლავის გულ-ღვიძლი, კუჭმაჭმერეული გამომცხვარი კვერები, იმდენი, რამდენი წევრიც იყო ოჯახში. ამასთან, ოჯახის უფროსის კვერი სიდიდით ყველასაგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო. ოჯახის უფროსი ყველა შვილს და შვილიშვილს (ქალების გარდა) ანთებული სანთლით ხელში ქვევრთან დააჩოქებდა და მათ ბედნიერებაზე და ოჯახის ბარაქიანობაზე ლოცვას წარმოსთქვამდა. ახალი წლის შემდეგ ორშაბათს კი გოჭით ილოცებდნენ. აქაც იგივე რიტუალი სრულდებოდა. მარანში ოჯახის უფროსი კვერს გატეხავდა და შეჭამდა და შემდეგ კი ოჯახში აგრძელებდნენ ქეიფს. რიტუალის დროს მარანში ქალების დასწრება აკრძალული იყო.

მარტივლის მუნიციპალიტეტის სოფელ თამაკონში ჩანერილი მასალების მიხედვით, მარანში ცალკე ქვევრი ჰქონდა გამოყოფილი „ოფუზურობის“ სახელით ცნობილ სალოცავს, რომლის დროსაც ოჯახიდან განაყრები ერთად იკრიბებოდნენ. ამ ლოცვის დღეს იქ კოკანახევრიანი (36 ლ.) ქვევრი იყო ცალკე გამოყოფილი. შესანიერი იყო ბურვაკი („ძოკი“) და აცხობდნენ კვერებს. ამ კვერებს, საკლავის გულ-ღვიძლს და თავს ნისორზე დააწყობდნენ და მარანში მიჰქონდათ. აქ სანთლებს დაანთებდნენ, ჯერ „ოფუზურობის“ დღეს დალოცავდნენ, შემდეგ კი დინოს წევრებს. შემდეგ სახლში შედიოდნენ და იქ აგრძელებდნენ ქეიფს. ქალების მარანში შესვლა აკრძალული იყო. ნარჩენებს მდინარეს გაატანდნენ. ამ დღეს მუშაობა, დათრობა და ჩხუბი (ხმამალალი ლაპარაკიც კი) არ შეიძლებოდა.

იმავე სახით შესრულებულ სალოცავს ამავე თემში (თამაკონი-თარგამეული, ნამიკოლაო) ჩანერილი მასალის საფუძველ-

ზე, „დიდი ოხვამერი“ ერქვა, რომელსაც ზოგიერთი 25 დეკემბერს ასრულებდა. შესანიერი იყო გოჭი ან „ყვარილი“, ზოგიერთი კი ახალი წლის შემდეგ ილოცებოდა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გოჭკადილში (გაჭედილი) ჩანერილი მასალის მიხედვით, პატრონიმიულ სალოცავს „დიდი საღორეთო“ ეწოდებოდა და მას ოჯახიდან განაყრებით 4 წელიწადში ერთხელ ნებისმიერ შაბათ დღეს იხდიდნენ. ამ სალოცავის სახელზე პატრონიმიის წევრების მიერ შეგროვებულ ფულს სწირავდნენ ილორში.

ჩხორონყუს რაიონის სოფელ მუხურში, ჩვენს მიერ ჩანერილი მასალით, მარანში, ქვევრთან შესრულებულ სალოცავს „საღვთო“ ერქვა, სადაც მთელი პატრონიმია (დინო) იკრიბებოდა. გოჭთან ერთად იმ დღეს აუცილებლად უნდა დაეკლათ ქათამი. ოჯახიდან გათხოვილ ქალებს მარანში ლოცვაზე დასწრება არ შეეძლოთ. იმავე რაიონის სოფელ სახორაში (ლესიჭინეს თემი) მოპოვებული მასალის საფუძველზე, პატრონიმიულ სალოცავს „შქვითული“ ეწოდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, ამ დღეს უნდა დაეკლათ შვიდი სხვადასხვა საკლავი-ქათამი, გოჭი, ცხვარი, თხა და სხვა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლარა-მედანში, მთხრობელთა გადმოცემით, სცოდნიათ სამნაირი ლოცვა, რომელსაც მარანში ცალ-ცალკე ქვევრი ჰქონდა გამოყოფილი. ესენი იყო „საღვთო“, რომელსაც თიკნით და თხის ყველით ილოცებოდნენ. ლოცვა უნდა შეესრულებინათ რომელიმე დღეს ახალი აღდგომიდან ძველი სტილით აღდგომამდე. მეორე იყო „საღორეთო“, რომელსაც „ყვარილით“ (ყვერული) ილოცებოდნენ აღდგომის მეორე კვირას, და „სამგარიო“, რომლის დროსაც კლავდნენ გოჭს. ის აღდგომიდან მეორე კვირის სამშაბათს სრულდებოდა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯგალში მოპოვებული მასალის მიხედვით, ოჯახში ჰქონდათ „საღვთო-საოხროს“ პატარა ქვევრი. მას ყვარილით ილოცებოდნენ. ასევე იყო საკა-

პუნო ქვევრი, რომელსაც ასევე ყვარილით და ჭყინტი ყველით ილოცებოდნენ. „საღვთო-საოხრო“ -ს ლოცვა შაბათ დღეს სრულდებოდა, ხოლო „საკაპუნოს“ კვირა დღეს. ორშაბათს კი „დიდი ოხვამერის“ შესრულების დღე იყო, მას „სამიქამგარიოსაც“ ეძახდნენ. ამ დღეს ქვევრის თავზე ოჯახის უფროსი წვაგდა სანთელს და ოჯახის ყველა წევრებს დალოცავდა. ბარაქიანობას და სიკეთეს უსურვებდა. იმავე სოფელში ჩანერილი მასალის მიხედვით, ჰქონდა ოჯახში „ოფუზურობის“ ქვევრი, რომელსაც ასევე დიდი ოხვამერი ერქვა, მას აღდგომა დღეს თიკანს სწირავდნენ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიაში ჩანერილი მასალების მიხედვით, ოჯახში ჰქონიათ სამი სახის სალოცავი, რომელთაც მარანში ცალ-ცალკე ქვევრი ჰქონდათ გამოყოფილი, ესენია: „სამგარიო“, „სადაბადო“ და „ჟინიში“. სამგარიოსათვის ჰყავდათ ძროხა, რომლის მონაგებსაც კლავდნენ. „სადაბადოს“ დროს კლავდნენ გოჭს. „ჟინიში“ დროს ყვარილით ილოცებოდნენ. ასევე იყო „კაპუნია“ სალოცავი, რომლის ლოცვის შესრულების დროს აფაქიძეებისათვის კანკიებს უნდა მიეყვანათ ყურმოჭრილი ღორი.

იმავე მუნიციპალიტეტის სოფელ ჩქვალერში ჩანერილი მასალის მიხედვით, ოჯახში ჰქონიათ ცხრანაირი სალოცავი, ცხრა საკლავი იკვლებოდა. მარანში ცალ-ცალკე ქვევრები გამოყოფილი ჰქონდა „სამიქამგარიოს“, „სალორონთოს“ და „საჯინჯხატოს“. ცხრა სხვადასხვა საკლავი იკვლებოდა ქრისტიეობასა და კალანდას (7 იანვრიდან 14 იანვრამდე) შუა. ფიფიების გვარს გოჭით ლოცვა ეკრძალებოდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის თემში ჩანერილი მასალების მიხედვით, „სალორონთო“-ს¹ „ქაცარით“ (თიკანი) ილოცებოდნენ, რომლის ლოცვა („ხვამა“) „თანაფა“ (აღდგომა)

¹ „სალორონთო“ -სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „საღმერთოს“, „ღმერთისათვის განკუთვნილ“ ანუ „საღვთოს“.

დღეს სრულდებოდა. ამ დღეს „ჯინჯ“ (ძირ) სახლში იკრიბებოდნენ, როგორც ძველი, ასევე ახალი განაყრები-მამის ბიძაშვილები, ანუ ერთი ბაბუის შვილიშვილები და შვილები, თვითონ ბიძაშვილები და ახალი განაყარი ძმები. ისინი საერთო ხარჯით ნაყიდ „ქაცარს“ კლავდნენ. ასევე, სალოცავად განკუთვნილი ღვინოს დანურვაში, რომელიც მარანში ამ დღისათვის გამოყოფილ სალორონთოს „ლაგვანში“ (ქვევრი) იყო ჩასხმული, მთელი დინოს ნევრებს უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს ის ქვევრი იყო, რომელიც ოჯახის გაყოფის დროს ტრადიციულად ძმებს შორის არ იყოფოდა და საერთო საკუთრებაში რჩებოდა, ის ლოცვის რიტუალის შესრულების გარდა სხვა მიზნებისთვის არ გამოიყენებოდა. ქვევრთან ლოცვას, ოჯახის უფროსი და პატრონიმიდიდან უხუცესი ადამიანი ასრულებდა. ის დინოს ყველა მამაკაცს და ბავშვს წინ გაუძღვებოდა და „ნისორზე“¹ დანყობილი საკლავის გულ-ღვიძლით ხელში მარანში შეიყვანდა, სადაც ქვევრთან სანთლებს დაანთებდა. ერთ დიდ სანთელს გრძელ ჯოხზე წამოაცმევდა, მთელ დინოს ნევრებს ქვევრთან, უფროს-უმცროსობის მიხედვით დააჩოქებდა და გრძელ ჯოხზე წამოცმულ ანთებულ სანთელს თავზე „გადაავლებდა“ („გინოლუაფა“) და შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა: „ო, ლორონთი გამორძგვილი, ჩქიმი ოჯახი დო არძო დინოხოლენც ჯგირობუა ქიმეჩამდას“ (ო, ღმერთო გამარჯვებულო, ჩემს ოჯახს და შიგნითა (შინა) ხალხს, ყველას, კარგი დღე (ბედნიერება) მისცემოდეს“), შემდეგ ოჯახში შევიდოდნენ და იქ აგრძელებდნენ ტრაპეზს. პირველი ლუკმა შესანირიდან და პირველი ჭიქა ღვინო ოჯახის უფროსს უნდა აეღო. ამ დღეს ლოცვისათვის განკუთვნილი პური, ღვინო და ხორცი მთლიანად უნდა გამოლეულიყო, თუ დარჩებოდა მას მდინარეს გაატანდნენ. განაყრებიდან ამ დღეს დაახლოებით 25-30 კაცი იკრიბებოდა. აქ ოჯახიდან გათხოვილი ქალებიც უნდა მოსულიყვნენ, ოღონდ ორი დღით ადრე, რათა საკუთარ ოჯახში თავი დაებანათ და ისე დასწრებოდნენ ლოცვას. თუმცა,

¹ „ნისორი“-ხის ფართო ჯამი.

„ოხვამერ“ (სალოცავ) ქცევრთან ლოცვის შესრულების დროს ქალების იქ შესვლა და რიტუალზე დასწრება აკრძალული იყო. ოჯახიდან გათხოვილი ქალების ქმრების (სიძეების) მოსვლა ამ დღეს აუცილებელი არ იყო, რადგან მათ ქვევრთან ლოცვაზე დასწრების და მარანში შესვლის უფლება მაინც არ ჰქონდათ.

მარანში შესრულებული მსგავსი პატრონიმიული სალოცავი ს. ბახიას მიერ ჩანერილი მასალის საფუძველზე, სამეგრელოში, „საღმრთო-საოხოროს“¹ სახელწოდებით იყო ცნობილი, რომელსაც ამ სახით ასრულებდნენ: „საღმრთო-საოხოროს“ ქვევრს საჯიმალო, ე. ი. საერთო, საძმო ეწოდებოდა, რომელიც მხოლოდ ამ დღეს აიხდებოდა. ამ დღეს განაყარ ძმათა ოჯახები მამისეულ სახლში „ჯინჯ“ ოჯახში (მამაპაპისეულ სახლში) მყოფ სალოცავ მარანში იყრიდა თავს. ეს დღესასწაული წელიწადში ერთხელ, წინასწარ შეთანხმებით კვირა ან ხუთშაბათ დღეს იწყებოდა. ოხვამერის ლოცვა პატრონიმიის უხუცესს, „უნჩაშ კოჩს“ (უფროს კაცს, -დ. ჭ.) ანუ „მახვამერს“ (მლოცველს, -დ. ჭ.) უნდა ჩაეტარებინა. ის საზვარაკე პირუტყვს მარანს შემოატარებდა, პირით აღმოსავლეთისკენ მიატრიალებდა და თვითონვე დაკლავდა: სისხლს აქეთ-იქეთ მოასხამდა, კერასაც დააპკურებდა. მონანილეები ტყავს და ჩლიქებს თავთან ერთად მიწაში სადმე ღრმად ჩაფლავდნენ ისე, რომ ნადირს არ ამოეთხარა, დანარჩენ ხორცს კი უკვე საკულტო კერაზე ხარშავდნენ“.²

¹ სიტყვის პირველი ნაწილი „საღმრთო“ ჩვენს მიერ ფიქსირებული იგივე „საღმრთოს“ ქართიზებული ფორმაა, ხოლო „ოხორე“ (საოხორო) ოჯახს, სახლ-კარობას ნიშნავს, ე. ი. ამ შემთხვევაში სახლის ლოცვას, სახლკარობის ლოცვას ნიშნავს, რომელი სალოცავიც საღმრთო-საოხოროს სახელწოდებით, ს. მაკალათიასაც აქვს ფიქსირებული როგორც სახლის სალოცავი, მას აღდგომა დღეს ასრულებდნენ და მის სახელზე კლავდნენ ბატკანს ან გოჭს (იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 316). საღმრთო-საოხორო, როგორც საოჯახო სალოცავი, ჩვენი მასალებითაც დასტურდება, თუმცა ამ შემთხვევაში ის „საღვთოს“ სახით პატრონიმიულ სალოცავად გვევლინება.

² ს. ბახია, პატრონიმიის იდეოლოგიური ერთიანობის საკითხისათვის აფხაზეთში ძველად, კრებ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1982, გვ. 192.

ასევე, გარკვეული გამნარყების-დინოების პატრონიმიულ სალოცავს წარმოადგენდა „სამგარიოს“ სახელწოდებით ცნობილი „ოხვამერი“ (სალოცავი), რომელსაც „მარაშინა“ (მარია-მოზა) დღეს ასრულებდნენ, როცა ახალი მოსავალი პირველად შემოდიროდა-ღვინო იქნებოდა ეს, ლომი, სიმინდი თუ სხვა.¹ სამგარიოსათვის სპეციალურად „აყენებდნენ“ ერთ ძროხას, რომელსაც „პატენ ჩხოუს“ (ბატონი ძროხა) ან „პატენიას“ (მოფერებითი „ბატონი“) ეძახდნენ და ლოცვის დღეს მის ნაშიერს კლავდნენ. ამ ძროხის რძის ნაწარმის და მონაგების სხვა მიზნით გამოყენება არ შეიძლებოდა. მისი რძით თვითონ მის ნაშიერს კვებავდნენ, რომელიც ლოცვის დღისთვის დასაკლავად იყო განკუთვნილი და მისი რძისგან დამზადებული ყველისაგან ლოცვის დღისათვის სამ კვერს-„კვარაბიებს“ და ხაჭაპურებს აცხობდნენ. ზოგიერთ მთხრობელთა გადმოცემით, ის ოჯახი, რომელსაც ლოცვისთვის „მარაშინა“ (მარია-მოზის) დღე, ანუ კონკრეტული დღე არ ჰქონდა დათქმული, სამგარიოს ლოცვას, შეთანხმების მიხედვით, კვირა დღეს ასრულებდა და „ყვარილით“ (სიტყვასიტყვით „დაკოდილი“) ილოცებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სხვადასხვა გვარის ხალხს ყული-

¹ ნ. აბაკელიას მასალის მიხედვით, „სამიქამგარიო“-ს, რომელიც სახელწოდების მიხედვით ჩვენი მასალების „სამგარიოს“ იდენტურია, ახალი წლის პირველ ორშაბათს ასრულებდნენ, ხოლო ვინც ორშაბათ დღეს რაღაც მიზეზის გამო ვერ ასწრებდა ლოცვას, მას შეეძლო ის შეესრულებინა იმავე კვირის ოთხშაბათ ან პარასკე დღეს“, იხ. **ნ. აბაკელია**, *Миф и ритуал в Западной Грузии*, Тб. 1991, с. 27; მისივე, მთავარანგელოზის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოს მასალების მიხედვით), კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული „შტუდიები“, II, თბ., 1985, გვ. 198; ნ. თოფურიას მასალების მიხედვით კი, „სამგარიოს სალოცავი ოჯახის სალოცავს წარმოადგენდა, რომელსაც ზოგან „დიდ ოხვამერს“ ეძახდნენ, ხოლო ზოგიერთ ადგილებში უფროსი კაცის ოხვამერს უწოდებდნენ, სხვაგან კიდე „დედი“ – „თავი ოხვამერად“ იყო მოხსენიებული, რომელსაც ნ. აბაკელიას მასალების მსგავსად ახალი წლის შემდეგ ორშაბათს ასრულებდნენ, მის სახელზე მამალი ქათამი იყო გაშვებული და მასაც ხბოთი ილოცებოდნენ“, იხ. **ნ. თოფურია**, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XII-XIII, თბ., 1963, გვ. 168-169.

კარის თემში ეს ლოცვა სხვადასხვა შესანიერი საქონლით უნდა შეესრულებინა. მაგალითად, როგავებს პატენიას შვილით-„ჯაკელათი“ (საფურე უშობელი ხბო), მაქაცარიებს გოჭით ან თხით, ხოლო ზოგიერთი გვარი (გულუები) მას „უფალ თანაფის“ (უფლის ადგომის ანუ აღდგომის) მეორე ორშაბათს, „ქაცარით“ (თიკანი) ილოცებოდნენ, ლოცვის დღესაც დიასახლისი ამზადებდა თხის ყველიან სამ „კვარს“ (კვერი); ამ, ე. ი. აღდგომის მეორე ორშაბათის მთელ კვირას ანუ ლოცვის შესრულების კვირას-„მიქამგარიომ მარა“-ს (მიქამგარიოს კვირა) უწოდებდნენ.

მარანში ლოცვას, ოჯახის და პატრონიმიის-დინოს უხუცესი ადამიანი ასრულებდა, რომელიც ნისორზე დაწყობილ საკლავის გულ-ღვიძლს სამიქამგარიოს ქვევრთან წაიღებდა. ყველა განაყარ ანუ დინოს წევრ მამაკაცს და ბავშვს ქვევრთან დააჩოქებდა და ანთებული სანთლით ხელში დალოცავდა¹, შემდეგ სახლში შედიოდნენ და იქ აგრძელებდნენ ქეიფს. ამ დღეს ერთმანეთის, და განსაკუთრებით პატრონიმიის უხუცესი ადამიანის გაბრაზება არ შეიძლებოდა. ჭამის შემდეგ დარჩენილი ძვლები აუცილებლად მიწაში უნდა დაემარხათ, რომ ძაღლს, კატას ან სხვა რამეს არ შეეჭამა. სალოცავ ქვევრთან ქალების შესვლა აკრძალული იყო. „პატენია“ ძროხის გაყიდვა არ შეიძლებოდა. ის ბოლომდე უნდა დაბერებულიყო, შემდეგ კი ისევ სამგარიოს სახელზე უნდა დაეკლა სხვა უცხო გვარის კაცს. თუ ოჯახი ლოცვას გააგრძელებდა, მის მაგივრად ახალი „პატენია“ უნდა დაეყენებინათ. პატენია ძროხის დაკვლის დღეს აუცილებლად გოჭიც უნდა შეენირათ, რაც აუცილებელი წესი იყო.

¹ ნ. თოფურიას „სამგარიოს“ სალოცავი საოჯახო სალოცავის სახით აქვს ფიქსირებული, სადაც ოჯახის უფროსი ლოცვის დროს შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამდა: „მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი, სი ქიმენი ოჯახამო, ორინჯამო, კოჩამო, მონანით ქომე ჩქიმი ხეში მმენათხუმა, მონანი კეთილი ოჭკუმალი ქოშვი, ჩქიმი ჩილი დო სკუას ბარაქა ქემეჩ, ალიან-ჩალიანიშე ქოთხილევა, ჩქიმი მონანის ბარაქა ქემეჩია“, იხ. ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963, გვ. 169.

როგორც აღნიშნულია, თვითონ სახელწოდებაში „მიქამ-გარიო“ (სამგარიო, -დ.ჭ.) გვაქვს მიქეილისა და გაბრიელ მთავარანგელოზების შერწყმული სახელები, საიდანაც გამომდინარე, საქმე გვაქვს წყვილ ღვთაებებთან, რომელთა თაყვანისცემამ, სახეცვლილად მოაღწია ჩვენამდე, ის წყვილადი, ტყუპი, დიოსკურული ღვთაებებია ორი სანინალმდეგო სანყისით-ბოროტებისა და სიკეთის სახით, ქვესკნელისა (გამომდინარე მისი ხთონური ბუნებიდან, -ნ. ა.) და ზესკნელის (ჟინიშების წარმომადგენელი -ნ. ა.) გამგებელთან. მათ აქვთ ასტრალური და ხთონური ბუნება. იგი ნაყოფიერების მომნიჭებელი ღვთაებაა, ოჯახის უფროსის დამცველი და ვაჟიშვილების მომცემი, ადამიანის ჯანმრთელობის დამცველი და მკურნალი. მიქამგარიოს თაყვანისცემაში ივარაუდება ადგილობრივი ლოკალური კულტი ტყუპი ღვთაებებისა, რომელმაც უწყვეტად მოაღწია ჩვენამდე ქრისტიანობაში აბსორბირებით და გახდა ქრისტიანული რელიგიის განუყოფელი ნაწილი“.¹

სამეგრელოს მაგალითზე პატრონიმიული სალოცავების არსებობაზე უტყუარი ცნობები XVII საუკუნის წყაროებში მოგვეპოვება. კერძოდ, კათოლიკე მისიონერის მარი ძამპის დაკვირვებით, მეგრელები, „ღვინით სავსე ჭურჭელს („ლაგვანი“, ქვევრი, -დ. ჭ.) წირავდნენ წმინდანებს, რომელსაც მხოლოდ დანიშნულ დღეს სვამენ. ამ შესანიშნავთაგან ერთს ჰქვია „სამიქელანგელოზო“, მიქელ მთავარანგელოზის პატივსაცემად, მეორე არის წმინდა კვირიკეს პატივსაცემად. მესამე, „სალორონთო“, ღმერთის პატივსაცემად. ამ სამ შენირობათაგან პირველის შენიროვის დროს კლავენ გოჭს და მამალს, მეორის დროს წირავენ გოჭს და პურს, ორივე შემთხვევაში, პატივებენ სტუმრებს. მესამის დროს კი არავის იწვევენ, მხოლოდ შინაურები ესწრე-

¹ ნ. აბაკელია, მთავარანგელოზის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოს მასალების მიხედვით), კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული „შტუდიები“, II, თბ., 1985, გვ. 207-208.

ბიან და მხოლოდ ისინი ჭამენ ზვარაკს, რომელიც ყოველთვის წვრილფეხა საქონელს წარმოადგენს“.¹

როგორც ვხედავთ, ძამპის აღწერილობის თანახმად, პირველი ორი სალოცავი XVII საუკუნის სამეგრელოში, პატრონიმიულ-დინოს სალოცავებს წარმოადგენდა, რამდენადაც, როგორც ძამპის ცნობიდან ჩანს, ამ დროს სტუმრებს პატიჟებდნენ, ხოლო მესამე (სალორონთოს სალოცავი, -მ. ძ.), საოჯახო სალოცავი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ამ რიტუალს მხოლოდ ოჯახის შინაურები ესწრებიან.

„სამგარიოს“ ანუ „სამითამგარიოს“ მსგავს პატრონიმიულ სალოცავს წარმოადგენდა აფხაზური „აჟი რა ნგჰია“-ს (აჟირა-სამჭედლო, ნგჰია-ლოცვა) ანუ სამჭედლოს სალოცავი, რომელიც აფხაზური პატრონიმიის-აბიფარის ნევრების მიერ მამისეულ სახლში ერთობლივად სრულდებოდა, ის მეგრული ტერმინით-„ხეხუჯის“//ხელ-მხარის სახელწოდებით იყო ცნობილი და ხელოსნობასთან იყო დაკავშირებული. ეს ლოცვა საახალწლო დღესასწაულს ემთხვეოდა, ის სამჭედლოში სრულდებოდა, სადაც გამართული იყო საკულტო კერა და კერის თავში კედელთან ჩაფლული იყო საზედაზე ღვინით სავსე ქვევრი, რომელიც სამჭედლოს ღვთაების სახელზე იყო შეწირული. მის შესაწირავად პატრონიმიის უხუცესი ნევრი კლავდა თხას“.²

ასეთივე პატრონიმიულ დღესასწაულთა რიგს განეკუთვნება რაჭაში, სოფელ სორში „ბაბუაშვილების“ (პატრონიმია, -დ. ჭ.) მიერ ლოცვის ერთად შესრულების ფაქტი, რომელიც აღდგომის წინა ღამეს ხდებოდა³; ასევე, პატრონიმიულ დღესას-

¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მაგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 185.

² ს. ბახია, პატრონიმიის იდეოლოგიური ერთიანობის საკითხისათვის აფხაზეთში ძველად, გვ. 183-187.

³ ს. ბახია, პატრონიმიის იდეოლოგიური ერთიანობის საკითხისათვის აფხაზეთში ძველად, გვ. 192.

ნაულთა რიგს უნდა მიეკუთვნებოდეს მოხევეებში არსებული ოჯახისა და გვარ-ჩამომავლობის მფარველი ღვთაება „ფუძის ანგელოზის“ სახით.¹

ზემოთ აღწერილი პატრონიმიული და საოჯახო სალოცავების შესრულების პრაქტიკა სამეგრელოს სოფლებში ვერ ვიტყვით რომ სრულიად გამქრალია, მაგრამ დღითიდღე დავიწყებას ეძლევა, მსგავსი ტრადიცია ერთი სოფლის თემის მასშტაბით თითო-ოროლა ოჯახში თუ არის შემორჩენილი, რაც დემოგრაფიული, კულტურული ტრანსფორმაციის, ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრების და სხვა მიზეზებით არის გამონეული.

¹ ვალ. ითონიშვილი, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970, გვ. 102-103.

თავი IV

ბვარის ისტორიული მახსოვრობა და ეკოგამიის წესი

ადამიანის განვითარების სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების და პროგრესირებადი საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობების გასარკვევად მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ქორწინების და სქესთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს, იმას, თუ როგორ იქცა ადამიანი ბიოლოგიური გაერთიანებიდან ფორმირებად სოციალურ ორგანიზმად.

ყოველი ინდივიდი, პირველ რიგში, საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს. ბავშვობიდანვე ჩანერგილი საზოგადოებაში შემუშავებული ურყევი წესები იცავს პიროვნებას გარკვეული ამორალური ქმედებებისაგან, რომელიც წარმოადგენს მისი მორალური ნორმების დამცველს და ცენზორს. ამდენად, საზოგადოების გავლენა პიროვნებაზე პრაქტიკულად თანდაყოლილი იმპულსების დათრგუნვის ცდაში გამოიხატება.

კაცობრიობამ სექსუალურობის გაადამიანურება ჯერ კიდევ ღრმა წარსულში დაიწყო. სწორედ ამ გაადამიანურებაში ვლინდება პიროვნება როგორც სოციალური ინდივიდი¹.

ევროპულ სოციოლოგიაში ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან მოყოლებული ბევრი ინერებოდა ე. წ. „სექსუალურ რევოლუციაზე“, რაშიც ოჯახის დეზორგანიზაციას გულისხმობდნენ; ქორწინების, როგორც სქესობრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ფუნქციების შესუსტებას, სქესობრივი ურთიერთობების ლიბერალიზაციას, -ე. ი. სქესობრივი ურთიერთობების თავისუფლების ზრდას და სხვა. ამაში

¹ მ. ბეჟაია, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბ., 1980, გვ. 93.

მართებულად უნდა დავინახოთ საზოგადოების კრიზისის ერთ-გვარი ასახვა, ახალგაზრდების პროტესტი საზოგადოების წინააღმდეგ. დასავლეთის საზოგადოება თავის ინდივიდუალურობას სექსუალურობაში ეძიებს. სულიერ და ხორციელ კავშირად პიროვნების ერთ მთლიანობაში გაერთიანებისაკენ არმონოდება უდაოდ აღარიბებს პიროვნებას და ძირს სცემს მის ღირებულებათა სისტემის ხარისხს¹.

ადამიანების ნებისმიერი საზოგადოება ცვლის თავისი ფიზიკური არსებობის პირობებს წესების ისეთი რთული კომპლექსებით, როგორებიცაა: ინცესტის აკრძალვა, ენდოგამია, ეგზოგამია, ქორწინების დაშვება ცალკეულ ნათესავეებს შორის, პოლიგამია ან მონოგამია, ან მორალური, სოციალური, ესთეტიკური და ეკონომიკური ნორმების მეტ-ნაკლებად სისტემატური გამოყენება. ამდენად, ჩვენ მარტო ბუნებრივი პირობებით ვერ ავხსნით ადამიანთა რასების და ქვერასების ევოლუციას და აქ უნდა გავითვალისწინოთ ადამიანის მოღვაწეობის და ჩარევის ფაქტორი².

ეკზოგამიის წარმოშობის შესახებ მოსაზრებებს თუ გადავხედავთ, თითქოს ისე ჩანს, რომ საკითხთან დაკავშირებით საეჭვოა ოდესმე ერთ მიახლოებულ ჭეშმარიტებამდე მისვლა. რა თქმა უნდა, წარმოშობის მიზეზების დადგენა მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხთა რიგშია ეთნოლოგიური მეცნიერებებისთვის³, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, და კაცობრიობის ისტორიის გარდამტეხი ეტაპების შესაცნობად, უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება ეგზოგამიის სოციალური და გენეტიკური როლის და მნიშვნელობის განსაზღვრა, როგორც პირველყოფილ საზოგადოებაში, ისე მის შემდგომ ფორმაციებში და თუ დღევანდელობაში.

¹ მ. ბექაია, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, გვ. 94.

² К. Леви-Строс, Структурная, антропология, М. 1985, გვ. 312.

³ ეკზოგამიის წარმოშობის შესახებ იხ: დ. ჭითანავა, „ეკზოგამიის“ წარმოშობა და მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, კრებ. კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, თბ., 2016, გვ. 57-68.

დღევანდელ ფორმაციებში შემორჩენილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი წესები, რომელსაც დაუნერეელი კანონების სახით ვხვდებით, ზოგ შემთხვევაში დადებითად, ზოგჯერ კი უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების განვითარებაზე. ეგზოგამიის წესი, პირველყოფილ-გვაროვნული წყობიდან იღებს სათავეს და ის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამა თუ იმ ცივილიზაციის და ერის ბედს, მის კულტურულ განვითარებაში გადასვლის ხარისხს, ის ერთ-ერთი უდიდესი ბიძგის მიმცემი მოვლენაა ცივილიზებული ცხოვრების კენ. ეგზოგამიის წესის დამკვიდრებით, დედამიწის ხალხთა ნაწილმა მიაღწია ცივილიზაციის მაღალ დონეს, მისი შემდგომი დაცვით კი დღევანდლამდე გენოფონდის გადარჩენას შეუწყობ ხელი. ჩვენი აზრით, ეგზოგამიის წესის შემომღებმა ხალხებმა შეძლეს პირველი ბიძგი მიეცათ ე. წ. ნეოლითური რევოლუციისათვის (სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებითაც). ეგზოგამიის წესის დამკვიდრება საზოგადოების და საზოგადოებრივი წესრიგის ჩამოყალიბების, მისი შემდგომი რეგულირების პირველი დიდი მიღწევაა. რა თქმა უნდა, უსაზღვრო ეგზოგამია არ შეიძლება ჩაითვალოს სასურველ მიზნად, რამდენადაც ასეთ დროს ბავშვთა დაბადება უმნიშვნელოა. ზომიერი ეგზოგამიის დაცვა კი აუცილებელია ეთნოსისათვის. წინაპრების კლება, რომელსაც ენდოგამია იწვევს, არ შეიძლება ჩაითვალოს ერისათვის პროგრესულად, რამდენადაც აქ საქმე გვექნება იმ მრავალფეროვნების დაკარგვასთან, რასაც გვარის განსაკუთრებულობა ქმნის¹.

სავსებით მართებულად მიგვაჩნია ის მიდგომები, რომ სანამ ადამიანი თავის ქცევებში აგრძელებდა მორჩილებას იმ ორი ძირითადი ინსტინქტის მიმართ, როგორცაა სქესის და კვების ინსტინქტები, მანამდე ის ჯერ კიდევ არ იყო ადამიანი. ადამიანში

¹ დ. ჭითანავა, „ეგზოგამიის“ წარმოშობა და მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, გვ. 57-68, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

ადამიანურის აღზევების უმთავრესი მომენტი იყო მისი სოციალური საწყისისადმი დამორჩილება, ქცევაში სოციალური ნორმების დამკვიდრება. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო სქესობრივი ინსტინქტების ალაგმვა. ის ამით ნამდვილი ადამიანი ხდებოდა. მან არა მარტო ალაგმა ზოოლოგიური საწყისები ადამიანში, არამედ წარმოქმნა წარმოდგენები ნათესაობაზე, რომელიც პირველყოფილ ჯოგში არ არსებობდა¹. მან შესძლო გაერთიანებინა ერთი მეურნეობის, ერთი იდეის, ერთი მორალური ნორმების ადამიანები. დაარეგულირა მეზობელ თემებთან ურთიერთობა და ამით კარჩაკეტილობის, პირველადი ჯოგის იზოლირების, მტრობის ეპოქა დავინყებას მიეცა; მან ტომთა კულტურული ურთიერთობების დამკვიდრებას შეუწყო ხელი². ის აახლებდა ადამიანთა გვარს, მის საზოგადოებას და კულტურას. მართებული შენიშვნით, მორგანს სწორედ ტომის კულტურული ზრდა ჰქონდა ალბათ მხედველობაში და არა თავის ქალის რეალური ფიზიკური ცვლილება, როდესაც აღნიშნავდა³, რომ „არამონათესავე პირებს შორის საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებული ახალი წესრიგის შემოღებას დადებითი იმპულსი უნდა მიეცა საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ასეთი ქორწინებები ფიზიკურად და გონებრივად უფრო ძლიერ შთამომავლობას იძლეოდა. ბარბაროსული ცხოვრების გარემოებებიდან გამომდინარე, როდესაც ორი პროგრესირებადი ტომი კარგი გონებრივი და ფიზიკური მონაცემებით ერთმანეთს ეჯახებოდა და ერწყმოდა, ახალი თაობის თავის ქალა და ტვინი უნდა გაფართოებულიყო და გაზრდილიყო ორივე ტომისათვის დამახასიათებელი პროპორციების შესაბამისად. ასეთი თაობა ყველა წინანდელზე უფრო მაღლა უნდა მდგარიყო, ამ უპირატესობას უნდა მოეტანა ინტელექტის მატება და რიცხოვნობის გაზრდა. ეს

¹ А. М. Золотарев, Родовой строй и первобытная мифология, М. 1964, гл. 63.

² А. М. Золотарев, Родовой строй и первобытная мифология, гл. 64-65.

³ А. М. Золотарев, Родовой строй и первобытная мифология, гл. 66.

არ წარმოადგენს კაცობრიობისათვის ჩვეულებრივ თანმდევს, არამედ წარმოადგენს განვითარების პროდუქტს, ყველა დანარჩენი სულიერი მიდრეკილებების და ძალის მიმართ¹.

თავის დროზე, საკმაოდ მკაფიოდ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ ფაქტის ახსნის ყველა მცდელობას მივყავართ დასკვნამდე – ერთი გვარის შიგნით საქორწინო კავშირები ვნებს შთამომავლობას, ხოლო სისხლის აღრევა სასარგებლოა იმისთვის, თუ ამ აღრევაში არ მონაწილეობენ ძალიან განსხვავებული რასები. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ კაცობრიობა, რომელიც ცდილობს თავიდან აირიდოს ნათესავებს შორის ქორწინება-სწორ გზაზე დგას².

მართებულადაა შენიშნული, რომ ერთი „ბუნების“, ანუ ერთ სოციალურ ჯგუფს შორის ქორწინება მოიტანს ისეთივე შედეგს მსოფლიო წესრიგში, განწირულია ისეთივე საცოდავი უნაყოფობისათვის, როგორც ეს შეიძლება იყოს ერთი სქესის ინდივიდებს შორის ქორწინებისას³.

ეგზოგამია მოასწავებს სოლიდარობას და პოლიტიკურ ერთიანობას არა მხოლოდ ორ ურთიერთშეკავშირებულ ნაწილებს შორის, არამედ ქმნის საკმაოდ ოპტიმალურ პირობებს საქორწინო კავშირების შედეგად წარმოქმნილი ნაყოფიერებისათვის. ერთი გვარის ინდივიდების შეერთების შედეგად შესაძლოა დაიბადონ მხოლოდ უდლეურები (უგნურები) და მახინჯები (არა მარტო ზნეობრივად, არამედ ფიზიკურადაც). ასე რომ, ეგზოგამიის კანონის დარღვევა წარმოადგენს არა მარტო იმ ორგანიზაციის დარღვევას, რომელსაც ეფუძნება ადამიანთა ერთობლივი ცხოვრება, არამედ ეს არის კიდევ ერთი ზუსტი ექვივალენტი ჰომოსექსუალიზმისა მისტიკურ ქრილში⁴.

¹ Льюис Г. Морган, Древнее общество, Л. 1935, გვ. 272.

² Г. Шуриц, История первобытной культуры, вып. I, М. 1923, გვ. 121-122.

³ Р. Капуа, Миф и человек. Человек и сакральное, М. 2003, გვ. 203.

⁴ Р. Капуа, Миф и человек. Человек и сакральное, გვ. 204.

ეკზოგამიის წარმოქმნის მიზეზის თეორია, რომელიც სისხლის აღრევის მავნე შედეგებზე იდგა, დიდი ხნის განმავლობაში მოძველებულად ითვლებოდა. თუმცა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული გენეტიკის განვითარებასთან ერთად უპირატესობა მიენიჭა იმ აზრს, რომ ახლონათესაურ ქორწინებას მივყავართ უფრო მეტად ლეტალური და სუბლეტალური გენების განმტკიცებასა და მოგროვებასთან, ვიდრე ხელსაყრელი გენებისა (დუბინინი, ლერნერი, მორტონი, აურბახი)¹.

თუ გენეტიკოსები მართლები არიან, და სისხლის აღრევა საბოლოო ჯამში ინვეს მცირე პოპულაციის გადაშენებას, ან სულ მცირე, მისი წევრების ფიზიკურ დეგრადაციას მაინც, მაშინ ამ ფაქტორის როლი ეკზოგამიის განმტკიცებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ყოფილიყო, თუმცა არა გააზრებული. პრომისკუიტეტის ეპოქაში დიდი ხნის განმავლობაში (შუა და ზედა პალეოლითში) უნდა ვივარაუდოთ ისეთი კოლექტივების თანაარსებობა, რომლებიც ცდილობენ შიდა მშვიდობა შეინარჩუნონ მხოლოდ სქესობრივი ცხოვრების ნორმირების და შეზღუდვის შედეგად იმ კოლექტივებთან ერთად, რომლებმაც უკვე მუსტიეში შინაგანი შეზღუდვებით მოახერხეს ეკზოგამიაზე გადასვლა. მათი ნაწილი გადაშენდა, დაიფანტა ან განადგურდა, რამდენადაც მათზე უარყოფითად მოქმედებდა ინბრიდინგის მავნე შედეგები. ამან მიგვიყვანა ზედა პალეოლითელი ადამიანის გვაროვნულ ეკზოგამიამდე, უნივერსალურ ინსტიტუტამდე².

ეკზოგამია ის მოვლენაა, რომლის შედეგადაც სხვადასხვა ჯგუფებს შორის უკვე მყარდება არა მტრული, არამედ ნათესაური კავშირები. ამან ცალკეული ჯგუფებისათვის მოიტანა გარკვეული ეკონომიკური სარგებელი და კულტურული სიახლეები, რაც უმთავრესად მატერიალური საგნების გაცვლაში ვლინდება

¹ Л. А. Фаинберг, Возникновение родого строя, Первобытное общество, М. 1975, გვ. 57.

² Л. А. Фаинберг, Возникновение родого строя, გვ. 58-59.

უცხო ტომიდან მამაკაცის მიერ ქალის შერთვის შემთხვევაში, რაც შემდგომში სყიდვითი ქორწინების ჩამოყალიბებაში აისახა. სწორედ ამ საქორწინო ჯგუფების გაერთიანების შედეგად იქმნება სისხლით ნათესაური ერთეული გენსის ანუ გვარის, შემდგომ კი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე პირველი ეთნოსოცი-ალური დიდი ერთეულის ტომის ფორმით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცდილობს შეინარჩუნოს ენდოგამიურობა, რაც მას ეთნიკური ერთეულის სტატუსს აძლევს.

ზოგიერთი ავტორი (გროსსე), ვფიქრობთ, სამართლიანად უკავშირებდა უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმების წარმოქმნის მიზეზს სქესთა შორის ურთიერთობების რეგულირებას¹. ჩვენი აზრით, სწორედ ეკზოგამიის წესს და შესაბამისად პრომისკუიტეტის აღმოფხვრას უნდა მივაწეროთ Homo Sapiens-ს წარმოქმნა და თანდათანობითი სვლა ე. წ. „ნეოლითური რევოლუციისაკენ“. როგორც ჩანს, მეზოლითურ ტომთა უმრავლესობაში, როდესაც არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ცხოვრების წესში შეიმჩნევა ძირეული გარდატეხა და სიახლეები, ეკზოგამიის წესი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაში წამყვანი უნდა ყოფილიყო, და რაც მთავარია, აზროვნებით და ფიზიკურად ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბებისათვის უნდა შეეწყო ხელი. მაშასადამე, იქ, სადაც „ამოქმედდა“ ეკზოგამიის წესი, უნდა შეცვლილიყო გენოფონდიც, რასაც უნდა მოჰყოლოდა სწრაფი ნახტომი „ნეოლითისკენ“, რამაც გამოიწვია ინდივიდის და ჯგუფის აზროვნების რადიკალური ცვლილება, სოციალიზაციის პროცესის დაჩქარება. საბოლოოდ კი ამას მივყავართ იქამდე, რომ სწორედ ჯიშში უნდა ვეძებოთ ძლიერი ძალა და არა ინვიდუ-ალიზმში².

¹ Г. Шуриц, История первобытной культуры, вып. I, гл. 116.

² დ. ჭითანავა, ეკზოგამიის წარმოშობა და მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, გვ. 59-62.

გადავხედოთ ამ მიმართულებით სამეგრელოს ეთნოგრაფიულ მასალას.

როგორც ს. მაკალათია აღნიშნავდა, სამეგრელოში, „მექორნინე ქალ-ვაჟს შორის შორეული ნათესაური კავშირიც არ უნდა ყოფილიყო, რაც სასტიკად აკრძალული იყო- „ვაშინერს“. ერთი გვარის ქალ-ვაჟის შეუღლება არ შეიძლებოდა, არც დედის გვარის ქალის შერთვა შეიძლებოდა, არ ირთავდნენ აგრეთვე თავისი მოგვარე გათხოვილი ქალის შვილსაც, აკრძალული იყო („ვაშინერს“, -ს. მ.) ძიძის-„ძიძისკუაშ“ ნათესავისა და მისი გვარის შერთვა, და არც ძმად, დედად და დად თუ მამად მოგებულნი „ჩაფილის“ ნათესავისა და მახლობლის შერთვა. არ ირთავდნენ აგრეთვე შვილობილის „სკუალაფირი“ გვარისას და ნათესავს. ერთი სოფლისას, ხატის ქალ-ვაჟის შეუღლებას გაურბოდნენ და უფრო სასურველი და მიღებული იყო ქალი სხვა სოფელში გაეთხოვებინათ. ვინც ამ წესს დაარღვევდა, მას სასტიკად კიცხავდნენ და დევნიდნენ“.¹

ს. მაკალათიას მიერ ზემოთ აღწერილი წესები ყველაზე უფრო ნათლად ასახავს სამეგრელოში საქორწინო ურთიერთობების ხასიათს, რომლის სახით საქმე გვაქვს სქესობრივ ურთიერთობათა აკრძალვის ისეთ ფორმებთან, რომლის აღსანიშნავად ტერმინ „ეკზოგამიის“ (რომელიც ლოკალურ და სისხლით ნათესაურ კოლექტივებს შორის ქორწინების აკრძალვას ნიშნავს) გამოყენებას მიზანშეწონილად ვერ მივიჩნევთ, ის მის ფარგლებს სცილდება. კერძოდ, ისეთი საქორწინო-სქესობრივი აკრძალვებისთვის, როგორიც არის-„შორეულ ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა“, „დედის გვარის ქალის შერთვის დაუშვებლობა“, „თავისი მოგვარე ქალის შვილის, შვილიშვილის და ა. შ. შთამომავლის ქორწინების დაუშვებლობა“, „ძიძის შვილის, მისი ნათესავისა და საერთოდ მისი გვარისშვილის შერთვა-გათხოვების დაუშვებლობა“, „დედად, დად თუ მამად მოგებულნი „ჩა-

¹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 260.

ფილის“ ნათესავისა და მახლობლის შეურთველობა“, „შვილობილის გვარის და ნათესავთან ქორწინების აკრძალვა“, ასევე, ჩვენი მასალებით, „დედის თუ მამის მხრიდან ბებუის მოგვარე ქალთან ქორწინების აკრძალვა და სხვა მომენტები, ვფიქრობთ, ეთნოლოგიურ მეცნიერებაში სულ სხვა, ცალკე ტერმინის გამოყოფას მოითხოვს; თუმცა, ამ სახის სქესობრივ-საქორწინო ურთიერთობების აკრძალვის აღსანიშნავად ტერმინის გამოყოფა მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა ყველა ზემოთ წარმოდგენილი წესები უფრო ღრმა და კონკრეტულ შესწავლას დაექვემდებარება, როდესაც გაირკვევა მათი წარმოშობის დრო, მიზეზები და გარემოებები, რაც უდაოდ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს. ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ ქართული ნათესაობის სისტემის (როგორც სისხლით, ისე ხელოვნური თუ მოყვარეობით) ეს განსაკუთრებული და მეტად მტკიცე ფორმები ჩვენი ეთნიკური და ეროვნული თვითშეგნების გამორჩეულ და აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს; ის უბრალო დეზიგნატუმი არ გახლავთ, არამედ საკუთარი გენეტიკური და სოციალური პროგრამის მქონე არქოგენეტიკური და ზოგადსაკაცობრიო პროგრესში ასე მყარად ჩართული ერის უდიდეს ფენოტიპურ გამოვლინებას წარმოადგენს.¹

როგორც აღინიშნა, ეკზოგამიის წესი პირველყოფილი გვარიდან მომდინარე მოვლენაა, მაგრამ შემდგომში, გვარსახელის ჩამოყალიბების პირობებში და უფრო მოგვიანებით, მოგვარეებს შორის თაობათა დაშორების განურჩევლად ეკზოგამიის მსგავს მტკიცე წესზე გავლენა ქრისტიანულ სარწმუნოებასაც უნდა მოეხდინა, კერძოდ კი შვიდი თაობის შიგნით ქორწინების აკრძალვას, რამაც საბოლოოდ შეუწყო ხელი გვარის განმტკიცებას. სამეგრელოში შვიდი თაობაზე წინანდელ, ერთი გვარის შთამომავლებს შორის პატრონიმიული ერთობა

¹ დ. ქიტანავა, ეკზოგამიის და გვარებს შორის ქორწინების აკრძალვის წესები სამეგრელოში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VI, თბ., 2004, გვ. 341-342.

უმრავლეს შემთხვევაში უკვე დარღვეულია, მაგრამ მათში უკვე განმსაზღვრელ ადგილს იკავებს „მოგვარეობა“ (მეგრული „თური“=გვარი), რომლებიც ყველანი ერთი წინაპრის შთამომავლებად თვლიან თავს. ამ შემთხვევაში, გვარის ეგზოგამიური სიმტკიცის თვალსაზრისით ასევე წინ იწევს წინაპრის კულტის არსებობის მომენტებიც. ძველთაგანვე მომდინარე წესი (ეგზოგამიის წესი), ქრისტიანულმა სარწმუნოებამ და შემდგომ აქედან ფეხადგმულმა, ამავე დროს ტრადიციული წეს-წყობილებიდან ამოსულმა მაღალგანვითარებულმა ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა საკანონმდებლო ფარგლებში მოაქცია და განამტკიცა. თუმცა, მსოფლიოს მრავალ მაღალგანვითარებული და ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარ ხალხებშიც კი ქორწინებასთან და სქესობრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით მსგავსი აკრძალვები არსად არ ფიქსირდება. გავიხსენოთ თუნდაც „კროსკუზენური“ (დისა და ძმის შვილებს, ანუ ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის) და „ორთოკუზენური“ (ძმათა შვილების, ანუ ბიძაშვილების და დების შვილებს ანუ დეიდაშვილებს შორის) საქორწინო ურთიერთობები. მსგავსი ფაქტების ქართულ სინამდვილესთან შედარებითი ანალიზი ზოგადად იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ეს წესი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების ერთ-ერთი განსაკუთრებული ნიშან-თვისებაა, რომელსაც ძალზე ღრმა ისტორიულ-გენეტიკური ფესვები გააჩნია.¹

სამეგრელოში ქორწინება არა თუ თანამოგვარეებს, არამედ ერთი სოფლის სხვადასხვა გვარის ქალ-ვაჟს შორისაც იკრძალებოდა. ეს წესი, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მცირედით შეირყა, კიდევ ინარჩუნებს არსებობას. ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მას სხვადასხვა მიზეზები უდევს საფუძვლად.

¹ დ. ქიტანავა, ეგზოგამიის წარმოშობა და მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, გვ. 57-67.

ამ მოვლენის ახსნა (რომელიც ერთი მონოგენური სოფლის თუ უბნის შიგნით მცხოვრებ სხვადასხვა გვარებს შორის ქორწინებას კრძალავს), უნდა ვეძებოთ იმ ეპოქაში, როდესაც მეგრული სოფელი ერთი გვარით დასახლებულ ერთეულს წარმოადგენდა და რომელსაც ადათით და თვითმყოფადი ცხოვრების წესით საუკუნეების განმავლობაში იცავდა. სწორედ ამ ფაქტზე მიუთითებდა თ. სახოკია, როდესაც აღნიშნავდა, რომ სამეგრელოში „მდედრობითი სქესის წევრნი თანამოძმეთა შორის დაბადებულნი, ითვლებიან დებად თანამოძმეთათვის და მაშასადამე არ შეუძლიათ მისთხოვდნენ ცოლებად. ამ ქალებმა საქმროები სხვა გვარის ვაჟთა შორის უნდა ეძებონ“. ანუ, როგორც ავტორი აღნიშნავს, საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგიით, აქ საქმე გვაქვს უმკაცრეს ეკზოგამიასთან, რომლის თანახმადაც „მამაკაცმა აზრადაც არ უნდა გაიტაროს თავისი გვარის ქალის შერთვის შესაძლებლობა, ცოლად შეუძლიათ მოიყვანონ მხოლოდ სხვა გვარის ქალნი. ცხადია, რომ ამავე მკაცრ ეკზოგამიაში უნდა ვეძებოთ ახსნა იმ ჩვეულებისა, რომლის ძალით გასათხოვარი მეგრელი ქალი ერიდება შეხვედრას სხვა გვარის მამაკაცთან და მით უფრო უხამსობად მიაჩნია დაელაპარაკოს მას მარტო იმ შემთხვევაშიც კი, როცა სიყვარული უნდა გამოუცხადონ ერთმანეთს... იმავე ეკზოგამიის კანონს ემორჩილება მეგრელი ქალი, რომელიც თავისი სოფლიდან მიდის, სხვა მეზობელ სოფელში, სადაც სხვა გვარის მამაკაცი სახლობენ“.¹

ჩვენს მიერ ქორწინების წესებზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სამეგრელოში რამდენიმე ასეული გვარია ისეთი, რომელთა შორის ქორწინება დღესაც აკრძალულია. ამის მიზეზები სხვადასხვაა (სოციალური, ეკონომიკური, ფეოდალური ურთიერთობები და სხვ.), მაგრამ მიზეზთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია გვარების ისტორიული მახსოვრობა ოდესღაც მათი თანამოგვარეობის შესახებ. კერ-

¹ თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწარები, თბ., 1956, გვ. 72-73.

ძოდ, არსებობენ ისეთი გვარები, რომლებიც ტერიტორიულად ძალზე შორს ცხოვრობენ, მაგრამ ერთმანეთში არ ქორწინდებიან, რადგან მათ გადმოცემით ახსოვთ, რომ ისინი ოდესღაც ერთი გვარისანი იყვნენ. ეკზოგამიის ამ წესის ფიქსირება და სათანადოდ აღნუსხვა, ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია როგორც გენეტიკური კვლევების თვალსაზრისით, ისე მიგრაციული პროცესების თვალის სადევნებლად და ჩვეულებრივ ყოფაში სისხლის აღრევის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად¹.

კერძოდ, ამ მიმართულებით კოლხური გვარი გვაძლევს მდიდარ მასალას, რომლის ნაწილსაც წარმოვადგენთ:

წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში მცხოვრები კაკაჩიები აქ ჩამოსულან მერკულადან (აფხაზეთი, გალის რ-ნი), სამი ძმა ჩამოსულა დაახლოებით 200 წლის წინ. მათ წინაპრებს იქ მოუპარავთ ქიაჩის ხატი, რისთვისაც შემდგომ შერგელაიებთან (იგივე შენგელაიები) ჰქონიათ კონფლიქტი. ობუჯში აზნაურები ყოფილან შერგელაიები, რომელთაც კაკაჩიებისათვის გამოუყვიათ მდ. ხუფინის გასწვრივ სამოსახლო ადგილი. კაკაჩიების მიერ ჩამოტანილი ქიაჩის ხატს დიდი შემოსავალი მოჰქონდა მათთვის. შერგელაიებს მათთვის ჯერ ხატის შემოსავლიდან წილი მოუთხოვიათ, ხოლო შემდგომ კი სრულიად წართმევა განუზრახავთ და წაურთმევიათ კიდეც. ამის გამო კაკაჩიები ყოველ წელს ხატზე გადასცემდნენ ხოლმე შენგელაიებს და ხარს სწირავდნენ. მათ შორის ქორწინება აკრძალული იყო. ამ ბოლო დროს კი შენგელაიების თხოვნით კაკაჩიებმა ყულის სალოცავში „ახსნა“ მისცეს და ამით „ხატზე გადაცემის ცოდვა შეწყდა“.

¹ **Д. Р. Читанова**, Историческая память фамилии и экзогамия в Самегрело, XIII конгресс антропологов и этнологов России. Ассоциация антропологов и этнологов России, Правительство Республики Татарстан, Казанский (Приволжский) федеральный университет, Институт этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая РАН, Институт истории им. Ш. Марджани АН РТ. Сборник материалов, 2 – 6 июля, 2019, Казань. Москва-Казань, 2019, с.98.

გადმოცემით, აფხაზეთში მცხოვრებ სონგულიას ცოლად ჰყოლია ობუჯელი შენგელაიას ქალი. წესად ყოფილა, რომ მშობიარობის დროს ქალი თავისი მშობლების სახლში უნდა წამოეყვანათ. ასეც მოქცეულან და ობუჯში ჩამოუყვანიათ. მშობიარობის დროს დედა გარდაცვლილა. სონგულიები დიდთოვლობის გამო ვერ ჩამოსულან. მერე შენგელიებს მოუტყუებიათ, რომ ბავშვიც გარდაიცვალაო. ის ერთ-ერთ შენგელაიას გაუზრდია, თუმცა მისთვის სონგულიას გვარი შეუნარჩუნებია. ამის შემდეგ აქაურ სონგულიებს მათთან კავშირი არა აქვთ. შენგელიასა და სონგულიას შორის ქორწინება აკრძალული იყო, თუმცა ამ ბოლო დროს ეს წესი დარღვეულია.

მოლაშხიები ნაკიფუში ადგილობრივ გვარად ითვლება. აბულაძესა და მოლაშხიას შორის ქორწინება აკრძალული იყო. მიზეზი ყოფილა ის, რომ დაქორწინებული მოლაშხია და აბულაძე არ მრავლდებოდა. ნაკიფუდან მოლაშხიების წინაპრები დადიონდნენ სალოცავად წალენჯიხის ეკლესიაში. სასაფლაო აქვთ ნაკიფუში.

სალიების ნაწილი, ლესალედან საჩინოში გადასახლებულა. სალიების თავდაპირველი გვარი ყოფილა სარიშვილი. ნატანებში (გურია) მცხოვრები სალიები ლესალედან წასულან. ადრე, ყოველი წლის მარიაშობას იხდიდნენ სალიობას. სალიასა და შელიას გვარს შორის ქორწინება აკრძალული იყო, რადგან ვილაც შელიას მოუკლავს სალია, სალიებს ის ხატზე გადაუციათ და ამის შემდეგ მათ შორის ქორწინება აიკრძალა.

ზოგიერთი გადმოცემით, სალიები გურიიდან ჩამოსულან და იქ სარიშვილები ყოფილან. ნატანებში მცხოვრები სალიები აქედან წასულან. სალიები ცხოვრობენ ასევე ხიდისთავში (ჩოხარტაურის მუნიციპალიტეტი). დღევანდელ ლესალეში გურიიდან ჩამოსულ სამ ძმას უთხოვია თავადებისათვის სამოსახლო. იქ მდებარე ციხე-სიმაგრესთან მათთვის მიუციათ ორი დღის სახნავი მიწა. სალიების ნათლია აქ ყოფილა შელია. შელიას აფაქიძეებთან კონფლიქტის დროს უღალატია სალიასთვის. სალიე-

ბის უმცროსი ძმა გაყოლია აფაქიძეს, რომლებიც დღეს ენწერში სახლობენ და მათ ენწერ-სააფაქიოს სალიებს ეძახიან. ლესალე-დან წასული სალიები ცხოვრობენ ანაკლიასა და აფხაზეთში.

ჩვენი მთხრობლის ძველი წინაპარი ვინმე ლეჯია შონია და-დიანების ძლიერი ფალავანი ყოფილა. ერთ-ერთ ჭიდაობაში გამარჯვების გამო ის გააზატეს და აჩუქეს მუჟას ზემოთ მდებარე ადგილი ოხაჩქუე. შონიები ადრე ჩარკვიანები ყოფილან. პირველი ლამის უფლებების გამო დადეშქელიანებთან მოსვლიათ კონფლიქტი და მოუკლავთ მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი. აქეთ გამოქცეულან და დასახლებულან ბიასა და ფახულანში. ჩარკვიანების ნაწილს გვარი გადაუკეთებია ასევე ჯორჯიკიად და დემურიად. მას შემდეგ ამ ოთხ გვარს შორის ქორწინება აკრძალულია.

სხვა გადმოცემით: შონიები, სამი ძმა სვანეთიდან ჩამოსულა. გვარად ყოფილან ჩარკვიანები. ერთი დასახლებულა ჯვარში, მეორე-ბიაში, მესამე-გალში. ბიაში დასახლებულებს გვარად დემურია მიუღიათ.

კიდევ ერთი გადმოცემით, შონიების ძირი სოფელია ბია (ხო-ბის მუნიციპალიტეტი), საშონიოს უბანი. ბიაში ჩამოსულან დაახლოებით XVII საუკუნის ბოლოს უშგულიდან. მათი ძველი გვარია ჩარკვიანი. შონიებს, ჯორჯიკებს, დემურიებსა და ჩარკვიანებს შორის ქორწინება აკრძალული იყო, ისინი ერთი ძირიდან მომდინარედ ითვლებიან.

ასევე, გარკვეული ვერსიით, ქორწინება აკრძალული იყო შენგელიას, ჯორჯიკიას და შონიას შორის, ისინი ერთ „გამნარყად“ (ერთი წინაპრის შთამომავლები, იგივე დინო და თური) ითვლებოდნენ.

ქორწინება აკრძალული იყო გოგობიას, არქანიასა და ბულიას შორის. სამი ძმა გოგობიას ნადირობიდან უცნაური რძე მოჰქონდა. მათ ცოლებად ჰყოლიათ გოგობიას, ბულიასა და არქანიას ქალები. ისინი ცოლებს რძის საიდუმლოს არ უმხელდნენ, ამიტომ ქალები ერთხელაც უკან გაყვნენ ჩუმად და ნახეს, რომ

ისინი ირემს წველიდნენ. ამის მერე ირემი არ მოსულა მოსანველად. ამ მიზეზით ხატისთვის შეუთქვამთ, რომ ამიერიდან ბულია, არქანია და გოგობია ერთმანეთში არ დაქორწინებულყო.

სოფელ ხუდონთან მცხოვრებ გოგობიებს ქორწინება ეკრძალებოდათ კუკავებთან.

სოფელ ქალეში მცხოვრებ უბილაგებს ქორწინება ეკრძალებოდა არქანიასა და გოგობიას გვარებთან.

ზოგიერთი მთხრობლის გადმოცემით (ზუგდიდი), გოგობიებს ქორწინება ეკრძალებოდა ხასიას გვართან. ასევე, ქორწინება იკრძალებოდა ფაცაციებსა და გოგობიებს შორის.

სხვადასხვა ვერსიით, ჯალალონიების ძირძველი სოფელია ახუთი ან ზანა. მათი ნაწილი, 12 ძმა დასახლებულა სარაქონში (კირცხის თემი). აქედან ნაწილი წავიდა რიყეში და დღევანდელი აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ წყემში. ზოგიერთი ვერსიით, ჯალალონიები იმერეთიდან ჩამოსულან და ლანიძეები (ზოგი ვერსიით, ლალიები) ყოფილან. ჩვენი მთხრობლის უშუალო წინაპრების სალოცავი ხატი იყო სოფელ გარახაში. ასევე, სარაქონში შულაიების და ჯალალონიების სალოცავია ქეჯვარობა, რომლის დროსაც კლავენ ღორს 7 წელიწადში ერთხელ. აქ დგას ერთი წმინდა ხე, სადაც ლოცულობენ ანთებული ცეცხლით-ჯოხზე წამოაცმევენ სანვაგში დასველებულ დიდ ბამბას და მასზე ცეცხლი უნდა ენთოს ლოცვის დროს. ჯალალონიებსა და შულაიებს შორის ქორწინება აკრძალულია.

ჩხორონწყუს რაიონის სოფელ მუხურში მცხოვრებ ქომეთიანებს, ბაძალუებსა და ბენდელიანებს შორის ქორწინება აკრძალული იყო. ისინი დღევანდელი ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფერიდან ჩამოსახლებულან.

თოდუების ძირძველი საცხოვრისია ოცინდალე. აქ და წაჩხურში არის მათი ძირი ხატი. წაჩხურიდან წასულეები ცხოვრობენ წარაზენსა და რუხში. გადმოცემით, თოდუებს ოცინდალეს ეკლესიაში ბავშვი ჩაუშენებიათ, რომელიც ყოფილა გვარად ოთხოზორია. ოთხოზორიებს ისინი ამის გამო ხატზე

გადაუციათ. ამის შემდეგ ამ ორ გვარს შორის ქორწინება აკრძალულია.

ჯობავეების წინაპრები ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ხორგაში ჩამოსულან აფხაზეთიდან, იქ ჯობა-ს გვარს ატარებდნენ. ხორგის ჯობავეები ორი სხვადასხვა შტოა. ჯობავებსა და წულაიებს შორის ქორწინება აკრძალული იყო. ამ წესს განსაკუთრებით შუა ხორგის ჯობავეები იცავდნენ.

ბუკიების ძირი სოფელია ხეთა და პირველი მაისი (ხობის მუნიციპალიტეტი). მათი გვარი პირველ მაისში ოთხ განშტოებად იყოფა. აქ ლატარიებსა და ბუკიებს ჰქონდათ ერთი სალოცავი (მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესია) და საერთო სასაფლაო. ამ ორ გვარს ძველად ახლო ნათესაური ურთიერთობა ჰქონია და ქორწინება იკრძალებოდა.

ღადუების ძირი სოფელია ბია//ნოჯიხევი (ხობის მუნიციპალიტეტი). ჩვენი მთხრობლის მამა ჩამოსულა ბიადან. მათი თავდაპირველი გვარი ყოფილა დადუაძე. ნოჯიხევეში არის მათი გვარის სალოცავი მთავარანგელოზის ეკლესია, სადაც ყველა მათი მოგვარე იკრიბება.

ბეჭვაიების ძირი სოფელია დიდი ჭყონი (მარტვილის მუნიციპალიტეტი). ჩვენი მთხრობლის წინაპარი სამი ძმა დასახლებულა სოფელ ნარაზენში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) დადიანების დროს და ახლა იქ დაახლოებით 35 ოჯახი ცხოვრობს. ბეჭვაიების სასაფლაო არის ნარაზენის ძველი სასაფლაო, სადაც ძველად ეკლესია იდგა. ბეჭვაიებსა და ჯაბუებს შორის ქორწინება აკრძალულია, ისინი მათ მოსაზღვრე უბანში ცხოვრობენ.

მთხრობლის აღნიშვნით, ძველად ერთი სალოცავის (ოხვა-მუს) მიმდგომს (მოდგამუს) არ შეეძლოთ ერთმანეთში ქორწინება.

ძველად კაციასა და მესხიას შორის ქორწინება აკრძალული იყო, რამდენადაც კაციები „დაბალი დონის“ (იგულისხმება სოციალური მდგომარეობა- დ. ჭ.) გვარად ითვლებოდნენ.

ქორწინება აკრძალული იყო სოფელ ჯალირაში (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ ხარჩილავებს, მებონიებს და ქეხურიებს შორის. ისინი ერთმანეთის ნათესავეებად ითვლებოდნენ.

ქორწინება იკრძალებოდა ჭაქვინჯის თემში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ ფარჯიკიასა და ტიბუას შორის, რადგან ერთ სამოხიოში შედიოდნენ. ტიბუების გვარი მითაგვარიას გვარზე არ ქორწინდებოდა, რადგან მითაგვარია „დაბალი ნოდების“ გვარად ითვლებოდა. ტიბუები ასევე არ ქორწინდებოდნენ ჩუხუების გვართან, რადგან ადრე ჩუხუას ტიბუას გვარის ქალი ჰყოლია ცოლად და შესაბამისად უკვე ნათესავეებად ითვლებოდნენ.

ნასარაიების ძირძველი სოფელი არის შუა ხორგა (ხობის მუნიციპალიტეტი). მათი თავდაპირველი გვარი ყოფილა აფხაზეთიდან ლაკირბაია. შესაბამისად, ეს ორი გვარი ერთმანეთში არ ქორწინდებოდა.

ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის მაგალითზე ჩვენ ამ სახის რეალობასთან გვაქვს საქმე: ქორწინება აკრძალული იყო კვარაცხელიებისა და ბელქანიების გვარს შორის, რომლის მიზეზი საერთო სალოცავის არსებობაში მდგომარეობდა. იმავე მიზეზით ქორწინება აკრძალული იყო მიქავებსა და ბელქანიებს შორის, კანთში მცხოვრებ კვარაცხელიებსა და ხუბულიებს შორის, ბელქანიებსა და ხუბულავებს, ქარაიებსა და სალიებს შორის, სალიებსა და შელიებს შორის, მიქავებსა და კვარაცხელიებს შორის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის თემის მაგალითზე გვარებს შორის ქორწინების აკრძალვის ამგვარი სურათი გვაქვს: ქორწინება აკრძალული იყო მთლიანად მაქაცარიებისა და როგავების გვარს შორის, ე. ი. ორი მონოგენური უბანი (საროგა და სამაქაცარიო, კონკრეტულად როგავები და მაქაცარიები) ერთმანეთში არ ქორწინდებოდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, მაქაცარიებსა და როგავებს შორის ქორწინების

აკრძალვის მიზეზი გახლდათ ის, რომ ისინი ერთმანეთის ნათესავეებად ითვლებოდნენ. გადმოცემით, როდესაც ყულიშქარში ჩამოსულა როგავეების სამი ძმა და ერთი და, მაშინ მათი და აქ დამხვდური მახაცარიების გვარის კაცზე გათხოვილა, რომლის შთამომავლებადაც ითვლებიან აქ მცხოვრები მახაცარიები; როგავეები მათ თავიანთ „დის შვილებს“ ეძახიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ გვარს შორის არსებული „ეკზოგამის“ ეს წესი, ამ ბოლო დროს დაირღვა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს ორი გვარი დღესაც ერთმანეთში ქორწინებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ; როგავეების და მახაცარიების ერთ ნაწილს სასაფლაო დღესაც ერთი აქვთ-„უჩაშ-ნაკარუდ“ წოდებულ ადგილას და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ორი გვარის „ჯინჯ“ (ძირ) ხატად ითვლება ყულის ხატი (პირველ რიგში როგავეების), რომლის მნათეებიც (მეხატულები) როგავეების და მახაცარიების გვარიდან ირჩეოდა. ასევე, ქორწინება არ შეიძლებოდა და დღესაც დაუშვებელია თემის შიგნით მცხოვრებ გვილიებისა და თირქიების გვარს შორის. როგორც მთხრობელი აღნიშნავს, „თუ ეს ორი გვარი ერთმანეთში იქორწინებდა, მათი შთამომავლობა საღი არ იქნებოდა“, მათ სასაფლაოც ერთი აქვთ. ასევე ქორწინება ეკრძალებოდა ფიფიებისა და ნანავეების გვარს, რომელთა გვარების ხალხის გარდა ერთმანეთის მიცვალებულის მესაფლავედ წასვლა სხვას არ შეუძლია. ასევე ქორწინება არ შეიძლებოდა აქ მცხოვრები ქანთარიებისა და თირქიების გვარებს შორის. ამის მიზეზი ყოფილა ის, რომ როდესაც აქ ქანთარიების გვარი ჩამოსულა, ერთ-ერთ ქანთარიას ცოლად მოუყვანია თირქიას გვარის ქალი.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამოჩნდა, ზოგიერთი გვარები, რომლებიც ერთმანეთში არ ქორწინდებოდნენ (ბოხუები-თირქიები, გვილიები-თირქიები, ნანავეები-ფიფიები და სხვ.), არავითარ ურთიერთნათესაობაზე ხსოვნა არ არსებობდა. მსგავსი ფაქტები, ხევსურეთის მაგალითზეც არის დადასტურებული, რომელიც გამოთქმული მოსაზრებით, სა-

ყოფაცხოვრებო პირობათა ერთიანობით იყო განპირობებული, რაც, შემდეგში ვლინდებოდა: საერთო საძოვრები, მთიულეთის გარეთ ზამთარში ცხვრის ერთად გარეკვა და ერთად ბინადრობა, საერთო გზა, საერთო მტერი და მოყვარე, ხატობა-დღეობები და სხვა.¹ თუმცა, სამეგრელოს მაგალითზე, ეს ფაქტი უნდა დაფუძავშიროთ სამოხიოს ეკზოგამიურობის პრინციპს, ხოლო მეორე მხრივ, ერთიან სალოცავს.

ზემოთ წარმოდგენილ მასალებში, ქორწინებასთან დაკავშირებით ერთი გარემოებაც შეიმჩნევა, კერძოდ, თემში ზოგიერთი გვარი დაბალი ფენის გვარად ითვლებოდა და ამიტომაც ერიდებოდნენ საქორწინო კავშირებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქართულ სოფელში ფეოდალური ეპოქისთვის დამახასიათებელი ნოდებრივი დიფერენციაციის ერთ-ერთ გამოვლინებასთან.

ერთი სოფლის ქალ-ვაჟს შორის ქორწინების აკრძალვის ფაქტები საქართველოს სხვა კუთხეების მაგალითზეც მრავლად არის ცნობილი. ხევში, იმის მიუხედავად, რომ საგვარო უბანს (გორის ქუჩის, -ვ. ი.) დროთა განმავლობაში სხვადასხვა გვარების წარმომადგენლებით დასახლებული უბანი ცვლის, ერთი უბნის შიგნით ეკზოგამიას მაინც იცავდნენ მოხვევები, როგორც ერთი „ქუჩის“ წევრები. ერთ ქუჩაში სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებს შორის ეკზოგამიის დაცვას ძველი ვითარებიდან მომდინარე ტრადიცია აპირობებდა, როცა უბანში ერთი გვარი მოსახლეობდა და საქორწინო კავშირის დამყარება სასტიკად იკრძალებოდა².

ხევში, ეკზოგამიის დარღვევის შემთხვევებიც გვაქვს, რომელიც თაობათა მეტად დიდი რაოდენობით დაცილებულ „ჩამამავალთა“ და „ჩამადევართ“ ურთიერთობაში გვხვდება.³ ნა-

¹ ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955, გვ. 34.

² ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 62-63.

³ ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 54.

თესაური ჯგუფის შიგნით საქორწინო კავშირის დამყარების ამ ფაქტს ვალ. ითონიშვილი ქრისტიანული ეკლესიის გავლენით გავრცელებული „შვიდი თაობის უფლების“ შემოსვლით ხსნის, რომელიც, მისივე აზრით, XVII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გამოყენებული კანონი ჩანს. იგი უკავშირდება „საქართველოს რუსეთთან შეერთების და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების ხანას, რამაც დააჩქარა ხევში შემორჩენილი თემური წყობილების გადმონაშთების მოსპობა, კერძოდ კი ამ შემთხვევაში გვარსა და ნათესაურ ჯგუფებს შორის ეკზოგამიის რღვევა“.¹ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეგრელოს მაგალითზე, მიუხედავად ახალი ცხოვრების წესის შემოსვლით გამოწვეული ძვრებისა, გვარის ეკზოგამიურობა არ დარღვეულა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ გვარის, გვარსახელის ჩამოყალიბების პროცესი აქ მთასთან შედარებით გაცილებით ადრე დასრულდა.

უნდა აღვნიშნოს, რომ ხევში ნიშნობა (კერძოდ, აკვანში ნიშნობა) ზოგჯერ თანასოფლელთა შორისაც ხდებოდა. თუკი მექორწინეთა ურთიერთდამაკავშირებელი ელემენტი მხოლოდ ერთსოფლელობა იყო, მაშინ, როდესაც საერთო წესის თანახმად, მეზობლების შეუღლება ხევში საერთოდ იკრძალებოდა.²

ი. ჭყონია, მთიულეთის მაგალითზე აღვნიშნავს, რომ „მათ გვარსახელებში ნიშანდობლივი ჩანს ერთი ძირიდან წარმოშობა-წარმომავლობა და პატრონიმისტიკული ბუნება, რაც თავის მხრივ მთიულეთში მოგვარეთა შორის ქორწინებას შეუძლებელს ხდიდა, მაშინაც კი, როდესაც ისინი ტერიტორიულად დაცილებული იყვნენ. ასევე შეუძლებელი იყო გათავისთავადებულის, მაგრამ ოდესღაც ერთი წინაპრიდან მომდინარე სხვადასხვა სახელის მატარებელ გვართა შორის ქორწინება მიუხედავად

¹ ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 61.

² ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 111.

იმისა, მეზობლად თუ სხვადასხვა მხარეში ცხოვრობდნენ ისინი, რომელიც, ავტორის აზრით, გახანგრძლივებული იყო იმით, რომ უმეტეს შემთხვევაში, ისინი ერთი „ხატის ყმები“ იყვნენ, ერთ ხატობა-დღეობებში დადიოდნენ და ჭირსა და ლხინში ერთმანეთს ხვდებოდნენ“.¹

ნ. მაჩაბელის მასალის მიხედვით, ქართლშიც თანასოფლელები ერთმანეთში ერიდებოდნენ საქორწინო ურთიერთობას. განსაკუთრებით არასასიამოვნო მოვლენად იყო მიჩნეული ერთ უბანში მცხოვრები ახალგაზრდების შეუღლება. ეს ფაქტები, ავტორის აზრით, შესაძლებელია წარმოადგენდეს „გვაროვნული თემის გადმონაშთის ანარეკლს, რომელიც სასოფლო თემის შექმნის შემდეგ გადმონაშთის სახით არსებობდა ყოფაში“.²

მთიულეთშიც, ერთი გვარის წევრებს შორის ქორწინება აკრძალული იყო. ასევე, ქორწინება აკრძალული იყო იმ გვარებს შორისაც, რომლებიც ნათესავებად ითვლებოდნენ. ასე, მაგალითად: ამირიძე, აბულაძე და ნარიშანიძე ერთმანეთში არ ქორწინდებოდნენ, რამდენადაც მიიჩნევდნენ, რომ ისინი ერთი ხვესურული გვარიდან არაბულიდან მომდინარეობდნენ. ასევე, ბექიანები არ ქორწინდებოდნენ უშარიძეებთან, ბედლიძეებთან და ნადიბაიძეებთან, რამდენადაც ისინი თვლიდნენ, რომ ადრე ერთი გვარსახელი ჰქონდათ, ანუ ერთი საერთო გვარი.

ფშავეში-პირკუტიანი, შავერდიანი, რაჟიკაანი, ბაიანი, გორზამაული და გურასპაულები ერთმანეთში არ ქორწინდებოდნენ,

¹ ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, გვ. 19.

² ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978, გვ. 12. გაურკვეველია, თუ რას გულისხმობს ავტორი „გვაროვნული თემი“-ს ქვეშ, რამდენადაც კლასობრივი საზოგადოების პირობებში გვაროვნული თემის არსებობის მტკიცება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და სასოფლო, ანუ ტერიტორიული თემი, რომელიც საქართველოში დღესაც დასტურდება, გვაროვნული წყობისთვის დამახასიათებელი ტერიტორიულ-თემობრივი ერთობის უშუალო გადმონაშთი კი არ გახლავთ, არამედ ის ისეთი სოციალური ორგანიზმია, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის მიჯნაზე იქმნება და რომელიც მის წიაღში არსებობს, როგორც სოციალური სტრუქტურის აუცილებელი ელემენტი.

რამდენადაც ყველა ესენი ადრე გოგოჭურები იყვნენ. ამ ტრადიციის დამრღვევი თემის და ხეობის დატოვებით ისჯებოდა¹.

ხევსურული წესის მიხედვითაც, „ცოლ-ქმარნი სხვადასხვა სოფლისა და სხვადასხვა გვარისა უნდა ყოფილიყვნენ. ერთი გვარისა და ერთი სოფლის ქალ-ვაჟნი არ შეირთავდნენ ერთმანეთს. ერთი სოფლის სხვადასხვა გვარიანთა შორის ქორწინების წესის შეუძლებლობის მიუხედავად, დარღვევები მაინც საგრძნობი ყოფილა. წესის დამრღვევნი სოფლიდან გაიქცეოდნენ და იმალებოდნენ, „სანამ ხალხი არ მიწყნარდებოდა არ გამოჩნდებოდნენ, შემდეგ კი შერიგება მოხდებოდა, როგორც მშობლებთან, ისე სოფელთან“².

გუდამაყრის ხეობაში მოსახლე გვარები-ჩოხელები და აფციაურები საქორწინო კავშირს უმეტესად თავიანთი ხეობის გარეთ მოსახლე სხვა გვარებთან ამყარებდნენ. მთიულეთში არა მხოლოდ „მარჯვეზე“ მოსახლე, არამედ ტერიტორიით საგრძნობლად დაშორებული ოდინდელი შტოგვარები, თუკი მათ საერთო წინაპრიდან მომდინარეობაზე წარმოდგენა გააჩნდათ, ერთმანეთში ქალის გათხოვება-მოყვანას არ დაუშვებდნენ. ასევე, შეინიშნება, რომ პირველი ქორწინებიდან მოკიდებული მექორწინე გვარებს შორის გათხოვება-მოყვანა თანდათან წყდება, რადგან შემდეგი თაობანი ერთმანეთის „დათაშვილება“ და „ძმათაშვილება“ იყვნენ მიჩნეულნი“³.

აგნატური ხაზით ეკზოგამიის მკაცრი წესები დაცული იყო ფერეიდნელ ქართველებშიც.⁴

ამდენად, ერთ სოფელში, ერთ „ქუჩაში“ თუ ერთ უბანში მოსახლე გვართა შორის ქორწინების აკრძალვის წესების გამომწ-

¹ **Л. Б. Панек**, Следы родового строя у мтиулов, Советская этнография, №2, 1939, გვ. 84.

² **ვალ. ითონიშვილი**, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 62-63.

³ **ი. ქყონია**, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955, გვ. 29-30.

⁴ **გ. გოცირიძე**, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბ., 1987, გვ. 24-25.

ვევ მიზეზებზე სავსებით სწორად უთითებდნენ ზემოთ მოყვანილი ავტორები, რომ ამ ფაქტს ძველი ტრადიცია, კერძოდ კი სოფელში თუ უბანში ძველად ერთი გვარის მოსახლეობის, ერთი გვარით დასახლების ტრადიცია განაპირობებდა (ვალ. ითონიშვილი); ასევე, მართებულია ის მოსაზრებაც, რომ სხვადასხვა გვარების „ერთი ხატისადმი ყმობა“ აპირობებდა მათ ეგზოგამიურობას (ი. ჭყონია).

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც არსებობს. გ. მამულიას აზრით, „შვიდთაობიანი ნათესაური სტრუქტურა უძველესი ეკზოგამიური ჯგუფი იყო, ვიდრე ეკზოგამია შვიდთაობიანი ნათესაური ჯგუფიდან მთლიანად გვარზე გავრცელებოდა და რომ ექვსი-შვიდი თაობის ნათესავთა შორის ნათესაური კავშირები და ნათესაური რიგი უაღრესად ცოცხლად აღიქმებოდა“.¹ გ. გოცირიძე ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით გარკვეულ გარემოებებზე ჩერდება: „ქართული საისტორიო წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1104 წ.) აკრძალა 7 თაობამდე ახლო ნათესავთა შორის ქორწინება, რაც უთუოდ ეგზოგამიის ხალხური ტრადიციული ჩვეულების დარღვევით იყო გამოწვეული. ეს ჩვეულება კი დაუშვებლად მიიჩნევა საერთოდ გვარში ქორწინებას თაობათა რიგის გარეშე, და თუ ეს ტრადიცია ირღვეოდა, ამას უმეტესად სამეფო გვარის შვილები მიმართავდნენ, რასაც გარკვეული კლასობრივი ინტერესები განაპირობებდა (სოციალური, ნოდებრივი მდგომარეობა, მემკვიდრეობითი ფაქტორები და სხვა)“.²

ზემოთ წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალები, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც საქმე ეხება გვარებს შორის ქორწინების აკრძალვის ისეთ წესებს, რომელსაც თანამოგვა-

¹ გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 12.

² გ. გოცირიძე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, გვ. 23-24.

რეობის შესახებ მათი ისტორიული მახსოვრობა აპირობებდა, მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობის მქონეა საქართველოს მოსახლეობის მომავალი გენეტიკური კვლევებისათვის, რაც კიდევ უფრო მეტი მასალის გააზრებას მოითხოვს და მომავლის საქმედ უნდა ჩავთვალოთ.

თავი V

კოლხური გვარსახლები გვიანი შუა საუკუნეების წერილობითი წყაროების მიხედვით

§ 1. ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრში“

(XVI ს. მეორე ნახევარი – 1621 წ.)¹.

ადამიანის სახელები, ისტორიის მანძილზე დროის ვითარებიდან და წეს-ჩვეულების ცვლილებიდან გამომდინარე ხშირად ქრება და იცვლება ახლით. უცვლელი რჩება მხოლოდ ის ფაქტი, რომ ყველა დროში დარქმეული საკუთარი სახელი ჩვეულებრივი სიტყვებისაგან არის მიღებული. შესაბამისად, მათი წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის განსაზღვრა ძალზედ მნიშვნელოვანია მოსახლეობის როგორც ენობრივი და ეთნიკური კუთვნილების, ასევე სოციალური სტატუსის დასადგენად.

ამჯერად, ჩვენი მიზანია XVI-XVII საუკუნეების „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში“ დასახელებულ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხთა პირსახელების და გვარსახელების ეტიმოლოგიის წარმოჩენა, რომელთა უმრავლესობა კოლხური (ზანური) ენის საფუძველზე იხსნება. ამ დოკუმენტში გვხვდება უცხო წარმომავლობის სახელებიც (ბერძნული, ძველებრაული, სპარსული და სხვ.), მაგრამ ამ ნიშნით ეთნიკურ სიჭრელესთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ეს ის პირსახელებია, რომლებიც საყოველთაოდაა გავრცელებული მსოფლიოს მრავალ, სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებს შორისაც. რაც შეეხება აფსუურ გვარებს, ის ამ დოკუმენტში საერთოდ არ გვხვდება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ „აფხაზეთის საკათალიკოსო გლე-

¹ დ. ქიტანავა, ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის“ (XVI ს. მეორე ნახევარი – 1621 წ.) მიხედვით, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ოდიში, ტ. 4. ნან. 4, თბ., 2015, გვ. 112-134.

ხების დიდ დავთარში“ წარმოდგენილ საკათალიკოსო გლეხთა გვარებს, სპეციალური გამოკვლევების ნაკლებობის გამო, ვერ შევადარებთ საკუთრივ აფხაზეთში, როგორც ომამდე, ისე ომის შემდგომ განსახლებულ გვარებთან, თუმცა ამ სახის მასალების შეპირისპირება შეგვიძლია დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე განსახლებულ იდენტურ გვარებთან. ამ მიმართულებით ენათმეცნიერ პ. ცხადაიას მიერ უზარმაზარი შრომაა განეული¹.

ოდისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში XVII საუკუნის ბოლოდან ხდებოდა ქართული მოსახლეობის მასიური აყრა. მაგალითად, სოფელ ნაჭანულში 1621 წელს მცხოვრები 58 კომლიდან, მას შემდეგ რაც ის აფხაზებმა დაიკავეს, 1706 წელს მხოლოდ 6 კომლი იყო დარჩენილი. ვინც აფხაზთაგან აყრას გადაურჩა ყვაპუ შარვაშიძეს გაუყიდია ჯერ კიდევ კათალიკოს დავით ნემსაძის (1673-1696) დროს².

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

² ბ. ხორავა, სამურზაყანო. ისტორიის ფურცლები, -აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, სამურზაყანო, ტ. 3, თბ., 2010, გვ. 10. „XVI საუკუნის მიწურულს, აფხაზებმა, ოდისის სამთავროს მიწა-წყალი (მდინარე კელასურამდე, ქართული ქალაქებით ანაკოფია და ცხუმი) მიიტაცეს. XVII საუკუნის შუა ხანებში ოდისის მთავარმა ლევან II დადიანმა აფხაზეთის საზღვარზე სიმაგრეთა სისტემა ააგო, რომელიც კელასურის კედლის სახელითაა ცნობილი. ლევან II დადიანის ბრძანებით ოდისის ყოველი თავადი და ეპისკოპოსი ვალდებული იყო თავისი რაზმით თითო თვეს ედარაჯა აფხაზეთის საზღვარზე. გატარებული ღონისძიებების შედეგად დროებით შესაძლებელი გახდა აფხაზთა შემოტევის შეჩერება. აფხაზთა მთავარი იძულებული გახდა დაეთმო მიტაცებული მიწების ერთი ნაწილი მდინარე ენგურსა და მდინარე ლალიძგას შორის, მაგრამ ისინი მკვიდრად დაეფუძნენ ტერიტორიაზე მდინარე კელასურსა და მდინარე ლალიძგას შორის“ (იხ. ბ. ხორავა, სამურზაყანო. ისტორიის ფურცლები ... გვ. 7, 11). ოდისის სამთავროდან აფხაზეთის გამოცალკეება თითქოს ლევან II დადიანის მცირეწლოვნების დროს ხდება, მაგრამ როგორც სამართლიანადაა შენიშნული, აფხაზეთის „სამთავრო“ არ უნდა წარმოვიდგინოთ ისეთ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულად, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ოდიში და გურია. ლევან II დადიანის სიმამრი სეტემან შერვაშიძე, სულაც არ ყოფილა ერთიანი აფხაზეთის სამთავროს მმართველი და, ვფიქრობთ, მართებულია ამ დროის პოლიტიკური მდგომარეობის აღსანიშნავად ტერმინ „აფხაზი მთავარი“ და არა აფხაზეთის მთავარის გამოყენება (ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 56-57).

პირველ რიგში წარმოვადგენთ აფხაზეთის საკათალიკოსო სოფლებში- ნაჟანეული, ხოირის სასახლის, სუბვის სასახლის და მისი მიმდგამი სოფლის მუხურის, თილითის სასახლის, ხაუჟელის სასახლის, სოფელ ჭალას, და სოფელ ტყაურუს საკათალიკოსო გლეხთა პირსახელების და გვარსახელების დახასიათებას.

სოფელი **ნაჟანეული** არის ამჟამინდელი გალის რაიონის სოფელი ოტობაია; სოფელი **ხოირი**-დღევანდელი ოჩამჩირის რაიონის სოფელი ოხურეი, რომელიც მდინარე ოხურეის ხეობაში მდებარეობს; სოფელი **სუბვი ანუ სუბეში** გალის რაიონის სოფელ აჩიგვარას ადგილას მდებარეობდა. XVIII საუკუნემდე მას სწორედ ასე ერქვა. იქ იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე. სოფელი აღნიშნულია ლამბერტის რუკაზეც. სოფელი **მუხური** ამავე სახელწოდებით გალის რაიონში, მდ. ოქუმის ხეობაში დღესაც არსებობს. აქ არის შუა საუკუნეების კოშკის ნანგრევი; სოფელი **თილითი** მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში, მდინარე მოქვის მარჯვენა ნაპირზე. ეს არის სოფელ აბააჟვახუს ძველი სახელი, რომელიც XVII საუკუნის ბოლოს შეიცვალა. იქ იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე, რომლის ნანგრევები დღემდე შემორჩენილია; სოფელი **ხაუჟელი** მდებარეობდა თხინასა და ლალიძგას შორის (ოჩამჩირის რაიონი), სადაც ასევე იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე; სოფელი **ჭალა** თავად ჯაიანებს ეკუთვნოდათ. მას მოგვიანებით ჭლოუ ეწოდა, მდებარეობდა ოჩამჩირის რაიონში; სოფელი **ტყაურუ** მდებარეობდა მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე, მის შესართავთან.

ა) ნაჟანეულის სასახლის საეკლესიო გლეხთა პირსახელები და გვარსახელები (XVI საუკუნის მეორე ნახევარი-1621 წელი).

XVI საუკუნის მეორე ნახევარში საკათალიკოსო გლეხთა შორის არის **სუბუქია თემნა**. **თემნა** პირსახელია, ხოლო **სუბუქია** გვარი, თუმცა ამ ფორმის გვარი სახელი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. შესაძლოა სუბუქია „მსუბუქ“-ი, „თხელ“-ი ადამიანის მეტსახელი იყოს.

მგიშია//მჭიშია. ამ ფორმის გვარსახელი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. ეტიმოლოგია საძებნია.

მეტსახელი **მამასფერი**, „მამის ფერის“-ას ნიშნავს.

გაბელია. სამეგრელოში დღესაც გავრცელებული გვარია. აქ პირსახელის გარეშე არის მოხსენიებული. გაბელია უჟამია 1616-1621 წლებში იხსენიება ცაიშში მცხოვრებლად, რომელსაც ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა¹. გაბ-ელია, გაბ-იდან ნარ-მოშობილს ნიშნავს, რომელსაც სადაურობის -ელ სუფიქსი მიგვანიშნებს. ტოპონიმი საძებნია.

გუტია ხუხუშია. გუტია, სამეგრელოში გავრცელებული პირსახელია. **ხუხუშია** გვარი ჩანს, თუმცა ამ ფორმით დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. არსებობს გვარი ხუხუა, რომელიც დამონშებულია 1621 წელს შედგენილ საბუთში თილითის (ამჟამინდელი აბააჟვახუ, ოჩამჩირის რაიონი) საეკლესიო გლეხთა ნუსხაში. ხუხუ მეგრულში კნინობითი სახელია, რომელსაც „ჩამრგვალებულ“ ადამიანზე იტყვიან, ხოლო -ში სუფიქსი კუთვნილების აღმნიშვნელია.

XVII საუკუნის ხელით ჩანართში იხსენიება **დავითია**². დავითია იგივე დავითაიაა, რომელიც დღეს სამეგრელოშია განსახლებული (სენაკის და ზუგდიდის რაიონები). გვარი მომდინარეობს საქართველოში ფართოდ გავრცელებული პირსახელისაგან დავითი.

XVI საუკუნის მიწურულის საკათალიკოსო გლეხთა შორის მოხსენიებულია **ვარსიმეა უჩაია, მამისშური უჩაია, ხვარაშია უჩაია, სოწერდია უჩაია, თოლისკვამია უჩაია**³, ხოლო 1621

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფესორმა **ი. დოლიძემ**, ტ. III, თბ., 1970, გვ. 450.

² **ს. კაკაბაძე**, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, ტფილისი, 1914, გვ. 53-56.

³ XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ ნუსხის ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში გვაქვს უჯაიას ფორმით, ხოლო ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში – უჩაიას ფორმით (**ი. დოლიძე**, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 383).

წლის სასახლის მოსაკრებლის ნუსხაში მოხსენიებულნი არიან: **მიხილია უჩაია, ზაქარია უჩია, გურმიხილი უჩაია, მირჩქილია უჩაია.**

უჩაიას ამოსავალი სიტყვაა მეგრული უჩა „შავი“, რომელი მეტსახელიც მეგრულში პირსახელად იქცა. მისი ვარიანტია დღევანდელ სამეგრელოში მოქმედი გვარი უჩავა¹. უჩაია//უჩიას აქ თან ერთვის საკუთარ სახელად ქცეული მეტსახელები, რომელთა უმრავლესობა მეგრული სიტყვებიდან მომდინარეობს. პირსახელ **ვარსიმეა**-ს ეტიმოლოგია საძებნია. პირსახელი **მამისშური** მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „მამის სული“. პირსახელი **ხვარაშია** წარმოშობილი ჩანს მეგრული ხვარა//ხორა-დან „მელოტი“, „მეჩხერი“ (შდრ. გვარი ხორავა). პირსახელი **სოჯერდია** მეგრული სიტყვაა სო ხედია – „სად იჯექი“. პირსახელი **თოლისკვამია** მეგრული სიტყვაა და „თვალეზლამაზს“ ნიშნავს. **მირჩქილია**-მირჩქილი მეგრულად სიტყვასიტყვით ნიშნავს „მომისმინე“. ეს მეტსახელი ამ ადამიანისადმი სმენისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს. **გურმიხილი**-ფვიქრობთ, ეს სახელი ორი სიტყვისგან შედგება-მეგრული გური, რაც ნიშნავს „გულს“, ხოლო მიხილი, მიხეილის ფორმა უნდა იყოს. იგივე მიხეილი ჩანს უჩაიების კიდევ ერთ სახელში **მიხილია**. პირსახელი მიხეილი ბერძნულის გზით ჩანს ფართოდ გავრცელებული, რომლის ამოსავალი ძირია ძველებრაული მიქაელი, რომელიც ნიშნავს „ღვთაებრივს“, „ღვთის სწორს“, სიტყვასიტყვით „ვინც ღმერთის არის“. მისგან ცალკე ნაწარმოებია გვარები- მიხელაშვილი და მიხელიძე (ასევე, მიქელაძე, მიქელაშვილი, მიქავა და სხვ.)². **ზაქარია**, ანუ ზაქარია შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელია. როგორც ვარაუდობენ ის მომდინარეობს ძველ ებრაული სიტყვიდან, რომელიც „ღვთის

¹ **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 130.

² **ზ. ჭუმბურიძე**, რა გქვია შენ? თბ., 1992, გვ.131-132.

მსახურს“ ნიშნავს¹. ზაქარიასგან ნაწარმოები გვარსახელი სამეგრელოში არის ზაქარაია, რომლებიც ძირითადად სენაკის და ზუგდიდის რაიონში მოსახლეობენ². ასევე არიან გალის რაიონში. ზაქარიასგან ნაწარმოები გვარები საქართველოში ფართოდ გვხვდება, როგორებიც არის: ზაქარაშვილი, ზაქარაძე, ზაქარი-აშვილი, ზაქარიაძე.

XVI საუკუნის მიწურულის საკათალიკოსო გლეხთა შორის მოხსენიებულია **ჯაკობია გუგუტია**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **თოლიოქრო ჯაკობია**. ჯაკობიები სამეგრელოში დღეს კომპაქტურად ცხოვრობენ სენაკში. ნ.მარის და ი. ყიფშიძის მოსაზრებით, რასაც იზიარებს პ. ცხადაიაც, გვარი ჟაკობია//ჯაკობია მომდინარეობს პირსახელ იაკობისაგან³. მოფერებითი პირსახელი **თოლიოქრო** მეგრულში სიტყვასიტყვით ნიშნავს „თვალ-ლოქროს“, ანუ თვალკეთილს. **გუგუტია-ს** მეგრულად ეძახიან მრგვალ დოქს.

XVI საუკუნის მიწურულის საკათალიკოსო გლეხთა შორის მოხსენიებულია **გაბრიელა დიდია**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **ჯგეკორი დიდია**, **ბახუტა დიდია**, **კორილეი დიდია**. დიდია სამეგრელოში დღეს იშვიათი გვარია და ორიოდ კომლი ფიქსირდება აბაშის რაიონში. XX საუკუნის დამდეგს ტოლებში, ონოლიაში, გულებიკარსა და კეთილარში მცხოვრები დიდები აზნაურები ყოფილან. ასევე, სამეგრელოში მცხოვრები დიდიშვილების უწინდელი გვარი ყოფილა დიდია⁴. დიდო, დიდიკო, დიდიმი ბერძნულად ნიშნავს ტყუპისცალს⁵. თუმცა არაა გამორიცხული, დიდა მეტსახელიც იყოს⁶. **გაბრიელა**, იგივე გაბრიელი, სა-

¹ ზ. **ჭუმბურიძე**, რა გქვია შენ? გვ. 114.

² პ. **ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 84.

³ პ. **ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 172.

⁴ პ. **ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 81.

⁵ ზ. **ჭუმბურიძე**, რა გქვია შენ? გვ. 108.

⁶ პ. **ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 80.

ქართველოში ფართოდ გავრცელებული პირსახელია. პირსახელი **ჯგეკოჩი** არის იგივე მეგრული ჯგირი კოჩი-„კარგი კაცი“. **ბახუტა** მეგრული ბახვას მოფერებითი ფორმა ჩანს, რომელიც ნიშნავს „ჩაფსკენილს“, „ბუთხუზას“. პირსახელი **კოჩილეი-ში** კოჩი მეგრულში კაცია, ხოლო კოჩილეი უნდა იყოს მამაკაცის კნინობითი ფორმა, ან ბიჭუნას მნიშვნელობით.

XVI საუკუნის მიწურულის საკათალიკოსო გლეხთა შორის მოხსენიებულია **ინალი კოდია, ივანე კოდია, თოლიბედი კოდია კაციბაი კოდია**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **ორქოლეი კოდია, მაჭიხოლა კოდია, სოლერდია კოდია, ბუბუტია კოდია, მიხილია კოდია**.

კოდია-ს ფორმით დღეს სამეგრელოში გვარი არ დასტურდება, თუმცა შესაძლოა ის კოდუას იდენტური იყოს. კოდუები წყაროებში იხსენიებიან XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან „საცაიშლოს დავთარში“, ცხოვრობდნენ სოფელ ცაიშსა და დარჩელში¹. შესაძლოა კოდია მომდინარეობდეს მეგრულში ხის ჭურჭლის სახელწოდებიდან, რომელიც იყო როგორც მარცვლეულის, ისე სითხის სანყაო. კოდიებზე თანდართული პირსახელების უმრავლესობაც მეგრული ენის საფუძველზე იხსნება. **ინალი** მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან ინალობა „მოსამსახურე“, ინალი იქნება „მსახური“. **ივანე** საქართველოში ფართოდ გავრცელებული პირსახელია (იხ. ქვემოთ). **თოლიბედი**, მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „თვალი ბედი“. პირსახელ **კაციბაი-ში**, ვფიქრობთ, ქართული სიტყვა „კაცი“-ს გამოყოფა ჭირს, თუმცა აქ ნათლად ჩანს აფხაზური გვარებისათვის დამახასიათებელი -ბა სუფიქსი, რომელიც რატომღაც აფსუურად არის მიჩნეული. ჩვენ ამ მიდგომას არ ვიზიარებთ, და ის უფრო ლაზური და საერთოდ კოლხური სამყაროსთვის დამახასიათებლად მიგვაჩნია (იხ. ზემოთ). **ორქოლეი**, მოფერებითი სახელის ფორმაა და ნიშნავს „ოქროსავით“ (მეგრ. ორქო//ოქრო). **მაჭიხოლა**, იგივე მაჭირ-

¹ ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 444, 457.

ხოლი, ანუ პირდაპირ თარგმანში „მერცხალი“ ასევე მეტსახელია და შესაძლოა „გამჭრიახის“ და „მოჭიკჭიკეს“ მნიშვნელობითაც იხმარებოდა. **სოლერდია**, პირდაპირ თარგმანში ნიშნავს „სად იყავი“, ესეც მეტსახელია, რომელიც ბავშვის დაბადების მომენტთან ჩანს კავშირში. **ბუბუტია** კინობითი სიტყვაა მერულში და ა. ქობალიას ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ჩამრგვალებული“ (ჩვილი)¹. აღსანიშნავია, რომ ამ დროს იმავე სოფელში მცხოვრებად მოხსენიებულია **ბუბუტია სუბუქია**. ამ შემთხვევაში ბუბუტია შესაძლოა უკვე გვარსახელი იყოს, ხოლო **სუბუქია** საკუთარი სახელი.

ჯგებურია გურიშია მოხსენიებულია 1621 წლის ნუსხაში, ხოლო XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ ნუსხაში, მოხსენიებულია ორი-**ჯგვიბურია თოლიოქრო** და **ჯგუბურია ნიკოლა**. ჯგებურიას და ჯგვიბურიას დღევანდელი ფორმაა ჯგუბურია, რომელი გვარიც დღეს მცირერიცხოვანია და ძირითადად ფოთსა და ზუგდიდში ცხოვრობენ. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ ბიჭვინთისადმი შეწირულობის წიგნიდან, რომელიც 1706 წელს არის შედგენილი, მტკიცდება, რომ მათი წინაპრები (კერძოდ აქ მოხსენიებულია სუბუქია ჯგუბურია) აფხაზებისაგან აყრილ სოფელ ნაჟანევიდან კათალიკოსს წამოუყვანია და ხობს დაუსახლებია². პ. ცხადაის კვლევით, ჯგუბურია კოლხეთში პირსახელია, ასევე ჯგვიბ-//ჯგუბ- ზმნური ფუძე გამოხატავს სახის გამომეტყველების გარკვეულ მანერას³. ა. ქობალიას ლექსიკონში ჯგუბურია განმარტებულია, როგორც „დაჯირჯვლებული, ჩოფურა, დაკენკილსახიანი, ჯირჯვლებიანი, უხეში ქსოვილი; ყვავილებგამოყრილი“⁴. პირსახელი **გურიშია** ძველად სამეგრელოში ძალზედ გავრცელებული ჩანს

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, გვ. 68.

² ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 648.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 174.

⁴ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 737.

და მოფერებით „გულით საყვარელს“, „გულიან“, ანუ „კეთილ კაცს“ ნიშნავს. პირსახელი **ნიკოლა** ნიკოლოზის შემოკლებული ფორმაა, რომელიც ბერძნულიდან იღებს სათავეს და „გამარჯვებულ ხალხს“ ნიშნავს¹.

XVI საუკუნის მიწურულის საკათალიკოსო გლეხთა შორის ორჯერ მოხსენიებულია **შუშანია** (პირსახელის გარეშე), ხოლო 1621 წლის წლის ნუსხაში არიან: **სოხერდია შუშანი, იანე შუშანია, ივანე შუშანია, სლთამა შუშანია**.

შუშანია შუშანი და შუშანია ერთი და იგივე გვარსახელის განსხვავებული გადმოცემაა. თანამედროვე ფორმა დღევანდელ სამეგრელოში მცხოვრები შუშანიები, რომლებიც მცირერიცხოვანნი არიან. ზოგიერთი მათგანი XIX საუკუნის ბოლოს აზნაურული წოდების იყო (სოფელი ხეთა). პ. ცხადაიას ვარაუდით, გვარსახელი მომდინარეობს კოლხეთში გავრცელებული მამაკაცის საკუთარი სახელიდან შუშა, შუშუ, შუშულა. ავტორისავე აზრით, შუშან მოფერებითი ვარიანტია², რაც ვფიქრობთ, მართებული მოსაზრებაა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შუშია//შუშანია მეგრულში აღნიშნავს „წყნარს“, „ნაზს“, „ტრუნისა“³. პირსახელი **იანე** შესაძლოა მომდინარეობდეს რომაული ღვთაების იანუსის სახელიდან, რომლის შედარება შეიძლება ქართულ პირსახელ იანვარა-სთან⁴. რაც შეეხება პისახელ **ივანე-ს**, ის ძალზედ გავრცელებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში. მისგან ნანარმოები მეგრული გვარია ჟვანია, იგივე ივანია. **სულთამა-ს** ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის. შესაძლოა მისი საწყისი ფორმა სულა პირსახელი იყოს. პირსახელი **სოხერდია** (იხ. ზემოთ).

¹ ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? 133-134.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 148-149.

³ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 665.

⁴ ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? გვ. 118.

კოჩივარა კუატარა. კუატარა-ს ფორმის გვარსახელი დღეს არ დასტურდება, ვფიქრობთ, ის უნდა იყოს მეგრული სიტყვა კოტორო-ს იდენტური, რომელსაც იტყვიან „პატარა“, „ჩამრგვალებულ“ კაცზე, ხოლო კოჩივარა მეგრულად პირდაპირ თარგმანში ნიშნავს „კაცი ვარ“. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ორივე სიტყვა მეტსახელი ჩანს და გვარსახელად ის ჯერ კიდევ არ არის ქცეული.

აბრამაის შვილი. აბრამაის საფუძვლად უდევს საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელი აბრამი//აბრაამი. მისგან ნაწარმოები გვარი სამეგრელოში არის აბრამია. ვფიქრობთ, აბრამაის შვილის სახით ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქ საქმე გვარსახელთან.

მჭითანა ჩარაჩუ. მჭითანა სამეგრელოსა და დღევანდელ აფხაზეთშიც ფართოდ გავრცელებული გვარსახელ მჭითანავას ფორმაა. -მ უნდა წარმოადგენდეს უბრალო ფონეტიკურ წანაზარდს (მაგალითად, მ-ბარუა//ბარუა „ბარვა“)¹. არსებობს მოსაზრება, რომ გვარსახელი მჭითანავა მომდინარეობს მეგრული მჭითა „წითელიდან“ და თითქოს მისი იდენტურია წითლანაძე², თუმცა, ვფიქრობთ, წითელთან მისი დაკავშირება მჭირს და ეტიმოლოგია საძებნია. საკუთარი სახელი ჩარაჩუ მეტსახელი ჩანს. ეტიმოლოგია საძებნია.

XVI საუკუნის ნაჟანეულის (ოტობაია) საკათალიკოსო გლეხთა გამოსავლის ნუსხაში დასახელებულია **ოთხი კომლი ძაძუა**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **გაბრილ ძაძუა, აბრამ ძაძუა, ირდაშელა ძაძუა, ინგარია ძაძუა**.

ძაძუა, სამურზაყანოში დღესაც ფართოდ გავრცელებული გვარია (არიან ლტოლვილები). ნაჟანეულში (დღევანდელი გალის რაიონის სოფელი ოტობაია) ძაძუები დღესაც ცხოვრობენ³.

¹ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. 478.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 163.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 158.

პ. ცხადაიას აზრით, მისი ამოსავალია პირსახელი ძაძუ¹. **გაბრიელი**, საქართველოში ძველად და ეხლაც ფართოდ გავრცელებული პირსახელია. მისგან ნაწარმოები (გაბრა მეტსახელისაგან) გვარი სამეგრელოში არის გაბრავა. მეტსახელ **ირდაშელა**-საგან შესაძლოა ნაწარმოებია გვარი არდაშელია, რომელიც გავრცელებულია ძირითადად სამურზაყანოში. მეტსახელი **ინგარია** მეგრული სიტყვა „ნგარა“-საგან ჩანს ნაწარმოები, რაც „ტირილს“, „სამძიმარს“ ნიშნავს, ინგარია სიტყვასიტყვით იქნება „იტირე“, რომელიც „მოტირალის“ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

XVI საუკუნის ნაჟანეულის (ოტობაია) საკათალიკოსო გლეხთა გამოსავლის ნუსხაში დასახელებულია გვარი **სამელია**, ხოლო 1621 წლის იმავე სოფლის გლეხთა შორის არის **მარსალია სამელია**. სამელია დღეს სამეგრელოში ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია, რომლებიც პ. ცხადაიას მასალებით, მხოლოდ სამეგრელოშია განსახლებული. ავტორისავე აზრით, ამოსავალია პირსახელი სამელი, რაც სამოელის ან სამუელის ვარიანტი ჩანს². ზ. ჭუმბურიძის აღნიშვნით, სამოელ ძველ ებრაულია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ღმერთმა შეისმინა (თხოვნა, ვედრება)“. მისი ფონეტიკური ვარიანტია სამუელ³. პირსახელი **მარსალია**, იგივე მარსალია, მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „აყუდებულს“, „სარივით მაღალს“, „აყლაყუდას“⁴. უნდა მომდინარეობდეს მეგრული მასარიდან „სარი“.

XVI საუკუნის მიწურულის ნაჟანეულის (ოტობაია) საკათალიკოსო გლეხთა გამოსავლის ნუსხაში ნახსენებია **მამისმამა გოგილავა, შურითოლი გოგილავა**. ხოლო 1621 წელს იმავე სოფლის გლეხთა შორის არიან **თოლიოქრო გოგილა, ხუხურია**

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 158

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 125.

³ ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? ვვ. 140.

⁴ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 391.

გოგილა. გოგილა//გოგილავა, მეგრული გვარსახელებისათვის დამახასიათებელი -ა და -ვა სუფიქსით ნაწარმოები ერთი და იგივე წარმოშობის გვარია. გოგილავეები სამეგრელოში ძირითადად ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონში ცხოვრობენ. გოგილა საქართველოში გავრცელებული პირსახელია¹. პირსახელი **მამისმამა** ქართული ფორმაა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (იგულისხმება მამის მამა). **შურიტოლი**, მეგრული მეტსახელია და პირდაპირ თარგმანში იქნება „სულის თვალი“, ანუ „თვალისჩინი“. მეტსახელი **ხუხურია**, მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „ჩამრგვალებულს“, „ტანდაბალს“².

XVI საუკუნის მიწურულის აფახაზეთის საკათალიკოზო გლეხების ნუსხაში მოხსენიებულია **მატოფია შურ[ი]ტოლი**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში მხოლოდ **მატოფია. მატოფია** პირსახელი ჩანს, რომელშიც აშკარად გამოიყოფა ტოფი სიტყვა, რომელიც ერთგვარი ქვირილიანი თევზის სახელია სამეგრელოში, ხოლო -მა დამოუკიდებელი სიტყვაა და ქართული „მე“-ს იდენტურია. ე. ი. მატოფია შესაძლოა იყოს მეტოფე ან იმ ადგილას მცხოვრები სადაც ტოფი უხვად არის.

XVI საუკუნის მიწურული აფახაზეთის საკათალიკოზო გლეხების ნუსხაში მოხსენიებულნი არიან **დეისმამა ქაჯაია და ქრისტეშია ქაჯაია**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **მესტუმრია ქაჯაია**. ქაჯაიები ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია სამეგრელოსა და იმერეთში, რომლებიც აფხაზების შემოტევის შემდეგ მასიურად გადმოსახლდნენ სოფელ ნაყანეულიდან (ოტობაია). იმერეთში ქაჯაიების ნაწილი აზნაურები იყვნენ. პ. ცხადაიას აზრით, გვარი ქაჯაია წარმოიქმნა პირსახელისაგან ქაჯა (ქაჯანა) და უკავშირდება ქაჯ სიტყვას, რაც გადატანით „ცელქს“, „მოუსვენარს“ აღნიშნავს³. პირსახელი **დეისმამა** (დეისმა) ძვე-

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 72-73.

² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 733.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 138.

ლად საქართველოში გავრცელებული იყო. **ქრისტეშია** სიტყვა-სიტყვით „ქრისტეს კუთვნილს“ ნიშნავს. პირსახელი **მესტუმერი-ა** „მესტუმრე“-ს ნიშნავს¹.

კოჩილა მარკოზია. მარკოზია მეგრულ გვარსახელებს შორის დღესაც ცოცხალი ფორმაა, ისინი ზუგდიდის და მარტვილის რაიონში არიან განსახლებულნი. ბერძნულ პირსახელ მარკოზისგან სხვა უამრავი გვარია ნაწარმოები² და სამეგრელოშიც ძალზედ გავრცელებული პირსახელი იყო. მეტსახელი **კოჩილა** მეგრული კნინობითი სახელია და „კაცუნა“-ს ნიშნავს.

თოთობია ჯომნია. ჯომნია-ს ფორმის გვარსახელი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. აფსუებს შორის დღესაც გავრცელებული ჩანს, თუმცა მისი აფსუურობა საეჭვოა. შესაძლოა აქ იგულისხმება ჯომანია//ჯუმენია, იგივე მცენარე ჯუმენე „ძირნითელა ფხალი“. პირსახელი **თოთობია** ნიშნავს „თოთო ბავშვს“, ასევე შესაძლოა გავიგოთ „ძალიან მსუქანი“-ს, „მნიფე“-ს მნიშვნელობით.

მიძირუდა ციკუტია, მახარობლი ციკუტია. ციკუტია-ს ფორმით კოლხური გვარსახელი დღეს არ დასტურდება, თუმცა მისი იდენტური ჩანს სამეგრელოში ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარი ციკუტანია. ჩიკუტა, ციკუტია „ჩია ტანის“ კაცის ეპითეტია³. პირსახელი **მიძირუდა** ნიშნავს „მენახე“. ხოლო **მახარობლი** „მახარობელს“ (შდრ. ქართული პირსახელი მახარე).

გვანიშაი ბავუძლაჲ. ორივე პირსახელი ჩანს. **გვანიშაი**, ვფიქრობთ, მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან „გვანილი“-ძალიან მსუქანი. **ბავუძლაჲ-ს** ეტიმოლოგია საძებნია.

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების ნუსხაში ნაჭანეულში (ოტობაია) მცხოვრებლად

¹ მ. ბუკია, მეგრულ პირსახელთა წარმოების თავისებურებებისათვის, კრ. ქართველური ონომასტიკა, VI, თბ., 2013, გვ. 117.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 109; ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? გვ. 129.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 155.

იხსენიება **მამისმამა ღრუბელია**, ხოლო 1621 წლისაში **კოჭოლა ღრუბელია და გვიჩი ღრუბელია**.

ღრუბელია-ს ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. ის ქათულ „ღრუბელ“ სიტყვასთან უნდა იყოს კავშირში და შესაძარებლად შესაძლოა გამოდგეს იმერული გვარი ღრუბელიაძე. პირსახელი **კოჭოლა** უნდა მომდინარეობდეს მეგრული კოჭო-საგან „თავქოჩორა“¹, ანუ „თავქოჩორა ადამიანის“ მეტსახელია. პირსახელი **გვიჩი** ძველად ოდიშში ძალზედ ფართოდ იყო გავრცელებული. გვიჩი იგივეა რაც გვიჩა რომელიც „დაბალ“, „სქელ“, „ლიპიან“ კაცს ნიშნავს (მეგრული გვიჩალი-სქელი). გვიჩი-საგან ჩანს ნაწარმოები სამეგრელოში გვარსახელი გვიჩია, ხოლო სვანეთში გვიჩიანი, რომელთაც შესაძლოა ერთი საერთო წარმოშობაც კი ჰქონდეთ.

კუაჭალია ხოსრო. აქ ჩვენ ორივე შემთხვევაში პირსახელთან გვაქვს საქმე. კვაჭალი მეგრულში ნიშნავს ერთგვარ ცქვიტ და სწრაფ სიარულს, მაგრამ ყველა შემთხვევაში არა. მას იტყვიან „ტანმორჩილი კაცის სიარულზე“. ხოსრო კი წარმოშობით სპარსული პირსახელია².

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების ნუსხაში ნაჟანეულში (ოტობაია) მცხოვრებლად იხსენიება **ჯუჯა გურუა**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **გემჭიშია გურუა**. **გურუა-ს** ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ გვხვდება. მეგრულში გურუა ნიშნავს „გულიანს“. **ჯუჯა** პატარას ნიშნავს, თუმცა შესაძლოა გვექონდეს „დეუდა“ ანუ „დიდთავას“ მნიშვნელობით. **გემჭიშია** მეგრულად სიტყვასიტყვით ნიშნავს „დანეულს“-მას იტყვიან „ზედიზედ მიყოლებულ შვილზე“.

თოლიმაფუ ხისტარია. ხისტარია აქ გვარი ჩანს, თუმცა დღეს სამეგრელოში მსგავსი ფორმით არ დასტურდება, ეტიმოლოგია საძებნია. საკუთარ სახელად ქცეული მეტსახელი **თო-**

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 374.

² ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? გვ. 152.

ლიმაფუ კი მეგრული სიტყაა და ნიშნავს „ჩემი თვალია“, „თვალისჩინი“.

მესტუმრია დათია. ორივე პირსახელია **მესტუმრია** არის „მესტუმრე“.

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების ნუსხაში ნაჟანეულში (ოტობაია) მცხოვრებლად იხსენიება **ცისტარია მამისმამა**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **კოჩია ცისტარია**. **ცისტარიას** ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება, შესაძლოა ეს იგივე ხისტარიას იდენტური იყოს. მოფერებითი მეტსახელი **მამისმამა** იგივე ქართული „მამის მამა“. მეტსახელი **კოჩია** მომდინარეობს მეგრული კოჩი „კაცი“ სიტყვიდან, კოჩია კი ნიშნავს „ასაკით პატარა კაცს“, ან შესაძლოა კნინობითშიც იყოს ნახმარი-„კაცუნა“.

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების ნუსხაში ნაჟანეულში (ოტობაია) მცხოვრებლად იხსენიება **კურცხაი ლოგუა**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **თოლიშია ლოგუა**. ლოგუბი დღეს სამეგრელოში ცხოვრობენ. პ. ცხადაიას აზრით, გვარისათვის ამოსავალი უნდა იყოს მეგრულში ცოცოხალი ლექსიკური ერთეული ლოგო „ყეყეჩი, მოსულელო“, რომელიც ამ გვარის ფუძემდებლის მეტსახელი უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, ავტორისავე აზრით, ლოგო შეიძლება იყოს შემოკლებული ფორმა ლონგორი ან ლონგინოზი პირსახელებისა¹. ლოგო-ს მეგრულში „უმნიფარ“, „სულელური გამომეტყველები“ ადამიანს უწოდებენ. მეტსახელი **კურცხაი** მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან „კურცხე“, სიტყასიტყვით „მღვიძარე“, მაგრამ ამ შემთხვევაში ის „მკვირცხლი“, „ცქვიტი“ და „საქმეშიც ფხიზლად მყოფი“ თვისებების მქონე ადამიანის მეტსახელად გამოიყენება. პირსახელად ქცეული ზედმეტსახელი **თოლიშია** ნიშნავს „თვალისთვის საყვარელს“, „თვალისჩინს“ „ლამაზთვალეზიანს“, „თვალში მოსახვედრს“².

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 106.

² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 318.

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების ნუსხაში ნაჟანეულში (ოტობაია) მცხოვრებლად იხსენიება **კონჯარია-ოთხი კომლი**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **მამალის კონჯარია**, **ხახუტა კონჯარია**, **თოსკუამია კონჯარია**, **გიორგი კონჯარია**, **გვანიშასა კონჯარია და დოხვადი კონჯარია**. კონჯარიები დღეს სამეგრელოში მცხოვრები გვარია. პ. ცხადაიას აზრით, გვარში გამოიყოფა სადაურობის სუფიქსი -არ, მაგრამ საძიებელია ადგილის სახელწოდება კონჯა¹. თუმცა, აქ შესაძლოა სადაურობის -არ სუფიქსი არ გვქონდეს (შდრ. **ცკონწარი (მეგრ.) მწარე კაცი**)² და ამ გვარსახელთან შესატვისობაში უფრო მართებულად მიგვაჩნია მიუსადაგოთ ა. ქობალიას მიერ განმარტებული მეგრული სიტყვა კონჯარი, რომელსაც „ხესავით მაგარ“ კაცზე იტყვიან³. მეტსახელ **მამალის-ში** შესაძლოა დავინახოთ მეგრული მალას-„მალე“ (შდრ. **ლაზების მეფე მალასა-II ს.**). **ხახუტა**, პირსახელის მოფერებითი ფორმაა, რომელშიც ჩანს სამეგრელოში ძველად გავრცელებული სახელი ხახუ, რომელიც თვალჭრელა ადამიანის მეტსახელი იყო (შდრ. ხანტილი მეგრ. დახატული, ხანტურია მეგრ. ჭრელი, შდრ. ქართ. ხატულა). **თოსკუამია** სიტყვასიტყვით არის „თვალეზლამაზა“. **გიორგი** საყოველთაოდ გავრცელებული ქართული სახელია, რაზეც სიტყვას არ გავაგრძელებთ. **გვანიშა** შესაძლოა ნიშნავდეს „გასუქებულს“, „მსუქანას“, მეგრული გვანილი „მსუქანი“. **დოხვადი** იგივეა რაც მეგრული დოხვალამა- „დახვედრა“.

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების ნუსხაში ნაჟანეულში (ოტობაია) მცხოვრებლად იხსენიება **რუსაყია მარცვალია**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **მარსალია რუსაყია**. აქ ორივე მეტსახელი ჩანს (მარსალია-იხ. ზემოთ). **რუსაყია**, ა. ქობალიას მიერ განმარტებულია როგორც

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 99.

² ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, გვ. 464.

³ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 372.

„რუსის ხიშტივით მაღალი“¹; მაშასადამე, შესაძლოა გვეფიქრა, რომ მარსალია რუსაყია არის ისეთი ადამიანის მეტსახელი, რომელიც არის „სარივით (მარსალია) და რუსის ხიშტივით მაღალი“ (რუსაყია), თუმცა ეს ეტიმოლოგია არ არის სწორი, რამდენადაც ამ დროს „რუსის ხიშტზე“ ასეთი ეპითეტის არსებობა დაუშვებელია. **მარცვალია-ს**, სახით იგივე მარსალიას შეცდომით ჩანერასთან უნდა გვექონდეს საქმე.

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების ნუსხაში ნაჟანეულში (ოტობაია) მცხოვრებლად იხსენიება **თო[ლ]მიხილა ელიშია, გულაბა ელიშია**, ხოლო 1621 წლის ნუსხაში **კოჩილა ელიშია, თოლმიხილა ელიშია და უსკუამადა ელიშია. ელიშია-ს** ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. ელი მეგრული პირსახელი ჩანს, რაზეც მიუთითებს გვარი ელიავა². **თომიხილა//თოლმიხილა** უნდა გავიგოთ როგორც „თვალმახარე“, „თვალის გამხარებელი“. **გულაბა-ს**, შესაძლოა „გულიან“ კაცზე იტყოდნენ. გულაბი ასევე მსხლის ერთ-ერთი საახეობაა სამეგრელოში. **კოჩილა**, მეგრული კოჩი „კაცი“, ხოლო კოჩილა მოფერებითი ფორმაა. **უსკუამადა** მომდინარეობს სკვამი-დან „ლამაზი“, უსკვამადა იქნება ულამაზო, თუმცა უფრო სწორი ფორმაა უსკვამური-„ულამაზო“.

ჭვიტიშია თოლიოქრო. ჭვიტიშიას ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ არსებობს, თუმცა ჭვიტი ფუძიდან მომდინარე გვარის – ჭვიტილიას არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლექვიტილი//ნაჭვიტილუ (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაზანდარა). პ. ცხადაიას აზრით, მეტსახელი ჭვიტილი დაერქმეოდა კაცს, რომელიც ცალ თვალს ხშირად ჭუჭრავს³. ჭვიტი სამეგრელოში საკუთარი სახელია. ჭვიტი ნიშნავს ჭუჭრუტანასაც. მეგრულში **თოლიოქრო** ნიშნავს „თვალოქრო“-ს.

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 574.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 82.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 163.

მათე შურიმორთას. მათე ქართული პირსახელია, ხოლო **შურიმორთას** არის მეტსახელი, რომელიც მეგრულში „სულის მოსვლა“-ს ნიშნავს.

XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების ნუსხაში ნაჟანეულში (ოტობაია) ცხოვრობს **სამი კომლი ფიოლია**, ხოლო 1621 წელს **მირჩქილია ფიოლია**. ფიოლია არც თუ ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ დღესაც ცოცხალი გვარია. სამეგრელოში იშვიათია, ძირითადად ცხოვრობენ თბილისში, ქუთაისში და წყალტუბოში. მეგრულში ფიოლი ეს არის „თბილი“, „მშრალი ქარი“, მბერავი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ფიოლია კი ნიშნავს „ნიავივით ფარფატას“¹. მეგრულში **მირჩქილია** ნიშნავს „მომისმინე“.

გორიშია კოტარია//კუატარია, ჭუჭუ კონტარია. კოტარია და კონტარია იდენტური ფორმებია. დღესაც იშვიათი გვარია, სამეგრელოში კოტარიას ფორმით ცხოვრობენ ზუგდიდსა და სენაკში. პ. ცხადაიას აზრით, კოტა კოლხეთში პირსახელია და კოტარა მისგანაა წარმოქმნილი -არ სუფიქსით². როგორც ჩანს, თავდაპირველი ფორმაა კოტარია, რომელიც, ა. ქობალიას განმარტებით, ნიშნავს „ვადიანი“, „ძლიერი მაჯისა“³.

ბ) ხოირის სასახლის გლეხების პირსახელები და გვარები (1621 წელი)

ხახუტა დიდია, მაშუტია დიდია, თოლიოქრო დიდია. დი-დია (იხ. ზემოთ). **ხახუტა** (იხ. ზემოთ). **მაშუტია** (იხ. ზემოთ). **თოლიოქრო** (იხ. ზემოთ).

უკულაში ლასურია, უსკვამი ლასურია. ლასურია ფორმის გვარსახელი დღეს სამეგრელოში არ ფიქსირდება. თუმცა ცხოვრობენ ლასარეიშვილები. მეგრულში ლასარი (ლასირი, -დ. ჭ.) „სიბი“, „პიტალო კლდე“. მეგრული ლასარა „მაგარი“, „შეუ-

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 626.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 101.

³ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 373.

ვალი“, „აზრშეუცვლელი“ ადამიანის ეპითეტია¹. ვფიქრობთ, ლასარი და ლასური იდენტური სიტყვებია. მეგრულში **უკულა-ში** „უმცროსს“ ნიშნავს, **უსკვამი** კი „ულამაზოს“.

მიხილია მუზურგანია. მუზურგანიას ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. ა. ქობალიას ლექსიკონში მუზურგანი განმარტებულია როგორც „უზომოდ გონიერი“, „მოტრეტილი“². პირსახელი **მიხილია** ან მიხილის ფორმა ჩანს, ან შესაძლოა მეგრულ მეტსახელთან გვეკონდეს საქმე, მიხილი სიტყვასიტყვით-„ვინ ხილი“.

მაქმულია ნებელარა. მამულია აქ გვარი ჩანს, რომელიც დღეს სამეგრელოსა და აფხაზეთში გვხვდება. მამულა სამეგრელოში გავრცელებული პირსახელია. რაც შეეხება პირსახელ **ნებელარა-ს** ის ნაწარმოებია ერთგვარი სახეობის თევზის სახელწოდებიდან, მეგრული ნებრი-„ქარიყლაპია“.

კაკაია ჩაგუა, გოგია ჩაგუა, ჯგერგეშია ჩაგუა, გურმიხი-ლა ჩაგუა, ხუხული ჩაგუა, ქაქალია ჩაგუა. ჩაგუა სამეგრელოში იშვიათი გვარია, რამოდენიმე კომლი ცხოვრობს ფოთში. ჩაგუ ძველ სამეგრელოში გავრცელებული პირსახელია. ჩანს მეგრულ ფოლკლორშიც. მეგრულში ჩაგუ (ჩაგუა) ნიშნავს „უხეშად“, „ულაზათოდ“ კეთებას. **კაკაია** განმარტებულია, როგორც „თვალა“, „მძივა“. **გოგია** სამეგრელოში პირსახელიც არის და გვარსახელიც. **ჯგერგეშია** გეგე//ჯეგე//ჯგერგე მეგრულად ნიშნავს წმინდა გიორგის, ჯგერგეშია იქნება „წმინდა გიორგის“ (შდრ. გვარი გეგეჭკორი, რომლებიც საეკლესიო აზნაურები იყვნენ). იგივე სახელი ჩანს ჯგერგე კოჩი-„წმინდა გიორგის კაცი“³. **ქაქალია-ს** სამეგრელოში „მოდრავ“ ადამიანზე იტყვიან, ასევე გადატანითი მნიშვნელობით „ჭკუამსუბუქზე“, „ენაწყლიანზე“. **ხუხული (იხ. ზემოთ).**

¹ **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 104.

² **ა. ქობალია**, მეგრული ლექსიკონი, გვ. 489.

³ **მ. ბუკია**, მეგრულ პირსახელთა წარმოების თავისებურებებისათვის, გვ. 115.

ბაბადია ქუნია. ქუნია-ს ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. ეტიმოლოგია არ არის ნათელი, შესაძლოა მოდიოდეს მეგრული სიტყვიდან ქუნუა, რაც „შეფუთვა“-ს ნიშნავს. **ბაბადია** პირსახელის მოფერებითი ფორმაა და შესაძლოა მეგრულში ორმაგი მნიშვნელობით დავინახოთ, ბაბადია-„დიდი მამა“, ან მოფერებითი „დედ მამის“ შვილი.

ჯუარისა ჯიტა. ორივე პირსახელად ქცეული ზედმეტსახელი ჩანს. ჯიტა ორ ადგილას არის მოხსენიებული. ვფიქრობთ, ის მეგრული „ჯვიტალი“-ს შემოკლებული ფორმაა, რომელიც გამოხატავს „დრუნჩა“, „ტურჩებგაბუტულ“, განაწყენებულ და უკმაყოფილო სახეს¹. **ჯუარისა** „ჯვრის, ხატის კუთვნილს“ ნიშნავს.

ვაჟობა გრიგოლია, გოკურცხია გრიგოლია. გრიგოლია დღეს სამეგრელოში საკმაოდ გავრცელებული გვარია (უმეტესად სენაკი). სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანში მოსახლენი კი აზნაურები იყვნენ². გვარი პირსახელ გრიგოლიდან ჩანს ნანარმოები. პირსახელი **ვაჟობა** „ვაჟი“-დან მომდინარეობს, ხოლო **გოკურცხია** მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „გაიღვიძე“.

სკვამილეი ჯიქია. ჯიქიები დღევანდელ სამეგრელოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი გვარია. ძირითადად განსახლებულნი არიან ზუგდიდის რაიონში და სამეგრელოს ონომასტიკონში ბევრ ადგილას გვხვდება³. შესაძლოა ამ გვარსახელს კავშირი ჰქონდეს სატომო სახელთან ჯიქი, რომელიც მეგრულ მეტყველებაში შემოვიდა, როგორც „მაღალი“, „ჯიქური“, „ანენილი“ ადამიანის მნიშვნელობით. მეგრულში **სკვამილეი** მოფერებითი სახელია და ნიშნავს „ლამაზ“-ს.

გამიგონი ბიჭვა. ბიჭვა აქ გვარი ჩანს და დღეს სამეგრელოში მცხოვრები ბეჭვაიების იდენტური ფორმა უნდა იყოს, ასევე

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 739.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 75-76.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 176.

არიან ბიჭები ზუგდიდის რაიონში, რომლებიც 1621 წლის დასაწყისში სააფაქიო აზნაურები ყოფილან¹. **გამიგონი** არის მეგრული „შეისმინე“, „გამიგონე“.

გავაშელი დამაკოჩია. გავაშელი დღესაც ცოცხალი გვარია. -ელ სუფიქსი სადაურობის აღმნიშვნელია, სავარაუდოდ ადგილ გავაში-დან, რომელიც საძებნია, ხოლო **დამაკოჩია**, შესაძლოა იყოს იგივე მეგრული დემკოჩი-„დეკაკატი“.

დაბალა და ჰრლუნა. ორივე პირსახელია. **დაბალა** არის „დაბალი“, **ჰრლუნა-ს** მნიშვნელობის გაგება რთულია, შესაძლოა დაკავშირებულია მეგრულ ღუნა-სთან „ყოფნა“.

ხუხულია ამბალია, ივანე ამბალია, ხუცეს ამბალია. ამბალიები დღეს სამეგრელოში მცხოვრები (ფოთი, წალენჯიხა, ქარიატა) მცირერიცხოვანი გვარია. ამბალი მეტსახელი ჩანს, მეგრულში ამბალს უწოდებენ „დიდ“, „მაღალ“, „სპორტული აღნაგობის“ მამაკაცს. **ხუცესი**, საქართველოში ფართოდ გავრცელებული მეტსახელია, რომელიც მომდინარეობს ხუცი-დან, რაც „უხუცესად“ ან „ხატის მსახურად“ უნდა გავიგოთ. **ხუხულია და ივანე** -იხ. ზემოთ.

გამიგონა ჯომნია, ვაჟიკოჩა ჯომნია. (როგორც გვარის ისე პირსახელის შესახებ იხ. ზემოთ).

მხიარლა კაკუა, იშამორთა კაკუა, მოირდინა კაკუა. კაკუა აქ გვარი ჩანს. დღეს სამეგრელოში ამ ფორმით არ გვხვდება. ვფიქრობთ, კაკუა, სამეგრელოში მცხოვრები კეკუას იდენტური გვარია. კაკუ სამეგრელოსა და იმერეთში გავრცელებული პირსახელი იყო. მეგრულში კაკუა „დაჭდევა“, „ნაყვა“-ს ნიშნავს. პირსახელი **მხიარლა** „მხიარულს“ ნიშნავს. მეგრულში **იშამორთა**-„აქეთ მოსული“, ან „მისთვის მოსული“. მეგრულში **მოირდინა**-„გამეზარდე“.

ქურია. მეტსახელი ჩანს. მეგრული ქური „ქუსლი“, ქურია იქნება „ფეხმარდი“.

¹ ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 424.

ხუხუნია ჯაკობია. (იხ. ზემოთ).

კოსატაია. მეგრული მეტსახელია. ეტიმოლოგია საძებნია.

ხახუტა გამკერვალია (იხ. ქვემოთ).

ხერგუა. მეგრულში ხორგი „გროვა“, „დახორგვა“, „დახვავე-ბა“-ს ნიშნავს.

გ) სუბვის სასახლის საკათალიკოსო გლეხების პირსახელები და გვარები (1621 წელი).

თაიმაზი კიტია, ქუაქუალია კიტია, ქერაბინ კიტია, მ[ა] მულია კიტია, ბაბაკვა კიტია, შურიმიდგი კიტია, ჯგერიკორჩი კიტია, ელიჯარ კიტია, გავაშელ კიტ(ი)ა, ამულაბარ კიტია, კუჭრკუჭშია (კვეკვეცია) კიტია, მიხილია კიტია, დემეტრე კიტია, პირნათე კიტია. კიტეები სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ, რომელთა ნაწილი XIX საუკუნეში აზნაურები იყვნენ. ისინი ასევე დასახლებულნი არიან 1616-1621 წლებში ცაიშის საყდრის მეზვერეთა შორის. გვარი მეტსახელისაგან ჩანს წარმოქმნილი, მეგრულში კიტალი „მუცელგამოშვერილი“ ადამიანის მნიშვნელობით იხმარება, საერთოდ კიტალი „გამოშვერილს“ ნიშნავს. საკუთარი სახელი **თაიმაზი**, თაიმაზის ფორმა ჩანს, რომელიც სპარსულიდან მომდინარეობს და ნიშნავს „ძლიერ ცხენს“ ან „ძლიერი ცხენის პატრონს“. მეტსახელი **ქუაქუალია** ან მეგრული ქვაქვალა ითქმის „დაუზარელ“, „სწრაფ“, „საქმიან“ ადამიანზე. მეგრულში ის ერთგვარ სიარულის მანერას აღნიშნავს. **ქერაბინი** ქრისტიანული სახელია ახალ აღთქმაში მთავარანგელოზად მოიხსენიება. სულხან-საბას მიხედვით, ქერობინი არის „გული აღდგომილი“¹, ასევე იგივეა ენაკიმ, რომელიც განმარტებულია, როგორც „გმირი, გინა დიდი“². **მ[ა]მულია** გვარსახელიც არის და პირსახელიც (იხ. ზემოთ), ამ შემთხვევაში მამულია მოფერებითი ფორმის პირსახელია და შეიძლება გავიგოთ როგორ „მამიკოსი“. **ბაბაკვა**, მეგრულში ბაბა არის „მამა“,

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993, გვ. 633.

² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, გვ. 612.

ხოლო კვა უნდა იყოს მეგრული სკუა-ს (შვილი) შემოკლებული ფორმა, მაშასადამე ბაბაკვა უნდა გავიგოთ მოფერებით მეტსახელად „მამაშვილობა“. მეგრულში **შურიმიდგი** ნიშნავს „სული მიდგია“. მეგრული **ჯგერიკოჩი-„კარგი კაცი“**. **ელიჯარ-ის** ეტიმოლოგია დასადგენია, შესაძლოა ელიზბარის დამახინჯებული ფორმა იყოს. **ამულაბარ** ქართული სახელი არ ჩანს, ეტიმოლოგია საძებნია. **კუჭრკუჭშია** ანუ კვეკვეცია მეგრული პირსახელია, რომელიც „მკვირცხლი“ და „კობტა“ ადამიანის ეპითეტია. მეგრულში კვეკვეცი ნიშნავს „აალებას“. **დემეტრე**, წარმოშობით ბერძნული სახელია, რომელიც მინათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი იყო, სიტყვასიტყვით იქნება „მინადედა“¹. **პირნათე** ანუ პინათე სამეგრელოში გავრცელებული პირსახელი იყო. შესაძლოა „პირნათელს“ ნიშნავდეს. **გავაშელ** (იხ. ზემოთ). **მიხილია** (იხ. ზემოთ).

პერტია პირსახელის გარეშეა მოხსენიებული. პერტიები სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ (ზუგდიდის და აბაშის რაიონები). პ. ცხადაიას კვლევით, მეგრულისთვის დამახასიათებელი ფონეტიკის შესაბამისად პეტრე პერტე-თი შეიცვალა².

ძლირუა. ამ ფორმის გვარსახელი დღეს სამეგრელოში არ გვხვდება. ის ამ შემთხვევაში მეტსახელი ჩანს. მეგრულად ძღვირა ნიშნავს „წვრილთვალება“-ს. ერთგვარი გამოხედვის აღმნიშვნელია.

გავაშელი ამილლამბარი ელიჯარი. **გავაშელი** სადაურობის აღმნიშვნელია (იხ. ზემოთ), ხოლო **ელიჯარი** პირსახელი (იხ. ზემოთ). **ამილლამბარი** გვარია, რომელიც ქართული წარმოშობის არ ჩანს. ეტიმოლოგია საძებნია. ამილლამბართა საგვარეულო ისტორიულ დოკუმენტებში XV საუკუნის ბოლოდან იხსენიება³.

¹ ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? გვ. 107.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 121.

³ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1991, გვ. 126.

ქორჩოლუა ყელგრძელი, მქამაში ქორჩოლუა. ქორჩოლუა აქ გვარი ჩანს. ქორჩო მეგრულში ნიშნავს თმაანენილს“, „ქორჩორას“. **მქამაში** იქნება იგივე „მამის“ (იხ ზემოთ). მეტსახელ **ყელგრძელი-ს** ეტიმოლოგია ისედაც ნათელია.

კაკა ჯაკონია, ვაჟობა ჯაკონია, პაპიშია ჯაკონია, მაჭაჭვა ჯაკონია, თენა ჯაკონია, ბაბადიში ჯაკონია, სკუამილი ჯაკონია, ქოძირია ჯაკონია. ჯაკონიები სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ (ზუგდიდი, ფოთი). XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ჯაკონიები ცხოვრობდნენ ოქუმიშპირა სოფელ მუხურში (გალის რ-ნი) და იხდიდნენ საეკლესიო ბეგარას. ერთი მოსაზრებით, ჯაკონიასათვის ამოსავალია საეკლესიო ნოდების სახელი დიაკონი, თუმცა პ. ცხადაიას დასაშვებად მიანია, რომ ამოსავალი ფუძე ჯაკონი კოლხეთში გავრცელებული პირსახელ ჯაკო-ს მოფერებითი ვარიანტია¹. ა. ქობალიას, მეგრულ ლექსიკონში ერთი მხრივ ჯაკონი განმარტებული აქვს როგორც დიაკონი, ხოლო ჯაკონიაზე აღნიშნავს, რომ ეს არის „მაღალმერქნიანი ხე; კერპი (უპირატესად ხისა); ხეთაგანი, ხეს დამსგავსებული, გახევებული, უჯიათი, უტეხი ჯიუტი“². ვფიქრობთ, ჯაკონია, თუ მას ადამიანზე გადატანითი მნიშვნელობით ვიხმართ, ნიშნავს „ჯიუტს“. **კაკა** მეგრულად ნიშნავს „თითო“-ს (მდრ. კაკალი). **პაპიშია** მეგრულში „ბაბუის მამის“ მნიშვნელობით იხმარება, პაპიშია უნდა ვთარგმნოთ, როგორც „დიდი ბაბუის კუთვნილი“. მეგრული **სკუამილი** სიტყვასიტყვით იქნება „ულამაზესი“. მეგრული **ქოძირია** სიტყვასიტყვით „ნახე“. პირსახელი ვაჟობა (იხ. ზემოთ).

სანატრელი ღუაჯაგია, სუბეი ღუაჯაგია. სანატრელი მეტსახელია, რომელიც ბავშვის დაბადების მოლოდინთან (უპირატესად ვაჟის) დაკავშირებით არის შერქმეული. **ღუაჯაგია-ს**

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 172-173.

² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 734.

ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება, ესეც მეტ-სახელი ჩანს, რომელიც მეგრულში (ღვაჯაგია) ნიშნავს „ყბებმა-გარს“, „მცოხნელს“¹. მეგრულში **სუბეი**, იგივე სუბეიში ნიშნავს „მაღლობს“, „მაღლობისა“. ე. ი. პირსახელი სუბეი უნდა იყოს მაღლობზე მცხოვრები, ან შესაძლოა მაღალი ადამიანის მეტსახელია.

გომთინირია მახუტია. ორივე პირსახელი ჩანს, მსგავსი ფორმით გვარები დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. **გომთინირია** შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული გომთირე-დან (თირუა)-„გაცვლა“. **მახუტია** გავრცელებული სახელი იყო.

მამულია არტონია, გავო არტონია, ქრისტეშია არტონია, მიქა არტონია. **არტონია** აქ გვარი ჩანს, თუმცა მსგავსი ფორმით დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. ეტიმოლოგია საძებნია. შესაძლოა პირსახელ ანტონის მეგრული გადმოცემა იყოს. **გავო** გავრცელებული მეგრული პირსახელია. **მამულია** (იხ. ზემოთ). **ქრისტეშია** (იხ. ზემოთ). **მიქა** (იხ. ქვემოთ).

ხვინგია უწყინარა. **ხვინგები** სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ (ზუგდიდი, მარტვილი). პ. ცხადაიას თქმით, ხვინგ ზმნური ფუძისგან ნაწარმოები ფორმები მეგრულში აღნიშნავენ „უზომოდ ჭამას“, „ჩახეთქვას“, „ჩახრამუნებას“. იმას, ვისაც ჭამის ასეთი მანერა ახასიათებდა, ადვილად მიეკერებოდა მეტსახელი ხვინგია (ამ ფორმას სასუბიექტო მიმღებობის ფორმა აქვს)². **უწყინარა** პირსახელია, „უწყინარ“, „წყენის არ მქონე“, „მშვიდ“ ადამიანს ნიშნავს.

მიქა მიქელია, შურიმიდგი მიქელია. **მიქელიას** ფორმის გვარსახელი სამეგრელოში დღეს არ გვხვდება, მაგრამ სამეგრელოს ონომასტიკური მასალიდან ჩანს, რომ მათ უნდა ეცხოვრათ სოფელ ობუჯში, სადაც არის ბორცვი ნამქელუ//ნანქელუ. ასევე მიქელია-სთან მიმართებაში საინტერესოა ზუგდიდის

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 644.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 168.

რაიონში და აფხაზეთში დადასტურებული გვარი მიქელბაია¹, რომელიც იგივე მიქელიაზე დამატებული -ბა დაბოლოებით გაფორმებული იდენტური გვარი ჩანს. **მიქა** ოდიში გავრცელებული პირსახელია.

უჩალეი ბიგუა. ბიგუა ანუ ბიგვავა სამეგრელოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი გვარია. ბიგვა, ჯგებურია სუბუქიასთან და პაპა ხუცობავასთან ერთად, 1706 წელს აფხაზებისგან ანიოკებული სოფელ მუხურიდან აფხაზეთის კათალიკოს წამოუყვანია და დაუსახლება ხობში². მეგრულში **უჩალეი** ნიშნავს „მოშავოს“.

გუგურია ჯიშია. ამ ფორმის გავარსახელები სამეგრელოში დღეს არ დასტურდება, თუმცა გვაქვს იშვიათი გვარის ფორმა გუგულავა. მეგრული გუგური სიტყვასიტყვით ნიშნავს „ამობურცულს“, „ამონეულს“. **ჯიშია**-ს ეტიმოლოგია საკვლევია

დ)თილითის სასახლის საკათალიკოსო გლეხების პირსახელები და გვარები (1621 წელი).

თიფშხუა ხუცესი, მრტიშია თიფშხუა, იესე თიფშხუა, ნინარტია თიფშხუა. თიფშხუას ფორმის გავარსახელი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. თიფშხუა განმარტებულია, როგორც „თივის ზვინივით დიდი“³. თუმცა, ვფიქრობთ, შხუს-ს „მსხვილი“ განმარტება სწორია, რასაც ვერ ვიტყვით თიფ-ზე, რომლის ეტიმოლოგია საძებნია. **მრტიშია** უნდა იყოს მარტიშია „მარტის თვეში დაბადებული“. **იესე**, იგივე „იესო“-ა. მეგრული **ნინარტია** ნიშნავს „ენაგაქცეულს“, „ენაყარტალას“. პირსახელი **ხუცესი** (იხ. ზემოთ).

¹ **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 114.

² „კიდევ ჯგებურია სუბუქია და ბიგვაა; კიდევ ერთი მოსახლე კაცი ჯღერიას ნაყმევი პაპა ხუცობავა და მისი ძმა შერვაშიძისაგან სადგო კაცი იყო ჩუენი და იმაშედ წამოვიყვანეთ და ხობს დავასახლეთ. არმანია ყვაპუსეული კაცი მაგიერ]-შიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ“ (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 648).

³ **ა. ქობალია**, მეგრული ლექსიკონი, გვ. 316.

ჯგეკოჩი ცქურია, სორდის ცქურია. ცქურია-ს ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. არიან ცქირიები, მათ შორის კავშირის შესახებ დამატებითი მასალები არა გვაქვს. შეიძლება იყოს მეგრული ცაქურა-დან მომდინარე, რაც ერთგვარ „კოჭლობას“ აღნიშნავს. **ჯგეკოჩი**, იგივე მეგრული ჯგირი კოჩი „კარგი კაცი“. მეგრული **სორდი**-„სად იყავი“.

მიხილია შუნია, ბებლი შუნია. შუნია-ს ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. ეტიმოლოგია ნათელი არ არის, შესაძლოა შონიას იდენტური ფორმა იყოს. **ბებლი**-ს ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის. შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული სიტყვიდან ბებელუა, რომელიც გარკვეული სახის „საქმიანობას“ აღნიშნავს. **მიხილია** (იხ. ზემოთ).

შორდა გულუა, თუთაშხია გ[უ]ლუა. გულუა სამეგრელოში დღესაც გავრცელებული გვარია (ზუგდიდის, ჩხორონყუს და წალენჯიხის რაიონები). გვარისათვის ამოსავალია კოლხური პირსახელი გულო. ამასთანავე გულოა, გულუა გვხვდება პირსახელადაც შუა საუკუნეების საქართველოში. ეტიმოლოგია საძებნია. **შორდა** მომდინარეობს მეგრულიდან შორს რდა „შორს იყავი“. მეგრული **თუთაშხია** „მთვარის შვილი“, „მთვარის ასული“, შესაძლოა დარქმეოდა ორშაბათს დაბადებულ ადამიანს (მეგრ. თუთაშხა „ორშაბათი“ – მთვარის დღე).

მიხილია ს[თ]ეფანასკირი, შურითოლი სთეფანესკირი, კუტულია სთეფანესკირი. სთეფანესკირის ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ გვხვდება. ის ორი სიტყვისაგან შედგება სთეფანე, იგივე სტეფანე და მეგრული სკირი//სქირი, იგივე შვილი, რომელი დაბლოების გვარები სამეგრელოში საკმაოდ გავრცელებულია (მდრ. ნულეისკირი). დღევანდელ სამეგრელოში არსებობს გვარი სტეფანია, რომელიც წარმოქმნილია პირსახელ სტეფანესაგან. სთეფანასკირსა და სტეფანიას შორის კავშირზე სხვა მასალები ჩვენს ხელთ არ არსებობს. **კუტულია** ბალღისათვის მოფერებითი ფორმის მეტსახელია, მეგრული კუტუ „ბალღის სარცხვინელს“ ნიშნავს. **მიხილია** (იხ. ზემოთ). **შურითოლი** (იხ. ზემოთ).

თასია ჩერჩია. ორივე პირსახელი ჩანს. ამ ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. მეგრული თასი „თესლს“ ნიშნავს. ჩერჩს (ჩერჩელა)-„ზანტ“, „ჩანჩალა“ ადამიანზე იტყვიან.

ბაბაშური ჟვანესკირია, ქალარა ჟვანესკირია. ჟვანესკირია-ს ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. ის იგივე ჟვანია//ივანიას ფორმაა (იხ. ზემოთ), ხოლო სკირი „შვილი“-ს აღმნიშვნელია (იხ. ზემოთ). **ბაბაშური** პირსახელის მოფერებითი ფორმაა, მეგრულიდან პირდაპირ თარგმანში იქნება „მამა სულო“. **ქალარა**-ს ეტიმოლოგია საკვლევიია.

ბადია მომარდია. არც ერთი ამ ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. ორივე მეტსახელი ჩანს. **ბადია** მეგრული ბადიდი-დან-„დიდი ბაბუა“ მომდინარე უნდა იყოს. **მომარდია** იგივე მეგრული მომარდიელება-„მომადლიერებას“ ნიშნავს.

მორდილია ბულია. ბულია დღეს სამეგრელოში საკმაოდ ფართოდ განსახლებული გვარია (ზუგდიდის და ნალენჯიხის რაიონები). ა. ქობალიას მიხედვით, ბულია იგივეა რაც ბულა, რომელიც „კუნწულა“, „ყვავილედი“, ბლისხეზე (საკრალური ხე იყო) მლოცველს ნიშნავს. მეგრული **მორდილია**-„გაზრდილს“ ნიშნავს, მორდუ- „გამზრდელს“ ნიშნავს.

თუთაშხია ქუფაჩა. ამ ფორმის გვარები სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. **თუთაშხია** (იხ. ზემოთ). **ქუფაჩა**-ს ეტიმოლოგია საკვლევიია.

თოლისკვამი ფაჟა. ფაჟა დღეს სამეგრელოში განსახლებული არც თუ ისე მრავალრიცხოვანი გვარის ფაჟავას შემოკლებული ფორმაა. ფაჟა მეგრულში განმარტებულია როგორც „ფოლხვი“, „ხალვათი“, „გაბერილი“; „ფილტვის კონსისტენციისა“¹. პირსახელი **თოლისკვამი**-„ლამაზთვალეა“-ს ნიშნავს.

თოლისკუა კირჩხელი. **კირჩხელი**-ს ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. კირჩხელები ცხოვრობენ ქობულეთში (ბობოყვათი). ი. მაისურაძის აზრით, კირჩხელი გვა-

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 622.

რადქცეული სადაურობის სიტყვაა. სავარაუდო ტოპონიმია კირჩხი. ავტორი მას ადარებს ჩხორონყუს რაიონში მდებარე სოფელ კირცხი-ს სახელწოდებას¹, რაც საეჭვო კავშირია. მეგრული **თოლისკუა** ნიშნავს „თვალის შვილი“.

თოსკვამია ხუხუა. ხუხუა დღეს სამეგრელოში განსახლებული გვარია. იმავე ძირის ჩანს მეგრული გვარი ხუხია. ხუხია შეიძლება ნიშნავდეს „ჩამრგვალებულს“. მეგრული **თოსკვამია** არის „ლამაზთვალება“.

ხუხულობა ზარქუა. ზარქუები დღეს სამეგრელოში მცხოვრები (ზუგდიდის, წალენჯიხის და მარტვილის რაიონები) საკმაოდ მრავალრიცხოვანი გვარია. გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ზაქრო//ზარქო. მეგრულში **ხუხულობა** ნიშნავს „ხელმოკლეობას“.

უჩაკოჩი შანტია. შანტიას ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. აფხაზეთში დღესაც არიან. ეს გვარ-ტი სუფიქსით არის ნაწარმოები, სადაც შანა საკუთარი სახელია (შდრ. გელან-ტია). მეგრული **უჩაკოჩი** ნიშნავს „შავი კაცი“.

ტოროჯია. ამ ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება, პირსახელი ჩანს მეგრული ტორონჯი-დან-„მტრედი“.

გუაგუალა შარინავა, ბართიმე შარინავა. შარინავას ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. ეტიმოლოგია საძებნია. მეგრული **გუაგუალა** უნდა გავიგოთ, როგორც „ტიალი“, „უნყო“, „უნაყოფო“, „დევნილი“. **ბართიმე** ბართლომეს ფორმის პირსახელი ჩანს. მისი შემოკლებული ფორმაა ბათუ.

ლომინია ცისკარავა. ცისკარავა დღეს სამეგრელოში მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი გვარია. ცისკარი ქართული სახელია „ცის კარი“. **ლომინია** მოფერებით „ლომი“-ვით კაცს ნიშნავს.

შურითოლი მალურავა. მარულავას ფორმით დღეს სამეგრელოში გვარი არ დასტურდება. მარულა „ცხენის ჯირითს“ აღ-

¹ ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1990, გვ. 89.

ნიშნავს (შდრ. სოფლის სახელწოდება-ორული). მეგრული **შური** **თოლი** კი ნიშნავს „სული თვალი“.

თოსკვამია მქარხალია. მქარხალია შესაძლოა დღეს გალის რაიონში მცხოვრები გვარსახელ მარხულიას იდენტური იყოს, საკუთრივ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე ლტოლვილების გარდა მარხულიების განსახლება არ დასტურდება. **თოსკვამია** (იხ. ზემოთ).

შურიმიდგი ჩხირუა. ჩხირუას ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. **შურიმიდგი** პირსახელია (იხ. ზემოთ).

ორქოია გირგოლავა, ვარგობია გირგოლა, თაუზარ გირგოლა, პინათე გირგოლა. გირგოლავა, გრიგოლავა და გირგოლავა//გრიგოლა ერთი და იგივე გვარი ჩანს. გირგოლავა//გრიგოლაია//გრიგოლიას ფორმებით ის დღესაც დასტურდება სამეგრელოში (იხ. გრიგოლია). **ვარგობია-ში** შესაძლოა გვაქვს მეგრული გიბუა, რომელიც ერთი მხრივ ნიშნავს დაწვას, მაგრამ მეორე მხრივ წკნელით ცემას, ანუ ისეთი საგნით, რომელიც წვავს, ხოლო -ვარ არის ქართული „არა“, მაშასადამე ვარგობია იქნება „არ გცემ (გიბუა) მწარედ“. **თაუზარ** ჩრდილო კავკასიური პირსახელი ჩანს, სვანებშიც ფართოდ იყო გავრცელებული. **პინათე** და (იხ. ზემოთ). **ორქოია** (იხ. ზემოთ) პირსახელებია.

ე) **ხაუყელის სასახლის საკათალიკოსო გლეხების პირსახელები და გვარები** (1621 წელი).

ხუცეს ვარდანია, ქაქანია ვარდანია, ვარდანია, გ-ის ვარდანია, საბედო ვარდანია, მიხილია ვარდანია, სკუმიშია ვარდანია. ვარდანიები სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ (ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონები). პ. ცხადაიას აღნიშვნით, ვარდან, ვარდენ კოლხეთში გავრცელებული პირსახელებია, მაგრამ ავტორი თვლის, რომ მეგრული გვარი ვარდანია, შეიძლება იმერეთში გავრცელებული ვარდანიძის ვარიანტი იყოს¹.

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 84.

ხუცეს, ქაქანია, მახუ//მახუტია, მიხილია პირსახელება (იხ. ზემოთ). **გ-ს** პისახელში ჩანს, იგივე გიორგი.

ვართანგია (ორჯერ არის დასახელებული). ვართანგიას ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება, თუმცა არის მსგავსი ფორმის-ვართაგავა (ზუგდიდის და სენაკის რაიონები). მათ შორის ნათესაობის დადგენა ჭირს, მაგრამ ფაქტია, რომ ფუძისეულად იდენტურ წარმოებასთან გვაქვს საქმე. მეგრული ვართანგა-ვა ორი სიტყვისგან შედგება ვარ-„არა“ და თანგი „საზღვარი“, მაშასადამე უნდა ითარგმნოს როგორც „უსაზღვრო“.

ფარსმაქნია, სამეგრელოში დღესაც საკმაოდ ფართოდ განსახლებული (ზუგდიდის და ხობის რაიონები) გვარის ფარცვანის ფორმა ჩანს. როგორც ჩანს, მას საფუძვლად უდევს პირსახელი ფარსმანი.

ბაგია მითანაფი. ორივე პირსახელი ჩანს. **ბაგია** შესაძლოა „ბაგუნით მოსიარულე“ ადამიანის მეტსახელი იყოს. **მითანაფი** კოლხური პირსახელია (იხ. ზემოთ).

გინძია, მეტსახელია, რომელიც მეგრული სიტყვიდან გინძე „გრძელი“ (მაღალი და სუსტი) ადამიანის მიმართ დაურქმევიათ.

ჩოქუა-მეგრული „ჩოქვა“.

კუკაა, ივანა კუკა. კუკა//კუკავა არის ამჟამად სამეგრელოში მცხოვრები (ზუგდიდის, ხობის და წალენჯიხის რაიონები) გვარის კუკავავას იდენტური. კუკას მეგრულში იტყვიან „ჭოჭმანზე“. **ივანა** (იხ. ზემოთ).

დალაბა ხალიბეს შვილი. ორივე პირსახელი ჩანს. დაბალა, იგივე „დაბალი“. **ხალიბე-ს** შესაძლოა უძველეს კოლხურ სატომო სახელ ხალიბებთან ქონდეს კავშირი, რომელიც პირსახელად ქცეულა.

თალაბერ ნებლარია, გაჭირდია ნებლარია, ქაქალია ნებლარია, განირლ ნებლარია, ზანგელარ ნებლარია, დასკუდა ნებლარია. **ნებლარია-ს** ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება, აქ ნამდვილად გვარად ქცეული ფორმა ჩანს,

შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული ნებრი-დან (იხ. ზემოთ). **თალაბერ-ი**, ა. ქობალიას განმარტებული აქვს, როგორც „თელილი“. **მეგრული გაჭირდი-ა** „გაჭირვებას“ ნიშნავს. **განირლ[უ]ლ**, იგივე „განირული“. **ზანგელარ-ის** ეტიმოლოგია ნათელი არ არის. **დასკუდა-ს** ეტიმოლოგია საძებნია. პირსახელი **ქაქალია** კოლხურია (იხ. ზემოთ).

გირდია (ორი სულია ნახსენები). შესაძლოა წარმომდგარი იყოს მეგრული გირდლი-დან-„ტკიპა“, „ჯლიბა“ (სისხლის მწოველი მწერი). შესაბამისად გირდია (გირდლია) უნდა იყოს მოფერებითი ფორმა სახელისა, რომელიც გულისხმობს „ტკიპას თვისების მქონეს“, „გულში ჩასახუტებელს“¹.

გაირჩქინი სალატია და უჩარდია სალატია. სალატია-ს ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. პირსახელი სალ//სალა სამეგრელოსა და სვანეთში გვხვდება. XVI საუკუნიდან ასევე ცნობილია ჯგალში (წალენჯიხის რაიონი) მცხოვრები გვარი სალია. მეგრულში **გაირჩქინი**, იგივე გუგორჩქინი „გაგაჩინე“-ს აღნიშნავს. **უჩარდია** (იხ. ზემოთ).

თოსკუამია დუშია, ძუკა დუშია, მ[ა]მაია დუშია. **დუშია-ს** ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. ეტიმოლოგია საძებნია. **ძუკა** სამეგრელოში გავრცელებული პირსახელი იყო. ძუკა, იგივე ძურგა ითქმის „ზურგიან“, „მხრებანურულ“ ადამიანზე. **თოსკუამია და მ[ა]მაია** (იხ. ზემოთ).

გუგურო, მეგრული მეტსახელია, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც „გაბერილი“.

თენა შონია, უჩარდია შონია. შონიები დღეს სამეგრელოში მცხოვრები ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია. მათ XVI საუკუნეში ასევე ემართათ ხობის ეკლესიის გამოსაღები². პ. ცხადაიას თქმით, მეგრულში შონი „სვანი“ სატომო სახელია, ამასთანავე მეტაფორულად აღნიშნავს „ბრაზიანს“, „მოუხე-

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 169.

² ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 350.

შავს“ და ამ მნიშვნელობით შეიძლება მეტსახელადაც ქცეულყო¹. მეგრული სიტყვა **თენა** არის ქართული „ეს“, რომელიც პირსახელად ქცეულა. **უჩარდია** კოლხური პირსახელია (იხ. ზემოთ).

მაძღუაბლია. მეტსახელი ჩანს. შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული სიტყვიდან ძღვაბუა, რომელიც ერგვარ „უნიათოდ ჭამას“ ნიშნავს, მაძღუაბლია (მეგრ. მაძღვაბალი) იქნება „ცუდად მჭამელი“.

ხვიტია მისერია, მამიყორდი ნისერია, კახაბერ ნისერია, უწყინარ ნისერია, ქაქალია ნისერია, წინა ნისერია. მისერია//ნისერია გვარის ერთი და იგივე ფორმა ჩანს, თუმცა ამ ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. მეგრულად **მისერია**-ს იტყვიან „თვალთდამბნელებელზე“; „ღამის-მოყვარე“ (ყვავილი)².

ასპანდელი შარინა. შარინა, იგივე შარინავა (იხ. ზემოთ). **ასპანდელი,** სადაურობის -ელ სუფიქსით ასპანი-დან უნდა იყოს. ადგილი საძებნია.

მაჭირხოლია კოლხური პირსახელია (იხ. ზემოთ)

ვ) სოფელ ტყაურის საკათალიკოსო გლეხების პირსახელები და გვარები (1621 წელი).

თავაზა შამბია, მაშუტუა შამბია, ქუქუალია შამბია. შამბიას ფორმის გვარსახელი დღევანდელ სამეგრელოში არ დასტურდება. არიან აფხაზეთში. შამა საკუთარი სახელი ჩანს. **მაშუტუა, ქუქუალია** (იხ. ზემოთ). **თავაზა**-ს ეტიმოლოგია საძებნია.

უჩაკორი ჭუჭურია. ჭუჭურია-ს ფორმის გვარი სამეგრელოში არ დასტურდება. მეგრულში ჭუჭურია ნიშნავს „პატარას“.

გავაშელი დათია (იხ. ზემოთ).

ზ) სოფელი ჭალას მცხოვრები ჯაიანების სასახლის კაცების პირსახელები და გვარები (1621 წელი).

¹ ვ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 148.

² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 452.

ხუცეს გოგ[ო]რდავა, გვატა გოგორდავა. გოგორდავას ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. ეტიმოლოგია ნათელი არ არის. **ხუცეს**-ი და **გვატა** კოლხური პირსახელებია (იხ. ზემოთ).

მიხილია ჩაგლია. ჩაგლიას ფორმის გვარი დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. საფიქრებელია, რომ გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ჩაგუ.

მაჭიხოლი ქანია. ქანიები სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ (ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონები). გვარს საფუძვლად უდევს სატომო სახელი ქანი. **მაჭიხოლი** კოლხური პირსახელია (იხ. ზემოთ).

შურიმიდგი ფალია. ფალია-ს ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ გვხვდება. ფალია მეგრულად ასეა განმარტებული: „ადრიანი გაზაფხულის ამონაყარი, ფოთლოვანი, ფოთოლშემოსილი ტყე“¹. **შურიმიდგი** კოლხური პირსახელია (იხ. ზემოთ).

გიჭორდი ჰკა. ეტიმოლოგია საძებნია.

მარღია ქვაცხა. ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება დავინახოთ სამეგრელოში დღესაც განსახლებული ორი გვარის ერთად გადმოცემა-მარღია და ქვაცხა//ქვარცხავა, თუმცა, ვფიქრობთ, აქ გვარი არის ქვაცხა (ქვარცხავა) და არა მარღია. **მარღი**, მეგრულში „თვალთეთრს“ აღნიშნავს და ალბათ იმ კაცის მეტსახელი იყო ვინც გვარს დაუდო სათავე². **ქვარცხავები** სამეგრელოში საკმაოდ ფართოდ განსახლებული გვარია (ზუგდიდის, მარტვილის და სენაკის რაიონები). ჯგალის თემში XIX საუკუნეში ისინი საეკლესიო აზნაურები იყვნენ. ეტიმოლოგია საკვლევაია.

ლორთელი ბიბილია. ბიბილია-ს ფორმის გვარი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. მეგრული ბიბილი ნიშნავს „ბიბილს“, „ყვავილს“. **ლორთელი** პირსახელია, რომელიც მეგრულში ლორთი -„უშნოდ გრძელს“ ნიშნავს³.

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 621.

² ჰ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 109.

³ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 383.

ასეთია ზოგადად ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთრის“ (XVI საუკუნის მეორე ნახევარი-1621 წელი) მიხედვით, რომელიც სრულიად ქართულია და მათი ეტიმოლოგია უმეტესად კოლხური (ზანური) ენის საფუძველზე იხსენება.

§ 2. პირსახელები და გვარსახელები „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის“ ნუსხის მიხედვით (1616-1621 წწ.)¹

წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილია კოლხურ პირსახელთა და გვარსახელთა კვლევა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილი დოკუმენტის- „საცაიშვილოს გამოსავლისა და მოსაკრებლის“ დავთარში წარმოდგენილი „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის“ ნუსხის მიხედვით².

¹ იხ. დ. ქითანავა, პირსახელები და გვარსახელები „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის“ ნუსხის მიხედვით (1616-1621 წწ.), ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. XVIII, თბ., 2016, გვ. 67-80.

² [ნუსხა ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლისა] [1616-1621 წწ.] „ქ. წყალობითა და შეწვევითა ღმრთისათა და შვიდ ცათა უმაღლესისა ბიჭვინტისა ღმრთის-მშობლისათა. არის საქორაქიქი დადიანის ბატონის ლევანის წყალობა მამული თავს ჯგალის ციხე, სასახლე; არის ჯგალის ციხის გამოსავალი.

მართებს ჯგალის ციხის შემავალს კაცებსა ბეგარა: 1. მართებს საკლიას უმფროს-უმცროსი საკლავი, ქათამი, 11 საწყავი ღვინო, 11 ჯამი ღომი, 1 ჯამი პური, გოჭკომური რარიგაცა თავი ესახელებოდეს. 2. ფაცხლიას სავლიოს ისრევე სძეს. 3. ულვინია ოდიშარიას მართებს 1 საჭმელი. 4. თაიმაზას ფერთეხიას მართებს ზროხიანი საჭმელი 5. ჯგერგეკის ფერთეხიას ისრევე მართებს. 6. ეჩაკორის შონიას მართებს უმცროს-უმფროსი საკლავი, ქათამი, 11 ფოხალი ღვინო, 11 ჯამი ღომი, 1 ჯამი პური და გოჭკომური. 7. თოლიას ბულავას ისრევე იმას მართებს. 8. წყორიას ბულავას ისრევე იმას მართებს. 9. ჯიმადის ბულავას ისრევე იმას მართებს. 10. ხუხუდიას შონიას ისრევე იმას მართებს. 11. ხუხუდიას მსუბუქიას ისრევე იმას მართებს. 12. ხუხუას მსუბუქას ისრევე იმას მართებს. 13. გვანიშიას ტოტობინავას ისრევე იმას მართებს. 14. მამულიას ხუბულიას ისრევე იმას მართებს. 15. გურმიხილიასა ბელქანონას ისრევე მართებს. 16. პტონიბის მირაქას ისრევე იმას. 17. ათს კვამლს კაცსა ხმელი ბეგარა მართებს. 18. ხუთს კუამლს კაცსა ხატისას ტრაპეზი მართებს, თვითო საკლავი ბატონისა.

1614 წლის მიწისძვრის შემდგომ ლევან დადიანის მიერ ცაიშის ტაძრის და საეპისკოპოსოს აღდგენისთანავე, ცაიშის მამულების საერთო გუჯარში უცვნიათ (შეუყვანიათ) ჯგალის „საკათალიკოზო ჯგალისა და მისი ადგილ მამულის საზღურისა და გარდასახადისა“¹

ჯგალის ციხე, რომელიც XV-XVI საუკუნეებშია აგებული მდებარეობს ჯგალის თემში (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი), ლესალეს უბანში და გამომდინარე აქედან ციხეს დღეს ეძახიან ლესალეს ციხეს. ადგილობრივთა გადმოცემით, ამ ადგილებში ძველად უცხოვრიათ ქურსუების გვარს².

პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ დოკუმენტში მოხსენიებული **საქორჩაქიძეო**, რომელშიც იგულისხმება სამეგრელოს ფეოდალური გვარი ქორჩაქიძე. როგორც ჩანს, ამ დროს ჯგალის ციხის მართვა-გამგეობა ლევან II დადიანს უბოძებია თავად ქორჩაქიძეთათვის. ქორჩაქიძეთა აქ მოსახლეობაზე მეტყველებს ჯგალის ციხესთან ახლოს დღესაც შემორჩენილი ტო-

ქ. მართებს ჯგალის სასახლის მიდგომსა კაცებსა ბეგარა: 19. მართებს **შამიბიას ბუმბუჯასა** უმფროს-უმცროსი საკლავი, ქათამი, 11 ჯამი ლომი, 1 ჯამი პური, რარიგადცა თავი ესახელებოდეს, იმისთანა გოჭკომური. 20. კიდევ სამს ამის გნაყოფსა ასრევე მართებს. 21. **მახუტოლიას თოფურის** კიდევ ასრე მართებს. 22. **ხვიჩელიავას ასმაქიას** კიდევ ასრე მართებს. 23. **კოჩილოს მიდორიას** ისრევე იმას მართებს. 24. **გოშორთიას ასმაქიას** ისრევე იმას მართებს. 25. **მოირდიას გიგიდავას** ისრევე იმას მართებს. 26. **კუტავას გვახავას** ისრევე იმას მართებს. 27. **მორდილიას ბულავას** ისრევე იმას მართებს. 28. კიდევ ამას გარეთ მართებს ამ ბეგრის 1/2. 29. **იმარცალიას** ისრევე მართებს. 30. **ხერიას სავლიას** ისრევე მას მართებს. 31. **უსკვამაბის გეგიდავას** ისრევე იმას მართებს. 32. **შუშანია გეგიდავას** ისრევე იმას მართებს. 33. **ამარცალიას ქუცურავასა** ისრევე იმას მართებს. 34. **ულვანობას კერშილავას** ისრევე იმას მართებს. 35. **ულვიმას მჭითავას** ისრევე იმას მართებს. 36. **ხიხულის ფურთუხიას** მართებს 6 ფოხალი ღვინო, 6 ჯამი ლომი, გოჭკომური. 37. **გურმიხილიას თუხმელიას** მართებს 1 საჭმელი. 38. **სლის მამულის** მართებს 1 საჭმელი“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 478-480).

¹ ს. კაკაბაძე, საცაიშლო გამოსავლის დავთარი, ტფ. 1913, გვ. 41.

² დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 369-371.

პონიმი საქონაქიძეო. ამ გვარის ისტორიაზე ამჯერად ჩვენ არ გავამახვილებთ ყურადღებას, რამდენადაც მათზე კვლევა ჩვენს მიერ ცალკე ნაშრომებშია წარმოდგენილი¹.

ამ დოკუმენტში ჩამოთვლილი გვარებიდან დღეს ჯგალის თემში და იმავე ციხესიმაგრის მახლობლად ცხოვრობენ: 1. სა-ლიები, რომლებიც დოკუმენტში **ს`ლი -საკლია-ს** ფორმით იხ-სენიებიან. 2. **ბელუქანიები ანუ ბელქანიები**. 3. **თოფურიები**, რომელთა აქ განსახლებას ასევე გვიდასტურებს ჩვენს მიერ მოპოვებული ონომასტიკური მასალა. აქ ერთ-ერთ უბანს შემორჩა სახელწოდება „ლეთოფურე“ (დღეს იქ არ მოსახლეობენ და საარქივო მასალითაც არც XIX საუკუნეში ჩანან). 4. ასევე, **შონიების გვარის** განსახლების არეალი (დღეს აღარ სახლობენ ჯგალის თემში) დგინდება ონომასტიკური მასალით, კერძოდ, მთხრობელთა გადმოცემით, ჯგალის ერთ-ერთი სოფლის-ლესხარჩილეს აღმოსავლეთით მდებარე სოფელს ჰქვია ლეშონე.

ფაცხლია სავლიო და ხერია სავლია. ფაცხლია-პირსახელი ჩანს, რომელიც შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული ფაცხა-ლა-საგან, რომელიც სუსტი აღნაგობის და საქმეში მოუსვენარ კაცზე იტყვიან. სავლია კი გვარსახელ სალიას იდენტიურად მიგვაჩნია და ადამიანის საკუთარი სახელისაგან (სალე//სალა) ჩანს ნაწარმოები.

ულვინია ოდიშარია. ულვინია, შესაძლოა იყოს ულვინია-ს შეცდომით გადმოცემა. თუ ეს ასეა, ულვინია უნდა მომდინარეობდეს მეგრული სიტყვიდან ულვენობა-„უპოვარობა, სიღარიბე, ხელმოკლეობა“. ოდიშარია კი გვარსახელია, რომელიც დღესაც ფართოდაა გავრცელებული სამეგრელოში (1540 სუ-

¹ დ. ქითანავა, ქონაქიძეთა სათავადოს თავდაპირველი განსახლების არეალი ონომასტიკური და წერილობითი წყაროების მიხედვით, კრებ. ქართველური ონომასტიკა, ტ. VI, თბ., 2013, გვ. 325-326, დ. ქითანავა, ქონაქიძეთა სათავადო, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV-XV, თბ., 2016/2017, გვ. 121-133.

ლი), ძირითადად სენაკისა და მარტვილის რაიონებში. პ. ცხადაიას ცნობით, მათ ყველაზე დიდ და ძირძველ სამკვიდროდ ნოსირის თემი (სენაკის რ-ნი) ითვლება. ავტორისავე აზრით, ოდიშარი ნიშნავს ოდიშელს. კოლხური -არ სუფიქსი, ისევე, როგორც ქართველი, აწარმოებს სადაურობა-წარმომავლობის სახელებს. ასევე არსებობს ფორმა ოდიშელი და ოდიშელიძე¹.

თაიმაზა ფერთეხია და ჯგერგეკი ფერთეხია. თაიმაზა, საყოველთაოდ დღესაც გავრცელებული პირსახელ თაიმაზის ფორმაა, ხოლო ჯგერგეკი ფერთეხია//ფერთეხია გვარსახელია და იდენტური ფორმები ჩანს (ალბათ სწორია ფერთეხია), თუმცა ამ ფორმით დღეს სამეგრელოში არ ფიქსირდება. ისიც მეტსახელიდან მომდინარე ჩანს, რაც მეგრულში-„უხორცო“, „სუსტი აღნაგობის ადამიანის“ ეპითეტია.

ეჩაკოჩი შონია და ხუხულია შონია. ეჩაკოჩი ა. ქობალიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ერთკაცი, თავკერძა“, რომელიც შემდგომ ალბათ პირსახელად იქცა. ხუხულია-სამეგრელოში ფართოდ გავრცელებულ პირსახელ ხახუს მოფერებითი ფორმაა, რომელიც შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული სიტყვა ხახუტელი-დან//„მოქარგული, ჭრელი“; ხოლო შონია, სამეგრელოში დღესაც ფართოდ გავრცელებული გვარსახელია (7648 სული). როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შონიები დღეს ჯგალში არ ცხოვრობენ, თუმცა ლეხარჩელეში ჩვენ დავაფიქსირეთ ტოპონიმი ლეშონე, რომელიც მათ იქ ოდესღაც მოსახლეობაზე მიუთითებს. პ. ცხადაია ჯგალის თემში ამ ტოპონიმს (ლეშონე) ათავსებს ლესალეში, კერძოდ, მისი თქმით, ის არის ბორცვის სახელწოდება ჭანისწყალი-ძანძელის წყალგამყოფზე. ამ სახის ტოპონიმები (ლეშონიე, ლეშონე) სამეგრელოში მრავლად არის ფიქსირებული და ისტორიულ საბუთებშიც სამეგრელოსა და აფხაზეთში ამ ფორმის გვარსა-

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 119.

ხელი (შონია) უკვე XVI საუკუნიდან დასტურდება¹. პ. ცხადაია, გვარ შონიას ფუძეს უდარებს მეგრულში სვანების აღმნიშვნელ სატომო სახელს „შონი“, რომელიც მისივე აზრით, მეტაფორულად აღნიშნავს ბრაზიანს, მოუხეშავს და ამ მნიშვნელობით შეიძლებოდა მეტსახელადაც ქცეულიყო², თუმცა მათი წარმოშობა ყველა ჩვენს მიერ ჩანერილი გადმოცემის მიხედვით სვანეთიდან მიგრირებულ ჩარკვიანებს უკავშირდება და სწორედ ამიტომ დაერქვა სვანების ტომის მეგრული შესატყვისის მიხედვით ეს გვარი (შონი) (იხ. ზემოთ).

თოლია ბულავა, წყორია ბულავა, ჯიმადი ბულავა და მორდილია ბულავა. ბულავა ნაწარმოებია მეგრული გვარსახელები-სათვის დამახასიათებელი ვა სუფიქსით, თუმცა, ამ ფორმით დღეს სამეგრელოში არ დასტურდება. პ. ცხადაია, მას უდარებს ფორმა ბულაშვილს, რომლის მსგავსი ვარიანტია ბულასქუა. ტოპონიმი საბუღასქუო ფიქსირებულია უბანი სოფელ ძველ ხიბულაში (ხობის რ-ნი)³. რაც შეეხება პირსახელებს: თოლია-სიტყვასიტყვით მეგრულიდან მოფერებით „თვლიანს“ ნიშნავს; წყორია-შესაძლოა იგივე მეგრული „წყორილი“-ს „წყალნარევი“-ს შესატყვისია, რაც ადამიანის თვისებისთვის დამახასიათებელ მოფერებით პირსახელად იქცა; ჯიმადი- მეგრულში სიტყვასიტყვით ნიშნავს დიდ ძმას (საერთოდ მეგრულ ნათესაობის სიტყმაში იხმარება დედის ძმის, მამის ძმის, ანუ ბიძების აღსანიშნავად) და ამ შემთხვევაში შესაძლოა პირსახელი შეერქვა ძმებს შორის მისი უფროსობის გამო; მორდილია-სიტყვასიტყვით ნიშნავს „გაზრდილს, მოზრდილს“, შესაძლოა ახალდაბადებულს მისი ფიზიკური „მოზრდილობის“ რესპ. „სიდიდის“ გამო შეარქვეს. საერთოდ აღსანიშნავია, რომ პირსახელ მორ-

¹ დ. ქითანავა, ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის“ (XVI ს. მეორე ნახევარი-1621 წ.) მიხედვით, გვ. 131.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 148.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 64.

დილია-დან ნანარმოები პატრონიმიული დანაყოფები, ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ბევრი მეგრული გვარისათვის არის დამახასიათებელი „მორდილია-თური“-ს სახელწოდებით.

„ხუხულია მსუბუქია“, „ხუხუა მსუბუქა“. მსუბუქია//მსუბუქა-ს ფორმის გვარსახელი სამეგრელოში დღესდღეობით არ დასტურდება, ის საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო XVI-XVII საუკუნეებში. არც ხუხულიას ფორმის გვარსახელია ცნობილი. შეიძლება აქედან იყოს ნანარმოები სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული გვარსახელები ხუხია, ხუხუა და ხუხუნი, რომელიც პირსახელ ხუხუ-საგან ჩანს წარმოქმნილი. გვარის ამ ფორმების წინამორბედი ფორმები დასტურდება ისტორიულ საბუთებში XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან აფხაზეთსა და სამეგრელოში¹ ხუხულია ნიშნავს „ხუხულა“-ს.

გვანიშია ტოტობინავა. ამ სახის გვარსახელი სამეგრელოში დღეს არ არის ფიქსირებული, თუმცა არსებობს მსგავსი ფორმები ტორია//ტოტორიავა-ს სახით. ვფიქრობთ, ტოტობინავა ნანარმოებია მეგრული სიტყვისგან „ტოტი“-თათი, ხოლო ტოტობინავა იქნება „თათიანი დამიანის“ აღმნიშვნელი, ანუ სხვებისგან გამორჩეულად „დიდი თათების“ ქონის გამო შეერქვა. გვანიშია კი მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან გვანილი – „მსუქანი“, გვანიშია კი მოფერებით ნიშნავს „მსუქანა“-ს.

გურმიხილია ბელქანოა. ბელქანოა დღევანდელი ჯგალის თემში მოსახლე ბელქანიას ფორმა უნდა იყოს. ამ მოსაზრებაზე დგას პ. ცხადაია². გურმიხილი – პირსახელია, მისი პირველი ნაწილი გურ – „გული“-ს მნიშვნელობის უნდა იყოს, ხოლო მეორე – მიხილი, შესაძლოა მეგრულში „მიხარულების მომტანის“-მნიშვნელობით ავხსნათ („გულმიხარული“ ხასიათის ადამიანი).

¹ დ. ქიტანავა, ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის“ (XVI ს. მეორე ნახევარი – 1621 წ.) მიხედვით, გვ. 124.

² პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 59.

პტონიზი მირაქა. ამ ფორმის არც გვარსახელი და არც პირსახელი დღევანდელ სამეგრელოში არ დასტურდება. საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

შამიბია ბუმბუვა. ამ ფორმის გვარსახელები სამეგრელოში არ დასტურდება. შამიბია პირსახელი ჩანს, მისი ეტიმოლოგია შემდგომ კვლევას მოითხოვს, თუმცა შამიბია-სთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ის შეიძლება გვარ შამუგიას წინამორბედი ფორმა იყოს. ბუმბუვას კი შესაძლოა კავშირი ქონდეს მეგრულ ბურბუს-თან, რომელიც ნიშნავს „უმწეოს“, „ჩვილს“¹.

მახუტოლია თოფურია. მახუტოლია სამეგრელოში მოფერებითი საკუთარი სახელია და ნიშნავს „ჩასახუტებელს“. თოფურია კი სამეგრელოში დღესაც ფართოდ გავრცელებული გვარსახელია (3225 სული). გვარის წარმოშობა, როგორც ჩანს, მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან თოფური-„თაფლი“. ისინი დღეს ჯგალის თემში არ არიან განსახლებულნი, თუმცა გვარის აქ ოდესღაც მოსახლეობაზე დღესაც მიუთითებს ტოპონიმი ლეთოფურე, რომელიც შემდგომ შეერწყა ჯგალის თემის კიდევ ერთ, ლეთოფურეს მოსაზღვრე სოფელ კანთს და ლეთკანთის სახით დღესაც არსებობს. თოფურიები XVII საუკუნიდან არიან მოხსენიებულნი სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიის ხუცურ წარწერასა და სხვა საბუთებში², რომელიც ცალკე კვლევას მოითხოვს.

ხვიჩელიავა ასმაჯია და გოშორთია ასმაჯა პირსახელ ხვიჩელიავა-ში ჩვენ უნდა გვქონდეს მეგრული ხვიჩალი-„ფართო, ჩახჩახა“ ადამიანის მეტსახელი. პირსახელ გოშორთიას ეტიმოლოგია საძებნია. ასმაჯია//ასმაჯა, სამეგრელოში დღესაც მცხოვრები არც თუ ისე მრავალრიცხოვანი გვარსახელის-ასმაჯას (40 სული) ძველი ფორმა ჩანს. ეტიმოლოგია საძებნია.

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 69.

² დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 499-501.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პ. ცხადაიას ცნობით, სწორედ ჯგალის თემში ჭანისწყლის მარცხენა შენაკადს ეწოდება ლეასმე, ასევე საასმე უბანი ყოფილა კოჯორსა და ხამუას შუა სადაც ესახლნენ ასმავეები. ავტორისავე აღნიშვნით, პირსახელი ასმა, ასმან დაფიქსირებულია კოლხეთში¹.

კოჩილოა მიდორია. პირსახელი კოჩილოა შესაძლოა გავიგოთ კნინობით მეტსახელად კოჩი-„კაცი“, კოჩილია იქნება „კაცუნა“, „პატარა კაცი“. **მიდორია** გვარსახელი ჩანს, თუმცა ამ ფორმით დღესდღეობით სამეგრელოში არ დასტურდება.

მოირდია გიგიდავა, უსკვამაბი გეგიდავა. გიგიდავა//გეგიდავა-ს ფორმის გვარსახელი სამეგრელოში დღეს ფიქსირებული არ არის, თუმცა, გიგი ფუძიდან მომდინარე გვარსახელები სამეგრელოში ჯერ კიდევ XV საუკუნის ბოლოდან არის ცნობილი (გეგებერია//გიგიბერია)². ეს გვარი XVII საუკუნეში ფართოდ ჩანს გავრცელებული აფხაზეთშიც³. მათი ყველას იდენტურობის მტკიცება რთულია და ეტიმოლოგია საძებნია. მოირდია კი მოფერებითი პირსახელია, რომელიც მეგრულში ნიშნავს „გაგიზარდე“. პირსახელად ქცეული ზედმეტსახელი უსკვამაბი-ს კი „ულამაზო“ ადამიანზე იტყვიან.

კუტავა გვახავა. გვახავა-ს ფორმის გვარსახელი სამეგრელოში არ დასტურდება. მისი ამოსავალი უნდა იყოს პირსახელი გვახა, რომელიც შესაძლოა მომდინარეობს მეგრული გვახილიდან, რომელსაც „მუთაქასავით მსუქან“ კაცზე იტყვიან. ხოლო პირსახელად ქცეულ ზედმეტსახელ კუტავას ფუძე უნდა იყოს კუტა, რომელიც ნიშნავს „პატარა, მოკლე ადამიანს“.

იმარცალია//ამარცალია ქუცურავა. ქუცურავა-ს ფორმის გვარსახელის იდენტური მიაჩნია პ. ცხადაიას დღეს სამეგრელოში (ჩხოროწყუს რ-ნი) არსებული გვარი ქუცურავა; ავტორი-

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 53.

² პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, გვ. 611.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 438-477, 612, 770.

სავე განმარტებით, ქუცურავა ცოცხალი სიტყვაა მეგრულში, რომელიც ნიშნავს „პატარა ტანის და გამხდარ, გასაცოდავე-ბულ“ ადამიანს¹. პირსახელი იმარცალა//ამარცალა მეგრულ-ლიდან პირდაპირ თარგმანში იქნება „აქ მყოფივით“.

ულვანობა კერშილავა. კერშილავას ფორმის გვარსახელი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება, თუმცა, როგორც პ. ცხა-დაია მიუთითებს, მისი იდენტური ჩანს კეშელავა. საკეშალა ყო-ფილა სახნავი ტეხურის ქალაში (ენერი, ტალერის თემი), ნაკე-შილე, სერი მელისქურის მარჯვენა მხარეს (თაია). ავტორისავე აღნიშვნით, 1904 წლის აღწერის მონაცემებით², დღვანაში, ნო-ბულევსა და ლალაში (ნაფიჩხოვოს თემი) მცხოვრები კეშილა-ვები აზნაურები იყვნენ, მისივე განმარტებით, კეში კერატია, კეშილა მეტსახელი ჩანს³. ვფიქრობთ, მეტსახელი კერშილავა მომდინარეობს მეგრული სიტყვა „კერში//კეში-დან-„დაუკოდა-ვი“. პირსახელი უღვინობა, იგივე უღვენობაა, რაც „სიღარიბის, არქონის“ გამომხატველია.

ულვიმას მჭითავას. მჭითავა, სამეგრელოსა და დღევანდელ აფხაზეთშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული⁴ და ის გვარსა-ხელ ჭითანავას ერთ-ერთი ძველი ფორმაა. -მ წარმოადგენდეს უბრალო ფონეტიკურ წანაზარდს (მაგალითად, მ-ბარუა//ბა-რუა „ბარვა“)⁵ გამოითქვა მოსაზრება, რომ გვარსახელი ჭითა-ნავა მომდინარეობს მეგრული ჭითა „წითელიდან“ და თითქოს მისი იდენტურია წითლანაძე⁶. თუმცა, ვფიქრობთ, წითელთან

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 142.

² ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის არა 1904 წლის, არამედ 1870-1873 წლების აღწერილობა.

³ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 94.

⁴ დ. ჭითანავა, ოდიშიში გავრცელებული პირსახელები და გვარ-სახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის“ (XVI ს. მეორე ნახევარი – 1621 წ.) მიხედვით, გვ. 115.

⁵ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, I, თბ., 1994, გვ. 478.

⁶ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 321.

მისი დაკავშირება ჭირს და ეტიმოლოგია საძებნია. ჯგალის თემთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ, რომ სოფელ საჩინოში ფიქსირდება ტოპონიმი ნაჭითუ-ჩაის პლანტაცია ვეჯინჯში¹. პირსახელი უღვიმა კი იგივე ჩანს რაც უღვანობა//უღვენობა (იხ. ზემოთ).

ხიხულია ფურთუხია. ფურთუხია-ს ფორმის გვარსახელი სამეგრელოში დღეს არ დასტურდება. შესაძლოა მისი იდენტური იყოს ფურთუხია. პ. ცხადაიას აზრით, ფურთუხ, ფურდუხ სვანეთში ცნობილი პირსახელება და არაა გამორიცხული სამეგრელოშიც ყოფილიყო გავრცელებული. ფურთუხია, ა. ქობალიას განმარტებით, მეგრულში „უხეირო, მიფუჩეჩებულს და უნესრიგოს“ ნიშნავს. მეტსახელი ხიხული შესაძლოა მომდინარეობდეს მეგრული სიტყვა ხიხო-დან, რომელსაც „მიამიტ, გაუთლელ“ ადამიანზე იტყვიან.

გურმიხილია თუსმელია. თუსმელია-ს ფორმის გვარსახელი სამეგრელოში არ დასტურდება. სიტყვა თუსმელია ა. ქობალიასთან განმარტებულია, როგორც „გოჭისა და მელას თვისებისა“². გურმიხილი-კოლხური პირსახელია (იხ. ზემოთ).

¹ პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 163.

² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 321.

თავი VI

ნამლევი გვარსახელები სამეგრელოში

ამ ბოლო დროს კოლხური გვარსახელების კვლევა ჩვენს მიერ წარიმართა არა მარტო ისტორიულ-ეთნოლოგიური, არამედ გენეტიკური თვალსაზრისითაც. ამ მიმართულებით შეიქმნა „ნამლევი“ გვარსახელები სამეგრელოში. კვლევაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები. კვლევის შედეგები გამოცემულია ინტერდისციპლინარული ხასიათის სტატიებში, რაც საკითხის ინტერპრეტაციას მეტ დამაჯერებლობას სძენს. ეს სიახლეა ქართულ სამეცნიერო სივრცეში და, შეიძლება ითქვას, საერთოდაც, რამდენადაც ამ მიმართულებით კონკრეტულად „ნამლევი“ გვარსახელების მეცნიერულად დამუშავების აუცილებლობა ჯერ არ დასმულა. წინამდებარე თავში, ამ პრობლემაზე გამოქვეყნებულ სტატიებს უცვლელად წარმოგიდგენთ.

§ 1. „ნამლევი“ გვარსახელები სამეგრელოში და მისი კვლევის ძირითადი ასპექტები¹.

ჭითანავა დ., 1. შური თ., 2. ბითაძე ლ., 1. ხორავა ბ., 3. ციმინტია ქ., 4. შენგელია ი., 3. იარდუმიანი ა., 5. ლალიშვილი შ., 1 და შენგელია რ. 6.

1. ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
2. პენსილვანიის უნივერსიტეტი (აშშ).
3. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

¹ იხ. დ. ჭითანავა, თ. შური, ლ. ბითაძე, ბ. ხორავა, ქ. ციმინტია, ი. შენგელია, ა. იარდუმიანი, შ. ლალიშვილი, რ. შენგელია, „ნამლევი“ გვარსახელები სამეგრელოში და მისი კვლევის ძირითადი ასპექტები, „ანალები“, ტ. XV, თბ., 2019.

4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. ბრაიან ათინის კოლეჯი (აშშ).
6. საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

აბსტრაქტი. ნაშრომი ეძღვნება მცირერიცხოვან და გაქრობის პირას მყოფ გვარსახელთა კვლევის მეთოდებს, მსგავსი კვლევების მნიშვნელობას და გვარსახელთა მცირერიცხოვნობის გამომწვევ ძირითად მიზეზებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს არის საკითხის ამ მიმართულებით დასმის პირველი ცდა, რომელსაც წარმოვადგენთ სამეგრელოს მაგალითზე.

გვარსახელი, ეთნოსის შესწავლის მნიშვნელოვანი ელემენტია, ამდენად, ნაშრომში გვარსახელს განვიხილავთ როგორც ისტორიულ-ეთნოლოგიური, ასევე ანთროპოლოგიური და გენეტიკური კუთხით. გვარსახელების რაოდენობის სიმცირის მიზეზების კვლევაში ხაზგასმულია მისი, როგორც ბიოლოგიური, ანუ გენეტიკური მარკერის ანალოგების გენეალოგიური კვლევის მნიშვნელობის აუცილებლობა. ამ მხრივ, გვარსახელი უტოლდება ერთი კოდომინანტური გენეტიკური სისტემით მიღებულ ინფორმაციას და Y-ქრომოსომის დნმ მარკერების მსგავსად გადაეცემა თაობებში მამის ხაზით. გარდა იმისა, რომ გვარსახელი უტყუარი გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია, იგი, ასევე, ქორწინებითი უპირატესობების შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. თავის მხრივ, ქორწინებათა წრე განსაზღვრავს მოსახლეობის გენეტიკურ და მორფოლოგიურ პოლიმორფიზმს, ინბრიდინგს, პანმიქსიას.

წინამდებარე ნაშრომში გვარსახელის კვლევა წარმოებულა საარქივო და ჩვენს მიერ უშუალოდ ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე. გამოკვლეულია ათეულობით მეგრული მცირერიცხოვანი გვარსახელი. განხილულია მცირერიცხოვან გვარსახელებად დარჩენის ყველა

შესაძლო მიზეზი: არდაქორწინება, უშვილობა, ადრეულ ასაკში სიკვდილიანობა, მდედრობითი სქესის სიჭარბე, ავადმყოფობები და ეპიდემიები, გვარსახელის ფონეტიკური სახეცვლილება, მიგრაციები, პოლიტიკური ფაქტორები (ომიანობა), ქორწინებითი უპირატესობები, შობადობის საერთო დონის შემცირება, ბევრი შვილის არყოლის განწყობა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ნაშრომში წარმოდგენილ მცირერიცხოვან გვარსახელთა გენეალოგიური მასალების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა შორის პირველ ადგილზე გამოიკვეთა ზრდასრულ მამაკაცთა არდაქორწინება, მეორეზე-უშვილობა, მესამეზე-ადრეულ ასაკში სიკვდილიანობა. წარმოდგენილი კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს მომავალში ახლებურად გავიაზროთ გვარსახელის შესწავლისათვის საჭირო ძირითადი ასპექტები. გვარსახელების ახლებურ კვლევებში, რომელშიც გვარი განიხილება როგორც გენეტიკური მარკერი, ქორწინებათა სისტემით და გენოფონდით, დიდ ინფორმაციას იძლევა ეთნოსის ეთნოგენეზის შესადაგენელი ყველა კომპონენტის შესახებ. ასევე, დიდ დახმარებას გაუწევს დნმ-მარკერების კვლევების ინტერპრეტაციას: Y-ქრომოსომის ცალკეული ჰაპლოჯგუფის სიხშირის, პირვანდელი არეალის და გავრცელების მიმართულების, გვართაშორის ნათესაური კავშირების დადგენის თვალსაზრისით.

შესავალი. მცირერიცხოვან გვარსახელებს გაქრობის საფრთხე ემუქრებათ. მათ აღსანიშნავად ყველაზე მისაღებია ტერმინი „ნამლევი“, ან „ნალევი“ (დიალექტური- იმერული, კახური, მთიულური)¹. ასეთ გვარებს მიეკუთვნება ისეთი გვარსახელები, რომლის მატარებელთა რაოდენობა 100 სულს არ აღემატება. არასრული გათვლებით, ასეთ გვარსახელთა რიცხვი სამეგ-

¹ **ზ. ჭუმბურიძე** ნამლევი (მცირერიცხოვანი) გვარები, წიგნში: **ლ. ფრუიძე**, გვარი და გვარიშვილობა, 2011, გვ. 85.

რელოში დღესდღეობით არსებული მასალების საფუძველზე 500-ზე მეტია¹.

ადამიანის სახელები, ისტორიის მანძილზე, დროის ვითარებიდან და წეს-ჩვეულების ტრანსფორმაციიდან გამომდინარე, ხშირად ქრება და ახლით იცვლება. გვარი, რომელსაც მეცნიერებაში გვარსახელი ეწოდება, მემკვიდრეობითი სახელია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. მემკვიდრეობით სახელს ანუ გვარსახელს გარკვეული ფუნქციები ჰქონდა. მის ძირითად ფუნქციას მემკვიდრეობის გადაცემა წარმოადგენდა; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო საქორწინო ურთიერთობების მონესრიგება; მნიშვნელოვანია მისი ფუნქცია პიროვნების იდენტიფიცირების აუცილებლობის, ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და საადათნესო ურთიერთობების მონესრიგების თვალსაზრისით, რაც, პირველ რიგში, მის მკაცრ ეგზოგამიურობაში გამოიხატება. გვარსახელი არის ერთი წინაპრიდან მომდინარე ადამიანთა ჯგუფის გაერთიანება სხვისგან განსხვავებული მთელი რიგი (ჩვენ-ისინი) ნიშან-თვისებების გამორჩევით. თითოეულ გვარს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მარტო წინაპრის სახელიდან მომდინარეობა (ეპონიმები), არამედ საქმიანობა, სადაურობა, რწმენა, თანამდებობა, მითიური პერსონაჟები, ტომთა და გვარის ბელადები, თვით ტომის სახელწოდებები, გამორჩენილი ადამიანების სახელები და სხვა. ყოველივე ეს კრავს გვარს და სძენს მას მყარ სოციალურ ფუნქციას, რაც მეტად გამძლეა და ათასწლეულების განმავლობაში უნარჩუნებს საკუთარ, სხვისგან გამორჩეულ სახეს. როგორც აკ. შანიძე აღნიშნავდა, ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაინეროს და მაინც არ იქნეს ამონურული მთელი სიღრმე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული².

¹ გვარსახელები საქართველოში, თბ., 2018.

² აკ. შანიძე თეოფორული სახელები ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1967, გვ. 102.

ქართული გვარსახელები VIII-IX საუკუნეებიდან დასტურდება, ისინი უფრო ადრე წარმოიქმნა, თუმცა წერილობითმა ძეგლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. როგორც ჩანს, ქართულ ფეოდალურ სისტემაში გვარსახელების წარმოშობა სოციალური ურთიერთობის გასაადვილებლად უმთავრესად მემკვიდრეობითი სახელის არსებობის აუცილებლობამ გამოიწვია¹. დროთა განმავლობაში ზოგიერთი გვარსახელი ამოწყდა, წარმოიშვა ახალი გვარსახელები, ზოგიერთ გვარსახელი შტო-გვარები გამოეყო ან ფონეტიკურად სახე იცვალა, მანარმოებელი სუფიქსი შეიცვალა და ახალ გვარსახელად ჩამოყალიბდა. თუმცა ამით ორი ან ორზე მეტი გვარი მამის ხაზით ერთი გენეტიკის მატარებელი რჩება, გვართა რაოდენობა იზრდება, ხოლო გენეტიკური მრავალფეროვნება იგივე რჩება.

მასალები და მეთოდები. გვარსახელების კვლევა საქართველოში ძირითადად ეთნოისტორიულ ქრილში, საისტორიო წერილობით წყაროებში არსებული ცნობებისა და საველე-ეთნოგრაფიული მასალების შესწავლით ხდება. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დანერგილი კვლევის ახალი მიმართულებებით, გვარსახელი გამოიყენება, როგორც ბიოლოგიური, ანუ გენეტიკური მარკერების ანალოგი². ნ. მორტონის აზრით, გვარები ეს არის სელექციურად ნეიტრალური მარკერები და ისეთივე ღირებულება აქვთ, როგორც საუკეთესო კოდომინანტურ სისტემას³. საკითხის ამ კუთხით შესწავლის აუცილებლობა ქართულ მეცნიერებაში ჯერ არ დასმულა. გვარსახელები თაობებში გადაეცემა ძირითადად მამის ხაზით, Y-ქრომოსომის დნმ მარკე-

¹ **თოფჩიშვილი რ.** სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010, გვ. 217-218.

² **J. F., Crow, A.P. Mange,** Measurement of inbreeding from the frequency of marriages between person of the same surname // Eugen.Quart. 1965. V. 12. გვ. 199-203.

³ **N. E., Morton, S. Yee, D.E. Harris, R. Lew.** Bioassay of kinship // Theoretical Population Biology, v. 2, 1971, გვ. 507-521.

რების თანმხვედრად, ამიტომ გვარების მეშვეობით შეიძლება შევისწავლოთ ინბრიდინგის დონე, მიგრაციები, გენთა დრეიფი, პოპულაციებს შორის გენეტიკური დისტანციები და ა.შ.

ქართველების და კავკასიის მოსახლეობის ცვალებადობა Y-ქრომოსომის მიხედვით განხილულია ვ. ნასიდის ნაშრომებში¹. ქართველებს შორის ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მსგავსი კვლევები განახორციელა. ჩვენს მიერ ამ მიმართულებით შესწავლილ იქნა 200-მდე სვანური და 500-ზე მეტი მეგრული გვარსახელი, რომლის კვლევებიც ხორციელდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით არსებული „საქართველოს და კავკასიის გენოფონდის შემსწავლელი კომისიის“ მიერ, სადაც მონაწილეობდნენ პენსილვანიის უნივერსიტეტის მოლეკულარული ანთროპოლოგიის დეპარტამენტის პროფესორები თ. შური და ა. იარდუმიანი. ჩვენი ჯგუფის მიერ (რ. შენგელია, ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიშვილი) ჩატარდა გვარსახელების ეთნოისტორიული და ანთროპოლოგიური კვლევა, ხოლო ამერიკელი კოლეგების მიერ გამოყოფილი და განსაზღვრული იყო მიტოქონდრიული და Y-ქრომოსომის დნმ მარკერები².

¹ Nasidze I., Sarkisian T., Asadov C., Kerimov A. and Stoneking M. Testing hypotheses of language replacement in the Caucasus: Evidence from the Y-chromosome. *Hum. Genet* 112, 2003, p. 255-261; Nasidze I., Ling E.Y.S., Quinque D., Dupanloup I., Cordaux R., Rychkov S., Naumova O., Zhukova O., Sarraf-Zadegan N., Naderi G.A., Sardas S., Farhud D.D., Sarkisian T., Asadov T., Kerimov A. and Stoneking M. Mitochondrial DNA Y-Chromosome Variation in the Caucasus. *Annals of Human Genetics* 68, 2004, p. 205-221.

² Shengelia R., Andriadze G., Bitadze L., Chitanava D., Chikovani N., Khmaladze E., Kekelidze M., Laliashvili Sh. Comparative Genetics Study of East Georgia Population. *Moambe*, 2017, vol. 11, no 4. p. 119-126; Yardumian A., Shengelia R., Chitanav D., Laliashvili Sh., Bitadze L., Laliashvili I., Villanea F., Sanders A., Azzam A., Groner V., Edleson K., Vilar M.V., Schurr T.V. Genetic Diversity in Svaneti and Its Implications for the Human Settlement of the Highland Caucasus. *American Journal of Physical Anthropology*, 2017, October 27. p. 837-852; Yardumian A. Schurr., T. G., Shengelia R., Chitanava D., Laliashvili Sh., Bitadze L., Laliashvili I. Reconstructing the Genetic History of Svaneti, Northwest Georgia, *A N C I E N T LINEAGES*, Filadelfia, 2017, p. 22-28.

გვარსახელების, როგორც გენეტიკური მარკერის კვლევებში, აუცილებელ პირობად ხაზგასმულია არაუმცირეს 10 თაობიანი გვარსახელის შესწავლა¹. რეტროსპექტულ და ტოტალურ გამოკვლევებში გვარსახელი წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლო ინსტრუმენტს გენეტიკურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების ცვალებადობის შესასწავლად და დროის დიდ სიღრმეებში ჩასახედად². გენეტიკურ მარკერად გვარსახელის გამოყენება სამეგრელოს მაგალითზე უპრიანია, რამდენადაც აქ, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ეთნიკურად ერთგვაროვან მოსახლეობასთან გვაქვს საქმე. იმდენად, რამდენადაც, გვარსახელი განიხილება გენეტიკური მარკერების ანალოგად და გადაეცემა მამის ხაზით Y-ქრომოსომის დნმ-მარკერების მსგავსად, ეს კვლევები სამეგრელოდან დავიწყეთ.

„ნამღევ“ (იშვიათ, „მცირერიცხოვან“) გვარებად დარჩენა სხვადასხვა მიზეზით უნდა აიხსნას. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იშვიათ გვარებად ჩამოყალიბება შესაძლოა გამონვეული იყოს შობადობის საერთო დონის შემცირებით და ქორწინებითი უპირატესობით³. შობადობის

¹ **Ельчинова Г. И., Кривенцова Н. В.** Распределение фамилий в Ростовской области // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, № 2, 2009, გვ. 51; **Лавряшина М. Б., Ульянова М. В., Толочко Т. А., Балановский О. А., Романов А. В., Балановская Е. В. Шорцы.** Сходство и различие территориальных групп по данным фонда фамилий и аутосомных ДНК маркеров. // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, № 2, 2011, გვ. 69.

² **Ельчинова Г. И.** Методы разработки популяционно-генетических данных: структуры брачных миграций // медицинская генетика, 2004, т.3, 4, с. 185-192, გვ. 51.

³ **Ельчинова Г. И., Кривенцова Н. В.** Распределение фамилий в Ростовской области // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, № 2, 2009, გვ. 16. **Лавряшина М. Б., Ульянова М. В., Балановская Е. В.** Динамика фамильного состава как показатель изменения популяционной структуры коренных этносов южной Сибири. // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, № 2, 2009.

საერთო დონის შემცირებაზე ზუსტი მონაცემები XIX საუკუნეზე ადრინდელი არ მოგვეპოვება, XIX საუკუნიდან კი ჩვენ გარკვეულწილად შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ამ პროცესს საეკლესიო მეტრიკული წიგნების მიხედვით. ქორწინებათა უპირატესობებს ფეოდალიზმის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გლეხებიც კი ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზთა გამო (უმთავრესად ერთი წარმოშობის სხვადასხვა გვარები ისტორიული მახსოვრობის ძალით) ერთმანეთში ქორწინებას დაუშვებელად მიიჩნევდნენ.

ზოგადად, მოსახლეობის აღწარმოება სხვადასხვა ფაქტორთან არის დაკავშირებული (მაღალი შობადობა, დაბალი სიკვდილიანობა და მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი). მოსახლეობის შემცირებას კი იწვევს მწვავე ინფექციები და ეპიდემიები, სოციალური ფაქტორები, ბევრი შვილის არყოლის განწყობა. ზოგჯერ, ეს ბევრი შვილის არყოლის განწყობა, ვლინდება სურვილში, რაც შეიძლება მეტი ვაჟი დაიბადოს, ვიდრე ქალი, რაც მომავალში სქესთა შეფარდების დარღვევას გვაძლევს. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი სხვადასხვა დოზით ასახვას ჰპოვებს ცალკეულ გვარსახელებში და ხშირად მისი მრავალრიცხოვნების ან სიმცირის მიზეზი ხდება.

გვარსახელების „ნამღევობის“ ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს სხვადასხვა სახის ავამდყოფობები, ეპიდემიები, რომლებიც სამეგრელოში კლიმატური თავისებურებების გამო იყო გავრცელებული (ტიფი, ქოლერა, ყვავილ-ბატონები, ციებ-ცხელება და სხვ.), ეს ხშირად მთელ ოჯახებს შეინიარავდა ხოლმე. ზოგიერთ სპეციფიკურ დაავადებათა შედეგად მამაკაცების, როგორც გვარის გამგრძელებლის სიკვდილიანობა უფრო ცარილი იყო, ვიდრე ქალებისა (ე. წ. საყმანვილო – „კუდა“).

გვარსახელების „ნამღევობის“ მიზეზად შეიძლება დასახელდეს მიგრაციებიც. ზოგიერთი გვარის წარმომადგენელი ან მთელი გვარი სხვა ადგილას იძულებითი გადასახლების შედეგად,

უსაფრთხოების მიზნით გვარსახელს იცვლიდა ან ადგილობრივი ფეოდალი ახალს აძლევდა. ამ მხრივ, სამეგრელოში გავრცელებული გვარსახელების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ქართული დოკუმენტური წყაროები, რომელთა შორის აღსანიშნავია „ბიჭვინთის იადგარი“ (1525-1550 წ.წ.)¹ და „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“ (XVII ს.)². აფხაზი ფეოდალების მონოლის შედეგად ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში XVII საუკუნის მიწურულიდან მიმდინარეობდა ქართული მოსახლეობის მასიური აყრა³. ამ დოკუმენტის მიხედვით, XVI-XVII საუკუნეებში ოდიშის სამთავროში მოსახლე გვარსახელებიდან მრავალი უკვე აღარ არსებობს, მათი ნაწილი კი აფხაზეთში და სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ⁴, ხოლო ზოგიერთი გვარსახელი დღეს საკმაოდ მცირერიცხოვანია⁵.

რიგი გვარსახელების ნამლევობის მიზეზი შესაძლოა იყოს გვარსახელის არა მთლიანი, არამედ ნაწილობრივი ფონეტიკური ცვლილება: მაგალითად, გაბეჩიების გვარი 38 სულს შეადგენს, იმავე ძირისაა გაბეჩავა-505 სული და გაბეშია-224 სული. განსხვავება მხოლოდ სუფიქსურ ნარმოებაშია (მეგრული

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 176-183.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, 419-435.

³ ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1998, გვ. 119.

⁴ დ. ჭითანავა, ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის (XVI საუკუნის მეორე ნახევარი-1621 წ.) მიხედვით. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებული, „ოდიში“, თბ., 2015, გვ. 52-67; დ. ჭითანავა, პირსახელები და გვარსახელები „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის“ წუსხის მიხედვით (1616-1621 წწ.). კრებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. XVIII, თბ., 2016, გვ. 67.

⁵ გვარსახელები საქართველოში, თბ., 2018, გვ. 53, 492, 586, 773, 976, 1015, 1093.

-ია, -ავა, ლაზური -ში). ასეთივეა რუხავა-ფიქსირებულია სულ ორი კომლი, ხოლო რუხაია-1082 სული, იგივეა იმერული რუხა-ძე-4319 სული.

აფხაზეთიდან მიგრირებული გვარსახელების მაგალითზე დავასახელებთ ქუცურუებს (83 სული), რომელთა ძველი გვარია ქეცბაია (592 სული). ისინი გალის რაიონიდან მოსულან ჩხორონყუში. 1616-1621 წლების ჯგალის ციხის მებეგრეთა შორის დასახელებულია ამარცალია ქუცურავა¹. ქუცურავა-ს ფორმის გვარსახელის იდენტიურია დღეს სამეგრელოში (ჩხორონყუს რ-ნი) დადასტურებული გვარსახელი ქუცურა².

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებითაც, ქუცურუები (31 სული) წარმოშობით ყოფილან აფხაზეთიდან, გვარად ქაციბაია-ები (ვარიანტი-ქეცბაია). ასეთივეა გახარეები, სამი ძმა ქვემო სვანეთიდან იმერეთში ჩამოსულა, ერთი დასახლებულა ქუთაისში (გვახარია-147 სული), მეორე-აფხაზეთში (1362 სული), მესამე-მუხურში (ჩხორონყუს რაიონი), მთლიანად სამეგრელოში-1362 სული. ასეთივეა ტყვაცირიები (65 სული), რომლებიც ერთ-ერთი ვერსიით რაჭიდან, მეორეთი- იმერეთიდან გადმოსახლებულან. ისინი ადრე გოცირიძეები ყოფილან. სოფელ ტყვირში (აბაშის რაიონი) დამკვიდრების შემდეგ გვარი ტყვაცირიად გადაუკეთებიათ.

წარმოდგენილი მაგალითებიდან გამომდინარე „ნამლეგობის“ კავშირი მიგრაციულ პროცესებთან და გვარსახელის შეცვლასთან, ბევრ შემთხვევაში დამაჯერებელია. თუმცა, ამაზე ზუსტ პასუხს მხოლოდ კონკრეტული გვარსახელის ღრმა შესწავლა იძლევა, მიგრაციულ პროცესებთან ყველა მათგანის მცირერიცხოვნობის დაკავშირება მართებული არ იქნება, რამდენადაც

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 424-425.

² **3. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 64, 123-124.

ზოგიერთი მიგრირებული გვარსახელის დემოგრაფიული მაჩვენებელი (მაგ. ქაჯაია-3121 სული) სხვა სურათს იძლევა. როგორც შენიშნულია, ფონეტიკურად სახეცვლილი გვარების გენები არ ქრება, ისინი სხვადასხვა გვარსახელით მონაწილეობენ პოპულაციის გენოფონდის აღწარმოებაში და ამით მათი რეალური რიცხვი და შესაბამისად პოლიმორფიზმიც არ იზრდება. გვარების რაოდენობის ცვალებადობა დროში იძლევა ინფორმაციას პოპულაციებში გენეტიკური შემადგენლობის შესაძლო შეცვლის თაობაზე, რომელიც შეიძლება იყოს გამონვეული გენთა დრეიფით და მიგრაციული პროცესების ერთობლივი მოქმედებით¹.

XVIII საუკუნის დასასრულიდან XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე არსებულ საარქივო მასალებს შორის, კონკრეტული გვარსახელების შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საეკლესიო მეტრიკული წიგნები, სადაც ფიქსირებულია ადამიანის დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, ავადმყოფობა, სქესი, ასაკი და სხვ. ამ მიმართულებით, ჩვენს მიერ საკმაოდ ბევრი მასალაა შესწავლილი. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ამჯერად რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლებით:

1621 წელს აფხაზეთში მოხსენიებული გვარსახელი ამბალია//ანბალიები XVII საუკუნეში არიან მიგრირებული სამეგრელოში². ამბალიები დღეს ძირითადად სამეგრელოში მცხოვრები (სულ, 65 სული) მცირერიცხოვანი გვარია³. ამბალიების გვარზე, მათი განსახლების არეალის მიხედვით (ხოზის რ-ნი, სოფ. ქარი-ატა), 1840-1915 წლების საარქივო მასალებით⁴ ცნობილია, XVI-

¹ ლ. ბითაძე, გ. გასვიანი, შ. ლალიაშვილი, თ. ჯაშაშვილი, აფხაზების ანთროპოლოგიური ისტორია, თბ., 2008, გვ. 290.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 176-183.

³ გვარსახელები საქართველოში, გვ. 53.

⁴ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, 1840-1870 წ.წ. ფ. 489, ანან. 6, საქ. №687, 1301, 1428, 1578, 912, 1643, 1706, 1945, 1875, 2015; ფ. 489, საეკლესიო მეტრიკული წიგნები – ხორვა II, წმინდა გიორგის ეკლესია, 1871-1915 წწ.

II საუკუნის 90-იან წლებში დაბადებული და XIX საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ექვსი ოჯახის უფროსი მამაკაცის სახელი (იხ. გენეალოგიები №1, 2, 3, 4, 5, 6), რომელთა შთამომავლობა XIX საუკუნის 30-40-იან წლებში შეადგენდა 12 სულს, შესაბამისად, პოტენციურად 12 ოჯახს, აქედან 11 იყო მამაკაცი, ერთი ქალი. ამ 11 მამაკაციდან მხოლოდ 7 ჰყავდა 50-90-იან წლებში დაბადებული შთამომავლობა და მათი საერთო რიცხვი 20-ს შეადგენდა. მათგან მხოლოდ ორი იყო ქალი, დანარჩენი 4 მამაკაციდან შთამომავლობა არც ერთს დაუტოვებია, ამათგან ზოგი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, ზოგს შვილი არ ჰყოლია, ზოგს კი ოჯახი არ შეუქმნია (იხ. გენეალოგიები №1, 2, 3, 4, 5, 6). XX საუკუნის დასაწყისში მათი გენოფონდი კიდევ უფრო მცირდება და 20 სულიდან 1915 წლამდე შთამომავლობა ჰყავდა მხოლოდ სამს და სამივე მამაკაცი იყო (იხ. გენეალოგია №1, 2, 3, 4, 5, 6). მთლიანობაში, XIX საუკუნის დასაწყისიდან 1915 წლამდე, ამბალია//ანბალიების გვარში ფიქსირდება 38 სული მამაკაცი და 4 ქალი. შესაბამისად, ამ გვარის დემოგრაფიული სიმცირის მიზეზი, მდებრობითი სქესის სიმრავლე არ არის, პირიქით, ამ გვარში სქესთა შეფარდება დარღვეულია მამაკაცების სიჭარბით ქალებთან შედარებით.

წარმოდგენილი მასალიდან რამდენიმე ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა: ამბალიების გვარსახელში XIX საუკუნის 30-40-იან წლებში 11 სული მამაკაციდან არ დაქორწინებულა 4, ხოლო დაქორწინებულთაგან შვილი არ ჰყავდა 1-ს, ე. ი. აღწარმოებაში არ მიიღო მონაწილეობა 45.45 % მამაკაცმა, ხოლო 50-90-იან წლებში ამ გვარის 19 მამაკაციდან არ დაქორწინდა 11, ხოლო 16 წლამდე ასაკში გარდაიცვალა 4, დაქორწინდა მხოლოდ 4 მამაკაცი, რაც 33.5%-ით მაღალია 30-40-იანი წლების მაჩვენებელთან შედარებით. 1900-1915 წლებში ამ ოთხი საქორწინო წყვილიდან მხოლოდ სამს ჰყავდა თითო ვაჟი, ხოლო მეოთხის შთამომავლობა XX საუკუნეში აღარ გაგრძელებულა, ანუ მამაკაცთა 25%-ს მოსახლეობის აღწარმოებაში არ მიუღია მონაწი-

ლეობა. ამ შემთხვევაში, წინა წლებთან შედარებით, რეპროდუქციული ფუნქცია არ შეასრულა უფრო დაბალმა პროცენტმა, მაგრამ მათ ვინც აღწარმოებაში მიიღეს მონაწილეობა, უნდა გაეჩინათ 2 ვაჟზე მეტი გვარსახელის რიცხოვნობის იმავე დონეზე შესანარჩუნებლად, იმ პირობით, რომ ყველა ვაჟი აუცილებლად მიაღწევდა რეპროდუქციულ ასაკს და დაქორწინდებოდა, გაუჩინებოდა ერთზე მეტი ჯანმრთელი ვაჟი და ა.შ. მოსახლეობის აღწარმოება ოჯახების, გვარების მრავალგვარობის უწყვეტი ჯაჭვია, რომლის ერთი რგოლის ჩავარდნა ზოგჯერ მთელი გვარის დაკარგვის, გაქრობის საშიშროებას ქმნის. ამ მასალიდან გამომდინარე, გვარსახელის შემცირებას ვერ დავაბრალებთ მხოლოდ ავადმყოფობებს და ადრეულ ასაკში გარდაცვალებას, მითუმეტეს, ვერც ქალთა სიჭარბეს, რამდენადაც ამ გვარში 130 წლის განმავლობაში დაბადებულთა შორის 98% მამაკაცია; ვერც ბევრი შვილის არყოლის სურვილს, რამდენადაც ზოგიერთ მათგანს 5 ან 6 შვილი ჰყავდა. ეს სურათი შესამჩნევად იცვლება XX საუკუნის დასაწყისში, რაც სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის უმთავრესად ეკონომიკურით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, ხოლო ძირითადი მიზეზი ამ შემთხვევაში არის ოჯახის არ შექმნა.

საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით წალენჯიხაში მცხოვრები აზნაურ ეგვიპტის გვარსახელი დღევანდელი მდგომარეობით სულ 9 სულია, აქედან 7 – სამეგრელოში, 2 – თბილისში¹.

საეკლესიო მეტრიკულ წიგნებში არსებული მასალებით², ეგვიპტის გვარსახელში 1791-1830-იან წლებს შორის დაბადებული გყავს 11 სული, აქედან მამაკაცი – 9, ქალი – 2. ცოლი არ შეურთავს 2-ს, ჰყავდა ერთს, მაგრამ შვილები არ ჰყოლია; ადრეულ ასაკში არც ერთი არ გარდაცვლილა. დანარჩენი 6 მამაკაცის შთამომავ-

¹ გვარსახელები საქართველოში, გვ. 521.

² საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, 1840-1870 წ.წ. ფ. 489, ანან. 6, საქ. №489, 685, 999, 1442, 1478; წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია, საეკლესიო მეტრიკული წიგნები, 1871-1915 წწ., ფ. 489.

ლობა 1840-1860-იან წლებს შორის შეადგენს 16 სულს, აქედან 14 მამაკაცი, 2 ქალი. ამ 14 მამაკაციდან ცოლი არ შეურთავს 8-ს (ადრეულ ასაკში არც ერთი არ გარდაცვლილა), ცოლი შეერთო 2-მა, მაგრამ შვილები არ ჰყოლიათ, დანარჩენი ოთხი მამაკაციდან მხოლოდ ერთს ჰყავს ერთი ვაჟი, ხოლო დანარჩენი 8 ქალიშვილია.

1870-1900 წლებს შორის დაბადებული გვყავს 11 სული, აქედან მამაკაცია 3, ხოლო 8 ქალი. ამ სამი მამაკაციდან ერთია მარტო ცოლიანი; ადრეულ ასაკში არც ერთი არ გარდაცვლილა.

1900-1915 წლებს შორის კი ამ გვარიდან არავინ არ დაბადებულა და არც ერთი მამაკაცი (დაიბადა მხოლოდ ერთი ქალი) არ დაქორწინებულა. ამ დროს იხსენიება მხოლოდ ერთი მამაკაცი, რომელიც 1870-1900 წლებს შორისაა დაბადებული.

მაშასადამე, 1791-1900 წლებს შორის გვყავს 26 სული მამაკაცი და 12 სული ქალი, ხოლო 1900-1915 წლებს შორის იხსენიება მხოლოდ ერთი მამაკაცი და ერთი ქალი.

1840-1860-იან წლებში პირველ ადგილზეა ცოლის არშერთვა.

1870-1900 წლებს შორის მეორე ადგილზეა ქალთა სქესის სიჭარბე (გენ. 7-17).

1915 წლიდან დღემდე მესამე ადგილზე მთლიანობაში ნამლევობის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ყველა ჩვენს მიერ ჩამოთვლილი პერიოდიზაციის მიხედვით შვილის არყოლა. ადრეულ ასაკში გარდაცვალება ამ გვარსახელში არ ფიქსირდება, პირიქით, საკმაოდ მოხუცები კვდებიან; არც რაიმე ავადმყოფობები, რომ მთელი ოჯახი შეეწირა.

ამ მიმართულებით, თუ დავაკვირდებით ჩვენს მიერ შესწავლილ მცირერიცხოვან სხვა გვარსახელთა გენეალოგიურ მასალებს საილუსტრაციოდ, რომელთა მცირე ნაწილიც მოგვყავს ნაშრომში, თითქმის იგივე სურათი ფიქსირდება (მუშულები: გენეალოგია №18, ქოჩაკიძეები: გენეალოგია №19, 20, 21).

სხვა, დღეს უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვან (1000 და მეტი სული) გვარსახელებზე ჩვენს ხელთ არსებული საკმაოდ ვრცელი გენეალოგიური მასალის საფუძველზე, XIX საუკუნის 50-90-იან


ნლებში ფიქსირებული 28 და ნაკლები მამაკაცთა შთამომავლობის მქონე გვარსახელი დღევანდელ დრომდე უნდა გამრავლებულიყო დაახლოებით 500-დან 2000 სულამდე, რაც გვარს გაქრობის საფრთხეს, როგორც ეს ამბალიების, ეგიების, მუმულიების, ქორჩაკიძეების და სხვათა მაგალითზე გვაქვს, ნამდვილად არ უქმნის.

დასკვნები. ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის, კერძოდ, საარქივო და საველე-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შედგენილი კონკრეტული გენეალოგიური მონაცემების გარეშე გვარსახელის კვლევა არ იქნება სრული; ეს ის უტყუარი მასალაა, რომელიც მომავალში გვარსახელთა ეთნოისტორიული და გენეტიკური კვლევების თვალსაზრისით, როგორც კონკრეტული გვარსახელების, ისე მთლიანად რეგიონის საერთო ფონის დახასიათებისას მრავალფეროვანი და ბევრად უფრო დამაჯერებელი დასკვნების საშუალებას მოგვცემს. გენეალოგიური კვლევები გამოიყენება თითოეული გვარსახელის ლოკაციის და სიხშირის დასადგენად, აადვილებს გენეტიკური ვარიაციის ნიმუშების ინტერპრეტაციას; მასში კონკრეტდება ურთიერთობები მრავალი თაობის განსხვავებულ ინდივიდებსა და ოჯახებს შორის; გვიქმნის წარმოდგენას მოსახლეობის მრავალგვარობაზე, როგორც გვარის, ისე რეგიონის შიგნით¹. ამრიგად, გვართა მცირერიცხოვნობის მრავალ შესაძლო მიზეთა შორის, ამ ეტაპზე კონკრეტული გვარსახელების მაგალითზე ჩვენს მიერ წარმოებულ კვლევაში, გამოიკვეთა ზრდასრულ მამაკაცთა არდაქორწინება, მეორეზე – უმეილობა, მესამეზე – ადრეულ ასაკში სიკვდილიანობა.


კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (FR-17-144).

¹ Schurr T.V, Yardumian A., Shengelia R, Bitadze L., Chitanava D., Laliashvili Sh., Laliashvili I., Sanders A., Azzam A., Groner V., Edleson K., Vilar M.V. Genetic Diversity and population History in Svaneti, Northwestern Georgia. *Caucasiologic Papers*, Tbilisi, 2015, 7, p. 322.


ანზალია/ანზალია N 1




ანზალია/ანზალია N 2




ანზალია/აშხალია N 3




ანზალია/აშხალია N 4




ანზალია/აშხალია N 5




ანზალია/აშხალია N 6




ვგებები (წაღწევის) №7






ახნაური ვეფხე (წაღენჯიხა) №9

შავარდენი
 ♂ [XIX ს. დასაწყისი]




ვეფხე №10



აზნაური კმეები (წალენჯიხის) №11

თამეკია
[18^ძ-1861წ. 12 ივლისი]



♂ სტეფანე
[დაბ.1852 წ. მეუღლე-
სოფ. ზელაქვირიდან
მაკრიქაბას ას
ფიფია, დაბ.1859 წ.]

♀ ეგროსინა
[1883წ. 16 მაის.-1892წ. აპრ.]

♂ მაქსიმე
[1858-1885 წ. 15 იანვ.]

№ 12 **♀** **ორქითა**
[1796-1872წ. 1 ივლ.]

№ 13 **♀** **რუსუნდა**
[1798-1872წ. 15 აგვ.]


№ 14 **♂** **კეკევა**
[იხს.1881 წ.]

№ 15 **♂** **მოცია**
[1826-1860 წ. 17 სექტ.]


№ 16 **♂** **მე ვარკაცი**
♂ **მალხაზი**
[იხს. 1905]

№ 17 **♂** **თეიმურაზი**
[დაბ. 1817 წ., მეუღლე-გუგუბი
ქუთოელია, დაბ. 1827წ.]


N 18 მუშუღოთა (ყოლიგარო) 13 სულო




ქონაქიმები N 19



ქოჩაქიძეები N 20



ქონაქონები N 21



§ 2. ნამღვევი გვარსახელების ინტერდისციპლინარული
კვლევა სამეგრელოში
(ჩრდილო-დასავლეთ საქართველო)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე,
ტ. 13, №4, 2019

BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES,
vol. 13, no. 4, 2019

Social Anthropology

**An Interdisciplinary Analysis of Surname Extinction in Mingrelia
(North-West Georgia)**

David Chitanava*, **Th.G. Schurr****, **Liana Bitadze***,
Bezhan Khorava§, **Qetevan Tsimintia***, **Ioseb Shengelia§**,
Aram Yardumian#, **Shorena Laliashvili***, **Ramaz Shengelia⁰**

** Laboratory of Anthropology, Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*

*** Department of Anthropology, University of Pennsylvania (USA)*

*§ Faculty of Humanitarian Sciences, Sokhumi State University,
Tbilisi, Georgia*

#Department of Anthropology, Bryn Athyn College (USA)

⁰ Academy Member, Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

ABSTRACT. The surname is an important focus of the study in ethno-historical research in Georgia. It usually coincides with the father's genetic line, thereby allowing comparison of surname data with those from anthropological, demographic, biomedical, genetic and historical-ethnological studies. This study investigated surnames that are infrequent and on the verge of extinction in Mingrelia (Samegrelo). We investigated the reasons of these surnames

becoming scarce and their implications on Georgian population dynamics. The analysis of hundreds of Mingrelian surnames through our collaborative research revealed various social, economic, migration, and biological reasons for their rarity. The results of this study allow us to reexamine the main aspects and trends of ethno-historic and demographic research on surnames. It will further contextualize results from our population-genetic studies and yield insights into the relationship between surname diversity and marriages patterns in Samegrelo, as well as the formation of genetic and morphological types of populations in the region.

Key words: genealogy, demography, population, patrilineage, Mingrelia

Surnames that occur at low frequency in human populations are vulnerable to going extinct or being lost in the population, largely due to genealogical processes. We call them “small surnames” (s.c. *namlevi*) [1]. A surname belongs to this group if the number of its bearers does not exceed 100 persons. According to recent work, we recorded 618 such surnames in Mingrelia (Samegrelo) [2]. The appearance of Georgian surnames in written sources from the 8th to 9th centuries does not mean that they did not exist before. Rather, they seem to have originated because of the necessity of a hereditary name’s existence in the Georgian feudal system [3].

Research into the surnames of Mingrelia has been done only in an ethno-historical context. Here, we consider the surname as one component of pseudo-genetic (social) markers, as a framework

for interpreting the results of genetic population research [4, 5]. Because surnames are transmitted along the paternal line across generations just like Y-chromosome markers, we can evaluate surnames as though they are genetic markers, and use them to analyze the level of inbreeding, population movements, gene drift and genetic distances between populations in which they appear.

Materials and Methods: Two expeditions to Svaneti and Samegrelo were conducted for investigation on the population genetic, ethnological and anthropological diversity in these regions [6-8]. These expeditions were especially valuable because genetic, ethnological, demographic and medical-biological data were simultaneously collected from the same participants, making possible correlations between them maximally high in terms of their reliability. This approach was successfully experienced in the study of Shortsi ethnical group [9].

Research of at least 10 generations is considered a standard for genealogical research with surnames, where the variability of genetic-demographic indicators can be seen across a relatively large section of time. We use surnames as genetic markers to study their distribution in Samegrelo (especially mountainous Samegrelo) and Svaneti populations. In these regions, we are dealing with relatively ethnically homogeneous and geographically isolated populations that have resided there for a more or less long period of time.

In the above-mentioned expedition research conducted by us in Samegrelo, we studied 484 individuals, including 372 men and 112 women. In this study, reproductive function indicators were fixed (menarche, menopause, age of marriage, age of first and last birth, birth place, marriage residence, migration, demographic indicators: the average length of life, sex ratio in several generations according to genealogy; cause of death, the length and weight of a child at birth).

Results and Discussion: The influences on population diversity in Northwest Georgia of small surnames needs to be explained. The surnames may reflect a number of different genealogical or demographic processes, such as epidemics and the impact of various types of diseases, changes in birth rates or the lack of male children in a particular generation, changing marriage patterns, infertility, or population mobility and conflict. Many of these factors are attested to written sources from the 16th to 18th centuries [10-14]. Other reasons

might include total or partial phonetic changes of the surname [15], where often the only difference appears in the production of suffixes. Based on the surname data from this study, the scarcity of any surname is linked to any of the above circumstances. However, only a deep study of specific surnames will provide a detailed reconstruction of the general social and demographic image of the region/country. In this regard, of primary importance is the ecclesiastical metric books from the beginning of the 19th century to the first quarter of the 20th century, where the birth, death, marriage, sickness, sex, age of a human are recorded.

To gain clarity about the distribution of surnames in Northwest Georgia, we studied quite a large amount of material from modern Samegrelo and data from migrants from Abkhazia who arrived in the 17th century [16]. For the majority of surnames currently recognized as scarce, an average of 20-40 men bore a particular surname in the 19th century. Logically, such surnames must have been multiplied from about 500 to 2000 individuals, a trend that would no longer threaten the extinction of any particular surname. The overall demographic picture noticeably changes at the end of the 19th century and early 20th century, as there was an increasing tendency for men to stay single, mostly probably due to economical and social factors (Fig. 1).

In this research 23 small surnames were recorded. It is interesting that genealogical studies of the 20th and 21st centuries and the analysis of the 19th century archival documents (church records on birth and death, wedding and baptising) gave the same overall. These surnames (Ambalia, Kucurua, Tkvatsiria, Asmava, Kilava, Egia, and others) are also currently threatened with extinction, mainly due to the factors listed in Fig. 2. More specifically, our research at this stage indicated that the main reasons of the reduction in surname frequencies were: (1) men staying single, (2) infertility, and (3) deaths in early age, as well as a sex bias towards females and the interaction between these factors.




Fig. 1. Approximate equity ratio (19 and 21 cc) of factors influencing the scarcity of the surnames.




Fig. 2. Aspects of interaction between the factors leading to the scarcity of the surname.

Conclusion: Research into surnames is only possible through an interdisciplinary approach. The first stage involves the creation of specific genealogical schemes based on archival data, and then the analysis of the demographic picture of specific cases, the reconstruction of cause-and-effect sequencing with historical-ethnological material, and the correlation with biomedical and genetic data. As a result, we obtained a highly reliable interpretation of the ethno-historic and genetic influences on surname frequency, as well as characterization of the demographic picture of the region/country. Genealogical research is used to identify and determine the frequency of each surname, making it easier to interpret patterns of genetic variation in the same individuals. Such data can reveal relationships between different individuals and families over many generations, and provide a deeper understanding of population variation both at the kinship and regional levels [17].

The work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) award FR-17-144, “Samegrelo Village in Ancient Times and Now”.

სოციალური ანთროპოლოგია

ნამღვევი გვარსახელების ინტერდისციპლინური კვლევა სამეგრელოში (ჩრდილო-დასავლეთი საქართველო)

დ. ჭითანავა*, თ. შური**, ლ. ბითაძე*, ბ. ხორავაჯ,
ქ. ციმინტია*, ი. შენგელიაჯ, ა. იარდუმიანი#,
შ. ლალიაშვილი*, რ. შენგელია⁰

* ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია, თბილისი, საქართველო

** პენსილვანიის უნივერსიტეტი, ანთროპოლოგიის დეპარტამენტი, აშშ

ჯ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო

#ბრაიან ათინის კოლეჯი, ანთროპოლოგიის დეპარტამენტი, აშშ

⁰აკადემიის წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ნაშრომი ეძღვნება მცირერიცხოვან და გაქრობის პირას მყოფ გვარსახელთა კვლევის მეთოდებს, მსგავსი კვლევების მნიშვნელობას და გვარსახელთა მცირერიცხოვნობის გამომწვევ ძირითად მიზეზებს. სტატიაში აღნიშნულია გვარსახელების შესწავლის მნიშვნელობა როგორც ისტორიულ-ეთნოლოგიური, ისე ანთროპოგენეტიკური თვალსაზრისით და მასთან ერთად საარქივო მასალების მიხედვით გენეალოგიური კვლევების უპირატესობა. ამ მასალით გამოიკვეთა გვარსახელთა „ნამღვევობის“ უპირატესი მიზეზები: 1. მამაკაცთა არდაქორწინება; 2. უშვილობა; 3. ადრეულ ასაკში სიკვდილიანობა და ქალთა სქესის სიმრავლე.

REFERENCES

1. **Chumburidze Z.** (2011) Scarce (small) surnames, in the book: L. Pruidze, *Gvari da gvarishviloba*, p. 85 (in Georgian).
2. **Ed. Arabuli A. et al.** (2018) Surnames in Georgia. Tbilisi.
3. **Topchishvili R.** (2010) Ethnology and history of surnames, p. 217-218, Tbilisi (in Georgian).
4. **Crow J. F., Mange A.P.** (1965) Measurement of inbreeding from the frequency of marriages between persons of the same surname. *Eugen.Quart.*,12:199-203.
5. **Morton N. E., Yee S., Harris D.E., Lew R.** (1971) Bioassay of kinship. *Theoretical Population Biology*, 2:507-521.
6. **Shengelia R., Andriadze G., Bitadze L., Chitanava D., Chikovani N., Khmaladze E. et al.** (2017) Comparative genetics study of East Georgia population. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*, 11, 4: 1-8.
7. **Yardumian A., Shengelia R., Chitanava D., Laliashvili Sh., Bitadze L., Laliashvili I. et al.** (2017) Genetic diversity in Svaneti and its implications for the human settlement of the Highland Caucasus. *American Journal of Physical Anthropology*, 164,4:837-852.
8. **Yardumian A., Schurr Th. G., Shengelia R., Chitanava D., Laliashvili Sh., Bitadze L., Laliashvili I.** (2017) Reconstructing the genetic history of Svaneti, Northwest Georgia, Ancient Lineages, p. 22-28.
9. **Lavriashina M. B., Ulianova M. V., Tolochko T. A., Balaganskaia O. A., Romanov A. G., Balanovskaya E. V.** (2011) Shortsy: skhodstva i razlichie territorial'nykh grupp po dannym fonda Familii i autosomnykh DNK markerov. Vestnik of Moscow University. *Anthropology*, XXIII, 2: 69 (in Russian).
10. **Dolidze I.** (1965) The monuments of the Georgian law, II: 176-183, Tbilisi (in Georgian).
11. **Dolidze I.** (1970) The monuments of the Georgian law, III: 419-435, Tbilisi (in Georgian).

12. **Khorava B.** (1998) Odishi-Abkhazian relationship XV-XVIII cc., p. 119, Tbilisi (in Georgian).
13. **Chitanava D.** (2015) Names and surnames spread in Odishi, according to the great metric books of peasants of the Catholicate of Abkhazia (second half of 16th century, year 1621). Collection of Scientific Works of the National Academy of Sciences of Abkhazia. "Odishi", p. 52-67, Tbilisi (in Georgian).
14. **Chitanava D.** (2016) Names and surnames according to the list of Jgali castle, Catholicate of closing (1616-1621), historical-ethnological explorations, XVIII, p. 67, Tbilisi (in Georgian).
15. **Tskhadaia P.** (2000) Surnames and their settlements in Samegrelo, p.64, 123-124, 142, Tbilisi (in Georgian).
16. Georgia State Central Historical Research Archive, P. 489, 1840-1921 (in Georgian).
17. **Schurr Th. G., Yardumian A., Shengelia R., Bitadze L., Chitanava D., Laliashvili Sh.** et. al (2015) Genetic diversity and population history in Svaneti, *Northwestern Georgia, Caucasologic Papers*, 7: 322.

ლიტერატურა:

1. აბაკელია ნ., მთავარანგელოზის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოს მასალების მიხედვით), კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული „შტუდიები“, II, თბ., 1985.
2. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
3. ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, ნ. II, აფხაზეთი, თბ., 1968.
4. ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990.
5. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991.
6. აფრიდონიძე შ., ზანური ანთროპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჯაკობია, ჟორდანის ტიპის გვარების შესახებ), ონომასტიკა, I, თბ., 1987.
7. აჩუგბა თ., ზემო აჭარული ოჯახის სტრუქტურა (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), კრ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1980, №7.
8. აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ. 1990.
9. ბალიშვილი ა., ბალვამები, ჟურნ. „აია“, №2, 1998.
10. ბახია ს., პატრონიმის იდეოლოგიური ერთიანობის საკითხისათვის აფხაზეთში ძველად, კრებ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1982,
11. ბახია-ოქრუაშვილი ს., ზოგიერთი დაკვირვება აფხაზეთის ონომასტიკაზე, კრებ. „კლიო“, №6.
12. ბერაძე თ., სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომამბე“, ტ. 81, №1, თბ., 1976.
13. ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПБ. 1912.
14. ბერძენიშვილი ნ., ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1991.
15. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.
16. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1971.
17. ბექაია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბ., 1980.
18. ბუკია მ., მეგრულ პირსახელთა წარმოების თავისებურებებისათვის, კრ. ქართველური ონომასტიკა, VI, თბ., 2013.
19. ბურჭულაძე გ., შავხელიშვილი ბ., „ქართლის“, „საქართველოს“ აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურ-დაღესტნურ ენებში, კრ. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინები, თბ. 1993.
20. ბითაძე ლ., გასვიანი გ., ლალიაშვილი შ., ჯამაშვილი თ., აფხაზეთის ანთროპოლოგიური ისტორია, თბ., 2008.

21. **ბითაძე ლ., ჭითანავა დ., ლალიაშვილი შ., ყვავაძე ე., ზუბიაშვილი თ.**, ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ისტორიის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, თბ., 2010.
22. **გამყრელიძე თ.**, ქართული სახელმწიფოებრიობა, აღმოსავლური ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №2, 2001.
23. **გასვიანი გ.**, სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატინანე, „მაცნე“, ისტორიის სერია, №2, თბ., 1972.
24. **გასვიანი გ.**, აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზეთი, თბ., 1998.
25. **გვანცელაძე თ.**, კვლავ ეთნონიმ „აფხაზი“-სა და მასთან დაკავშირებული ფუძეთა შესახებ, კრებ. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინები, თბ., 1993.
26. **გვანცელაძე თ.**, ილორისა და ნებელდის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XI-XIII საუკუნეთა ორი ლაპიდარული წარწერის მიხედვით, ქუთაისური საუბრები, V, 1998.
27. გვარსახელები საქართველოში, თბ., 2018.
28. **გიორგაძე გ.**, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002.
29. **გობეჯიშვილი გ.**, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
30. **გოგაძე ე.**, კოლხეთის ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარების კულტურა, თბ., 1982.
31. **გოგინაშვილი ი.**, ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1991.
32. **გოგოლაძე დ.**, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.), თბ., 1992.
33. **გონიაშვილი თ.**, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, „ენიმკის მოამბე“, თბ. 1940, ტ. V-VI.
34. **გოცირიძე გ.**, რელიგიური დღესასწაული ჯვარობა ოკრიბაში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. II, თბ., 1985.
35. **გოცირიძე გ.**, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბ., 1987.
36. **გრიგოლია გ.**, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, პალეოლითი, თბ., 1977.
37. **გრიგოლია გ.**, ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994.
38. **გრიგოლია გ.**, დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, კრებ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971,
39. **გუდავა ტ.**, ბოთლიხური ენა, თბ., 1962.
40. **დევდარიანი გრ.**, მასალები სამეგრელოს ბორცვიანი ზოლის გეომორფოლოგიისათვის, აღ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, ქუთაისი, 1950-1951.

41. **ელიავა გ.**, პატრიარქატიდან მომდინარე გვართა ამოსავალი ძირების ალბომი, ჟურნ. „აია“, №1, თბ. 1998.
42. **ელიავა გ.**, ეთნოგრაფიული სამეგრელო, მარტვილი, 1984.
43. **ელიავა გ.**, სოციალური ხასიათის ტოპონიმები და მათი კლასიფიკაცია, ონომასტიკა, I, თბ., 1987.
44. **ელიავა გ.**, სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, თბ., 1972.
45. **ელიავა გ.**, ჭყონდიდი-მარტვილი, თბ., 1962.
46. **ვასუშტი ბატონიშვილი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.
47. **გრ. ზარდალიშვილი**, კლუხორის რაიონის ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელთა დადგენისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXVI, თბ., 1949.
48. **თაყაიშვილი ექვთ.**, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1914 გვ. 211-213.
49. **თოფურია კ.**, შუმერულ-ძველადმოსავლური რელიგიური კულტები სამეგრელოში, ჟურნ. „აია“, №1, თბ., 1998.
50. **თოფურია ვ.**, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, კრებ. „ჩვენი მეცნიერება“, №11-12.
51. **თოფურია ნ.**, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XII-XIII, თბ., 1963.
52. **თოფურია ნ.**, საკულტო ნაგებობა, ზედაშე-ოხვამერი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, თბ., 1985.
53. **თოფჩიშვილი რ.**, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.
54. **თოფჩიშვილი რ.**, ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის, „ქართველური მემკვიდრეობა“, I, ქუთაისი, 1992.
55. **თოფჩიშვილი რ.**, სახელების ეთნოლოგია და ისტორია (მსოფლიო ხალხთა ანთროპონიმიული სისტემები), თბ., 2010.
56. **ითონიშვილი ვალ.**, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.
57. **ითონიშვილი ვალ.**, მოხვევების საოჯახო ყოფა, თბ., 1970.
58. **ითონიშვილი ვალ.**, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974.
59. **ინგოროყვა პ.**, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
60. **ილურიძე მ.**, გვარები და ბუდობები სოფელ მარტყოფში, თბ., 1998.
61. **ინაძე მ.**, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
62. **კაიშაური ლ.**, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ. 1967.
63. **კაკაბაძე ს.**, საცაიშლო გამოსავლის დავთარი, ტფ. 1913
64. **კაკაბაძე ს.**, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფილისი, 1914.

65. **კაკაბაძე ს.**, ქართული სახელმწიფოს გენეზისის საკითხები, „სა-ისტორიო მოამბე“, ნ. 1, თბ., 1924.
66. **კალანდაძე ალ.**, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
67. **კალანდაძე ალ.**, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939.
68. **კვაშილავა ი.**, ისტორიულ-ეთნოლოგიური სამურზაყანო, თბ., 2017.
69. **კიკნაძე ზ.**, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976.
70. **კილინავა ბ.**, „დიხა-გუძუბას“ გაგებისათვის, კრებ. ტოპონიმიკა, ტ. I, თბ., 1976.
71. **ლანჩავა ო.**, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №4, თბ., 1974.
72. **ლომთათიძე ქ.**, ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის -ია სუფიქსის საკითხი ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV, თბ., 1987.
73. **მაისურაძე ი.**, ქართული გვარსახელები, თბ., 1990.
74. **მაკალათია ს.**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
75. **მამულია გ.**, აგნატური ჯგუფები ძველ ქართულში და მათი გენეზისი, ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976.
76. **მამულია გ.**, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.
77. **მჩაბული ნ.**, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978.
78. **მგელაძე ნ.**, ოხორასკირ//ოხორასკირი-ს ნათესაური ბუნებისათვის მეგრულსა და ლაზურში, კრ. ძიებანი საქართველოს ეთნოგრაფიაში, თბ., 1991.
79. **მგელაძე ნ.**, ნოგროს ნევრთა ქონებრივ-უფლებრივი წესები აჭარაში, კრებ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა“, ტ. III, თბ., 1978.
80. **მგელაძე ნ.**, შრომის ორგანიზაცია და მმართველობის სისტემა აჭარულ ოჯახში ძველად, კრებ. აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1967.
81. **მგელაძე ნ., ფალავა მ.**, ფხე//ხე-ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, II, 1998.
82. **მგელაძე ნ., მასანოვი ნ.**, სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, კრებ. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათუმი, 1996.
83. **მელიქიშვილი გ.**, უძველესი სამეფო საქართველოს ტერიტორიაზე, კრებ. ძიებანი საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, №4, თბ., 1974.

84. **მელიქიშვილი გ.**, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოების ხასიათის საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, თბ., 1971.
85. **მიქელაძე თ.**, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967.
86. **მიქელაძე თ.**, მესხთა საკითხისათვის, კრებ. ივ. ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.
87. **მჭედლიშვილი მ.**, შტოგვარები სოფელ ქვემო მაღაროში, ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.
88. **ნიორაძე გ.**, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, თბ., 1941, ტ. X.
89. **ონიანი ჯ.**, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1979.
90. **პირთა** ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1991.
91. **ჟან შარდენის** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
92. **ჟორდანია თ.**, მეხურელნი, თბ., 1956.
93. **რობაქიძე ალ.**, მთიულეთის კომოზის ზოგიერთი მხარე, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. III, თბ., 1971.
94. **რობაქიძე ალ.**, მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა“, II, თბ., 1974.
95. **რობაქიძე ალ.**, დასახლების ფორმათა საკითხისათვის აჭარაში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, ბათუმი, 1960, ტ. 1.
96. **როგავა გ.**, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1962.
97. **როგავა გ.**, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955.
98. **სანაძე მ.**, ზოგიერთი გვარის წარმოებისათვის „ტბეთის სულთა მატინეში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, თბ., 1985.
99. **საქართველოს** სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, 1840-1870 წ. წ. ფ. 489, ანან. ნ. საქ. №687, 1301, 1428, 1578, 912, 1643, 1706, 1945, 1875, 2015; ფ. 489, საეკლესიო მეტრიკული წიგნები – ხორვა II, წმინდა გიორგის ეკლესია, 1871-1915 წწ.
100. **საქართველოს** სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, 1840-1870 წ. წ. ფ. 489, ანან. ნ. საქ. №489, 685, 999, 1442, 1478; წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია, საეკლესიო მეტრიკული წიგნები, 1871-1915 წწ., ფ. 489.
101. **საქართველოს** ძველი ისტორიის ქრესტომათია. ძვ. წ. IX-VIII სს. ასურული ლურსმული, ძვ. წ. VI ს. სპარსული ლურსმული, იეროგ-

- ლიფურ-ლუვიური წარწერები. შეადგინა, თარგმნა, კომენტარები დაურთო **ნანა ხაზარაძემ**, თბ., 2015.
102. **სახოკია თ.**, ეთნოგრაფიული წარწერები, თბ., 1956.
 103. **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ. 1991.
 104. **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1991.
 105. **სურგულაძე ივ.**, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ., 1951.
 106. **ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ.**, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
 107. **ქავთარაძე ზ.**, ფშაური გვარსახელების ჩამოყალიბება ე. წ. სათემო გვარების გათვალისწინებით, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVI, თბ., 2005.
 108. **ქალდანი მ.**, -ელ/-ავ სუფიქსთა საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ XXII, თბ., 1980. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი. დოლიძემ**, თბ., 1965.
 109. **ქართული** ენის განმარტებითი ლექსიკონი, რედ. არნ. ჩიქობავა, თბ., 1986.
 110. **ქართული** სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი. დოლიძემ**, თბ., 1970.
 111. **ქაჯაია ო.**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.
 112. **ქობალია ა.**, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.
 113. **ქრონიკები** და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, ტფ. 1897.
 114. **ქუთაისის** სახელმწიფო მუზეუმის მასალები, საბ. №1184.
 115. **ღლონტი ალ.**, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
 116. **ღლონტი ალ.**, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971.
 117. **ღლონტი ალ.**, ტოპონიმიკური ძიებანი, IV, თბ., 1982.
 118. **ღლონტი ალ.**, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1990.
 119. **ღლონტი ალ.**, ტოპონიმიკური ძიებანი, IX, თბ., 1995.
 120. **ღლონტი ალ.**, ტოპონიმიკური ძიებანი, VIII, თბ., 1993.
 121. **ყაუხჩიშვილი თ.**, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, დასავლეთ საქართველო, თბ., 1992.
 122. **ყიფშიძე ი.**, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
 123. **შავიანიძე დ.**, ოკრიბული გვარსახელები, ქუთაისი, 2002.
 124. **შანიძე აკ.**, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
 125. **შანიძე აკ.** თეოფორული სახელები ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1967.
 126. **შენგელია რ., ანდრიაძე გ., ბითაძე ლ., ჭითანავა დ., ჩიქოვანი ნ., ხმალაძე ე., კეკელიძე მ., ლალიაშვილი შ.**, საქართველოს

- მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური გენეტიკური კვლევა, კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, თბ., 2016.
127. **შენგელია რ.**, მზისა და ნაყოფიერების კულტი ქართულ ყოფასა და ტოპონიმიკაში, თბ., 2014.
 128. **ჩიქობავა არნ.**, -ონ სუფიქსი მეგრულში, თბილისის უნივერსიტეტის „მოამბე“, ტ. VI, თბ., 1926,
 129. **ჩიქობავა არნ.**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
 130. **ჩიქობავა არნ.**, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
 131. **ცეცხლაძე გ.**, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991.
 132. **ცხადაია პ.**, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985.
 133. **ცხადაია პ.**, -ლე და -სა პრეფიქსების ლოკალიზაცია და მათი წარმოშობა, კრებ. ტოპონიმიკა, I, თბ., 1976.
 134. **ცხადაია პ.**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.
 135. **ძიძიგური შ.**, ბასკები და ქართველები, თბ., 1978.
 136. **წერეთელი კ.**, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხის“ ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, თბ., 1954, ტ. XV, №2.
 137. **ჭითანავა დ.**, ხარის კულტი და „კურული“ ქართველ ტომებში, კრებ. ირაკლი ახალაია – 100, თბ., 2016.
 138. **ჭითანავა დ.**, მომთაბარეობიდან ბინადრობაზე გადასვლის ძირითადი მიზეზები პირველყოფილ საზოგადოებაში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV-XV, თბ., 2016.
 139. **ჭითანავა დ.**, სამეზობლო თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში („სამოხიო“), კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. V, თბ., 2003.
 140. **ჭითანავა დ.**, ტერიტორიული თემი სამეგრელოში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. VII, თბ., 2004.
 141. **ჭითანავა დ.**, დასახლების აღნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. VIII, თბ., 2004.
 142. **ჭითანავა დ.**, პატრონიმია და გვარი სამეგრელოში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. V, თბ., 2002.
 143. **ჭითანავა დ.**, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VII, თბ., 2005.
 144. **ჭითანავა დ.**, მეგრული „ხვამა-ოხვამე-ოხვამერი“-ს მნიშვნელობისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII-XIII, თბ., 2012/2013.
 145. **ჭითანავა დ.**, პატრონიმიული სალოცავეები სამეგრელოში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. V, თბ., 2003.

146. **ჭითანავა დ.**, სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეა „ქვევრსა-მარხებში“ და ზედაშეს კულტურა, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. XII, თბ., 2010.
147. **ჭითანავა დ.**, „ეკოგამიის“ წარმოშობა და მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, კრებ. კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, თბ., 2016.
148. **ჭითანავა დ.**, ეკოგამიის და გვარებს შორის ქორწინების აკრძალვის წესები სამეგრელოში, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VI, თბ., 2004.
149. **ჭითანავა დ.**, ოდიშში გავრცელებული პირსახელები და გვარსახელები „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის“ (XVI ს. მეორე ნახევარი – 1621 წ.) მიხედვით, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ოდიში, ტ. 4. ნაწ. 4, თბ., 2015.
150. **ჭითანავა დ.**, პირსახელები და გვარსახელები „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის“ ნუსხის მიხედვით (1616-1621 წწ.), ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. XVIII, თბ., 2016.
151. **ჭითანავა დ.**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.
152. **ჭითანავა დ.**, ქოჩაქიძეთა სათავადოს თავდაპირველი განსახლების არეალი ონომასტიკური და წერილობითი წყაროების მიხედვით, კრებ. ქართველური ონომასტიკა, ტ. VI, თბ., 2013.
153. **ჭითანავა დ.**, ქოჩაქიძეთა სათავადო, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV-XV, თბ., 2016/2017.
154. **ჭითანავა დ., შური თ., ბითაძე ლ., ხორავა ბ., ციმინტია ქ., შენგელია ი., იარდუმიანი ა., ლალიშვილი შ., შენგელია რ.**, „ნამლევი“ გვარსახელები სამეგრელოში და მისი კვლევის ძირითადი ასპექტები, „ანალები“, ტ. XV, თბ., 2019.
155. **ჭუმბურიძე ზ.**, რა გქვია შენ? თბ., 1950.
156. **ჭუმბურიძე ზ.**, ნამლევი (მცირერიცხოვანი) გვარები, წიგნში: **ლ. ფრუიძე**, გვარი და გვარიშვილობა, 2011.
157. **ჭყონია ი.**, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955.
158. **ხარაძე რ.**, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1935.
159. **ხარაძე რ.**, თეური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, თბ., 1959.
160. **ხარაძე რ., რობაქიძე ალ.**, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.
161. **ხარაძე რ.**, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, კრებ. მიმოხილველი, ტ. I, თბ., 1949.
162. **ხორავა ბ.**, სამურზაყანო. ისტორიის ფურცლები, -აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, სამურზაყანო, ტ. 3, თბ., 2010.
163. **ხორავა ბ.**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1998.

164. **ხოშტარია ნ.**, დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №2, თბ., 1944.
165. **ხოშტარია ნ.**, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №6, თბ., 1945.
166. **ხუბუა მ.**, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.
167. **ჯავახიშვილი ივ.**, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950
168. **ჯავახიშვილი ივ.**, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, თბ., 1992.
169. **ჯავახიშვილი ივ.**, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 1928.
170. **ჯავახიშვილი ივ.**, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვ., I, თბ., 1928.
171. **ჯაფარიძე ო.**, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991.
172. **ჯავახიშვილი ივ.**, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.
173. **ჯავახიშვილი ივ.**, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ. 1951.
174. **ჯანაშია ს.**, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ., 1959.
175. **ჯანაშია ს.**, მრავლობითი რიცხვის –თა/–თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, ტ. III, თბ., 1959.
176. **ჯანაშია ს.**, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, შრომები, ტ. III, თბ., 1959.
177. **ჯანაშია ს.**, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, „შრომები“, თბ., 1959, ტ. III.
178. **ჯაფარიძე ო.**, ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში (ადრეყორღანული კულტურა), თბ., 1998.
179. **Абакелия Н.**, Миф и ритуал в Западной Грузии, Тб. 1991.
180. **Авдиев В. И.**, История древнего Востока, Л., 1953.
181. **Алаев Л. Б.**, Сельская община в Северной Индии, М, 1981.
182. **Бахия С.**, Абхазская „Абипара“ патронимия, Тб., 1986.
183. **Бутинов Н. А.**, Община, семья, род, Советская этнография, М. 1968, №2;
184. **Возникновение** и развитие земледелия, М. 1967.
185. **Гиоргадзе Г. Г.**, К вопросу о локализации и языковой структуры Кавказских этнических и географических названий. Переднеазиатский сборник, М. 1961.
186. **Голубцова Е. С.**, Сельская община в Малой Азии, М. 1972.

187. **Данилова Е. Н.**, Семья и патронимия в системе сельской общины абазин во второй половине XIX века, «Советская Этнография», №5, М. 1973.
188. **Дворецкий И. Х.**, Древнегреческо-русский словарь, т. II, М-Л., 1958.
189. **Джавахишвили А. И.**, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа, V-III тыс. до н. э. Тб. 1973.
190. **Джаукян Г. И.**, Урартский и индоевропейские языки, Ер. 1963,
191. **Джаукян Г. Б.**, Взаимоотношение индоевропейских хуррито-урартских и кавказских языков, Ер. 1967.
192. **Дьяконов И. М.**, Рецензия на книгу Г. А. Меликишвили «Наири-Урарту», «Вестник древней истории», М. 1956, №1.
193. **Дьяконов И. М.**, Сравнительно – грамматический обзор Хурритских и Урартских языков, «Передноазиатский сборник» М. 1961.
194. **Дьяконов И. М.**, Языки древней Передней Азии, М. 1967.
195. **Дьяконов И. М.**, Предистория армянского народа, Ереван, 1968.
196. **Ельчинова Г. И.** Методы разработки популяционно-генетических данных: структуры брачных миграций // медицинская генетика 2004, т. 3, N4.
197. **Ельчинова Г. И., Кривенцова Н. В.** Распределение фамилий в Ростовской области // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, № 2, 2009.
198. **Золотарев А. М.**, Родовой строй и первобытная мифология, М. 1964.
199. **Иоаннидис А. А.**, Новогреческо-русский словарь, М. 1950.
200. **Капуа Р.**, Миф и человек. Человек и сакральное, М. 2003.
201. **Капанцян Гр.**, Историко-лингвистические работы, Ер. 1975.
202. **Капанцян Гр.**, Суффиксы и суффиксированные слова в топонимике древней Малой Азии, Ер. 1998.
203. **Кисляков Н. А.**, Рецензия на книгу М. О. Косвена, «Семейная община и патронимия», Советская Этнография, № 6, М. 1965.
204. **Кисляков Н. А.**, По поводу статьи М. В. Крюкова, о соотношений родовой и патронимической (Клановой) организации, Советская этнография, № 2, М. 1968;
205. **Коков Дж. Н.**, Из Адигской (Черкезской) ономастики, Нальчик, 1983.
206. **Кореневский С. Н.**, О понятиях «цивилизация, протоцивилизация» и знаках на керамике в культурах Подунавья, Кавказа и Переднего Востока в V-III вв. до н. э., Краткие сообщения Института археологии и, 2013, № 230.
207. **Косвен М. О.**, История родového строя в Юго Осетии, Советская этнография, М. 1967, № 6.
208. **Косвен М. О.**, Семейная община и патронимия, М. 1963
209. **Крюков М. В.**, О соотношении родовой и патронимической (клановой) организаций, Советская этнография, М. 1967, № 6.
210. **Куфтин А.**, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб. 1950.
211. **Куфтин Б. А.**, Урартские «колумбарии» у подошвы Арарата и Куро-

- Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII, 1944.
212. **Лавряшина М. Б., Ульянова М. В., Толочко Т. А., Балановский О. А., Романов А. В., Балановская Е. В.** Шорцы: Сходство и различие территориальных групп по данным фонда фамилий и аутосомных ДНК маркеров. // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, 2011, № 2.
213. **К Лавряшина М. Б., Ульянова М. В., Балановская Е. В.** Динамика фамильного состава как показатель изменения популяционной структуры коренных этносов южной Сибири // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, 2009, № 2.
214. **Левин-Строс К.**, Структурная, антропология, М. 1985.
215. **Льюис Г. Морган**, Древнее общество, Л. 1935.
216. **Марр Н. Я.**, Избранные работы, т. II, М. 1936.
217. **Марр Н. Я.**, Крещение армян, абхазов и алан Святым Григорием (Арабская версия), СПб
218. **Марр Н. Я.**, История термина «Абхазь», Известия Академии Наук, М. 1912.
219. **Марр Н. Я.**, Абхазоведение и абхазы, „Избранные работы“, т. 5, М. 1935.
220. **Массон В. М.**, Средняя Азия и Древний Восток, М. -Л. 1964.
221. **Мелик Г. А.**, Диаухи, «Вестник древней истории», №3-4, М. 1950.
222. **Меликишвили Г. А.**, К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев, Вестник древней истории, М. 1984, №1 (167).
223. **Меликишвили Г. А.**, Урартский язык, М. 1964.
224. **Меликишвили Г. А.**, Урартские клинообразные надписи, М. 1960,
225. **Мунчаев Р. М.**, Кавказ на заре бронзового века (Неолит, энеолит, ранняя бронза), М. 1975.
226. **Олдерогте Д. А.**, Иерархия родовых структур и типы большесемейных домашних общин, Социальная организация народов Азии и Африки, М. 1975.
227. **Панек Л. Б.**, Следы родового строя у мтиулов, Советская этнография, #2, 1939,
228. **Пиотровский Б. Б.**, Ванское царство (Урарту), М. 1959.
229. **Робакидзе А. И.**, Особенности патронимической организации у народов горного Кавказа (в связи с вопросами о соотношении рода и семей, Советская этнография, №5, М. 1968;
230. **Рогава Г. В.**, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (чуркесских) языках, Тб. 1956
231. **Семенов Ю. И.**, Как возникло человечество, М. 1966.
232. **Семенов Ю. И.**, Переход от первобытного общества к классовому: пути и варианты развития (часть I), Этнографическое обозрение, М. 1993, №1.

233. **Семенов Ю. Н.**, Экономическая антропология, Этнология в США и Канаде, М. 1989.
234. **Народы Мира**. Народы Кавказа, т. II, М. 1962.
235. **Ушаков П. Н.**, Древнейшее население Малой Азии, Кавказа и Эгеиды, Вестник древней истории, М. 1939, 4 (9).
236. **Файнберг Л. А.**, Возникновение родого строя, Первобытное общество, М. 1975.
237. **Хазанов А. М.**, Разложение первобытнообщинного строя и возникновение классового общества, Первобытное общество, М. 1975.
238. **Хайдаков С. М.**, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, М. 1973.
239. **Халатянц Г. А.**, О некоторых географических названиях древней Малой Азии, М. 1901.
240. **Харадзе Р.**, Грузинская семейная община, т. I, Тб. 1960,
241. **Харадзе Р.**, Грузинская семейная община, т. II, Тб. 1961.
242. **Хоштария Н. В.**, Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, t. I, Тб., 1955.
243. **Цагарели А.**, Мингрельские этюды, т. 1.
244. **Читанава Д.**, Для значений Сванского Самхуб-Ламхуба, ისტორიულ-ენობლოგიური ძიებანი, t. XVI, Тб., 2014.
245. **Читанава Д. Р.**, Историческая память фамилии и экзогамия в Самегрело, XIII конгресс антропологов и этнологов России. Ассоциация антропологов и этнологов России, Правительство Республики Татарстан, Казанский (Приволжский) федеральный университет, Институт этнологии и антропологии им. Н. Н. Миклухо-Маклая РАН, Институт истории им. Ш. Марджани АН РТ. Сборник материалов, 2 – 6 июля, 2019, Казань. Москва-Казань, 2019
246. **Чокв К. З.**, Строительная лексика в вайнахских языках, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, t. II, Тб., 1975.
247. **Шурц Г.**, История первобытной культуры, вып. I, М. 1923.
248. **Aram Yardumian, Ramaz Shengelia, David Chitanava, Shorena Laliashvili, Lia Bitadze, Irma Laliashvili, Fernando Villanea, Akiva Sanders, Andrew Azzam, Victoria Groner, Kristi Edleson, Miguel G Vilar, Theodore G Schurr.** Genetic Diversity in Svaneti and Its Implications for the Human Settlement of the Highland Caucasus. American Journal of Physical Anthropology, 2017.
249. **V. Crow J. F., Mange A. P.** Measurement of inbreeding from the frequency of marriages between person of the same surname // Eugen. Quart. 1965, v. 12.
250. **Morton N. E., Yee S., Harris D. E., Lew R.** Bioassay of kinship // Theoretical Population Biology, 1971, v. 2.
251. **J. F., Crow, A. P. Mange,** Measurement of inbreeding from the frequency of marriages between person of the same surname // Eugen. Quart. 1965. V. 12.

252. **N. E., Morton, S. Yee, D. E. Harris, R. Lew.** Bioassay of kinship // Theoretical Population Biology, v. 2, 1971
253. **Nasidze I., Salamatina N. M.** Genetic characteristics of the Georgian population, Gene Geography, 1996, 10, 105-112.
254. **Barbujani G., Nasidze I.** Whitehead GN. Genetic diversity in the Caucasus, Human Biology, 66(4).
255. **Nasidze I., Sarkisian T., Asadov C., Kerimov A. and Stoneking M.** Testing hypotheses of language replacement in the Caucasus: Evidence from the Y-chromosome. Hum. Genet 112, 2003, p. 255-261.
256. **Nasidze I., Ling E. Y. S., Quinque D., Dupanloup I., Cordaux R., Rychkov S., Naumova O., Zhukova O., Sarraf-Zadegan N., Naderi G. A., Sardas S., Farhud D. D., Sarkisian T., Asadov T., Kerimov A. and Stoneking M.** Mitochondrial DNA Y-Chromosome Variation in the Caucasus. Annals of Human Genetics 68, 2004.
257. **Purr.** Die heutigen Namen der Kauk., მითითებულია ნ. მარის ნაშრომიდან, Кавказские племенные названия и местные параллели, Петр. 1922.
258. **Shengelia R., Andriadze G, Bitadze L., Chitanava D., Chikovani N., Khmaladze E., Kekelidze M., Laliashvili Sh.** Comparative Genetics Study of East Georgia Population. Moambe, 2017, vol. 11, no 4.
259. **Schurr T. V, Yardumian A., Shengelia R, Bitadze L., Chitanava D., Laliashvili Sh., Laliashvili I., Sanders A., Azzam A., Groner V., Edleson K., Vilar M. V.** Genetic Diversity and population History in Svaneti, Northwestern Georgia. Caucasiologic Papers, Tbilisi, 2015, 7,
260. **Yardumian A., Shengelia R., Chitanav D., Laliashvili Sh., Bitadze L., Laliashvili I, Villanea F., Sanders A., Azzam A., Groner V., Edleson K., Vilar M. V., Schurr T. V.** Genetic Diversity in Svaneti and Its Implications for the Human Settlement of the Highland Caucasus. American Journal of Physical Anthropology, 2017, October 27.
261. **Yardumian A. Schurr., T. G, Shengelia R., Chitanava D., Laliashvili Sh., Bitadze L., Laliashvili I.** Reconstructing the Genetic History of Svaneti, Northwest Georgia, A N C I E N T LINEAGES, Filadelfia, 2017

Summary

DAVIT CHITANAVA

“Genesis of Colchian Surname in a Distorted Mirror”

Surname is an important element in the study of an ethnos, and its research gives significant results in terms of both anthropology and history and ethnology. Kartvelian anthroponymic system is a unified (and ancient) one, but, within this unity, Georgian, Svan and Colchian (Zan) surnames have certain peculiarities both in relation to the semantics of original roots (given names, nicknames), and suffixation.

The first chapter of this work examines the suffix derivatives of Colchian (Megrelian-Laz, as well as Svan) surnames and provides a comparative analysis with ancient Near Eastern materials. The area of the settlement of the Kartvelian tribes had encompassed incomparably wider territories in the south, south-east, south-west and north up to the classical antiquity and early antiquity. The ethnogenesis of the Kartvelian and Ibero-Caucasian tribes is associated to the so-called Kuro-Araxes (Trancaucasian) agricultural Neolithic culture of IV-III millennia BC, one of the most widespread cultures in the territory of present day Georgia and Near East. This quite original archaeological culture covered not only the Kura-Araxes interfluvium, but spread further, encompassing almost the entire North-East Caucasus – Chechnya, several districts of North Ossetia, Dagestan, in the south-east – north-west part of Iran, in the south-west – eastern Anatolia, Syria and Palestine. According to archaeological data, the unity of this culture in this vast territory is obvious, which suggests the existence of tribes of common origin. In this regard, recent genetic studies are of great importance, as a result of which it has become clear that the Kura-Araxes area was inhabited by the peoples with G2a and J2 haplogroups, which are concentrated now in the certain territories of the Caucasus, Anatolia and the South Europe. These haplogroups are recognized as markers of the Kartvelian and related Ibero-Caucasian tribes.

In our opinion, Subars, mentioned in the ancient Near Eastern sources from the end of the III millennium, or late Iberians, were supposed to be those metal producing tribes, carriers of the Kura-Araxes culture, which laid the foundation for the main gene pool of both the Kartvelian and Ibero-Cau-

casian tribes. First Akkadian, then Hittite, Assyrian and Urartian sources give us enough information on communities, inhabited this territory and, presumably, related to Kartvelians, of which the most noteworthy comparative material on the issue of interest to us – Colchian surnames – concerns the kashkians//Gazgians and the Mushkians (the same Meskhians). Thus, based on the analysis of medieval Georgian and ancient Near Eastern (Hittite, Assyrian, Urartian) sources and scientific literature, the present work considers suffixal and suffixoid derivatives of Colchian surnames: *-ia//va*, *-(i)shi*, *-(i)an*, *-skiri (sk'iri)*, *-skua (sk'ua)*, *-tchkori*, *-t'i*, *-ua*, *-q'va*, *-bere//beri*, *-el*, *-ul*, *-ur*.

The *-va* suffix seems older than the *-ian* and *-ia* suffixes. It is attested in the form of Megrelian (Colchian) surname in the Nuskhuri inscription, dated back to the X-XI cc., in the Ilori Church of St. George. It indicates that the model of surnames ending in *-va* was fully formed by the XI century.

The search for available parallel materials is possible among the Kaskians (Kashkians), whose genetic kinship with ancient Colchian (that is, West Kartvelian, Megrelian-Laz-Svan), and especially, the South Colchian tribes, living in Antiquity in the eastern regions of Pontus, is not excluded. In this respect, geographic names ending in *-ia*, which we consider identical to the ending *-ia* of Megrelian surnames, attract attention. In the toponyms of the Kaskians//Gazgians attested in Hittite, Assyrian and Urartian sources, one can read such still alive Megrelian surnames, as: Gakharia, Sekhuria, Saria//Sharia and others. Personal names with the suffix *-ia* are also found in the tribes of Mushkians (Meskhians) in the X-IX cc. BC.

Kaskian toponyms with *-ska*, *-sga (-ška, -šga)* suffixes, distributed almost exclusively in the territory inhabited by them, are of interest. Toponyms ending in *-ška*, *-ska* are still preserved in Megrelia. *Ška/ska* means “middle” in Megrelian. There are also noteworthy coincidences between Kaskian and Megrelian toponyms ending in *-uva*, *-va*. Their bases are of Megrelian-Laz appearance both morphologically and semantically, and these names with the *-ia//va* suffixes represented suffixal formants at least from the XII century BC. That points out that the process of decomposition of the clan society among the Kartvelian tribes had already gone far by that time, and, on the other hand, these suffixes may have denoted not only plurality and possession in this era, but also were living lexical units, designating a clan, a clan settlement, and were added to bases of word as independent words.

The suffix **-(i)š(i)**, preserved as a derivational formant in modern Laz surnames, seems the oldest among Colchian surnames. **-lš(i)/-š(i)** is a marker of Colchian genitive case, which expresses possession and destination. The suffix **-š(i)** is attested as a derivational formant of Colchian surnames in historical sources already in the IX century (feudal surname Baghuashi). In the X-XI centuries feudal surname Marushiani with double derivation – **-š(i)** and **-iani** – is known. The suffix **-š(i)** as a derivational formant of surnames in Laz is still active. It has also preserved as a derivational formant for patronymic names within Svan samkhubs (brotherhoods), that is, for a personal name of an ancestor of a Svan community (one genealogical group within a clan – patronymia).

The suffix **-š(i)** as a derivational formant for personal names and toponyms in the Kartvelian tribes are attested in ancient times, namely, in the relation to Diaokhi and Urartu in the IX-VIII cc., for example, in the name of the king of Diaokhi Utupursi, etc. In addition, among the Hittite, Kartvelian and Nakh-Dagestanian parallels, a similarity between Hittite ***š(u)** “giving birth” and Nakh-Dagestanian ***š(u)** has been noticed. The suffix of later period **-švili**, a derivational marker of mainly East Georgian surnames, the etymology of which goes back to the meaning of “giving birth, vagina” and has the semantics “middle”, is identical to the Megrelian possession marker **-š(i)** and the derivational formant of Laz surnames **-š(i)**.

The suffixes **-an** and **-ian**, which are apparently one of the oldest of their kind and preserved as derivational formants of patronymic names almost everywhere in the Georgian world, are used for formation a certain part of Kartvelian surnames.

Today, surnames with the suffixes **-an** and **-ian** are common in Svaneti and Racha-Lechkhumi, although Samegrelo is also the homeland of a small part of them. The suffixes **-an** and **-ian** seem to be Common Kartvelian and in a certain epoch should have been universal for marking clan, one genealogical or family unity. **-ian** was retained as a derivational suffix of surnames, and then registered in legal documents in the same form only in Svaneti and Racha-Lechkhumi. This suffix is also used as a derivational formant in Armenian surnames, and it should have been adopted by Armenians in the territory where their ancestors settled in the VII century BC. This territory was once inhabited by the Kartvelian and related tribes, and was part of the area of Diaokhi, Urartu and Nairi countries. At the same time, the suffix **-ian**, with its variations **-en** and **-on**, spreads over a wider territory, which, apparently, is the result of distant

ties or migrations, for examples: Danish – Hansen, Andersen, Norwegian – Ibsen, Swedish – Andersen, Ericson, English – Welson, Johnson, Nixon, German (rarely) – Wulfson. Patronymic divisions with the suffixes **-an** and **-ian** are not found in Samegrelo and generally in Zan-speaking environment, though in this respect modern non-Zan-speaking environment is no exception either. For example, such divisions are not attested in Imereti and Racha-Lechkhumi, which should be explained by the late nature of Georgian speech in these regions and the predominance of the host (Megrelian-Laz) element.

We consider these patronymic **-ian**//**-an** suffixes identical to similar suffixal formants of ethnotoponymics and anthroponymics in the territory inhabited by the Kartvelian tribes, attested in Hittite, Assyrian and Urartian sources, starting from the XII-XI centuries.

Skiri, which is suffixoid, identical to Georgian “**ze**” and “**-švili**”, is found only in some Colchian surnames. The same can be said about the ending of Megrelian surnames **-skua**, that literally means “child”. These suffixes are known as derivational formants of Megrelian surnames since the XVI century. Regarding the suffix **-skua**, the suffix **-ski**, a derivational formant of Polish surnames, seems to us worthy of attention.

Small number of Megrelian surnames is formed by adding the suffix **-tʃk’or**. **Tʃk’ori**, translated from Megrelian, means “slave, serf, obedient”, and is supposedly associated etymologically with Georgian **ts’uli**, with denotes “lad, boy”.

The suffix **-t’i** is also used to form Megrelian surnames. It seems to be altered form of **-ti** and comes from the area of influence of the Laz language.

Bases of surnames ending in **-ua** are Colchian, with the exception of some cases. Its formant is the suffix **-a**, though in some cases **-ua** can be considered a suffix of surnames.

Some Colchian surnames end in **-q’va**. The word **q’va** has been retained in Circassian with the meaning “child”. This ending of Colchian surnames is not a late borrowing, but goes back to a common word of ancient Ibero-Caucasian unity, which acquired different meanings in different languages due to linguistic isolation.

Surnames, ending in **-bere**, have been known in historical sources in Samegrelo since the XVII century. We consider the ending **-ba** of Abkhazian surnames to have the same meaning; it is a remainder of a word having the meaning “child” and is visible in the Megrelian-Laz word **bayana** denoting the male

child of a certain age, where **ba** is “child”, and **ya** is supposedly an Abkhazian word designating a male. It corresponds to Georgian **balyi**. In the Megrelian kinship system, there is also the term **badiši**, with which the grandchildren, that is, the third generation of descendants for a grandfather, are denoted.

Surnames with **-el** suffix were migrated to Samegrelo from various regions of Georgia. In this respect, tribal and place names ending in **-ali**, **-eli**, **-la**, **-ul**, mentioned within the Nairi countries, near the Upper Sea (here the Black Sea is meant) in the Assyrian sources of the XI-X centuries BC, are of interest.

The present work examines **issues of interrelationship between the ancient Colchian natural and artificial settlements (“dixa-guzuba”) and clans**. The name of these artificial or natural hill-settlements spread in Colchis from the second half of the III millennium BC must have been the term **xi//oxore//xori//kori**, which belongs to the Kartvelian-Ibero-Caucasian unity and related ancient Near Eastern non-Indo-European ethnic groups. As a result of the study, it has appeared, that **xori//oxori** is a term of the matriarchy epoch and its existence since ancient times indicates that the Kartvelian tribes went through the clan system much earlier than the I millennium BC, namely, we believe that this process, apparently, was already completed at the beginning of the II millennium BC. In this period, the existing settlements were supposed to be clan and communal (these latter were still preserved during the period of the state), and not primitive-communal. Several kindred family communities or social unities similar to **“ti”**, preserved in Samegrelo in the form of a relic as a designation of a family, and its derivative **“turi”** were to live in one *dixa-guzuba*. These several related **“ti”** or big family create a social picture of *dixa-guzuba* settlements. Each *dixa-guzuba*, which was a settlement of several related clans, bordered one or several similarly settled *dixa-guzubas*, the unity of which was supposed to constitute a community, as a territorial- neighboring or polygenic unit, and to create a unified defense system in a certain local territory. The term **“oxoru”**, which designates one of the main units of settlement in Samegrelo – *“kar-midamo”* (farmstead), is mentioned in the *“Anabasis”* of Xenophon in the V century BC in the form of *“xorio”* (*χορίον, χορία*), as a certain type of a settlement. Megrelian **“oxoru”**, Georgian **“saxli”** and Svan **“kor”** mean both *“dwelling building”*, *“farmstead”* and *“population”*, *“people”*; phonetically and semantically identical words are found in the Caucasian- ancient Near Eastern world. In **“oxoru//saxli”** the root morpheme **-x-** is segmented, from which Megrelian **“muxuri”** (corner, part, side, region) and Georgian **“mxare”** (part,

side, region) are derived. Such terms, denoting a settlement, as **samoxio//saxeisk'atso// saxevisk'atso// qeu//xevi** also come from it.

The root element **-x-** is supposedly presented in ancient Near Eastern ethnotoponymic endings having a certain affinity with the Ibero-Caucasian ones, not only as a suffix of possession and plural, but as a separate lexical unit as well. Initially, it meant “country”, “part, side, region”, “land”, “clan” (Kol-**xi** – country, region, land, clan, resp. one certain tribal, cognate unit of Kola). The suffix **-xi** was also widespread in Georgian surnames with double derivations: Koba-**xi-dze//Koba-xi-a** and others. Endonyms of some Kartvelian tribes, ending in **-xi**, are also used as surnames: Mes-**xi-a**, Mes-**xi** and others. The suffix **-xi//xa** has been retained in Megrelian for designation of female sex, and is added to to the Megrelian surnames in the form of **-xe** (for example, Jabua's woman will be Jab-**xe**, Shengelia's woman – Shegel-**xe**).

The work considers the lexical unit **ti//ta** and its derivative “**turi**”, which has been preserved in endings of Colchian surnames and patronymic surnames and, until recently, was an independent word in Megrelian.

In Samegrelo, “**turi**”, a social unit, got after the desintegration of **-ti**, is called a family, i.e., it is a genealogical group-patronymia of those who come from one common ancestor. “**Turi**” originates from the lexical unit **-ti**, designating big patriarchal family, once existed in Samegrelo, whose identical “**ti**”, in the forms of **et//ta** and **t'i** suffixes, is preserved in abundance in toponymic material, derived generally from personal names, not only of Samegrelo, but also other regions of Georgia (mainly, West Georgia).

In the foothill settlements of Samegrelo (Chkhorotsku, Tsalenjikha and Martvili regions), there are divisions ending in the term “**turi**” to designate descendants of 4-7 generations originating from one common ancestor, the base of whose names is generally founded on the personal name of their ancestors. Though, there are also cases where names of divisions ending in “**turi**” are formed based on the names of their living places, or in accordance with character, customs, skin colour, some physiological features and other traits characteristic to some concrete genealogical groups.

The ancient Georgian social term “**tuisi**”, related to the word **tavi** “head”, is of interest in the connection with the term “**turi**”; it is a term of the period of the Georgian-Zan unity.

Apart from Colchian, **ti (turi)** should have been in the same meaning in other Kartvelian tribes as well, where it is retained in the form of the suffixes

et-ti-ta as a derivational formant of names of patronymic divisions. Unlike Samegrelo, in other parts of Georgia the word **ti** (in the form of the suffixes **et-ti-ta**) has lost its former meaning and has not been preserved as a lexical unit.

For confirmation of origin and antiquity of the word **turi**, we believe that the Sumerian material provides an interesting parallel, where there is a word for “vagina” and “stall” **šag-tur** or **ša-tur** (Akkadian **šaturru**, **šassurru**), originating from the word **tur** and defined as “inner part of stall”, and another pictogram – “woman in stall”, which is read as **arxuš** and is a variation of the pictogram “woman painted in house”. **Tu** and **turi** here also mean “birth” and “baby”. It seems to be a term meaning “vagina” and emphasizing the importance of this center as giving life. It was from here, that it acquired the meaning of “family”, and later also of “clan”. Subsequently, it became a derivational suffix of patronymic, that is, consanguineous unity, and, finally, surnames. It also acquired a function of marking plurality in names of tribes, countries and, in general, toponymy. The suffixes **-ti//ta** are attested as derivational formants in personal and tribal names of the Kartvelian tribes in the X-IX centuries BC.

The work also considers monogenic village in Samegrelo, which creates a certain type of settlement here. In the monogenic settlement in Samegrelo, the term “**dino**” is used along with “**turi**” to designate patronymy. “**Dino**” is a patronymic settlement created as a result of the breakup of a large family (preserved partially, in a transformed form, in Samegrelo until the end of the XIX century), which consists of 4-5 and, rarely, 6-7 generations of descendants of both collateral and lineal ascending patrilineal line, who live side by side on the lands of their direct ancestors, have certain features of unity and, proceeding from it, create a certain type of settlement. The term “**dino**” is a shortened form of the Megrelian word “**dinoxoleni**”, that literally means “inner”. Megrelian village communities are very large settlements covering large monogenic neighborhoods resulting from the growth of patronymy (**dino** and **turi**).

On the Colchian plateau, the prefix **le-** is used as a derivational formant of names of villages inhabited by the representatives of the same surname, and in the immediate vicinity to it, in villages of the lowland Megrelia, village names are formed by the prefix **sa-**. The prefix **-le** is Common Kartvelian, and the prefix **-sa** penetrated into Megrelia through Imereti and Guria. The prefix **-le** is even considered proto-Hittite. The monogenic settlements with **sa-** are apparently of relatively later formation and they do not create such monogenic villages in terms of **turi**, as it is observed in the zone of the Colchian plateau

with the prefix **le-**. Until the end of the XIX century and 30s, 60s of the XX century, the population of Megrelia was mainly concentrated on the slopes of the Egrisi range and along river vallies. The picture was considerably changed during the period of the Soviet rule when the population moved to foothills and the Colchian lowland en masse, which led to the appearance of settlements along the roads.

The work discusses **patronymic shrines (prayers)** common in Samegrelo, which remained the main defining feature of locality of this social institution. In everyday life in Samegrelo, marani was not only a place for keeping wine, but also a cult building, where large ceramic jars (kvevris) with wine were specially buried for this or that god; here a head of a family or clan offered a prayer for the well-being of a family or clan.

The family or patronymic prayer offered around a kvevri, which still takes place in everyday life in Samegrelo, is called “oxvameri”, during which not only family members, but members of the whole patronymy – “**dino**” and “**turi**” – gathered and prayed. There was no difference ritually between family and patronymic prayers, only in one case only family members prayed, and in the second – 5-7 generations of relatives together. Among the patronymic prayers, attested here, there were “Sayoronto” (literally, “for god”) and “Samgario” (the same Samikelgabrielo – “in the names of Archangels Michael and Gabriel”) which sometimes were called together “didi oxvameri”. Information on the existence of patronymic prayers here are found in the sources of the XVII century (Giuseppe Maria Zampi), but today this tradition is gradually being forgotten.

The work, based on ethnographic material, examines rules of exogamy and marriage restrictions between different clans in Samegrelo, which provides important material from the point of view of genetic and anthropological studies. Here, marriage between representatives of the same surname is strictly prohibited, despite the remoteness of generations. Marriage is also prohibited between representatives of different surnames of the same village, for which there are different reasons: the historical memory of their belonging to the same surname, common living conditions, village exogamy, that is, the tradition of populating a village by members only of one clan, common shrine (prayer), class distinction.

The ethno-historical study of surnames of Samegrelo proper and modern Abkhazia (then the principality of Odishi) in accordance with Georgian his-

torical sources of the XVI-XVII centuries are presented in a separate chapter. This material is significant, first of all, for establishing the ethnic picture of Abkhazia of that time, as well as the causes and directions of migration of these surnames.

From the end of the XVII century, mountain fled – Absua-Adighe tribes, led by the Shervashidze prince massively forced Georgian population to leave Abkhazian territory.

It can be clearly seen from the herein mentioned “Great ledger of Abkhazian Catholics farmers” (written in the second half of XVI century and year 1621) that the population in today’s Ochamchire and Gali district was absolutely Georgian (Mingrelian).

According to this document, Absua names and surnames cannot be found amongst the residents of these villages (the villages: Nazhaneuli-today’s village Otobaia; Subvi-situated in place of today’s Achigvara; Khoiri-today’s Okhurei; Mukhuri-known by the same name, village in Gali district; Tiliti-today’s village Abaazhvakhu; Khauzheli-in between the today’s Tkхина and Ghalidzga; Chala-today’s village Chlou; Tkauri- nearby today’s Agubedia).

This paper presents the research of Mingrelian names and surnames according to the list of “Jgali castle catholicate closing”, which is part of the ledger, composed in the first quarter of XVII century, called “Satsaishvilo closing and taxes.

Respective studies are very important we think, because human names often disappear and are replaced with new ones through history, due to the changes in the time settings and customs. The only fact remains the same, that at all times absolutely all given names are obtained from the ordinary words, accordingly knowledge of their origin and the meaning is very important, in order to determine population’s linguistic and ethnic background, as well as social status.

The work presented in this document refers to the etymology of up to sixty names and surnames, majority of which is not widespread in the surname form in Samegrelo and along with changes in the time and circumstances of social life – given nicknames explainable in Mingrelian language have faded away.

After the earthquake of 1614, just after Tsaishi Church and Episcopacy restoration by Levan Dadiani, “Jgali catholicate” was united to the Tsaishi estate.

Jgali castle, built in XV-XVI centuries, is located in Jgali community (Tsalendjikha Municipal District), in Lesale area and according to this, is now called Lesale castle.

From the names listed in this document, these live currently nearby Jgali community and the same Jgali castle (fortress):

1. **Salia** surname, who are mentioned in the document in “s“li –saklia-s” form. 2. **Belukania** same as **Belkania** surname. 3. **Topuria** surname, whose resettlement is also confirmed by obtained onomastics data and one of the districts has remained the name “Letopure” (Today it is not populated, neither was from the XIX century, as can be seen from the archival materials). 4. Also, **Shonia** surname housing area (no longer live in Jgali community) is determined from onomastics data, in particular – reportedly, eastwards of one of the Jgali rural villages – Lekharchile, is situated the village, The work is devoted to the methods of the research of small-size surnames or those being at the verge of extinction, the importance of such studies and the main reasons for the small size of surnames. This is the first attempt in the Georgian historiography to pose such a question in this direction, presented on the example of Samegrelo.

The last chapter of the book is devoted to demographic and genetic studies of “small”, that is, small-size surnames, in which both Georgian and foreign scientists of various branches participated. These studies represent novelty in a certain direction not only in the Georgian, but also in the general scientific space.

Surname is an important element in the study of ethnos, and therefore all the main aspects of studying ethno-history of surnames are used in the work, both in the anthropological and historical-ethnological directions. The importance of studying analogues of biological, that is, genetic markers, as well as genealogical studies, is emphasized in the research of the reasons for the small size of surnames. This gives us reliable genetic information and the opportunity of studying marriage preferences. In this direction, we have examined tens of Megrelian surnames on the grounds of ethnographic materials, obtained by us in archives and during fieldwork. As a result of the study, using the example of some specific surnames, several reasons have been identified for which the surnames remain small size. These are: being unmarried, childlessness, early mortality, women’s numerical superiority, diseases and epidemics, phonetic changes in surname, migrations, political factors (wars), marriage preferences, decrease in the crude birth rate, tendency not to have many children.

According to genealogical materials of small-size surnames presented in the work, it was revealed that among the above listed reasons, being unmarried

of adult men is in the first place, childlessness is in the second, and early mortality is in the third.

Thus, new studies of presented surnames, where a surname is considered as a genetic marker with its marriage system and gene pool, provide great information about all the components making up ethnogenesis. It will also be very helpful in interpreting the results of DNM markers in terms of frequency, primary region and direction of distribution of individual haplogroups of the Y chromosome, as well as establishing relationships among surnames.